ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ამერიკის შესწავლის ცენტრი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
CENTER OF AMERICAN STUDIES

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია

GEORGIAN ASSOCIATION FOR AMERICAN STUDIES

# რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა

# RONALD REAGAN AND AMERICA IN 1980s

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2005
Tbilisi University Press
Tbilisi 2005

uak (VDC) 94 (7/8)
ბ81

კრებულში წარმოდგენილია ქართველი და ამერიკელი მეცნიერების სტატიები, მიძღვნილი ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის საქმიანობისა და მისი მმართველობის პერიოდის ამერიკისადმი. ცნობილი ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგების ნაშრომებთან ერთად კრებულში მოთავსებულია იმ სტუდენტებისა და ასპირანტების საუკეთესო სტატიებიც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რონალდ რეიგანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციის მუშაობაში (2004 წლის 16 ოქტომბერი).

კრებული გათვალისწინებულია ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

კრებულის ავტორები მადლობას ეორგიან უხდიან საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გამოცემის დაფინანსებისათვის, ასევე, ქალბატონ დაიან მილერს ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქტირებისას გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

The collection includes the articles of Georgian and American scholars dedicated to the President Ronald Reagan and different fields of American life under his presidency.

Alongside the articles of well-known historians and political scientists, the collection comprises the best papers of MA and Post Graduate students, who participated in the conference dedicated to the memory of Ronald Reagan.

The collection is intended for the specialists on American Studies and for the general public as well. The Authors express gratitude to the Embassy of the United States to Georgia for the financial support and personally to Diana Miller for her support in editorial work.

რედკოლეგია: ვასილ კაჭარავა (მთავარი რედაქტორი)
ელენე მეძმარიაშვილი, ცირა ჩიკვაიძე
ditorial Board: Vasil Kacharava (Chief Editor)
Elene Medzmariashvili, Tsira Chikvaidze

რეცენზენტები: გივი ბოლოთაშვილი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე.
სოსო ცინცაძე, პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებელი დიპლომატიური აკადემიის რექტორი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

Reviewers: Givi Bolotashvili, Associate Professor, Tbilisi State University, Head of the Department of Modern and Contemporary History of Europe and America.
Soso Tsintsadze, Rector , Georgian Independent Diplomatic Academy ,Chairman of Advisory Board of the President of Georgia.

მხატვარი თამაზ ვარვარიძე
Designer Tamaz Varvaridze

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005
Tbilisi University Press
ISBN99940-38-98-2

# სარჩევი

შესავალი 8

ლევან ავალიშვილი
რონალდ რეიგანი და „ვარსკვლავური ომების პროგრამა“ 17

ნუგზარ ბარდაველიძე
რეიგანი – მითი და რეალობა 27

ტიმოთი ქ. ბლოველტი
რონალდ რეიგანი და ცივი ომის დასასრული 36

რუსუდან დაუშვილი
კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი-რესპუბლიკური პარტიის წევრი და რეიგანის მხარდამჭერი 44

ვასილ კაჭარავა
კალვინ კულიჯის პორტრეტი რეიგანის კაბინეტში 49

მაია კაჭარავა
ამერიკის არქიტექტურის ზოგიერთი ასპექტი რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში 59

ნინო კილურაძე
მოიგო თუ არა რონალდ რეიგანმა „ცივი ომი“? 67

გიორგი კლდიაშვილი
რონალდ რეიგანი და მისი პოლიტიკა კუბის მიმართ 75

პაატა კოლუაშვილი
რონალდ რეიგანის აგრარული პოლიტიკის ეკონომიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი 101

რევაზ ლორთქიფანიძე
რონალდ რეიგანის საგადასახადო რეფორმა და ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები თანამედროვე პირობებში 109

ელისო მაჩიტიძე
„ოქროს ხანა“ ამერიკა-თურქეთის
ურთიერთობის ისტორიაში. 113

ელენე მეძმარიაშვილი
რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში 119

ქეთევან როსტიაშვილი
ამერიკის პროფკავშირები რონალდ რეიგანის
ადმინისტრაციის პერიოდში 126

ვახტანგ რჩეულიშვილი
რონალდ რეიგანი და საქართველოს ვესტერნიზაცია 136

ნუგზარ რუხაძე
რონალდ რეიგანის ეპოქა და ქართულ-ამერიკული სიახლოვე 144

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ზოგიერთი ასპექტი
რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში 148

ცირა ჩიკვაიძე
რონალდ რეიგანის „მარაგის მომხრე“ ეკონომიკა. 152

ნანა ციხისთავი
რონალდ რეიგანი და ევანგელისტები '159

თენგიზ ცხვიტავა
ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტი. 174

ნიკო ჯავახიშვილი
ქართველი ემიგრანტი - აშშ-ის რესპუბლიკური
პარტიის მხარდამჭერი 181

SUMMARY CONTENT

PREFACE 13

LEVAN AVALISHVILI
Ronald Reagan and the "Star Wars" Program 188

NUGZAR BARDAVELIDZE
Reagan - Myth or Reality 189

TIMOTHY K. BLAUVELT
Ronald Reagan and the End of the Cold War 189

RUSUDAN DAUSHVILI
Konstantine Sidamon-Eristavi A member of the Republican Party and Reagan Supporter 190

VASIL KACHARAVA
Calvin Coolidge's Portrait in Ronald Reagan's Study 191

MAIA KACHARAVA
Some Aspects of American Architecture during Reagan Presidency 191

NINO KIGHURADZE
Did Reagan Win The Cold War? 193

GIORGI KLDIASHVILI
Ronald Reagan and his Policy Towards Cuba 193

PAATA KOGHUASHVILI
Economic-Legal Aspects of the Ronald Reagan's Agrarian Policy 194

REVAZ LORDTKIPANIDZE
Ronald Reagan's Tax Reform and Questions of Perfection of Economic Policy in Modern Conditions. 194

ELISO MACHITIDZE
The Golden Age in American -Turkish Relations 195

ELENE MEDZMARIASHVILI
Women's Issues in the Policy of Ronald Reagan's Administration 196

KETEVAN ROSTIASHVILI
US Trade Unions During Ronal Reagan Administration. 197

VAKHTANG RCHEULISHVILI
Ronald Reagan and the Westernization of Georgia 197

NUGZAR RUKHADZE
The Reagan Epoch and American-Georgian Relations 198

GIORGI SHIKHASHVILI
Some of the Aspects of the Economic Management under Reagan's Presidency 199

TSIRA CHIKVAIDZE
Ronald Reagan and "Supply Side Economics" 199

NANA TSIKHISTAVI
Ronald Reagan and Evangelican 200

TENGIZ TSKHVITAVA
Ronald Reagan, the 40-th president of the United States 201

NIKO JAVAKHISHVILI
Georgian Emigrant -The Supporter of the US Republican Party 201

# შესავალი

2004 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა ამერიკის გამოჩენილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. 1981 წელს, 70 წლის ასაკში, მან დაიწყო მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულება და, ამავე დროს, ე.წ. კონსერვატიული რევოლუციის ინიციატორი და განმახორციელებელი გახდა.

რეიგანი ირლანდიური წარმოშობის ფეხსაცმლის გამყიდველის შვილი იყო (თუ გავითვალისწინებთ, რომ სტალინიც მეწაღის შვილი იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფეხსაცმელის ბიზნესს რაღაც მისტიური ძალა აქვს). გარკვეულწილად, იგი ამერიკული ოცნების კლასიკური მაგალითია, როდესაც უბრალო ოჯახის შვილმა, საბჭოთა ოცნების მოდელისაგან განსხვავებით, ყოველნაირი რევოლუციების გარეშე, თავისი ნიჭისა და შეუპოვრობის წყალობით, უმაღლეს წარმატებას და თანამდებობას მიაღწია.

თუმცა არავინ უარყოფს რეიგანის უდიდეს როლს, როგორც ამერიკის, ასევე მთელი მსოფლიოს ისტორიაში. მის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ლიბერალ ამერიკელებს, ანუ ძირითადად დემოკრატიული პარტიის მომხრეებს, იგი არ მოსწონთ. სამაგიეროდ, ვერავინ უარყოფდა მის ქარიზმატულობას. ხოლო, რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათთვის რეიგანი გმირის ტოლფასია, რომელმაც ე.წ. ბოროტების იმპერიის ჰეგემონისტური პოლიტიკა შეაჩერა და საფუძველი ჩაუყარა ცივ ომში დასავლეთის გამარჯვებას.

ხშირად, როდესაც ამარტივებენ რეიგანის პოპულარობის მიზეზებს, აღნიშნავენ, რომ იგი მსახიობი იყო. მის მემკვიდრეს კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე არნოლდ შვარცენეგერსაც ასევე ახასიათებენ. შვარცენეგერზე აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ რაც შეეხება რეიგანს, მიუხედავად იმისა, რომ მან 50 კინოფილმში ითამაშა, მსახიობობა, ვფიქრობ, აქ არაფერ შუაშია, მითუმეტეს, რომ იგი სულაც არ ყოფილა სუპერვარსკვლავი. თუმცა, გამორჩეული ორატორული ნიჭით კი ის ბავშვობიდანვე

იყო დაჯილდოვებული და უკვე 25 წლის ასაკში შუა დასავლეთის შტატების ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული რადიოკომენტატორი იყო.

რეიგანი წლების მანძილზე იყო ამერიკის მსახიობთა გილდიის, ანუ პროფკავშირის პრეზიდენტი. ასევე, წლების განმავლობაში იგი „ჯენერალ მოტორსის" სპოუქსმენი და წარმატებული ტელეშოუების წამყვანი იყო.

ბოლოს და ბოლოს, ორი ვადით, 1967--75 წლებში, სწორედ იგი იყო კალიფორნიის გუბერნატორი, თანაც, მეტად წარმატებული. კალიფორნია კი უკვე მაშინ ყველაზე მრავალრიცხოვანი და მეტად ჭრელი მოსახლეობით დაკომპლექტებული შტატი იყო და ძნელად თუ ვინმე გააკვირვებდა კალიფორნიელებს, რომლებიც ჰოლივუდის ცხოვრებას, შეიძლება ითქვას, ყოველდღე უშუალოდ ადევნებდნენ თვალყურს. ალბათ, რეიგანის ძალა და მიმზიდველობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მას გულის სიღრმემდე სწამდა იმ კონსერვატული ფასეულობებისა, რომლებსაც ქადაგებდა. ამავე დროს, იგი მეტად პრინციპული იყო თავისი მსოფლმხედველობის დაცვისას და არც არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს ერიდებოდა. თუმცა, მისთვის არც ცნობილი ამერიკული სალი გონება და პრაგმატიზმი იყო უცხო. სწორედ რეიგანის მმართველობის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა შტატის ბიუჯეტი და კეთილდღეობა.

მაგრამ, რაც მთავრია, რეიგანის ტრიუმფალური გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში და მის მიერ წამოწყებული კონსერვატული რევოლუცია დრომ მოიტანა. გავიხსენოთ ნაპოლეონის სიტყვები, რომელიც თავის წარმატებებს, პირველ რიგში, იმით ხსნიდა, რომ იგი არსებული ვითარების პროდუქტი იყო.

სწორედ ამ ეპოქამ წარმოშვა მის გვერდით მყოფი მეტად სერიოზული ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები. რეიგანი ყოველთვის ყურადღებით უსმენდა მათ რეკომენდაციებს, შემდეგ კი, შეუპოვრად, თავისი უმაღლესი სტატუსის ეფექტურად გამოყენების მეშვეობით, ატარებდა ცხოვრებაში თანამოაზრეთა ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რიგითი ამერიკელების სიმპათია მან იმითაც დაიმსახურა, რომ სწორედ მათთვის გასაგებ ენაზე შეეძლო ურთულესი პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის ჩამოყალიბება და ახსნა-განმარტება. ხოლო არც თუ გულუბრყვილო ამერიკელებს

იმიტომაც აჯერებდა თავისი სიტყვების სიმართლეში, რომ, ორატორული ხელოვნების უპირველესი წესის მიხედვით, მას თვითონაც აბსოლუტურად სჯეროდა თავისი სიტყვების. ამისათვის კი, მარტო სტანისლავსკის სამსახიობო სისტემის ზედმიწევნით ცოდნა არ იყო საკმარისი. როგორც ამერიკის უდიდესი პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ამბობდა, შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე მოატყუო მთელი მოსახლეობა, ან მუდამ ატყუებდე მოსახლების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ყოველთვის და ყველას მოტყუება არავის შეუძლია.

ასევე რეიგანის სახელთან არის დაკავშირებული პოსტვიეტნამური სინდრომის აღმოფხვრა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში და, თუმცა, უსაზღვროდ გაზრდილი სამხედრო ხარჯებით მან სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამერიკის ბიუჯეტს. სწორედ რეიგანმა აღადგინა აშშ-ის სამხედრო ძლიერება და თავისი ნახევრად მითიური ვარსკვლავური ომების იდეით უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და თავდაცვის უნარიანობა

ამერიკელები ძალზე აფასებენ იუმორის გრძნობას. აქედან გამომდინარე, რეიგანის ბრწყინვალე იუმორი და, რაც მთავარია, თვითირონია მეტად უწყობდა ხელს მისდამი სიმპათიისა და ნდობის ზრდას.

რასაკვირველია, ცოტა არ იყოს, უზადო გმირის სურათი გამოგვივიდა და რეიგანი, როგორც ყოველი მოკვდავი, მით უმეტეს კი, პოლიტიკოსი, არ იყო უცოდველი და უშეცდომო. მისი მმართველობის პერიოდს არც სერიოზული სკანდალები მოკლებია. მაგრამ რეიგანი აქაც ახერხებდა თავი დაეცვა საზოგადოების რისხვისაგან, თუმცა, ეს ყოველთვის ერთნაირად არ გამოსდიოდა. მაგალითად, იგივე ირან-კონტრას სკანდალმა მეტად ცუდი კვალი დააჩნია მის ადმინისტრაციას. თუმცა, საბოლოოდ, ე.წ. ტეფლონის პრეზიდენტი ამ სკანდალსაც გადაურჩა.

მეტად არაპოპულარი იყო რეიგანის მიერ ფედერალური დახმარების პროგრამების დრამატული შემცირება და რეიგანს, არც თუ უსაფუძვლოდ, ბრალს სდებდნენ მდიდართა მიმართ განსაკუთრებულ კეთილგანწყობაში. თუმცა, რეიგანის კრიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მის მიერ ინიცირებული გადასახადების 25- პროცენტიანი შემცირება ძირითადად მდიდრებისათვის იყო ხელსაყრელი, მაგრამ ვერც იმას უარყოფენ, რომ ამ ნა-

ბიჯმა ხელი შეუწყო ამერიკული ეკონომიკის გამოცოცხლებას.

ბუნებრივია, ამ მოკლე შესავალში არ და ვერც ვისაუბრებთ რეიგანის მოღვაწეობის ყველა ასპექტზე და, მითუმეტეს, მრავალ კონკრეტულ ფაქტზე. ამ ამოცანას, იმედია, რეიგანის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოდგენელი და, შემდეგ, კრებულში შეტანილი სტატიები შეასრულებს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ კონფერენციაზე გამოსული ქართველი მეცნიერები თუ სტუდენტები, ძირითადად, მეტად კეთილგანწყობილნი იყვნენ ამ პიროვნების მიმართ, რაც შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას. ალბათ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, პირველი - ეს იყო უდიდესი სიმპათიები რეიგანისადმი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის დასაწყისში და, მეორე, შედარებით საკამათო მიზეზი, რომ ქართველები ნაკლებად იცნობენ რეიგანის საშინაო პოლიტიკას და, თანაც, მის საგარეო საქმიანობასთან შედარებით, ნაკლებად აღელვებთ მისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფითი მხარეები.

აღნიშნულ კონფერენციაზე, ერთი შეხედვით, პარადოქსული ვითარება შეიქმნა. ამერიკელები მკაცრად აკრიტიკებდნენ, ქართველები კი, პირიქით, თავგამოდებით იცავდნენ მას. მათგან ასეთ პატივისცემას, ალბათ, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ინატრებდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერს დამსახურება უნდა.

შესაბამისად, ამ კონფერენციამ ცხადყო, რომ ჩვენ კიდევ ბევრი უნდა გავიგოთ თითქოს ყველასათვის ნაცნობ ამერიკაზე. მისი რეალური ცხოვრება, მისი წარმატებებისა თუ წარუმატებლობის მიზეზები მრავალი ჩვენგანისათვის ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ჩვენთვის, მათ შორის, ქართველი პოლიტიკოსებისათვის, ამერიკა წარმატების სიმბოლოა. მაგრამ თუ დანამდვილებით არ გვეცოდინება ამ წარმატების ჭეშმარიტი მიზეზები და ზედაპირულ ეფექტებს მივენდობით, ჩვენი მეგობრებისაგან კარგის მაგივრად, შეიძლება სწორედაც რომ მცდარი, შესაბამისად კი, საზიანო რამ ვისწავლოთ.

ამავე დროს, კონფერენციაზე „ქართულ-ამერიკულმა დაპირისპირებამ" კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული საზოგადოების უდიდესი კეთილგანწყობა ამერიკისადმი.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ამერიკის საელჩოს საქართველოში, რომელმაც ტრადიციულად დიდი დახმარება გაგვიწია აღნიშნული კონფერენციის ორგანიზებასა და კრებულის გამოცემაში.

შესაბამისად, კიდევ ერთი, მეტად საინტერესო და ლამაზი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი ერების დაახლოებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის საქმეში.

ვასილ კაჭარავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი

Introduction

The most well-known president of America, Ronald Reagan, died on June 5, 2004. In 1981, at the age of 70 he took perhaps the hardest job in the world and at the same time he initiated and realized the so-called conservative revolution.

Reagan was a son of an Irish-born shoe salesman (and considering that Stalin also was a shoemaker's son, one would think that there's something mystical in the shoe business). In a certain sense Reagan was a living picture of the American dream: being a child from an ordinary family, he achieved brilliant success and status owing only to his talent and purposefulness, quite different from the model of the Soviet Dream and without any revolutions.

Although nobody denies Reagan's great role in both American and world history, he is viewed differently by different people. He is extremely disliked by American liberals, who are mostly supporters of the Democratic Party. Still, everybody admits he was a charismatic personality. And as for the former Soviet Union and its republics, here almost everybody, except for a few, considers him a true hero protecting the world from the hegemonic policy of the "Evil Empire" and helping the West to win the Cold War.

Some people in their attempts to oversimplify his charms refer to his being an actor. Arnold Schwarzenegger - his successor in the post of Governor of California - is usually judged in just the same way. We won't linger on Schwarzenegger now, but as for Reagan, despite having acted in 50 different films, I believe, that this had nothing to do with his political talents, especially as he was never a real star. Since he was a young boy, Reagan was distinguished as a gifted public speaker and at the age of 25 he was already famous as the best sports radio announcer in the Midwest. For several years he was a president of the Screen Actor's Gild, he was a spokesman of General Motors and a successful TV show presenter.

Reagan was the Governor of California for two terms (1967-75), and the most successful one too. At this time California was the most populous and multinational state and hardly anybody could surprise its inhabitants, who watched Hollywood life almost every day. The power of his magic perhaps

can be accounted for by his commitment to the conservative values he so often advocated. Besides that, he was extremely consistent in asserting his viewpoints and he never refrained from making unpopular decisions if needed. Yet he was not devoid of the well-known American common sense and pragmatism. And it was under his rule that the budget and the wealth of the state increased.

But what is most important, was Reagan's triumph at the presidential elections and the conservative revolution stirred by him which created a new era. To recall Napoleon's comment about his great success, he said it was "mainly caused by existing circumstances." All those analysts and politicians by Reagan's side were also children of the era. Reagan always considered their opinions and recommendations and then inexorably, using his high position, put the coordinated decisions of his team into practice.

One reason why Reagan gained the approval of ordinary Americans was his ability to explain and discuss the most complicated political or socio-economic issues in an extremely clear and simple manner. And as for more sophisticated Americans, he never failed to convince them of the truth of his statements too, because he absolutely believed in them himself, as any skillful orator should. There can be no doubt, that being intimate with the Stanislavski system of acting is insufficient to manage all this. As America's greatest President Abraham Lincoln told us: "One can deceive his citizens for a certain period, or deceive a certain part of the nation all the time, but no one can deceive everybody and forever."

Reagan's name is also connected to the struggle with the post-Vietnam syndrome in the American army. Although he seriously threatened the American budget with highly excessive defense expenses, he was the one who revived the military glory of the USA and ruined Soviet economics and defensive capacity with his half mythical Star Wars concept.

Also Americans highly appreciated his sense of humor. Accordingly his bright humor and self-irony also helped Reagan to gain his people's sympathy and confidence.

I'm afraid I've portrayed Reagan as too irreproachable a hero. Of course, Reagan could not be absolutely blameless and innocent, just as any mortal can't. Moreover, there was no lack of scandals during his presidency. But Reagan managed to avoid the wrath of his people, although it was not always easy. For instance, the Iran-Contra scandal seriously harmed the reputation of his administration, but the so called Teflon President managed to pull through.

Another unpopular step was dramatically reducing the federal aid program; many disapproved of Reagan, and with good reason, for he was especially favorably disposed towards the rich. Though his opponents kept assuming that the 25 percent tax reduction, initiated by him was a favor mainly for the rich, they admitted at the same time, that this step helped to revive American economics.

Naturally we can't recall all aspects of Reagan's political work and the different facts of his life in this short introduction. I think the speeches and articles presented in the Reagan conference and offered by our collection will do it better.

We'd like to note that the participants of the conference - Georgian students and scholars - for the most part were well-disposed towards this political figure. This is due to two reasons: the first one undoubtedly is his particular role in the disintegration of the Soviet Union, and the second one, more disputable, is that Georgians are less familiar with his domestic politics and socio-economic shortcomings.

It was almost paradoxical, that Reagan was criticized mostly by the American participants of the conference and predominantly appreciated by their Georgian colleagues. Maybe some Georgian politicians are dreaming to be respected by their people so much, but as you know, everything must be deserved.

However, the conference made it clear, that we must learn much more about "well-known" America. Its real life, its joys and misfortunes, for many of us, are still veiled in obscurity.

And this is urgent, especially for Georgian politicians. America is a symbol

of success. But if we don't know the real reasons for this success, and are guided only by superficial knowledge and external effects, we'll probably learn more bad (and therefore harmful) than good from our friends.:

But at the same time the "Georgian-American confrontation" at our conference is uncontestable proof of the very positive attitude of Georgian society towards America. We'd like to express special thanks to the American Embassy in Georgia, for their assistance in organizing the conference and publishing this collection. So it may be said, that one more constructive step has been taken for more intimate and productive cooperation between our nations.

Vasil Kacharava, Ph.D.
Director of the Center for American Studies, Iv.Javakhisvili Tbilisi State University
President of the Georgian Association for American Studies

ლევან ავალიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი

# რონალდ რეიგანი და „ვარსკვლავური ომების“ პროგრამა

სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას (Strategic Defence Initiative), იმავე „ვარსკვლავური ომების პროგრამას“, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია რონალდ რეიგანისა და მისი რესპუბლიკური ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაში. ეს ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და საინტერესო პოლიტიკური ნაბიჯი იყო გადადგმული ვაშინგტონის მიერ ცივი ომის არაჩვეულებრივი ესკალაციის ფონზე. თუმცა, დღესაც არ წყდება დავა იმის შესახებ იყო თუ არა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა კარგად დაგეგმილი პროპაგანდისტული პროვოკაცია თუ რეიგანის ადმინისტრაცია მაინც აპირებდა ამ, მართლაც, ფანტასტიკური პროექტის განხორციელებას.

1983 წელი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და დაძაბულ წლად ცივი ომის ისტორიაში. მარტის დასაწყისში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს უწოდა „ბოროტების იმპერია.“ ხოლო, უკვე ორი კვირის შემდეგ, 23 მარტს, რეიგანმა დირექტივა N119-ის ამოქმედებით შემოიტანა ცნება „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“, რაც ნიშნავდა ბრძოლის წარმოების სრულიად ახალი მათემატიკური მეთოდების დანერგვას, თანაც ჯერ კიდევ პროექტის დონეზეც კი არარსებული ბალისტიკური ქობინების განადგურების საშუალებების გამოყენებით. პროექტზე, რომელსაც მეორენაირად „ციფრული შოკი“ უწოდეს, გათვალისწინებული იყო წარმოუდგენელი ფინანსური დანახარჯები.

როგორც იხსენებს ოლეგ გრინევსკი (ანდროპოვთან დაახლოებული პიროვნება). ამ განცხადებას მოჰყვა სწრაფი რეაქცია მოსკოვში. უკვე 24 მარტს ანდროპოვმა თავისთან დაიბარა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომელთაც მოკლედ მოახსენეს საბჭოთა ლიდერს, რომ შეერთებული შტატები გეგმავდნენ განეთავსებინათ კოსმოსურ სივრცეში ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა.

რომელიც დაიცავდა მთელ ამერიკულ ტერიტორიას და რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ახალ ფიზიკურ პრინციპებზე, მათ შორის ბირთვული ენერგიის ლაზერულ სხივად გარდაქმნის პრინციპზე. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მისცემდა ამერიკელებს გაენადგურებინათ ნებისმიერი საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტა მათი აფრენისთანავე. საბჭოთა ანალიტიკოსების მიერ გაკეთებული დასკვნები ფრიად შემაშფოთებლად ჟღერდა: შეერთებული შტატები მიიღებენ საშუალებას დაუსჯელად განახორციელონ პირველი ბირთვული დარტყმა, დაემხობა მთელი სამხედრო-გეოპოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც დამყარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბათილდებოდა 1972 წლის შეთანხმება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის (ПРО) შესახებ, საბჭოთა კავშირი უბრალოდ დაკარგავდა ზე-სახელმწიფოს სტატუსს. საბჭოთა მეცნიერებიც ორჭოფობდნენ. მათი აზრით, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის განხორციელება ფაქტობრივად არარეალური იყო, მაგრამ თეორიულად 10-15 წლის შემდეგ მაინც შეიძლებოდა შექმნილიყო რამე მსაგავსი სისტემა.

როგორც იხსენებს გრინევსკი, ანდროპოვმა განაცხადა შემდეგი: „სიტუაცია მეტად რთულია და მე არ მინდა იგნორირება გავუკეთო არც ერთ შესაძლებელ სცენარს – მათ შორის ეფექტური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის ვარიანტსაც. იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ სისტემის პრაქტიკული შექმნა, სოი იქცა ამერიკული პოლიტიკის რეალურ ფაქტორად და ჩვენ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მოვლენების ასეთი განვითარება."

სიტუაცია, მართლაც, ძალზე რთული იყო. 80-იანი წლების დასაწყისში ბირთვული ბალანსი ასე თუ ისე შენარჩუნებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებს უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა კავშირთან შედარებით საკონტინენტთაშორისო ქობინების რაოდენობაში, მოსკოვმა ძირითადი აქცენტი გააკეთა ახალ სარაკეტო სისტემებზე გაყოფადი ქობინების გამოყენებით (СС-25, СС – 24.) ამ სახის რაკეტებს შეეძლოთ ერთდროულად გაენადგურებინათ რამდენიმე სამიზნე ობიექტი. მაგრამ რეიგანის ადმინისტრაციამ მოსვლისთანავე დაიწყო რამდენიმე ძვირადღირებული სამხედრო პროექტის განხორციელება, მათ შორის: „ტრაიდენტის" ტიპის ბირთვული წყალქვეშა ნავებისა

და „სტელსის“ ტიპის უხილავი სტრატეგიული ბომბდამშენების შექმნა, ამავე დროს გადაწყდა ევროპაში განლაგებულიყო საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტები „პერშინგ – 2“ ეს კი აიძულებდა საბჭოთა მხარეს განეხორციელებინა საპასუხო ღონისძიებები და გაცილებით მეტი ფინანსური საშუალებები დაეხარჯა თავდაცვაზე. „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ გამოცხადება კი იწვევდა კიდევ უფრო დიდ დანახარჯებს მოსკოვის მხრიდან თავდაცვის სფეროზე. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ამ დროს საბჭოთა კავშირი უკვე ჩაბმული იყო საბრძოლო მოქმედებებში ავღანეთის ტერიტორიაზე, გასაგები ხდება ის შეშფოთება, რომელიც გამოიწვია რეიგანის განცხადებამ.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული მხარე ბევრ ამ ფაქტორს ითვალისწინებდა ასეთი ამბიციური პროექტის გამოცხადებისას. ეს კარგად ჩანს ერთ-ერთ საინტერესო დოკუმენტში, რომელიც შეიქმნა 1983 წლის 12 სექტემბერს და ჰქვია „შესაძლო საბჭოთა საპასუხო სვლები აშშ-ის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაზე“. (Possible Soviet responses to the US Strategic Defence Initiative).

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თუ საბჭოთა მხარე შეეცდება სრულიად ახალი, ჯერ კიდევ დაუგეგმავი, სამხედრო სისტემების შექმნას და ამავე დროს არ შეწყვეტს უკვე არსებულ სამხედრო პროექტებს, ეს გამოიწვევს უზარმაზარ დანახარჯებს, რაც მძიმედ დააწვება საბჭოთა ეკონომიკას და საბჭოთა ხელმძღვანელობა აღმოჩნდება რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინაშე.

იმავე დოკუმენტში მოცემულია მოსკოვის შესაძლო პოლიტიკური სვლების ანალიზი. მაგ: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გათვლებით, ერთ-ერთი პირველი, რასაც მოიმოქმედებდნენ საბჭოთა ლიდერები, იქნებოდა განიარაღების მოლაპარაკებების განახლება, ამავე დროს ისინი აქტიურად ჩართავდნენ ამ პროცესში ჩრდილოეთ ატლანტიკურ კავშირს (სთი არ ითვალისწინებდა ამერიკის მოკავშირეების დაცვას და ქმნიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით ფარს აშშ-ის უსაფრთხოებისთვის). ანალიტიკოსების აზრით, მოსკოვი პირდაპირ მიმართავდა ნატო-ს აღმასრულებელ ხელმძღვანელობას და ამავე დროს განიარაღების პროცესში ჩართავდა მსოფლიო საზოგადოებას, მშვიდობის დამცავ მოძრაობებს, სამეცნიერო წრეებს. სამშვიდობო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი გახდებოდა

აშშ-ის დადანაშაულება, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გამოცხადებით დაირღვეოდა სტრატეგიული შეიარაღებების შემცირების შეთანხმებები ხელმოწერილი ჯერ კიდევ ბრეჟნევსა და ნიქსონს შორის 1972 წელს.

ანალიტიკოსების გათვლით, მოსკოვი აქტიურად დააყენებდა სტრატეგიული შეიარაღებების შეზღუდვის საკითხს საერთაშორისო ფორუმებზე. მაგალითად, გაერო-ს განიარაღებისა და კოსმოსის კომიტეტების გენერალური ასამბლეის წინაშე, ევროპის განიარაღების კონფერენციაზე, რომელიც იგეგმებოდა 1984 წლის იანვარში. ამავე დროს, როგორც ფიქრობდნენ ამერიკელი ექსპერტები, ანდროპოვი წამოაყენებდა კიდევ ერთ ახალ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც იქნებოდა მის მიერ უკვე გამოცხადებული (1981 წელს) გეგმის გაგრძელება. 1981 წელს გენერალურმა მდივანმა ანდროპოვმა გაერო-ს წარუდგინა წინადადება, რომ აკრძალულიყო კოსმოსურ სივრცეში მოძრავი ნებისმიერი თანამგზავრის დაზიანება, განადგურება ან მისი ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა. ამერიკელების აზრით, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გამოცხადების შემდეგ მოსკოვი კიდევ უფრო განავრცობდა ამ გეგმას და მოითხოვდა ნებისმიერი კოსმოსური ბაზირების სამხედრო სისტემის შექმნისა და მათი გამოცდის აკრძალვას.

ამერიკელი ექსპერტები ასკვნიდნენ, რომ აქტიური მოლაპარაკებების ტაქტიკა, რომელსაც აირჩევდა საბჭოთა ხელმძღვანელობა, მისცემდა მოსკოვს საჭირო დროს, რათა შეექმნათ საკუთარი საპასუხო სისტემა აშშ-ის თავდაცვითი სისტემის წინააღმდეგ.

საინტერესოა აგრეთვე ამერიკელი ანალიტიკოსების აზრი იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა ძირითადი ბერკეტი საბჭოთა მხარისთვის, რათა მათ არ აერჩიათ უფრო აქტიური სამოქმედო გეგმა. პირველ რიგში ეს იყო ეკონომიკის სფერო, ვინაიდან შესაბამისი პროგრამის განხორციელება საბჭოთა კავშირში გამოიწვევდა წარმოუდგენელ დანახარჯებს. ამავე დროს, ისინი იძულებულნი იქნებოდნენ ჩაედოთ ისედაც ძლიერ შეზღუდული ფინანსური ინვესტიციები ძალზე ძვირ ტექნოლოგიურ სფეროში, რათა სათანადო პასუხი გაეცათ ახალი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისთვის. ასეთი გადაწყვეტილება ძვირადღირებული იქნებოდა არა მარტო საბჭოთა თავდაცვითი ბიუჯეტისთვის, არა-

მედ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მოსკოვი იძულებული იქნებოდა მოეხდინა სტრატეგიული ძალების სრული სტრუქტურული რეკონსტრუქცია. ამას ემატებოდა ამერიკელთა მოსაზრება, რომ საბჭოთა გენშტაბი ნაკლებად მოწადინებული იყო დაეწყო მასშტაბური ცვლილებები, ვინაიდან ისინი კარგავდნენ გაცილებით მეტს, თუ აირჩევდნენ არასწორ სტრატეგიას.

როგორც ვხედავთ, ამერიკელებს საკმაოდ კარგად ჰქონდათ გათვლილი მოსკოვის შესაძლო რეაქცია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გამოცხადებაზე, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ეს პროექტი არ იყო მხოლოდ პროპაგანდისტული ფანდი და პროვოკაცია.

საინტერესოა, აგრეთვე თავად ამ გრანდიოზული პროექტის შექმნის ისტორია და რონალდ რეიგანის დამოკიდებულება „ვარსკვლავური ომების“ გეგმისადმი.

სხვადასხვა, მეცნიერი განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაისახა ეს პროექტი. ბევრი ფიქრობს, რომ რეიგანის დაინტერესება ბირთვული შეკავების პოლიტიკით დაიწყო 1967 წელს. მაშინ, ჯერ კიდევ როგორც კალიფორნიის გუბერნატორი, რეიგანი სტუმრობდა ლივერმორსკის ლაბორატორიას, სადაც შეხვდა და ამ საკითხებზე ესაუბრა ცნობილ ფიზიკოსს ედუარდ ტელერს, ამერიკული წყალბადის ბომბის შემქმნელს.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მეცნიერი (მაგ. ჰარი ვილსი), ითვალისწინებს რა კინემატოგრაფის დიდ გავლენას რეიგანზე, თვლის, რომ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის გეგმა შეიძლება ჩამოყალიბებულიყო კინოს ზემოქმედებით. ჯერ კიდევ 1940 წელს რონალდ რეიგანი თამაშობდა მხატვრულ ფილმში „მკვლელობა ჰაერში“ საიდუმლო აგენტის ბრას ბანკროფტის როლს. სცენარის მიხედვით ბანკროფტი ებრძვის ჯაშუშს რომელიც ცდილობს გაიტაცოს მოწყობილობა, რომლითაც შეიძლებოდა ნებისმიერი საჰაერო ობიექტის ჩამოგდება. როგორც აღწერილია ფილმში, ეს მოწყობილობა „ახალი სუპერ-იარაღი არა მარტო უზრუნველყოფს აშშ-ის უსაფრთხოებას, არამედ აქცევს მას მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ძლევამოსილ სახელმწიფოდ“.

როგორც აღნიშნავს მწერალი და ეკონომისტი მარტინ ანდერსონი 1988 წელს გამოცემულ წიგნში „რევოლუცია“, „ვარსკვლა-

ვური ომების“ პროექტის სურვილი რეიგანს დაებადა 1979 წლის 31 ივლის, როდესაც ის იმყოფებოდა ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის მართვის ობიექტზე, შაენის მთებში, კოლორადოში. ჯერ კიდევ გუბერნატორმა, რეიგანმა, ჰკითხა გენერალ ჯეიმს ჰილს, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა კავშირი მოულოდნელად ესროდა ამერიკულ ქალაქს ერთ-ერთ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტას. ამაზე გენერალმა უპასუხა, რომ გასროლა იმ წამს დაფიქსირდებოდა და ქალაქის ხელმძღვანელობას ექნებოდა 10 წუთი, რათა მოეხდინა მოსახლეობის ევაკუაცია. სხვა რამის გაკეთება ამერიკულ მხარეს არ შეეძლო. ეს მართლაც შოკი იყო რეიგანისთვის. „ჩვენ ვხარჯავთ უზარმაზარ თანხებს ბირთვული თავდასხმის შეტყობინების სისტემების განვითარებაზე, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა თავდასხმისგან“ აღნიშნა მომავალმა პრეზიდენტმა.

ანდერსონმა მაშინვე ჩამოაყალიბა საიდუმლო მემორანდუმი, სადაც ასაბუთებდა ახალი „რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის“ შექმნის აუცილებლობას და წარუდგინა იგი გუბერნატორს. რეიგანი დაინტერესდა ამ იდეით და პრეზიდენტად გახდომისთანავე თეთრ სახლში ჩამოაყალიბა ამ პროექტის მხარდამჭერი არაფორმალური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდაგა მარტინ ანდერსონი, ხოლო ჯგუფის ტექნიკურ კონსულტაციებს უზრუნველყოფდა თავად ედუარდ ტელერი, რომელიც ძალზე გაიტაცა ახალმა გრანდიოზულმა იდეამ. მიუხედავად ამისა, დასახული გეგმა არ სარგებლობდა მხარდაჭერით პენტაგონში. ამერიკელი სამხედროები ჩართულნი იყვნენ საკუთარი პროექტის (მობილური რაკეტები MX) ლობირებაში და არ სურდათ გაეფანტათ საკუთარი ძალები რაღაც ნახევრადფანტასტიკური იდეის განხორციელებაზე. შედეგად, ანდერსონის არაფორმალური სამუშაო ჯგუფი დაიშალა და მან დატოვა თეთრი სახლი.

ყველაფერი შეიცვალა 1982 წლის დეკემბერში, როდესაც შეერთებული შტატების კონგრესმა უარი უთხრა პენტაგონს დაეფინანსებინა ახალი MX-ის ტიპის რაკეტები. ამიერიდან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის ინიციატივა ხელთ აიღო ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის (უილიამ კლარკი) თანაშემწემ რობერტ მაკფარლანმა. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ეძებდა ახალ მიდგომებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისადმი,

საჭირო იყო რამე ეფექტური და საინტერესო იდეა, რომელიც მოიპოვებდა საზოგადოების მხარდაჭერას და გაამართლებდა უზარმაზარ სამხედრო ხარჯებს.

რობერტ მაკფარლანი ჯერ კიდევ ჰენრი კისინჯერმა შეამჩნია და წაიყვანა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში. სწორედ კისინჯერისგან, რომელიც მისი ნამდვილი მასწავლებელი გახდა, რობერტმა აითვისა რთული სტრატეგიული კომბინაციების ხლართვა და მრავალვარიანტიანი მიდგომების შემუშავება. მაკფარლანი თვლიდა, რომ გეოპოლიტიკური სტაბილურობა სერიოზული საფრთხის წინაშე იყო. „შეიარაღებების შეჯიბრი“ მაკფარლანის აზრით, უფრო ადგებოდა საბჭოთა კავშირს, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების ბირთვული შეიარაღება გაცილებით თანამედროვე იყო, საბჭოთა კავშირი ქმნიდა უფრო მძიმე რაკეტებს გაყოფადი ქობინების ეფექტური შეთავსებით. ამიტომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა გადაიყვანდა „შეიარაღებების შეჯიბრს“ მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში, სადაც შეერთებულ შტატებს აშკარა უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა ბლოკთან შედარებით.

მოვლენების ასეთი განვითარება, ვაშინგტონის აზრით, შეაშინებდა მოსკოვს. ხოლო, იმის საფრთხე, რომ საბჭოთა კავშირი შეიძლება აღმოჩნდეს „განიარაღებული“, აიძულებს მათ დიპლომატებს გაცილებით მეტი დათმონ სტრატეგიული შეიარაღებების მოლაპარაკებებზე.

მაკფარლანი აღნიშნავს: ეს იყო ჩემი იდეა, საჭირო იყო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის იდეის აქტიური პროპაგანდისტული მხარდაჭერა. ამის შემდეგ, როდესაც ამ სისტემის აკრძალვა გადაიქცევა საბჭოთა პოლიტიკის მთავარ ამოცანად, აშშ დასთანხმდება ამაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსკოვი შეამცირებდა ან აკრძალავდა მძიმე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავად რეიგანი არასოდეს აღიქვამდა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას, როგორც გათვლილ პოლიტიკურ სვლას მომავალი მოლაპარაკებების წარმატებული განვითარებისათვის და მტკიცედ სჯეროდა „ვარსკვლავური ომების“ რეალური განხორციელების. პრეზიდენტი იმასაც კი ვერ აღიქვამდა, თუ როგორ შეიძლება გამხდარიყო სთი მსოფლიოს სტრატეგიული ბალანსის დესტაბილიზაციის მიზეზი.

როგორც ერთხელ თავად რეიგანმა განაცხადა „მე ვერ ვხვდები თუ როგორ შეიძლება იყოს მოსკოვი შეშინებული თუკი სხვა ერები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ". რეიგანს, მართლაც, მტკიცედ სწამდა ამერიკული მეცნიერების.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის კონცეფციის შექმნაზე რეალური მუშაობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტს თავდაცვის სამინისტრომ წარუდგინა საიდუმლო მემორანდუმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბირთვული ომის შემთხვევაში დაიღუპებოდა 150 მილიონი ამერიკელი. ამის შემდგომ რეიგანმა მწვანე შუქი მისცა ამ პროექტის განხორციელებას.

მუშაობა ამ პროექტზე მიმდინარეობდა საიდუმლო ვითარებაში, ვინაიდან ეშინოდათ არა, მარტო ინფორმაციის გაჟონვისა, არამედ, პირველ რიგში კრიტიკისა საკუთარი სპეციალისტების და სამხედროების მხრიდან. „ვარსკვლავური ომების" პროგრამის შექმნაზე მუშაობდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ვიწრო ჯგუფი ადმირალ ჯონ პოინდექსტერის (ტერმინ სოი-ს ავტორი), ბობ ლინჰარდის, რეი პალოკისა და ჯორჯ კეიუორტის ხელმძღვანელობით.

23 მარტის ცნობილი სიტყვა კი მაკფერლანმა დაწერა. პრეზიდენტის სიტყვა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივაზე სამხედროებსა და სახელმწიფო მდივანს გასაცნობად გადასცეს 24 საათით ადრე. ყველანი ნამდვილ შოკში იყვნენ, განსაკუთრებით სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, რომელსაც ეშინოდა, რომ ამერიკის მოკავშირეები ნატო-ში არასწორად აღიქვამდნენ ვაშინგტონის სურვილს. უზრუნველყონ ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო უსაფრთხოება მოკავშირეებთან შეუთანხმებლად. მაგრამ, არც რეიგანმა და არც მისმა მრჩევლებმა უკან არ დაიხიეს და 23 მარტს პრეზიდენტმა გამოაცხადა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა.

ბევრი მეცნიერის ფიქრით, „ვარსკვლავური ომების" პროგრამა იყო ამერიკელების დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური წარმატება, მან აიძულა საბჭოთა მხარე განეახლებინა მოლაპარაკებები სტრატეგიული შეიარაღებების შემცირებაზე, მისცა ვაშინგტონს დამატებითი უპირატესობა და მნიშვნელოვნად დააჩქარა კომუნისტური ბლოკის მარცხი.

როგორც აღნიშნავდა სენატორი ლუგანი, რონალდ რეიგანი ხელს უწყობდა სამხედრო ხარჯების ზრდას და სამხედრო გამო-

კვლევების გაფართოებას, მათ შორის სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას. ეს პროგრამები იქცნენ ძირითად საფუძვლად იმ გრანდიოზული საგარეოპოლიტიკური წარმატებებისა, რომლებსაც მიაღწია რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ, მაგ: საბჭოთა კომუნიზმის სისტემური ცვლილება, წარმატებული მოლაპარაკებები საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების შემცირებაზე და ბერლინის კედლის დანგრევა.

ცნობილი ჟურნალის „ფორინ ეფეარს“ მთავარი რედაქტორის უ. ჰაილენდის აზრით, რეიგანის ადმინისტრაციამ მიაღწია ასეთ წარმატებებს პირველ რიგში დასავლური პოლიტიკის უფრო აქტიური და შემტევი მიდგომის განახლებით, მასშტაბური სამხედრო პროექტების ინიცირებისა და საბჭოთა კავშირში რეფორმატორული მოძრაობის განვითარების ფონზე.

ზბიგნევ ბჟეზინსკის ანალიზით, 80-იანი წლების მასშტაბურმა ამერიკულმა სამხედრო მშენებლობამ და სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გამოცხადებამ ძლიერ იმოქმედა მოსკოვზე და გამოიწვია საბჭოთა რესურსების მნიშვნელოვანი დაძაბვა. სწორედ ამიტომ გორბაჩოვი ასე ქტიურად ჩაერთო სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

მიუხედავად იმისა, რომ „ვარსკვლავური ომების“ პროგრამა განუხორციელებელი დარჩა და მეტიც, ვერც ვერასოდეს განხორციელდებოდა ისეთი სახით, როგორც თავდაპირველად იყო გამოცხადებული. მან მაინც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ადამიანთა მეხსიერებაში და გავლენა იქონია მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებზე. სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა შეიძლება ჩაითვალოს რონალდ რეიგანის რესპუბლიკური ადმინისტრაციის ერთ-ერთ უდიდეს დიპლომატიურ და პოლიტიკურ წარმატებად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Lou Cannon. Reagan's big idea – Ronald Reagan's Strategic Defence Initiative. National Rewiew, Feb. 22, 1999.

2. Possible Soviet Responses to the US Strategic Defense Initiative. Interagency Intelligence Assessment approved for release CIA Historical-Review program. http://www.fas.org/spp/starwars/offdocs/m8310017.htm

3. Ronald Reagan, "Foreword Written for a Report on the Initiative," December 28, 1984, Weekly Compilation of Presidential Documents 21, 1 (January 7, 1985). pp. 8-9.

4. Reagan and the Soviets. http://www.reagan.dk/newsdi.htm

5. Благих В.Ю. СОИ (стратегическая оборонная инициатива США) -http://collection.pp.ru/f59_76.htm

6. А.И.Уткин. Россия и Запад. Глава 14 "Перенапряжение в гонке вооружений." http://humanities.edu.ru/db/msg/50264

7. О. Гриневский. СПЕКТАКЛЬ ПОД НАЗВАНИЕМ "ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ." - http://world.ng.ru/globe/2000-05-18/5_starwars.html

**ნუგზარ ბარდაველიძე**
**სახალხო დიპლომატიის აკადემიის დოცენტი**

# რეიგანი — მითი და რეალობა

ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მწერალი უმბერტო ეკო თავისი წიგნის „In cosa crede, chi non crede" (რა სწამს მას, ვისაც არ სწამს) შესავალში თავის თანამოსაუბრეს კარდინალ მარტინის ამგვარად მიმართავს: – „უპატივცემულობად ნუ ჩამომართმევთ, თუ სახელით მოგმართავთ, და არა იმ სამოსელის მიხედვით, რომელსაც ატარებთ. გთხოვთ ეს მოწიწების ნიშნად მიიღოთ. მსგავსად ფრანგებისა, რომლებიც პატივცემულ ადამიანს ყოველთვის სახელით მიმართავენ, რადგან ამ ადამიანების სახელი თავად წარმოადგენს უდიდეს ტიტულს.

სწორედ ამგვარად მოვიხსენიებთ ჩვენც ამერიკის მე-40 პრეზიდენტს, რომელიც უდავოდ უმნიშვნელოვანესი და პატივსაცემი ფიგურა იყო მე-20 საუკუნის 80-იან წლებში.

რონალდ რეიგანი იყო პიროვნება, რომელიც მიზანმიმართულად, მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ერთგვარ ლეგენდარულ საბურველში იყო გახვეული და ძნელი გასარჩევი იყო სად იწყებოდა მითი და სად რეალობა.

რეიგანის კარიერის ადრეული ეტაპი ოცნებების ფაბრიკად წოდებულ ჰოლივუდს, შემდგომი კი პრ ტექნოლოგიის მექას–ამერიკულ ელექტრონულ მედიას უკავშირდება. ამიტომაც არ არის გასაკვირი მისი საოცარი უნარი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შთამბეჭდავი იმიჯის შექმნისა.

რეიგანის ყოველი გამოსვლა უდიდეს რეზონანსს იწვევდა მსოფლიოში და განსაკუთრებულ თავსატეხს უჩენდა, ისედაც გაღიზიანებულ კრემლის პოლიტელიტას. ეს იქნებოდა რეიგანომიკა, მაფიის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა თუ ვარსკვლავური ომების პროგრამა, იმთავითვე მწვავე განხილვის საგანი ხდებოდა.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს რეიგანის იუმორით აღსავსე გამოსვლები და ირონიული მესიჯები. ისინი ზოგმა შეიძლება შავ იუმორადაც, მონათლოს, ზოგმა პოლიტოლოგმა მათ „კაუბოური იუმორიც" დაარქვა. ერთი კი ცხადია, მის ამ ხუმრობებს მოსკოვში ძალზე სერიოზულად აღიქვამდნენ. გან-

საკუთრებით ერთი ფრაზა გახდა პოპულარული, რომელმაც შოკში ჩააგდო საბჭოთა მესვეურები. ერთ-ერთი შეხვედრის დროს რეიგანმა განაცხადა: – მე ახლა ცოტა ხნით დაგტოვებთ, კრემლს დავბომბავ და მაშინვე შემოგიერთდებითო.

1981 წელს რეიგანის მითითებით გაძლიერდა ბრძოლა ნარკომაფიის წინააღმდეგ. მაიამიში ამ წელს საერთაშორისო შეხვედრა მოეწყო დასავლეთ ევროპის სამართალდამცველთა შეფების მონაწილეობით. რ. რეიგანმა შეაჯამა სამართალდამცავთა მუშაობა და თავისი გამოსვლა შემდეგნაირად დაასრულა: სანამ თქვენ აქ მსჯელობდით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკლეს 2 ადამიანი, გააუპატიურეს 7, გაძარცვეს 249 მოქალაქე და სანამ მე თქვენ გესაუბრებით, ეს მონაცემები კიდევ უფრო იზრდება. (ინფორმაცია ამ გამოსვლის შესახებ გამოქვეყნდა „ჩრიმი ცონტროლ იგესტ"-ში 1981წ. ფრაგმენტი ამ გამოსვლიდან ჟურნალ „ცისკარში" 1985 წ.)

მსგავსი ფორმით სტატისტიკის გადმოცემას რეიგანის მხრიდან ის ფუნქცია ჰქონდა, რომ ერთგვარად პასიური მსმენელები უშუალოდ მონაწილედ აქცია მომხდარისა, ხოლო უშუალო მონაწილე კი ბევრად მძაფრად სწვდება და აღიქვამს მის გარშემო მოხდარ ფაქტებს ვიდრე პასიური დამკვირვებელი.

რეიგანი საბჭოთა კავშირისათვის „ბოროტების იმპერიის" შერქმევის ნათლიადაც გვევლინება. სწორედ მან განაცხადა ერთხელ, რომ „საბჭოთა კავშირში არ სწამდათ ღმერთი, ამიტომ საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიააო". ეს ფრაზა მაშინვე აიტაცა მასმედიამ, მათ შორის ყველაზე აქტიურად საბჭოთა პრესამ და მალე საბჭოეთს ყველა ბოროტების იმპერიად მოიხსენიებდა.

1985 წლის ივლისში სამი ძირითადი მოვლენა ტრიალებდა მსოფლიო ელექტრონული მედიის არხებზე:

სსრკ-ს ახლად დანიშნული საგარეო საქმეთა მინისტრი,

წმინდა მეთოდეს 1100 წლისთავი,

რეიგანისათვის გაკეთებული ოპერაცია,

სამივე ეს ამბავი თუმცა საკმაოდ კარგად იყო ჩემთვის ცნობილი საბჭოთა მედიის მეშვეობით, მაგრამ იმხანად დასავლეთ ევროპაში მივლინებით ჩასულმა სულ სხვა ასპექტითა და კუთხით დავინახე ყველაფერი. აღმოჩნდა, რომ დასავლეთის მედია ბევრად უფრო მდიდარ ვიზუალურ მასალას ფლობდა ახალი საგარეო

მინისტრის შესახებ, ვიდრე „Время“ ან „მოამბე“, რომ სლავთა განმათავისუფლებელი თავის მისიას რომის პაპის კურთხევით ეწეოდა და რაც უფრო უცნაური იყო, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია კრემლის აქტიური დახმარებით ებრძოდა რომის პაპს, დაბოლოს, მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა სახელმწიფოს პირველი პირის ავადმყოფობა., ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაურები როგორც წესი მხოლოდ გარდაცვალების შემდგომ ავადმყოფობდნენ, ანუ ინფორმაცია მათი მძიმე სნეულების შესახებ მხოლოდ მაშინ ქვეყნდებოდა, როდესაც მათ კრემლის კედელს მიაბარებდნენ 1985 წლის ზაფხულის ცხელ დღეებში ამერიკული და ევროპულია მედია (საბჭოთა მედია, როგორც ყოველთვის, როცა საქმე ავადმყოფობას ეხებოდა, სდუმდა) მთელი დღის განმავლობაში ატრიალებდა კადრებს რეიგანის მიერ გადატანილი ოპერაციის შესახებ, აშუქებდნენ მკურნალობის უმცირეს დეტალებსაც კი. ერთი სიტყვით, ამერიკის პრეზიდენტის მიერ გადატანილი ოპერაცია წარმოდგენილი იყო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო კომერციული შოუ, რომელშიც მთავარ როლებს რონალდ და ნენსი რეიგანები ასრულებდნენ

ამ რეალიტი შოუს მთავარი მესიჯი კი მხოლოდ რეიგანის სწრაფი გამოჯანმრთელება კი არ იყო, არამედ ის, თუ როგორი არიან ჭეშმარიტი ამერიკელები მოსიყვარულე და ურთიერთზე მზრუნველები, ქვეყნის პირველი ოჯახის წევრების ეს პათოსი საკმაოდ უცხო იყო იმდროინდელი საბჭოური მენტალიტეტისათვის.

რეიგანის პრ-შოუს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მისი უზომო გატაცება ცხენოსნობით. ეს არც არის გასაკვირი,– რადგან ცხენოსნობა ამერიკელთათვის ხომ სპორტზე ბევრად მეტია,იგი მათი ისტორიის,დასავლური ყოფის ტიპური ნაწილია. ცხენოსნობა ეს ჭეშმარიტი „ვესტერნ-ლაიფია“ და ვინც მას მისდევს, სწორედ ის არის ასპროცენტიანი ამერიკელი გმირი.

რეიგანი საბჭოური ლიდერის იმიჯის ანტიპოდი გახლდათ. თუ „ბოროტების იმპერიაში“ შექმნილ-დანერგილი იყო მითი დღენიადაგ მშრომელ ადამიანებზე მუხლჩაუხრელად მზრუნველი, შრომაში ჩაფლული სახელმწიფო მესვეურების შესახებ და რომლებიც შვებულების დროსაც კი თავაუღებლად მუშაობდნენ (ალბათ ცუდი მუშაკები იყვნენ რადგან საქმეს ვერასო-

დეს ასრულებდნენ) და დასვენებისათვის ვერასოდეს იცლიდნენ, რეიგანი სრულიად სხვა იმიჯს ქმნიდა. როგორც იმდროინდელი მასმედია გვამცნობდა, ამერიკის მე-40 პრეზიდენტი დღეში მხოლოდ ოთხ საათს იყო დაკავებული სახელმწიფო ადმინისტრაციული საქმიანობით და დროის დიდ ნაწილს ჯანმრთელობაზე ზრუნვას ახმარდა. ამ ზრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ცხენოსნობას ეთმობოდა. მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის დროს ამომრჩეველზე დადებითად იმოქმედა სწორედ იმ მესიჯმა, რომ სისტემატური ვარჯიშის წყალობით, არცთუ ახალგაზრდა, საბჭოური პარამეტრებით კი პოლიტბიუროს წევრთა საშუალო ასაკის მქონე რონალდ რეიგანის ფილტვები 1984 წლის განმავლობაში 2 სანტიმეტრით გაიზარდა მოცულობაში ანუ პრეზიდენტობის კანდიდატი საკმაოდ ახალგაზრდულად გრძნობდა თავს, ისე კი იმხანად რეიგანი 73 წლის გახლდათ.

სპორტისადმი სიყვარულით რეიგანი შეიძლება რომის პაპ იოანე-პავლე II-ს შევადაროთ, რომელიც თავის ეპისკოპოსად არჩევას ტატრებში თხილამურებზე მოსრიალე შეხვდა, ხოლო ვატიკანში გადამოსვლისთანავე იქ საცურაო აუზი მოაწყობინა, ხელმომჭირნე კარდინალების პრეტენზიას კი ამგვარად უპასუხა, – ახალი პაპის კონკლავი ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე პაპის ჯანმრთელობაზე ზრუნვაო. პირველი პონტიფიკის, მსგავსად, რეიგანი მუდამ ზრუნავდა ფიზიკურ ფორმაზე და ამის დემონსტრირებასაც მუდამ ახდენდა ტელეკამერების წინ. ერთი საყურადღებო დეტალი: საერთაშორისო ვიზიტების დროს, როდესაც ამერიკის პრეზიდენტის გაცილების ცერემონიას აჩვენებდნენ, ერთი ფაქტი იყო ყოველთვის თვალში საცემი – რეიგანი ტრაპს მუდამ ახალგაზრდული მხნეობით, მოხდენილად და საკმაოდ სწრაფად აირბენდა ხოლმე, მერე, კადრს მიღმა, ჩვენ უკვე არ ვიცით მას სუნთქვა და პულსი როგორ მდგომარეობაში ჰქონდა. ერთი კი ფაქტია, იგი მუდამ დემონსტრაციულად წარმოაჩენდა თავის ფიზიკურ შესაძლებლობებს და ეს მას ყოველთვის კარგად გამოსდიოდა, ამით შესაძლებელია იგი ერთგვარ პარალელის გავლების საშუალებას აძლევდა მსოფლიოს მასსა და საბჭოელ ლიდერებს შორის, რომლებიც მისი პირველი პრეზიდენტობის დროს აშკარად რის ვაივაგლახით გადაადგილდებოდნენ. ბრეჟნევი ერთხელ, საერთოდ ტრაპიდან დაგორდა, ჩერნენკო თავის კაბინეტშიც ძლივს მოძრაობდა, ხოლო ანდროპოვი საერთოდ

თავისი მმართველობის ნახევარი ვადა საწოლს იყო მიჯაჭვული. ისე, იმ ხანად, არც სხვა ქვეყნების ლიდერები ბრწყინავდნენ თავიანთი ახალგაზრდული ასაკითა და ფიზიკური შემართებით.

რეიგანის პრეზიდენტობის პირველ ვადას ემთხვევა რემბოს კინომითის შექმნაც. ვინ-ვინ და რეიგანმა კარგად უწყოდა „ხელოვნების ყველაზე მასობრივი სახის – კინემატოგრაფის" ფასი, ამიტომ მისი პრეზიდენტობის დროს რამდენიმე კინომითი შეიქმნა, მათ შორის ყველაზე პოპულარულად ჯონი რემბოს კინოსახე წარმოჩინდა.

„პირველი სისხლი" (ასე ჰქვია ორიგინალში ფილმს, რომელიც მთავარი გმირის სახელწოდებით – „რემბო" გახდა ცნობილი მთელს მსოფლიოში), გამოსვლისთანავე მოექცა საბჭოური კინოკრიტიკის ქარცეცხლში. თუმცა თავად ეს სურათი, ისევე როგორც სხვა მრავალი ფილმი, რომელსაც დიდი გულმოდგინებით აკრიტიკებდნენ რუსი კინომცოდნეები და პოლიტოლოგები, საბჭოთა კინოეკრანებზე არ გადიოდა და მათი ნახვა საბჭოთა ელიტის პრიორიტეტს წარმოადგენდა, რითაც ისინი თავს იწონებდნენ კიდეც საკავშირო პრესის ფურცლებზე: „აი, ჩვენ ვნახეთ ეს ანტისაბჭოური ფილმები და ისე აღვშფოთდით, რომ თქვენ აღარ გირჩევთ მათ ნახვას".

საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა მაშინვე დაუპირისპირდა რემბოს, მაგრამ სამარცხვინო კრახი განიცადა – ჯერ ერთი, თავად შეუწყო ხელი რემბოს პოპულარიზაციას მთელს მსოფლიოში და, უპირველესად, საბჭოთა პირატულ ვიდეო ბაზარზე, ამერიკელებმა კი რემბო პირველს, რემბო ორიც მიუმატეს და 80-იანი წლებში ნიუ-იორკის მაღაზიებში კასეტა „რემბო-2"-ის ჩანაწერით იმ დროისთვის საკმაოდ მაღალ ფასად, 10 დოლარად, იყიდებოდა. რემბოს კი ჰოლივუდმა „როკი-4"-ც დაამატა.

და სანამ როკი ბალბოა, „როკი-4"-ის გმირი, რუს მოკრივეს რინგზე სიფათს უნაყავდა (აქ ეფექტის გასაძლიერებლად სიმბოლოებიც იყო გამოყენებული, მოკრივეები თავთავიანთი ქვეყნის სახელმწიფო დროშის გამოსახულებიან ტრუსებში იყვნენ გამოწყობილნი), ავღანეთში მოჯახედებთან ერთად მებრძოლი ჯონი რემბო საბჭოთა პოლკოვნიკს თავის უახლეს საბრძოლო ვერტმფრენიანად აფეთქებდა – არც მეტი არც ნაკლები მშვილდისრის საშუალებით. ალბათ, ამ ფილმის ანალოგიით, დ. თევზაძე, თავდაცვის მინისტრობის დროს, იქადნიდა რუსული მფრინავი

საშუალებების ქართული „რაგატკებით“ წამოგდებას.

საბჭოურმა კინოინდუსტრიამ, რომელიც იმხანად წელიწადში შექმნილი ფილმების რაოდენობით (და არა ხარისხით) აჭარბებდა ჰოლივუდის კინოწარმოებას, ვერაფერი დაუპირისპირა სილვესტერ სტალონეს მიერ განსახიერებულ კინოგმირებს. არა და, არც „პირველი სისხლი“ და არც „როკი“, ისევე როგორც ჯეიმს ბონდის შესახებ შექმნილი სერიალი, ანტისაბჭოურს, მითუმეტეს ანტირუსულს, არაფერს შეიცავდა. ცალკეული უარყოფითი, კორუმპირებული ჩინოვნიკების ჩვენება სრულიადაც არ ნიშნავს ზოგადად ქვეყნის ან ხალხის განქიქებას, მითუმეტეს, ზემოთ ხსენებულ ფილმებში ამერიკელებიც იყვნენ კრიტიკულად წარმოსახულნი. თუმცა აშკარად იყო მინიშნებები ტოტალიტარიზმის, საბჭოური სამხედრო სისტემის კორუმპირებულობის შესახებ. საბჭოთა სისტემის გახრწნის თაობაზე იმ დროისათვის საბჭოთა ხელოვნებაც, განსაკუთრებით კი მოკავშირე რესპუბლიკები (საქართველო, ესტონეთი, ლიტვა) საკმაოდ თამამად ღაღადებდა.

80-იანი წლების დასაწყისიდან ჰოლივუდის კინოპროდუქციაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამეცნიერო ფანტასტიკა. ჯორჯ ლუკასის, სტივენ სპილბერგის ძვირადღირებულ ბლოკბასტერებს მალე არც სხვა რეჟისორების ფილმები უდებენ ტოლს. „ვარსკვლავეთის ომები“, „კოსმიური ოდისეა 2001“, „ჯედაის დაბრუნება“, „უცხოპლანეტელი“, „უცხო“. აი, მცირე ჩამონათვალი კინოფანტასტიკისა, რომლებიც შიშთან ერთად ახალი სივრცეების ათვისების ინტერესს და ამავე დროს თანამედროვე კოსმიური შეიარაღების შექმნის აუცილებლობასა და სურვილს აღუძრავდნენ ამერიკელ მოქალაქეებს.

ცნობილია, რომ ფანტასტიკა ადამიანებს საერთოდ მომავლისაკენ ინტერესს აღუძრავს. მწერლის ფანტაზია სტიმულს აძლევს მეცნიერებს შექმნან გამოგონებები, რეალობად აქციონ მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ამბები. ტექნიკური სიახლეები. ჟიულ ვერნის მიერ მე-19 საუკუნეში შექმნილ რომანებში ასახული ტექნიკური მიღწევები მე–20 საუკუნეში განავითარეს.

სამეცნიერო ფანტასტიკაზე შექმნილი ფილმები მასტიმულირებელ როლს ასრულებენ იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებას უჩენენ ინტერესს კოსმოსის ათვისების, ახალი ტექნოლოგიებისა და თუნდაც ცხოვრების ახლებური წესის დამკვიდ-

რების კუთხით. კოსმოსის პრობლემებით დაინტერესებული და დამუხტული საზოგადოება შემდგომ უკვე სოციალურ დაკვეთას აძლევს მეცნიერებს გამოიკვლიონ და გაბატონდნენ კოსმოსზე, შეისწავლონ შორეული გალაქტიკები. კოსმოსიდან სავარაუდო თავდასხმის, გლობალური საფრთხის თავიდან არიდების მიზნით კი სამხედრო უწყებამ უნდა განავითაროს თავისი პოტენციალი. ყოველივე ამას კი სამხედრო მიზნებისათვის გამოყოფილი თანხების პერმანენტული ზრდა სჭირდება. ხოლო მოსახლეობამ, ანუ გადასახადის გადამხდელებმა, უნდა იგრძნონ კოსმოსიდან მომდინარე საშიშროების დამოკლეს მახვილი, გადასახადის გადამხდელი დარწმუნებული უნდა იყოს მის მიერ გადახდილი თანხის ხარჯვის სისწორეში, მოქალაქეები მუდმივად უნდა გრძნობდნენ თავდაცვისათვის გამოყოფილი თანხების ზრდის აუცილებლობას.

კოსმოსური ძალების შექმნა და განვითარება მილიარდებს მოითხოვს, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად კი აუცილებელი იყო ამერიკელების დარწმუნება შეიარაღებისათვის დაფინანსების გაზრდის აუცილებლობაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ჯორჯ ლუკასის მიერ შექმნილი კინოფანტასტიკა. „ვარსკვლავეთის ომების“ და „კოსმოსური ოდისეის“ გამოსვლის შემდეგ ადვილი იყო მოსახლეობის დარწმუნება ძვირადღირებული კოსმიური პროექტების განხორციელების აუცილებლობაში. მხოლოდ ათწლეულის გასვლის შემდგომ გახდა ცნობილი, რომ პენტაგონი დაეხმარა ლუკასს ძვირადღირებული ბლოკბასტერების შექმნაში, რათა მათი ეკრანებზე გამოსვლის შემდგომ შეექმნათ მითი ვარსკვლავური ომების გარდაუვალობაზე და დაერწმუნებინათ საზოგადოება შეიარაღებისათვის აუცილებელი დაფინანსების მკვეთრ გაზრდაზე. . და ყოველივე ეს: ლუკასის დაინტერესება შეექმნა ბლოკბასტერები, რომ მიზანმიმართულად წარმართულიყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. –

შეიარაღებისათვის დაფინანსების ზრდა, ხდებოდა პენტაგონის ხელმძღვანელობის მიერ ქვეყნის პირველ პირთან შეთანხმებითა და მისი ხელშეწყობით. საბოლოოდ კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააუმჯობესა ბირთვული იარაღი, ხოლო საბჭოთა კავშირმა კი ველარ გაუძლო გამალებულ შეიარაღებას და ამ ჭიდილში დამარცხდა კიდეც, რამაც ხელი შეუწყო „ბო-

როტების იმპერიის" სწრაფ ნგრევას. ამერიკა იქცა მსოფლიოში
ერთპიროვნულ ლიდერად, თუმცა როგორც შემდგომ გაირკვა, ამე-
რიკამ ფსიქოლოგიურად მოუგო სსრკ-ს, ვინაიდან 80-იან წლებში
აშშ-ს სრულიად არ გააჩნდა არც კოსმოსური იარაღი, არც სა-
რაკეტო ქოლგა გააჩნდა. და გამაღლებული შეიარაღება მისთვი-
საც მძიმე ტვირთს წარმოადგენდა. მაგრამ ამერიკელთა ანკესზე
ადვილად წამოგებული საბჭოური სამხედრო მანქანა უკვე ნაწი-
ლებად იშლებოდა. მართალია, ამ ორიოდე წლის წინ პუტინმა
განაცხადა რუსეთის კოსმიური გვარეობის ჯარების შექმნის
თაობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილის დონეზე გაკეთებული
განცხადებაა და, ალბათ, კარგა ხანს არ უწერია ახდენა.

რეიგანის შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს ამერიკის კოს-
მიური პროექტის ხელშეწყობა და თანამემამულეების დარწმუ-
ნება მილიარდები ჩაედოთ ამ პროექტში, ხოლო პრეზიდენტის
იუმორმა კი ნამდვილად კოსმიურ იარაღზე მეტი დამანგრეველი
ზიანი მოუტანა მის მიერ ბოროტების იმპერიად მონათლულ
ქვეყანას. რაც შეეხება პრეზიდენტის თბილ მოსიყვარულე დამო-
კიდებულებას (რომლის სრული ანტიპოდი გახლავთ თავქარიანი
კლინტონი თავის ეროტიული თავგადასავლებითა და საჯარო
ბოდიშებით), ოჯახის, განსაკუთრებით მეუღლის მიმართ, ეს სამა-
გალითო საქციელი იყო არა მხოლოდ ამერიკელთათვის, არამედ
მთელი მსოფლიოს ადამიანებისათვის, ყველაზე მეტად კი „ბო-
როტების იმპერიის" პარტელიტისათვის, რომლებიც თავიანთი
ყალბი, ცრუ მორალით რატომღაც ცდილობდნენ გარეგნული
მსგავსებით ბერმონაზვნული ორდენის წევრებს დამსგავსებოდ-
ნენ. ხალხის თვალში. ცხადია, თორემ, მათი მომხვეჭელობა და
გარყვნილება ცხადად ვლინდებოდა.

რეიგანი, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ნათელი
პიროვნებაა ამერიკის პრეზიდენტებს შორის. მისმა რვაწლიანმა
მმართველობამ ბევრად განსაზღვრა მსოფლიოს განვითარების
მიმართულება. კვალი დაამჩნია ყველა სფეროს, რომელთანაც კი
ჰქონდა შეხება. მისი მმართველობის ბოლო წლებში ამერიკა-
ში ალაპარაკდნენ კანონის გადასინჯვაზე, რათა შესაძლებელი
გამხდარიყო მესამე ვადით პრეზიდენტად არჩევა, რონალდ რეი-
განი წინააღმდეგი გამოვიდა რესპუბლიკელთა ამ ინიციატივისა.
თუმცა მას იმხანად ყველა შანსი ჰქონდა, რუზველტის მსგავსად,
მესამე ვადით ყოფილიყო პრეზიდენტი, რეიგანის განუზომელმა

პოპულარობამ განსაზღვრა რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშის გაპრეზიდენტება 1988 წელს, ხოლო თავად ისტორიის მარადისობაში გადაინაცვლა, როგორც სამყაროს ახალი თარგის გამომჭრელმა. – კაცმა რომელსაც ძალიან უყვარდა მოსწრებული ხუმრობა.

წერილში „როცა სცენაზე გამოდის სხვა, იბადება ეთიკა“ უმბერტო ეკო იხსენებს ერთ-ერთ მღვდელმთავრის გამონათქვამს პაპ იოანე XIII-თან დაკავშირებით. რომის პაპის აპოლოგეტი მღვდელმთავარი პონტიფექსის ღირსებაზე გულანთებული საუბრისას აშკარად პარადოქსულ რამეს ამბობდა: „პაპი იოანე ათეისტი უნდა ყოფილიყო. რადგან მოყვასის ასეთი სიყვარული მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ღმერთი არ სწამს“. უმბერტო ეკოს მიერ მოყვანილ ამ გასაოცარი შედარების პერიფრაზას თუ გავაკეთებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ – რეიგანი კომუნისტი იყო, რადგან საბჭოთა ხალხისათვის ამგვარი სიკეთე რაც ამერიკის მეორმოცე პრეზიდენტმა გააკეთა, არავის გაუკეთებია. რადგან რეიგანმა შეიტანა უდიდესი წვლილი მის მიერ ბოროტების იმპერიად შერაცხული საბჭოთა კავშირის დანგრევაში და დამონებული ხალხის, მათ შორის რუსების, განთავისუფლებაში.

**ტიმოთი ქ. ბლოველტი**
**ამერიკის საერთაშორისო სწავლების საბჭოს საქართველოს ოფისის დირექტორი**

# რონალდ რეიგანი და ცივი ომის დასასრული

რონალდ რეიგანის გარდაცვალება, რომელიც ალცჰეიმერის დაავადებასთან მის ხანგრძლივ ბრძოლას მოჰყვა, ერთგვარი ბიძგი გახდა მისი პრეზიდენტობის დროინდელი მოღვაწეობის გადასასინჯად და, ამავე დროს, მითისა და რეალობის საბოლოოდ გასამიჯნად. რეიგანის პოლიტიკური ნაბიჯების უმეტესობა ხშირად, (განსაკუთრებით კი ამ ბოლოხანებში), მითების საბურველშია გახვეული. როგორც წესი, ამას მისი თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეები და პუბლიცისტები აკეთებენ, ვისაც მსგავსი ინტერპრეტაციები საკუთარი პოლიტიკური კურსის ან იდეოლოგიის განსამტკიცებლად სჭირდებათ.

ეს ტენდენცია უმთავრესად საგარეო პოლიტიკის სფეროზე ვრცელდება. ამერიკისა და მთელი მსოფლიოს კონსერვატორებმა რეიგანის მმართველობის დასრულებიდანვე (1988 წლიდან) შექმნეს მითი რეიგანის პოლიტიკასა და მის შედეგებზე. ამ იდეოლოგიის დედააზრი შემდეგია: უდიდესმა ანტიკომუნისტმა – რეიგანმა უარი თქვა დეტანტის პოლიტიკაზე, ცივი ომის გამალებულ შეიარაღებაში ფსონები აამაღლა, რის შედეგადაც თავდაცვის გაუსაძლისი ხარჯებისაგან წელმოწყვეტილი საბჭოთა კავშირი დაიშალა. რეიგანის მილიტარისტული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ ამ ინტერპრეტაციის მიხედვით სწორედ იმით იყო წარმატებული, რომ საბჭოთა კავშირმა ზედმეტ ხარჯებს ვეღარ გაუძლო და დაიშალა. რეიგანმა ბოლომდე „დახარჯა“ საბჭოთა კავშირი; ამიტომ ცივი ომის მოგება სწორედ მისი დამსახურებაა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რეიგანის მეთაურობით წამყვანი როლი ითამაშა ცივი ომის დასრულებაში. ეს ინტერპრეტაცია ცივი ომის დასასრულიდან მოყოლებული იმდენად ხშირად გაჟღერდა, რომ თუ გამონაკლისებს არ ჩავთვლით, ამერიკის პოლიტიკური დიალოგების დროს ერთგვარ გაცვეთილ აზრად იქცა. პირადად ჩემთვის ეს ინტერპრეტაცია საკმაოდ მცდარი და სუსტად დასაბუთებულია.

ცივი ომის დასასრულებლად პირველ რიგში ჩამოსაშორებელი იყო უსაფრთხოების დილემა, რომელიც ამ უკანასკნელს

საფუძვლად ედო. ორ ზესახელმწიფოს შორის დაძაბულობის შესუსტება დიახაც შესაძლებელი იყო და ეს პერიოდულად კეთდებოდა კიდეც, მაგრამ ამ დაძაბულობის საბოლოო მოსპობა იდეოლოგიური საფანელის მოსპობის გარეშე შეუძლებელი გახლდათ. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, საბჭოთა ლიდერის, გორბაჩოვის დამსახურება აქ ცხადზე ცხადია: სწორედ მან განჭვრიტა ცივი ომის თანმხლები უსაფრთხოების დილემის რაობა და მისი უაზრობა; მან დაისახა ამოცანა ფხიზლად შეეფასებინა და განესაზღვრა თავისი ქვეყნის რეალური მიზნები, რათა სიტუაცია უკეთესობისკენ შეეცვალა. ჩემი ღრმა რწმენით შეერთებულ შტატებს არ მოუგია ცივი ომი მოწინააღმდეგის შეკავებისა და დამინების პოლიტიკის მეშვეობით. ნაკლებსავარაუდოა, რომ რეიგანის მილიტარისტული განწყობა და „რეიგანის დოქტრინა" გახდა ცივი ომის მოგების მიზეზი. პირიქით, ცივი ომის შეწყვეტა გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა პოლიტიკოსებმა მკაფიოდ გაითავისეს თავიანთი სასტიკი მარცხი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

სწორედ გორბაჩოვმა მოახდინა რევოლუციური ცვლილებები საბჭოთა აზროვნებაში. მართალია ამ ცვლილებების განხორციელებას საბჭოთა კავშირის შიგნით არათანმიმდევრული და სტიქიური ხასიათი ჰქონდა (ამ ქვეყნის საშინაო მდგომარეობის გათვალისწინებით), მაგრამ საგარეო საქმეებში გორბაჩოვის მიდგომა პირდაპირი და არაორაზროვანი იყო: მისმა ახლებურმა ხედვამ განაპირობა ცივი ომის შეწყვეტის მიზნით ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური თანხმობის მიღწევა.

შეერთებული შტატების როლი ამ მოვლენებში მნიშვნელოვანი გახლდათ და არა გადამწყვეტი. ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატები ავითარებდა ანტიკომუნისტურ იდეოლოგიას, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა მის მიერ იმ პერიოდში გადადგმული ზოგიერთი საეჭვო პოლიტიკური ნაბიჯი. ზოგიერთის მტკიცებით, შეერთებული შტატების ერთგულება თავისი ანტიკომუნისტური იდეოლოგიისადმი არსებითად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური მრწამსი.

ნებისმიერ შემთხვევაში, თავისი იდეოლოგიური ამბიციების ზეგავლენით ორივე ზესახელმწიფო უნებურად ყველა საერთაშორისო მოვლენას ცივი ომის ჭრილში ხედავდა და ცივი ომის მოთხოვნებით ასაბუთებდა თავის საკმაოდ მიუღებელ ქმედებებს.

მსგავსი იდეოლოგიური მრწამსი და გეოპოლიტიკური მოსაზრებანი ცეცხლზე ნავთის ასხამდა და კონფლიქტის გახანგრძლივებას უწყობდა ხელს.

კონფლიქტის დასრულება ძირითადად სწორედ ამ ჩამოყალიბებული წარმოდგენების პრინციპულმა შეცვლამ განაპირობა. ცხადზე ცხადია, რომ გორბაჩოვის მთავრობამ პირველმა დაინახა საჭიროება პოლიტიკური ხედვის საფუძვლიანი შეცვლისა და ამ ახლებური ხედვის ცხოვრებაში გატარებისა. ეს კი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ გორბაჩოვმა გამოიჩინა მზადყოფნა მიეღო და ღრმად გაეაზრებინა არსებული რეალობა, რომლის პირისპირ დადგა მისი ხელმძღვანელობა.

რეიგანის ადმინისტრაცია კი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალაუფლების გამაღლებულ გაძლიერებას შეუდგა, რაც, მისი თქმით, „ზიანის მომტანი ლმობიერების" საპირისპირო ზომა იყო. ეს მფლანგველობა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა რეიგანის წარმოდგენებს ეკონომიკაზე (ანუ „რეიგანომიკაზე"), რომელიც ეყრდნობოდა თეორიას, რომ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ყველაზე სწორი გზა სახელმწიფო ხარჯების (განსაკუთრებით სოციალური პროგრამების) მაქსიმალური შემცირება და ამავე დროს მსხვილი კორპორაციებისა და შეძლებული ფენისათვის გადასახადების შემცირება იყო.

რეიგანის მმართველობის სტილიც იმთავითვე გამოიკვეთა. იგი ამჯობინებდა ყოფილიყო „დიდი იდეების მატარებელი" და ქვეყნის საერთო პოლიტიკის განმსაზღვრელი, მაგრამ მისი განხორციელებისა და ჩამოყალიბების ყოველდღიური პროცესისაგან თავი შორს დაეჭირა. რეიგანი მოქმედებდა როგორც ნომინალური მონარქი და მთლიანად დამოკიდებული იყო თავის მრჩევლებსა და ქვეშევრდომებზე, რადგან გარშემო მიმდინარე პროცესებზე საკმაოდ მცირე ინფორმაცია (ან მცირე ინტერესი) გააჩნდა. რეიგანს მეტად შეურიგებელი წარმოდგენები ჰქონდა კომუნიზმსა და საბჭოთა კავშირზე, მაგრამ მის თავდაჯერებულ წარმოდგენებსა და პოლიტიკურ ნაბიჯებს უმთავრესად განაპირობებდა (მისი შურისმგებლური ბუნების გათვალისწინებით), მისი ნაკლებინფორმირებულობა და ფაქტებისადმი სუსტი ინტერესი. მისთვის „გზავნილები" და „ხელწერა", (რომელსაც თავდაჯერებით ნაკვები იდეოლოგია ედო საფუძვლად), უფრო

მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რეალური ფაქტები(რაც ამჟამინდელ პრეზიდენტსაც ახასიათებს). ერთი რამ ცხადია, რეიგანის მხრიდან რეალობისადმი ინტერესის ნაკლებობამ მას საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლილებების გაგებაში ხელი შეუშალა.

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი მათთვის, ვინც ცივი ომის შეწყვეტას რეიგანის დამსახურებად მიიჩნევს, არის ის, რომ მან გამალებით მზარდი თავდაცვის ხარჯების დროს ეკონომიკური ფსონები აამაღლა და სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის (სთი) საფრთხე გაზარდა (სთი ან „ვარსკვლავური ომები"). რეიგანის ადმინისტრაციამ აიძულა საბჭოთა კავშირი გაეზარდა საკუთარი თავდაცვის ხარჯები და ამ გზით ეკონომიკურად დაასუსტა იგი. რეალურად კი, რეიგანის გამალებული სამხედრო გაძლიერების მიუხედავად 80-ანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირს არც უცდია მასთან გაჯიბრება და ხარჯების გაზრდა. საბჭოთა თავდაცვა მთლიანი ეროვნული პროდუქციის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა 1985–1988 წწ-მდე, ხოლო 1990–1991 წლებში იგი მკვეთრად შეიკვეცა.\\ მეტიც, საბჭოთა კავშირს 80-იან წლებში აშკარად ნაკლებად აწუხებდა სთი-ს პრობლემა; მისი სამხედრო მაღალჩინოსნები საკმაოდ დროულად (80-იან წლებშივე) მიხვდნენ, რომ სთი მეტისმეტად თეორეტიზებული კონცეფცია იყო, საიმისოდ, რომ მას საბჭოთა კავშირის მხრიდან კონტრზომების მისაღებად ხარჯების გაწევა მოეთხოვა.

შეიარაღების შეჩერებისა და დაშინების პოლიტიკა, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია ახორციელებდა, არსებითად უმიზნო გამოდგა, რადგან საბჭოთა ხელმძღვანელობა, (განსაკუთრებით გორბაჩოვის დროინდელი), არასოდეს აპირებდა იმ სამხედრო ნაბიჯების გადადგმას, რომელსაც ამერიკა შეიარაღების ზრდით შეჩერებას უპირებდა. ასევე სრულიად არაეფექტური ჩანს რეიგანის კრედო „ძალის პოზიციიდან მოლაპარაკებების გზით" საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის დაშინების, პოლიტიკურ და სამხედრო დათმობებზე მისი დაყოლიების და მისი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე რაიმე გავლენის მოხდენის შესახებ.

პირიქით, გასული საუკუნის 80-იან წლებში გორბაჩოვისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის არც ერთი დათმობა არ იყო გამოწვეული ამერიკის მკაცრი პოზიციებით. უფრო სწორი იქნე-

ბოლა გვეთქვა, რომ გორბაჩოვი იღებდა ინიციატივას შეერთებული შტატების პოზიციებზე მაღლა დამდგარიყო და საბჭოთა კავშირის სამხედრო ინტერესები უფრო მეტად დაეზარალებინა, ვიდრე ამას მისგან ამერიკა მოითხოვდა. მას კარგად ესმოდა, რომ იმ ვითარებაში უფრო მომგებიანი იყო უსაფრთხოების დილემის მოშორება, რომელიც საფუძვლად ედო ცივ ომს. მისი განზრახვა სტაბილიზაციისა და „დესტრუქციის საწორის" დაბალანსების მცდელობა კი არ იყო მხოლოდ, რასაც წარსულში არაერთხელ ჰქონდა ადგილი, არამედ მისი მიზანი იყო ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო გამალებული შეიარაღებისა და მისი წარმომშობი ცივი ომისათვის.

იხ. Raymond Garthoff,The Great Transition:American Soviet Relations and the End of the Cold War,(Brookings Institute Press,1994).

1985 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ცივი ომის დასრულების საქმეში, როგორც ამერიკის, ისე საბჭოთა კავშირის მხრიდან. წინა წლის არჩევნების შედეგად სათავეში მეორე ვადით მოსული რეიგანის ადმინისტრაციაში ყოფილი კადრების მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. შესაძლოა საბჭოთა კავშირისა და მისი რეფორმატორი ლიდერისადმი დამოკიდებულებაც მკვეთრად შეცვლილიყო, მაგრამ ეს გარდამავალი პერიოდი ეტაპობრივი ხასიათისა იყო და, ცხადია, ამ პერიოდის განმავლობაში სწორედ საბჭოთა კავშირი იღებდა მუდმივ ინიციატივებს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ძირითადად მხოლოდ რეაგირებას ახდენდა მათზე. თუ რეიგანის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს (1981–1984) ცივი ომის კონფრონტაცია რეიგანის დომინანტით ხდებოდა, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გადამწყვეტ წლებში ამ ურთიერთობებს (1985–91) სწორედ გორბაჩოვი აძლევდა ტონს.

სწორედ მან მიიღო გადაწყვეტილება შეეცვალა საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება მსოფლიოსადმი და საერთაშორისო სისტემის ნორმალურ წევრად ექცია თავისი ქვეყანა, კომუნისტური და კაპიტალისტური იდეოლოგიების დაპირისპირებაზე უარის თქმის გზით.

თუმცა გორბაჩოვის მცდელობა საბჭოთა კავშირის რეფორმირებისა და რესტრუქტურიზაციისა, საშინელი მარცხით დასრულდა, მის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების რესტრუქტურიზაცია წარმატებული იყო. სამწუხაროდ, საერთაშორისო ასპარეზზე

წარმატებამ მას საშინაო რეფორმების განხორციელებაში ვერ უშველა. პირიქით, მან შეასუსტა კიდევაც შინ მისი პოზიციები.

რომ არა გორბაჩოვის მოსვლა ძალაუფლებაში, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ძირითადი კურსი, რეიგანის პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე (თუნდაც მისი პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში), ისეთივე დარჩებოდა, რაც 1981–1985 წლებამდე იყო. რეიგანის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს გადადგმულმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა და მისმა იმდროინდელმა რიტორიკამ აიძულა საბჭოთა კავშირი განემტკიცებინა საკუთარი კონფრონტაციული პოზიცია და სერიოზულ ეჭვქვეშ დაეყენებინა ამერიკასთან რაიმე სახის მოლაპარაკების შესაძლებლობა.

ზოგი ამტკიცებს, რომ რეიგანის მკაცრმა ხაზმა აიძულა გორბაჩოვი გამხდარიყო უფრო მოქნილი და წასულიყო იმ დათმობებზე, რომელზეც წავიდა. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ რეიგანის ანტიკომუნისტურმა კამპანიამ, შეიარაღების კონტროლის საკითხებზე მოლაპარაკებისას მისმა სიჯიუტემ, შეიარაღების ზრდამ და სოი-სთან მიმართებაში მისმა უდრეკობამ შეაფერხა გორბაჩოვის სწრაფვა ურთიერთთანხმობისაკენ.

რეიგანის მკაცრმა ხაზმა შეაგულიანა ხისტი პოლიტიკის ის საბჭოთა მიმდევრები, რომელთაც ორი ქვეყნის ინტერესთა გამაწონასწორებელი კომპრომისები ხელს არ აძლევდათ. გორბაჩოვი ცალმხრივი დათმობების პოლიტიკას ატარებდა და ურთიერთქიშპის ურთიერთთანხმობად გადაქცევას ცდილობდა არა რეიგანის ხისტი პოლიტიკისა და შეიარაღების ზრდის გამო, არამედ, მის მიუხედავად. მას ესმოდა, რომ საბჭოთა კავშირი შეიარაღების მხრივ ამერიკას ვერ გაუტოლდებოდა და მით უმეტეს ვერ აჯობებდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ მან გაფანტა მცდარი შეხედულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს ეს სჭირდებოდა და გაითავისა, რომ ეს ორი ქვეყანა დაპირისპირების, მუდმივი შეიარაღებისა და ცივი ომის დესტრუქციული ვითარების გარეშე უფრო კარგად გაუგებდა ერთმანეთს. გორბაჩოვი ცივი ომის გამალებულ შეიარაღებაში არ დამარცხებულა, მან იგი გააუქმა.

რეიგანის პრეზიდენტობის მეორე ვადის ადმინისტრაცია, მოგვიანებით კი ჯ.ჰ. ბუშის ადმინისტრაციაც, 80-ნი წლების მიწურულს განუწყვეტლივ ცდილობდნენ გორბაჩოვზე ზეწოლას, თვი-

თონ კი საპასუხო დათმობებზე არ მიდიოდნენ. ნაცვლად იმისა, რომ თანამშრომლობის გზით გორბაჩოვისათვის საერთაშორისო რევოლუციის პროცესი შეემსუბუქებინათ, რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციებმა ამგვარი ტაქტიკით გორბაჩოვის ამოცანა კიდევ უფრო გაართულეს. როცა ყველაფერი დამთავრდა, ისინი მიესალმნენ შედეგს, რომელიც შესაძლოა მათთვის სასურველიც იყო, მაგრამ რომლის მისაღწევად მათ ასე ცოტა რამ გააკეთეს.

რეიგანის კრიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ და მისი წინასწარმეტყველებანი ისტორიულმა მოვლენებმა იქნებ გაამართლა კიდევაც, მაგრამ შეცდომა იქნება, რეიგანის რიტორიკას და მისი ქმედებებს ამ საზომით მივუდგეთ. იმ დროს, და განსაკუთრებით 80-იანი წლების დასაწყისში არავინ ელოდა, რომ ცივი ომი, რომ არაფერი ვთქვათ კომუნიზმსა და საბჭოთა კავშირზე, არსებობას სულ რაღაც ათწლეულში შეწყვეტდა. პირიქით, ამერიკის სამხედრო და ინტელექტუალური საზოგადოება პოლიტიკური ანალიზისას ხაზს უსვამდა საბჭოთა კავშირის ძლიერებას და იმას, რომ იგი მუდმივ საფრთხეს უქმნიდა მსოფლიოს. გორბაჩოვის მმართველობის ბოლო წუთამდე ამერიკის ისტებლიშმენტი აფრთხილებდა მსოფლიოს, რომ გორბაჩოვის დათმობები მხოლოდ ხრიკი იყო და პერესტროიკა საბჭოთა კავშირს კიდევ უფრო საშიშს გახდიდა.

რეიგანის „ჯვაროსნული" სულისკვეთება და საბჭოთა კავშირისადმი მისი ბრალდებები უადგილო იყო ცივი ომის კონტექსტში, თუმცა საბჭოთა კავშირის სხვა ძირეული შეცდომები ხშირად სამართლიანად იყო გაკრიტიკებული. რეიგანის რიტორიკას უარყოფითი დიპლომატიური ეფექტი ჰქონდა. მან მოწინააღმდეგეთა კონფრონტაციის შენარჩუნებას შეუწყო ხელი, რომელიც ურთიერთშიშზე იყო დამყარებული. მეტიც, ის დელიკატური ბირთვული ბალანსი, რომელიც ჩამოყალიბდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის, რეიგანისეული რიტორიკის გამო საფრთხის ქვეშ დადგა. არსებითად ის კაცობრიობის ბედით თამაშობდა.

საბჭოთა კავშირის შიგნით მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის და მსოფლიოსადმი მისი მიდგომის შეცვლის შემდეგაც კი, რეიგანის რიტორიკა ნეგატიური როლის შემსრულებლად რჩებოდა. მან გორბაჩოვს ამ ცვლილებების ხორცშესხმა გაურთულა. გორბაჩოვი მუდმივ წინააღმდეგობას აწყდებოდა შინაური კონსერვატიული ძალების მხრიდან. ეს ოპონენტები ამტკიცებდნენ,

რომ გორბაჩოვი აშშ-თან დათმობაზე მიდიოდა საბჭოთა კავშირის ინტერესების და უსაფრთხოების ხარჯზე და დასავლეთს ხელს უწყობდა. გორბაჩოვი რეფორმებს განაგრძობდა, მაგრამ მისი ამოცანა სულ უფრო რთული ხდებოდა.

რეიგანის მხარდამჭერები ცდილობდნენ მისი უფლებამოსილებები გადაეხინჯათ, გაემართლებინათ და საფუძველი გაემყარებინათ მისი ხისტი რიტორიკისათვის. მაგრამ 80-იანი წლების გარიჟრაჟზე ამ რიტორიკის ერთადერთ შედეგად ცივი ომის კონფრონტაციის გაჭიანურება მოგვევლინა. რეიგანის მცდელობას „სისხლისაგან დაეცალა საბჭოთა კავშირი" მხოლოდ ბირთვული ომის შიშის გაძლიერება, გამალებული (თუნდაც ცალმხრივი) შეიარაღება და ბიუჯეტის დეფიციტი მოჰყვა შედეგად. **სოი** პროგრამა, რომლისაც რეიგანს ასე სწამდა, რეალობასთან ახლაც ისევე შორსაა, როგორც 80-იან წლებში.

საბჭოთა კავშირის დაცემა იმან განაპირობა, რომ მას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. გორბაჩოვი კი წარსულის დანატოვრის რადიკალურ შეცვლას აპირებდა. ის ამას აკეთებდა არა რეიგანის ქმედებების საპასუხოდ, არამედ იმიტომ, რომ იმდროინდელი მსოფლიო სისტემის ხასიათი გაითავისა. მიუხედავად იმისა, რომ მისმა რეფორმებმა სასტიკი მარცხი განიცადა, მან ყველასათვის მოულოდნელად მიაღწია ცივი ომის დასრულებას. ცხადია მას ეს მარტო არ გაუკეთებია, მაგრამ მის გარეშე ეს არ მოხდებოდა. რასაც რეიგანზე ვერა და ვერ ვიტყოდით.

რონალდ რეიგანს ჰქონდა იღბალი და ინტუიცია. მას გაუმართლა: მისი ხელობისას საბჭოთა კავშირს რეფორმატორი ლიდერი ჩაუდგა სათავეში, რომელიც ცივი ომის დასრულების საქმეში პარტნიორს ეძებდა. რეიგანს ეყო ინტუიცია, შეეფასებინა (თუნდაც დაგვიანებით) ის ისტორიული შანსი, რომელიც გორბაჩოვმა შესთავაზა. ბედის ირონიით საშუალობო პოლიტიკის გამტარებლად სწორედ რეიგანი გვევლინება, ოღონდ მეორე ვადით არჩეული რეიგანი, რომელმაც გადაწყვიტა ეთანამშრომლა გორბაჩოვთან და მსოფლიო ისტორიაში უდიდესი წვლილი შეეტანა ცივი ომის შეწყვეტის გზით და არა პირველი ვადით არჩეული რეიგანი - „ქორი", ცივი ომის მებრძოლი.

**რუსუდან დაუშვილი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოცენტი, ქართული ემიგრაციის მუზეუმის თანამშრომელი**

# კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი — რესპუბლიკური პარტიის წევრი და რეიგანის მხარდამჭერი

1965 წელს ნიუ-იორკის ქალაქისთავის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატ ჯონ ლინდსის ყურადღება თავისი აქტიურობით პარტიის წევრმა კონსტანტინე სიდამონ-ერისთავმა მიიპყრო და წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა მას მიანდო. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ლინდსმა თანაშემწედ საავტომობილო მიმოსვლის დარგში სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი დანიშნა. ასე გახდა ქართველი კ. სიდამონ-ერისთავი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ქალაქის ნიუ-იორკის ვიცე-მერი. იგი ამ თანამდებობაზე კარგა ხანს დარჩა და პენსიაში გასვლამდე ქალაქის მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. 40 წლის განმავლობაში იყო რესპუბლიკური პარტიის წევრი და რეიგანის ადმინისტრაციის აქტიური მხარდამჭერი. მისი მეგობრები იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები. 90-იანი წლებში მისი ოჯახი პრესტიჟით ამერიკაში პირველ ოცეულში შედიოდა.

კ. სიდამონ-ერისთავის მამა დამოუკიდებელ საქართველოში ქართული არმიის პოლკოვნიკი სვიმონ (სიკო) სიდამონ-ერისთავი, ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. 1918 წელს საქართველოში დაბრუნდა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში, ამერიკაში, წავიდა. იქ დაქორწინდა საფრანგეთში ამერიკის ელჩის ქალიშვილზე ანა ბიგლოუ-ტრესზე. პირველი ქორწინებიდან სვიმონს ერთი ქალიშვილი ჰყავდა — ირინე, მეორე ქორწინებიდან კი ქალ-ვაჟი შეეძინა. ნიუ-იორკის საუკეთესო ნაწილში გახსნილ მის რესტორანში „კავკასიის არწივში" ხშირად იყრიდნენ თავს ქართველები და კავკასიელები და აღნიშნავდნენ ეროვნულ დღესასწაულებს. (1) მდინარე ჰუძონის ნაპირზე, კლოდ-სპრინგის რაიონში, ნიუ-იორკიდან 100 კილომეტრზე კი იტალიაში საქართველოს ელჩ გიორგი მაჩაბელთან

და სათვისტომოს თავმჯდომარე პიანისტ ირაკლი ორბელიანთან ერთად დააარსა კავკასიელთა დასასვენებელი სახლი „ალავერდი“. ზაფხულობით, ქალაქის ხვატს გარიდებული ნიუ-იორკში მცხოვრები კავკასიელები ამ სავანეს აფარებდნენ თავს. რადიო „თავისუფლების“ რედაქტორმა კარლო ინასარიძემ 1969 წელს ამერიკაში მოგზაურობის დროს ინახულა „ალავერდი“. ორსართულიანი კარგად მოწყობილი სახლი, სტუმართა მისაღები და დამხმარე ნაგებობები, ულამაზესი ეზო და ბაღი, რომელსაც „კავკასიურ წალკოტს“ უწოდებდნენ, იქვე იყო საცურაო აუზი და ბოსტანი, სადაც წიწმატი, ტარხუნა და ქინძი ხარობდა. „ალავერდი“ არა მარტო დასასვენებელი, არამედ კავკასიელთა დაახლოება-მეგობრობის ცენტრი გახდა: „ასე ძმურად და ერთობის გაგებით რომ გვეცხოვრა იქ კავკასიაში, მაშინ ჩვენ დღეს სამშობლოში „კიქნებოდითო“. (2)

სვიმონ სიდამონ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ (1964) დასასვენებელი სახლის და „ალავერდის საზოგადოების“ ხელმძღვანელობა მისმა ვაჟმა კონსტანტინემ გადაიბარა, მდივნობა კი – მისმა მეუღლემ.

კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი დაიბადა ნიუ-იორკში 1930 წელს საშუალო განათლების შემდეგ დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი სამთო ინჟინრის დიპლომით, სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ კი – კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჯერ ერთ-ერთ იურიდიულ ბიუროში მუშაობდა, შემდეგ კი დასთან, ანასთან ერთად, რომელიც ასევე იურისტია, საკუთარი ბიურო გახსნა. 1960 წელს დაქორწინდა. შეეძინა სამი შვილი – სიმონი, ელისაბედი და ანდრია. კენედის მკვლელობის შემდეგ აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გახდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის წევრი და სწრაფად გაიკეთა პოლიტიკური კარიერა. ამერიკული პრესა ხშირად წერდა მის შესახებ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ შენიშნავდა: „სრულიად შეეფერება მის, ასე ვთქვათ, ეგზოტიკურ გვარს ბატონ სიდამონ-ერისთავის შესახედაობა და პიროვნება. ბევრი ვერც იტყვის, რომ ის წარმოშობით ქართველია. პირიქით, ბევრი იფიქრებს, რომ ეს მეგობრული, დინჯი, სასიამოვნო გარეგნობისა და ჩიბუხის მწეველი ადამიანი – ზოგ ამერიკელ ახალგაზრდას მოგვაგონებსო“. ქალაქის მერმა ლინდსმა კი ასე დაახასიათა თავისი მოადგილე: „საბჭოთა კავშირის სამხრეთით არსებობს

უძველესი კულტურის ქვეყანა – საქართველო. მისი მობინადრე ქართველები ცნობილი არიან მგზნებარე ტემპერამენტით. თუ კონსტანტინე სიდამონ-ერისთავმა ეს დამახასიათებელი ქართული თვისება მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო, უნდა ვაღიაროთ, რომ მას თავისი ტემპერამენტი კონტროლის ქვეშ აქვს დაყენებული"

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი უცხოეთში დაიბადა და გაიზარდა, მან სავსებით შეინარჩუნა ქართული ადათ-ჩვევები და ქართული ტრადიციები. ყოველთვის ესწრებოდა ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ ღონისძიებებს, საღამოებს (3) ხშირად ქულაჯასა და ჩოხაში გამოწყობილი, ზრუნავდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ქართველებს იურიდიული კონსულტაციებითა თუ სამსახურში მოწყობით. II მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრაციაში დარჩენილ ყოფილ ტყვეს, ნიკო თოფურიას ახალი ვიცე-მერი წმ. ნინოს საღამოზე უნახავს და სამუშაო უთხოვია. მასაც მალევე მოუწყვია იგი მისდამი დაქვემდებარებულ ქალაქის საგზაო-სატრანსპორტო სამსახურში.(4)

70-იან წლებში როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატანილი ქართული არქივი წყალდიდობამ დააზიანა პარიზის არქივში, მის გადასარჩენად კ. სიდამონ-ერისთავმა სოლიდური თანხა გაიღო

90-იან წლებში კ. სიდამონ-ერისთავმა დააარსა ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები". 1991 წელს, როცა ამერიკელმა ქართველებმა ზეიმით აღნიშნეს ქართული სათვისტომოს (ასოციაციის) დაარსების 70 წლისთავი, ნიუ-იორკის „ბოტანიკალ გარდენში" მიწვეული იყვნენ ორგანიზაციის წევრები და მხარდამჭერები – თავმჯდომარე კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი, ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში, ნებრასკის შტატის სენატორი კენეტ იალოვიტცი, კანზასის შტატის სენატორი სემ ბრაუნბეკი, კენტუკის შტატის სენატორი მიჩ მაკ კონელი, კენეტ ბრაუნი, ვილიამ კორტნი, ჩაკ საგელი, გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, თბილისის ამერიკული აკადემიის პრეზიდენტი გივი ზალდასტანიშვილი, მერი კვიტაშვილი და სხვები (5) .

60-იან წლებში კონსტანტინეს დედა და ორი და რამდენიმე კვირით ჩამოვიდნენ საქართველოში, მან კი ვერ მოახერხა საარჩევნო კამპანიის გამო. როგორც კ. ინასარიძე მასთან შეხ-

ველრისას შენიშნავდა, იგი სწავლობდა ქართულს და აპირებდა სამშობლოში ჩამოსვლას, მაგრამ მასზე ადრე ეს მისმა შვილმა შეძლო: 1991 წლის 25 მაისს თბილისში, მხატვრის სახლში გაიხსნა ამერიკელი მხატვრების ელიზაბეთ სიდამონ-ერისთავისა და ჯონ დელაპის გამოფენა. ელიზაბეთს დამთავრებული აქვს იელის უნივერსიტეტი, ხატვით კი ბავშვობიდანვე ყოფილა გატაცებული. (6) მან მოიარა საქართველო, მოინახულა ხევსურეთი, სვანეთი. როგორც გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტი აღნიშნავდა, იგი თავის ნახატებს ჰგავს – ცივი, მოკრძალებული და სევდიან ღიმილიანი... (7)

საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, 1994 წელს კ. სიდამონ-ერისთავმა დააფუძნა „საქართველოს მეგობართა ფონდი“, რომელმაც აღმასრულებელ დირექტორად ამერიკელი ქართველი, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი, ამერიკელი მწერლის პავლე ჭავჭავაძის შვილიშვილი მარიამ (მარუსია) ჭავჭავაძე მოიწვია. ფონდი ეხმარება ძეგვის ბავშვთა სახლს, თბილისის ფერისცვალების მონასტერთან არსებულ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარს, ქუთაისის ფსიქო-ნევროლოგიურ კლინიკას, ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილებას, ტუბერკულოზით ავადმყოფ, გაჭირვებულ ბავშვებსა და მოხუცებს. ფონდი დაუკავშირდა ბალერინა ნინო ანანიაშვილს, მხატვარ ელენე კილაძეს და 2001 წელს ნიუ-იორკში მოაწყვეს ქართველი მხატვართა 100-მდე ნამუშევრის გამოფენა-გაყიდვა და საღამო – ქართული სამზარეულოთი და მუსიკით. გაყიდული ნახატებიდან აღებული თანხის 50% ქველმოქმედებისათვის გადაიდო, ამას დაემატა საქართველოს მეგობართა და თანამგრძნობთა შორის შეგროვილი 31 ათასი დოლარი, რაც მოხმარდა ბედიანში საქონლისა და სახლების შეძენას, რომლებშიც დასახლდნენ ბავშვები, მათი მშობლები და აღმზრდელები. საქართველოში ჩამოვიდნენ კონსტანტინე და მისი მეუღლე. 2001 წელს მარუსია ჭავჭავაძე ჩამოვიდა პროექტის განხორციელების თვალისსადევნებლად. (8) მას ყოველ წელს უწევს ფონდის პროექტის განსახორციელებლად საქართველოში ჩამოსვლა. 2003 წლის ივნისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში პრეზენტაცია და ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა მოაწყო. (9) 2004 წლის 29 ნოემბერს ფონდმა ნიუ-იორკში ქეთი დოილის გალერეაში დიდი მიღება და ქართული მხატვრობის ე.წ. უხმო აუქციონი მოაწყო, რომლის მონაწილეები 5.000 კაცს დაეგ-

ზავნა – საქართველოს მეგობრებს, ელჩებს, საპატიო სტუმრებს. ერთის გარდა ყველა ნამუშევარი გაიყიდა, რომელთა თანხას ფონდი რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს მოახმარს.(10)

ფონდი, რომელიც ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, რესპუბლიკური პარტიის წევრმა და რონალდ რეიგანის დიდმა მხარდამჭერმა კონსტანტინე (კონი) სიდამონ-ერისთავმა დააფუძნა აქტიურად მუშაობს და დღევანდელი ძნელბედობის ჟამს დიდ დახმარებას უწევს გაჭირვებაში მყოფ ქართველებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. 26 მაისი – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1935, №114, გვ.14

2. კ. ინასარიძე, რადიო „თავისუფლების" რედაქციის კრებული III, მიუნხენი, 1977, გვ.24-26, 32-35

3. გ. ლორთქიფანიძე, ქართული სათვისტომო ამერიკაში – „ლიტერატურული საქართველო", 1989, VI №26, გვ. 7

4. ნ. თოფურია, სადაურსა სად წაიყვან, ნიუ-იორკ-თბილისი, 1998, გვ.43-44

5. ნ. დუდუშაური, ქართული ზეიმი ამერიკაში – „საქართველოს რესპუბლიკა", 2991, 12 X, გვ.8

6. Д. Иванишвили, Она из Ананури, что недалеко от Нью-Йорка - „Свободная Грузия", 1991, 11 VI, стр.7

7. ხ. ზარელუა, ელიზაბეთ სიდამონ-ერისთავისა და ჯონი დელაპის გამოფენა თბილისში – „სამშობლო", 1991, №16, გვ.1,4-5

8. ნ. კაპანაძე, მარუსია ჭავჭავაძე: ვფიქრობ რისი შეცვლაა საჭირო და რისი არა – „დილის გაზეთი", 2001, 13 X, გვ.14

9. კ. ბეღოიძე, ამერიკაც და საქართველოც – ორივე ძვირფასია ჩემთვის – „ახალი ეპოქა", 2003, 27 VI-3 VII, №26, გვ. 9

10. ლ. კილაძე, საქველმოქმედო აქცია ნიუ-იორკში – „24 საათი", 2004, 15 XII, გვ.B6

ვასილ კაჭარავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის
ფაკულტეტის დოცენტი,
ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი

# კალვინ კულიჯის პორტრეტი რეიგანის კაბინეტში

1945 წელს, როდესაც ჰარი ტრუმენი ამერიკის პრეზიდენტი გახდა, თავის მაგიდაზე პატარა ზარბაზნის ფიგურა ამავე ზომის გუთნით შეცვალა.

რონალდ რეიგანი ამერიკის პრეზიდენტი როცა გახდა, მან თავის კაბინეტში სასწრაფოდ დაკიდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, კალვინ კულიჯის სურათი. საერთოდ ცნობილია, რომ სამუშაო ოთახის მორთულობა თითქმის ყოველთვის არა მარტო ამ ოთახის პატრონის გემოვნებას გამოხატავს, არამედ მის მსოფლმხედველობასაც. ეს განსაკუთრებით პოლიტიკურ მოღვაწეებს ეხებათ, ვინაიდან სხვასთან ერთად, მათი სამუშაო კაბინეტი მათი პოლიტიკური იმიჯის შემადგენელი ნაწილიც არის.

მაშ, რატომ დაიკიდა რეიგანმა სწორედ კალვინ კულიჯის სურათი, რომელიც ამერიკულ ისტორიაში ერთ-ერთ უღიმღამო პრეზიდენტად ითვლება. მითუმეტეს როცა არსებობენ ისეთი გამოჩენილი პრეზიდენტები როგორც: ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, აბრაჰამ ლინკოლნი, თეოდორ რუზველტი, ვუდრო ვილსონი თუ ფრანკლინ რუზველტი. როდესაც უბრალო მოკვდავი ან თუნდაც ცნობილი ადამიანი იცვლის დეკორაციას თავის ოფისში, ეს მისი პირადი და რიგ შემთხვევაში მისი თანამშრომლების საქმეა, მაგრამ როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ცვლის თავისი ოფისის დეკორაციას, ეს უკვე არა მარტო მთელი ამერიკის, არამედ შეიძლება ითქვას მთელი მსოფლიოს საქმეც კი ხდება.

წარმოვიდგინოთ უცებ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა თავის კაბინეტში ლენინის ან ჰიტლერის სურათი დაკიდოს.

ბუნებრივია, კულიჯის სურათი ასეთ საერთაშორისო რეზონანსს არ გამოიწვევდა, მაგრამ რეზონანსი მაინც იყო. ეს ერთი შეხედვით რიგითი პრეზიდენტი, ხომ გათვითცნობიერებული ადამიანების შემეცნებაში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე კონსერ-

ვატიული მმართველი იყო. შესაბამისად ამ ქმედებით რეიგანმა ყველას კიდევ ერთხელ თვალნათლივ შეახსენა თავისი პოლიტიკური კრედო. სწორედ ამ იდეოლოგიურ მსგავსებასა და პარალელებს განვიხილავთ ამ სტატიაში, ანუ როგორ აღორძინდა 1980-იან წლებში 1920-იანი წლების სახელმწიფოს მართვის რეცეპტები. თუმცა ამ ადამიანებს პირადი ჩვევებითაც საკმაოდ ამსგავსებდნენ ერთმანეთს: ორივეს უყვარდა ბევრი დასვენება. ლანჩის შემდგომი ხანგრძლივი ძილი სამუშაო დღის მანძილზე და საღამოსაც ადრე დაძინება ორივე მათგანის დღის წესრიგის აუცილებელი კომპონენტი იყო. ბევრი მუშაობის პრივილეგიას უფრო თავის ქვეშევრდომებს ანიჭებდნენ. რეიგანის ერთ-ერთი საყვარელი გამოთქმა იყო „ბევრ შრომას ჯერ არავინ მოუკლავს, მაგრამ რატომ ჩავატაროთ ასეთი სახიფათო ცდები".

ორივეს უყვარდა და კარგად შეეძლო მასმედიასთან ურთიერთობა. თუ რეიგანისათვის როგორც ყოფილი მსახიობისათვის, რომელსაც არაჩვეულებრივი ადამიანური მიმზიდველობა და ქარიზმა ახასიათებდა, ეს ბუნებრივი იყო, კალვინ კულიჯისგან ამას არავინ ელოდა. ალბათ ბევრს გააკვირვებს, რომ სიტყვაძუნწ კალვინს ყველაზე ხშირი შეხვედრები ჰქონდა პრესის წარმომადგენლებთან და ფოტოების გადაღებაც ამერიკის პრეზიდენტის კვალობაზეც კი მეტისმეტად უყვარდა. თუმცა ამ ხშირ შეხვედრებზე პრესას დიდი მჭევრმეტყველებით არ ახარებდა. სწორედ კულიჯმა თქვა, როდესაც მას „ჩუმი კალი" შეარქვეს, „მე ჯერ არ გამიგია პრეზიდენტი, რომელსაც არაფრის თქმისაგან რაიმე პრობლემა შექმნოდაო".

ერთ-ერთ წვეულებაზე მის გვერდით მჯდომმა ქალბატონმა უთხრა, რომ თავის მეგობრებთან ნიძლავი დადო, რომ კალვინს ამ წვეულებაზე ორ სიტყვაზე მეტს დააცდევინებდა. კულიჯმა მას მოკლედ მოუჭრა-- „თქვენ წააგეთ".

კენედისა და კლინტონის მსგავსი პრეზიდენტებისაგან განსხვავებით ორივე სამაგალითო მეოჯახე იყო. ხოლო უკვე ხანდაზმული რონალდისა და ნენსის რომანტიული და შეყვარებული მზერები ყველაზე ოფიციალურ ღონისძიებზეც კი, ხომ საერთოდ ცრემლის მომგვრელი ისტორიაა. მაგრამ მთავარი, რასაკვირველია, ამ ადამიანთა იდეოლოგიური ნათესაობაა. ორივე ყველაზე ფუნდამენტური კონსერვატიზმის მებაირახტრე იყო და სწორედ მათი მმართველობის პერიოდში გაიფურჩქნა

ეს იდეოლოგია ყველაზე თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად. (ყოველ შემთხვევაში მეოცე საუკუნეში). 1920 წელს გამოცემული ჯ. ემერსონის წიგნში „ახალი საზღვარი“ აღნიშნული იყო, რომ „ჩვენ ჯერ კიდევ გაგვაჩნია ახალი საზღრები: ეს არის ინდუსტრიალური, ფინანსური, კომერციული, პოლიტიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, სამეურნეო, დიპლომატიური, რელიგიური საზღვრები.“.................. „საზღვრის სულისკვეთება არ არის ახალი, ის გულისხმობს თანამედროვე პრობლემების მოგვარებას არა ახალი განწყობილებებითა და სულისკვეთებით, არამედ ჩვენი წინაპრების რწმენით და თუ ჩვენ ახალი საზღვრის არსებულ სიძნელეებს იმავე გრძნობებით შევებრძოლებით, მაშინ სავარაუდო შეცდომების მიუხედავად გაუგებრობის ელემენტი ფუნდამენტალური ხასიათის არ იქნება და ჩვენი წინაპრების სწორი აზროვნება დღესაც წარმართველ ძალად დარჩება“. (1)

ორივე ლიდერი იზიარებდა კონსერვატიზმის მსგავს მიდგომებს და ავრცობდა მათ ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების სხვადსხვა სფეროებზე. თავის ავტობიოგრაფიაში რონალდ რეიგანი საუბრობდა რა კულიჯის სურათზე თავის კაბინეტში აღნიშნავდა, რომ „კულიჯი არ იყო პომპეზური გარეგნობისა და სტილის ადამიანი. ის თავის საქმეს წყნარად აკეთებდა. იგი ოფისში I მსოფლიო ომის შემდეგ მოვიდა, მაგრამ გადასახადების გაზრდის ნაცვლად მან შეამცირა იგი, მთავრობის წლიური შემოსავალი კი გაიზარდა. ამან საშუალება მისცა ომის დროინდელი ვალები აღმოეფხვრა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იბნ ჰალდუნის (შუა საუკუნეებიის არაბი ისტორიკოსი) მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ მცირე გადასახადები უფრო მაღალ საგადასახადო შემოსავლებს ნიშნავდა, თანამედროვე ეპოქაშიც სრულიად მართებულია“. (2)

ორივე პრეზიდენტი გადასახადების უპრეცენდენტო შემცირების ჩემპიონი იყო და დიდი ბიზნესის ერთგული მოკავშირე. ისინი კლასიკური რესპუბლიკანიზმის იდეოლოგიიდან გამომდინარე ვაშინგტონის ბიუროკრატიის რაოდენობის და გავლენის შემცირებისა და შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების გააქტიურების მომხრე იყვნენ.

რეიგანი ამბობდა „მთავრობა კი არ არის ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა, არამედ თვით მთავრობაა ჩვენი პრობლემა“. (3) თავისი ფისკალური პოლიტიკის წყალობით კულიჯმა, ბიუჯეტის

დეფიციტი მისი და სახელმწიფო ვალი მნიშვნელოვნად შეამცირა, რეიგანმა კი მიუხედავად იმავე პოლიტიკის გატარებისა დეფიციტიცა და სახელმწიფო ვალიც გაზარდა. მაგრამ ეს უკვე საგარეო პოლიტიკის შედეგი იყო. თუ კულიჯის დროს ამერიკა ძირითადად იზოლაციონიზმის პოლიტიკას ატარებდა და ძალზე მცირე სამხედრო ხარჯები ჰქონდა, რეიგანი ძალზე აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და მის დროს სამხედრო ხარჯებმაც ფანტასტიკურ მასშტაბებს მიაღწია – ხუთი წლის მანძილზე 1,2 ტრილიონი დოლარი. როგორც იგი აცხადებდა ეს საჭირო იყო, რათა ამერიკა კვლავ გამხდარიყო ნომერ პირველი ქვეყანა. ბევრი თვლის, რომ სწორედ ამის წყალობით დაანგრია მან „ბოროტების იმპერია". ასე რომ, ალბათ ამას მაინცა და მაინც ვერ ვუსაყვედურებთ.

განვიხილოთ კონკრეტული ფაქტები.

პირველ რიგში ორივე ატარებდა გადასახდების შემცირების პოლიტიკას და ორივეს გულწრფელად სწამდა, რომ დაბალი გადასახდები საბოლოო ჯამში უფრო მეტ შემოსავალს ნიშნავს. ჯერ ერთი, რომ დაბალი გადასახადები ბიზნესს საშუალებას აძლევს მეტი ფული დაზოგოს და გააფართოვოს თავისი წარმოება, რაც, თავის მხრივ, კიდევ ახალ მოგებას ანუ გადასახადებსაც ნიშნავს. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მაღალი გადასახადების გადამხდელი ყველაფერს აკეთებს, რათა ეს გადასახადი არ გადაიხადოს და გადამალოს რეალური შემოსავალი. ამიტომ გადასახდის რეალური აკრეფა ვერ ხერხდება. რეიგანი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ აშშ–ში იზრდებოდა ე. წ ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელსაც ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდა.

კულიჯიც მსგავსად ფიქრობდა და თვლიდა, რომ ბიზნესი ყველაფერს აკეთებდა, რათა თავიდან აეცილებინა მაღალი გადასახადები. ასეთი მაღალი გადასახადების თავიდან აცილება კი, რეალურ შემოსავლებზე ინფორმაციის გადამალვასთან ერთად იმ შემთხვევაშიც შეიძლებოდა, თუ ამ მოგებას შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ობლიგაციებში დააბანდებდნენ. ვინაიდან მოგება ამ ობლიგაციებიდან განთავისუფლებული იყო ფედერალური გადასახდებისაგან. მაგრამ ეს ობლიგაციები ძალზე დაბალ მოგებას იძლეოდნენ და ბევრისათვის, მათ შორის კულიჯისა და მისი ფინანსთა მინისტრის მელონისათვის

ეს ფულის ჩაწოლას ნიშნავდა. მათ კი სურდათ ამ თანხების უფრო დინამიურ ბიზნესში დაბანდება. მართლაც, კულიჯის დროს გადასახადები მნიშვნელოვნად შემცირდა 1924 და 1926 წლებში. ასევე მოიქცა რეიგანიც. 1981 წლის 18 თებერვალს მან კონგრესს წარუდგინა ეკონომიკური გაჯანსაღების საკუთარი პროგრამა –„ამერიკის ახალი დასაწყისი: ეკონომიკის აღორძინების პროგრამა“. ამ პროგრამის მიხედვით პირადი საშემოსავლო გადასახადები სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო. ეს იყო „რეიგანომიკის“ ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი. თუმცა მისი მმართველობის პირველ წლებში ამერიკაში უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, (მათ შორის 11 მილიონი უმუშევარი 1982 წელს), იგი შეუპოვრად და ჯიუტად ატარებდა ამ ხაზს და, როგორც ვიცით, საბოლოოდ წარმატებასაც მიაღწია და გადასახდები 25 პროცენტამდე შემცირდა.

1981 წელს მიღებული „ეკონომიკის აღორძინების საგადსახადო კანონის“ საფუძველზე კონგრესმა გადაწყვიტა, ამ კანონის მიღების პირველ წელს პირადი საშემოსავლო გადასახადი 5 პროცენტით შეემცირებინა, მეორე წელს – 10 პროცენტით, ხოლო მესამე წელს კიდევ 10 პროცენტით, რაც საბოლოდ სამ წელიწადში გადასახადებს 747 მილიარდი დოლარით შეამცირებდა. ამ კანონის მიხედვით გადასახადი მთელ შემოსავალზე მაქსიმალური 70 პროცენტიდან 50 პროცენტამდე მცირდებოდა. აგრეთვე 28-დან 20 პროცენტამდე მცირდებოდა გადასახადი მომგებიან ინვესტიციებზე და უქმდებოდა განსხვავება სახელფასო და სხვა შემოსავალს შორის. ეს მომგებიანი იყო უმდიდრესი და უღარიბესი ფენებისათვის, რომელნიც ძირითადად არა ხელფასზე არამედ რენტაზე, დივიდენდსა და პროცენტებზე ცხოვრობდნენ.

1985 წლის 28 მაისის ტელეგამოსვლაში იგი სიამაყით აჯამებდა ამ ქმედების შედეგებს- „1981 წელს ჩვენი კრიტიკოსები ბრალს გვდებდნენ რომ თქვენი შემოსავლების შენარჩუნებით ინფლაცია იფეთქებდა და ჩვენი ეკონომიკა დაინგრეოდა. მაგრამ ჩვენ მაინც შევამცირეთ გადასახადები 25 პროცენტით და პირიქით შევამცირეთ ინფლაცია, შევამცირეთ პროცენტული განაკვეთები და ბოლო 30 წლის მანძილზე ყველაზე აქტიური ეკონომიკური ზრდა მივიღეთ“. (4)

ამავე ტელეგამოსვლაში რეიგანი აღნიშნავდა, რომ თუმც სიკ-

ვლილი და გადასახადი გარდაუვალიაო, მაგრამ ეს არ ეხება უსამართლო გადასახადს და მრავალმნიშვნელოვნად იხსენებდა ამერიკული რევოლუციის დაწყების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. კერძოდ კი – არავითარი გადასახადი წარმომადგენლობის გარეშე. მიანიშნებდა რა რომ ასეთი მაღალი გადასახადების დამწესებლები ამერიკელთა წარმომადგენლების სტატუსს კარგავდნენ ხალხის თვალში. (5) ასევე მსგავსი იყო ამ პრეზიდენტების პოლიტიკა ფედერალური ხარჯების მიმართ. იმავე პროგრამაში, რომელიც საბოლოოდ რეიგანომიკის სახელით გახდა ცნობილი, იგი აპირებდა ბიუჯეტის ისეთ რეფორმირებას, რომელიც შეამცირებდა ფედერალური ხარჯების ზრდას. თავის საინაუგურაციო სიტყვაში, 1981 წლის 20 იანვარს როცა აღნიშნა უმძიმესი მდგომარეობა ეკონომიკაში, რეიგანმა განაცხადა—„თუ ჩერჩილის სიტყვების პერეფრაზს გავაკეთებ ვიტყვი, რომ ამ თანამდებობას იმისათვის კი არ ვიბარებ, რომ მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკის განადგურებას ვუხელმძღვანელო". (6) ჩვენს მთავრობას სხვა უფლებები არ გააჩნია გარდა იმისა, რაც მას ხალხმა უბოძა. დადგა დრო გადავამოწმოთ და შევაჩეროთ მთავრობის ზრდა, რომელიც იმაზე მეტად იზრდება ვიდრე ამის უფლებას მის მიერ მართულნი აძლევენ". (7)

თავის ბოლო გამოსვლაში კონგრესის წინაშე 1981 28 აპრილს, მან განაცხადა ჩვენი მთავრობა ძალზე დიდია და იგი ძალზე ბევრს ხარჯავს. „მთავრობის ხარჯები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე თვით ეკონომიკა. უზარმაზარი ეროვნული ვალი, რომელიც დაგვიგროვდა მთავრობის მაღალი ხარჯების შედეგია. დადგა დრო შევცვალოთ ეს დიეტა და შევცვალოდ იგი სწორი მიმართულებით". (8) რეიგანმა სერიოზულად შეამცირა მთელი რიგი სოციალური პროგრამები, რამაც მრავალ ადამიანში დიდი აღშფოთება გამოიწვია. კერძოდ, საყოველთაო მორიგების კანონით (Omnibus reconciliation act) შეიკვეცა 136 მილიარდის ფედერალური ხარჯები 1982 –84 წლებში. ამის შედეგად შემცირდა ან საერთოდ გაუქმდა 200 ფედერალური სოციალური ხასიათის პროგრამა. მათ შორის ფედერალური ხარჯები ისეთ სფეროებში როგორც განათლება, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სახლთმშენებლობა, დახმარება ქალაქებისადმი, უფასო ტალონები საკვებზე, კვლევები სინთეტიურ საწვავზე და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები.

რეიგანი ხაზს უსვამდა, რომ ეს ძალზე ძვირი უჯდებოდა ამერიკის გადასახადის გადამხდელებს. ერთ-ერთ გამოსვლაში ისეთი მაგალითიც მოიყვანა, რომ მუშის პროფესიული მომზადების ფედერალური ხარჯი ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლების ხარჯის ტოლიაო. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო სექტორი უფრო იოლად ელევა ფულს და ხშირად ნაკლებად ეფექტური და ეკონომიურია ვიდრე კერძო სექტორი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სადაც მართლა დახარჯეს ჰარვარდში სწავლის საფასურის ოდენობის თანხა მუშის მომზადებასა თუ გადამზადებაში. თუმცა ეს ალბათ, უფრო საზოგადოების გაკვირვებაზე გათვლილი გაზვიადებაა.

თავის მხრივ კალვინ კულიჯმა, 1925 წელს, თავის საინაუგურაციო სიტყვაში განაცხადა „როდესაც მე ეკონომიის პოლიტიკას ვქადაგებ, ფულის დაზოგვა კი არა, არამედ, ადამიანთა დაზოგვა მინდა. მშრომელი ამერიკელი კაცები და ქალები ეზიდებიან მთავრობის ხარჯების მთავარ სიმძიმეს. ყოველი ჩვენი დაზოგილი დოლარი ნიშნავს, რომ მათი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება. ეკონომია ეს იდეალიზმია მის ყველაზე პრაქტიკულ გამოხატულებაში".(9) რაც შეეხება ფედერალურ სოციალურ პროგრამებს, კულიჯი მათ ვერ შეამცირებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაშინდელ ამერიკაში ასეთები საერთოდ არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით დახმარებას ომის ვეტერანებისადმი. მაშინდელ ამერიკაში გამეფებული კონსერვატიზმის იდეოლოგები სიამყით აღნიშნავდნენ, რომ „გადაგვარებული" ევროპისაგან განსხვავებით, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულიდან არსებობდნენ სოციალური დაზღვევის კანონები, ამერიკის მოქალაქეს სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშეც მშვენივრად შეეძლო საკუთარი ცხოვრების მოწყობა. ხოლო ყოველგვარი ფედერალური სოციალური პროგრამები მის თავისუფლებას ზღუდავდნენ და პირად ღირსებას ლახავდნენ. როგორც 1929–33 წლების კრიზისმა ცხადყო, ეს ამპარტავნობა ძვირად დაუჯდა ამერიკას. კულიჯის იდეოლოგიური მოკავშირე და მისი ფისკალური პოლიტიკის გამტარებელი აშშ-ის ფინანსთა მინისტრი 1921 –1930 წლებში, მილიარდერი, ენდრიუ მელონი, როცა აღნიშნავდა კულიჯის ადმინისტრაციის მიღწევებს 1928 წლის 11 ოქტომბერს თავის წინასაარჩევნო რადიო გამოსვლის ტექსტში, ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციამ თითქმის ყველა

წინასაარჩევნო დანაპირები შეასრულა. პირველ რიგში, ის, რომ მთავრობა მომჭირნედ, ეკონომიურად, ბიზნესის პრინციპებზე დაფუძნებით იმართებოდა.

გადასახადები ოთხჯერ შემცირდა, 1921, 1924, 1926 წლებში, ხოლო 1928 -წელს კონგრესმა მიიღო კანონი რომლის მიხედვით გადასახადები წელიწადში 1 800 მილიონი დოლარით შემცირდა. მთავრობის ხარჯები შეიკვეცა, ეროვნული ვალი იმდენად შემცირდა, რომ აღარ აწვებოდა მძიმედ გადასახადის გადამხედლს, ერი პროტექციონისტული ტარიფების სიკეთეს იმკიდა.

არც ერთ სხვა ქვეყანაში, მსოფლიო ისტორიის არც ერთ მონაკვეთში, სიამაყით აღნიშნავდა მელონი, ამდენი ადამიანი არ სარგებლობდა ცხოვრების ასეთი მაღალი სტანდარტით. თუმცა იგი აღიარებდა გარკვეული ხარვეზების არსებობას, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მალე მათაც მოევლებოდა.

როგორც იგი აღნიშნავდა ამ გამოსვლაში, ადმინისტრაციის საგადასახადო პოლიტიკის შედეგად 2 ნახევარი მილიონი ადამიანი სულ განთავისუფლდა ფედერალური საშემოსავლო გადასახადისაგან, მაგრამ შემოსავლების ზრდის წყალობით ანაკრები, 1921 წელთან შედარებით, საბოლოო ჯამში 3 მლრდ. დოლარით გაიზარდა.

1921 წელს, თუმცა ომი უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო, მაინც არსებობდა უამრავი გადასახადი, მათ შორის, მატარებლის ბილეთებზე, მანქანებზე, პიანინოებზე, ნამცხვრებზე, საღეჭ რეზინაზე, ნაყინზე და ა.შ. დღეს არც ერთი მსგავსი გადასახადი აღარ არსებობსო აღნიშნავდა მელონი. იგი კვლავ იმეორებდა 1920-იანი წლების კონსერვატორთა მთავარ თეზისს, რომ დაბალმა გადასახადებმა ხელი შეუწყვეს კერძო ინიციატივის გააქტიურებას და შედარებით დაბალი გადასახადებისას საერთო შემოსავალი უფრო დიდი იყო, ვიდრე მაღალი გადასახადების დროს. (10)

თ თავის მხრივ, როცა აჯამებდა თავის ეკონომიკურ პლატფორმას რეიგანი აღნიშნავდა, რომ „ხარჯების ზრდის შემცირება, უზარმაზარი გადასახადების შეკვეცა, ზერეგულაციის შეჩერება, არაინფლაციური და განსაზღვრული მონეტარისტული პოლიტიკა არის ზომები, რომელნიც უნდა გავატაროთ რათა გადავწყვიტოთ ჩვენი ეკონომიკის უმძიმესი პრობლემები". (11) არანაკლები სიმძაფრით საუბრობდა იგი გადასახადების შესახებ. როცა აღ-

ნიშნა უმუშევრობის უდიდესი მასშტაბები, მან თქვა, რომ მშრომელებს უარი უთხრეს სამართლიან ანაზღაურებაზე და სჯიან არსებული გადასახადების მეშვეობით, რაც გვაშორებს ეფექტური შედეგებისაგან. (12)

თუ გავაგრძელებთ პარალელებს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივემ საკუთარი პრეზიდენტობა აღმავლობის ტალღაზე დაასრულა და ქვეყნის ეკონომიკა კარგ მდგომარეობაში დატოვა, განსაკუთრებით ეს კულიჯს ეხება. მას თვითონ რომ არ ეთქვა უარი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, აუცილებლად აირჩევდნენ მეორე ვადით.

რეიგანის მართველობის მეორე ვადას ირანკონტრასის სკანდალმა დაასვა მეტად უარყოფითი ნიშანი, თუმცა საბოლოო ჯამში მანაც ვერ შებღალა მნიშვნელოვნად რეიგანის „ტეფლონურობა" და მრავალი ამერიკელისათვის იგი ერთ-ერთ გამორჩეულ პრეზიდენტად დარჩა.

როგორც გაზეთი „ინდიანაპოლისის ვარსკვლავი" წერდა 1989 წლის 8 იანვარს,

„რეიგანის რვა წლის პრეზიდენტობის შემდეგ ამერიკა კვლავ ძლიერად დგას ფეხზე. „რეიგანს არასოდეს უთქვამს, რომ საზოგადოება უნაკლოა, იგი აღიარებდა მის ნაკლოვანებებს. მაგრამ მან აღორძინა მილიონობით ამერიკელის ძლიერი რწმენა იმ ფასეულობების სიმყარეში, რომელთაც გახადეს ამერიკა ძლევამოსილი, თავისუფალი და სხვათა შორის კეთილიც. ეს კი არც თუ უმნიშვნელო მემკვიდრეობაა", ასკვნიდა ავტორი. [13]

რასაკვირველია, რეიგანის შეფასებისას უარყოფითი გამოხმაურებებიც საკმაოდ იყო, მითუმეტეს რომ 1980-იანების პრესა, მნიშვნელოვანწილად ლიბერალური, ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით აკრიტიკებდა კონსერვატულ მიდგომებს. ამ შემთხვევაში ალბათ კულიჯს უფრო გაუმართლა, ვინაიდან 1928 წლისათვის ამერიკული პრესა მთლიანობაში უფრო კონსერვატულ პლატფორმაზე იდგა.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსებისა, ეს ადამიანები მაინც სხვადასხვა ყალიბის პოლიტიკოსებად რჩებიან და რეიგანის როლი ამერიკის ისტორიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე, განუსაზღვრელად უფრო დიდია ვიდრე კალვინ კულიჯისა.

ასე რომ, კალვინ კულიჯის ხსოვნისადმი ნამდვილად დიდი

პატივი იყო, რომ რონალდ რეიგანმა როცა დაკიდა მისი სურათი ოვალურ კაბინეტში, ეს თითქმის მივიწყებული პრეზიდენტი კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ კონსერვატიზმი მუდამ დიდი გავლენით სარგებლობს ამერიკის პოლიტიკაში და ეს არა მარტო რეიგანისეულმა 1980-იანებმა დაადასტურეს, არამედ ჯორჯ ბუში უმცროსის გამარჯვებამაც 2000 და 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1.G. Emerson. The New Frontier. N.Y., 1920., p.34

2 Ronald Reagan. An American Life., Simon and Schuster., N.Y., London 1990 p. 244

3 Thomas A. Baile, David M. Kennedy The American Pageant., DC Heath and Company Lexington , Massachusetts .1991, p..980

4 The Annals of America Volume 21.,1977-1986 Enciclopedia Britannica, inc., Chicago.,1987 p 569.

5. Ibid., p. 570

6. Conservatism in America Since 1930 .Edited By Gregory L Schneider., New -York University Press., New York and London 2003., p344

7. Ibid., 343

8. Ibid., 350

9. Inaugural Adresses of the Presidents of the United States from G. Washington to G. Bush. United States Government Print Office, Washington D.C., 1989., p253.

10. Public Papers of Calvin Coolidge, Reel 154. P73-4632

11. Conservatism in America Since 1930., Op Cit. 351

12. Ibid., 342

13 St. Lous Post Dispatch., January 13, 1989. Reagan As President. Edited with Commentary by Paul Boer ., Ivan R. Dee Publisher, Chicago1990., p.p. 269-270

**მაია კაჭარავა**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,**
**არქიტექტურის ინსტიტუტი, დოცენტი**

# არქიტექტურის ზოგიერთი ასპექტი რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში

ისტორიკოსები და პოლიტიკური მიმომხილველები სამართლიანად უწოდებენ 1980-იან წლებს „რეიგანის იმპერიის ხანას". რეიგანის პრეზიდენტობის დროინდელი არქიტექტურა ნიშნავს მდიდრულ, ბრწყინვალე და ექსტერიერის ექსპრესიონიზმზე დამყარებულ არქიტექტურას, რომელიც მდიდართა კლასის მსოფლმხედველობას და გემოვნებას გამოხატავდა არქიტექტურულ ნაგებობებში.

ამერიკის არქიტექტურაში 1980-იანი წლები დასაბუთებულად წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დროინდელ არქიტექტურის საუკეთესო პერიოდს. ამ პერიოდის ნაგებობები შედარებით უფრო ჰუმანური, ემოციურად დატვირთული, მგრძნობიარე იყო და აკმაყოფილებდა ყველა ფიზიკურსა და კულტურულ მოთხოვნას.

თუ ჩავთვლით, რომ არქიტექტურა ასახავს მისი თანამედროვეობის ფასეულობებს, შეიძლება ითქვას, რომ 1980-იანი წლების ამერიკის არქიტექტურა იყო ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ის დონე, რომელიც ზედმიწევნით კარგად, და შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულად ასახავდა იმ დროინდელი ამერიკის ცხოვრებას.

1920-იანი წლების მსგავსად, 1980-იანი წლებიც იყო არაჩვეულებრივი აყვავებისა და ეკონომიკური ზრდის წლები, არქიტექტურა, ისევე როგორც ყველაფერი, გახდა სავაჭრო ობიექტად და მარკეტინგის იარაღად. ისევე, როგორც ლივაისის სახელი წარმატებით ყიდდა ჯინსებს. ასევე გამოჩენილი არქიტექტორების სახელები წარმატებით ყიდდნენ და აქირავებდნენ ნაგებობებს.

1980-იანი წლების არქიტექტურა და დიზაინი იყო არც ახალი და არც რევოლუციური. მაგრამ მის წინაშე დადგა ამოცანა – გამხდარიყო უფრო რესპუბლიკურ-კონსერვატიული და შთამბეჭდავი. ამით უნდა გამოეხატა საზოგადოების ეკონომიკური სიძლიერე. ბევრი არქიტექტორი ამ მოთხოვნების დასაკმაყოფი-

ლებლად ეძებდა შემოქმედებით შთაგონებას წარსულში. არქიტექტორები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე არსებული ყველა სტილი. ეს იყო ნეორაციონალიზმი, ნეოკლასიციზმი, ნეოდეკო, ნეომოდერნიზმი. ეკლექტიციზმის მომხიბვლელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის სრულიად თავისუფალი იყო დოგმებისა და იდეოლოგიისაგან.

უპირველეს ყოვლისა, არქიტექტურა გახდა ღირსშესანიშნავი და არაჩვეულებრივი ხელოვნება და კიდევ – ბიზნესი. 80-იანი წლების ნაგებობის ყველაზე უპირატესი სტილი, ისევე როგორც 20-იან წლებში გახდა კომერციული – საოფისე შენობები. ზოგიერთმა კორპორაციამ დაიწყო აშენება ახალი შტაბ-ბინების. ზოგიერთი კერძო ინსტიტუტები და განსაკუთრებით კი ხელოვნების და კულტურის ინსტიტუტები გაფართოვდა და ამ პერიოდის შეძლებული საზოგადოების ნაწილი, რომელიც არ მალავდა თავის სიმდიდრეს, აშენებდა მშვენიერ, გამოჩენილი არქიტექტორების მიერ დაპროექტებულ ნაგებობებს.

80-იანი წლების შუა ხანებში არქიტექტურამ დაკარგა თავისი როლი და პირდაპირი დანიშნულება. კომერციული პროექტების ზრდასთან ერთად, არქიტექტორებს ხშირად აძევებდნენ სამშენებლო საქმიდან ისეთი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ კონსტრუქტორები და პროგრამისტები. დამპროექტებელი არქიტექტორების კვალიფიკაცია ნელ-ნელა უფრო გამოიყენებოდა ფასადებისა და შიდა ინტერიერის დიზაინის გადასაწყვეტად და არა მთლიანად ნაგებობების დაკომპლექტებისას, როგორც ეს ხდებოდა მოდერნისტულ დეკადაში.

არქიტექტორების პოსტმოდერნიზმის პირველი ტალღა ხაზს უსვამდა ნაგებობების ზედაპირის დამუშავებას და ამიტომაც ამახვილებდა ყურადღებას ისეთ ელემენტებზე, როგორიც იყო ორნამენტი, საშენი მასალა, ფერი და ტექსტურა. 80-იანი წლების ნაგებობების დეტალიზაცია იყო ყველაზე დახვეწილი და შთამბეჭდავი 20-იანი წლების შემდეგ. გემოვნებამ შეცვალა დოგმა; ფასადების სრულყოფილმა და დახვეწილმა გადაწყვეტამ შეცვალა ნახევრად დამთავრებული შესახედაობის ნაგებობების მშენებლობა. რაც მთავარია, 1980-იანი წლების არქიტექტურის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იყო ამერიკული ქალაქების ცენტრალური ნაწილის – downtown-ების გადაწყვეტა. downtown-ებს, რომლებიც მოდერნიზმის ეპოქის მსხვერპლი აღმოჩნდნენ, მო-

დერნიზმისა,რომელიც აკეთებდა აქცენტს ნაგებობებზე,როგორც დამოუკიდებელ ობიექტებზე. downtown-ები კი ამ ნაგებობების მხოლოდ არითმეტიკული კრებული იყვნენ. პოსტმოდერნიზმის ეპოქამ შთაბერა სული downtown-ებს, იზიარებდა რა რობერტ გედეს აზრს, რომ დიდი ქალაქები და მათი ცენტრები - ეს არ არის მოუწესრიგებელი კონგლომერაცია მაღალ დონეზე შესრულებული ნაგებობებისა, არამედ ეს არის ნაზად მოქსოვილი ქსოვილი, რომელშიც თითოეული ნაგებობა არის ლოგიკური და უცვლელი შემადგენელი ნაწილი ერთი მთლიანისა. ამავე დროს დიდი განვითარება ჰპოვა ლანდშაფტის არქიტექტურამ, რომელმაც საინტერესო გადაწყვეტილება მონახა ბუნებისა და ინდივიდუალური ნაგებობების დაკავშირებაში. ახალი downtown-ების მშენებლობა მოთხოვნის მიხედვით მიმდინარეობდა ეგრეთ წოდებულ ძველ საფესტივალო-საბაზრო ადგილებზე,რომლებიც საკმაოდ სტანდარტიზებული და ამის გამო ძალიან მსგავსი იყო ბევრ ქალაქში. უნდა აღინიშნოს,რომ პოსტმოდერნიზმის ეპოქის სრულყოფილი, დახვეწილი და ელეგანტური downtown-ები ასახავდნენ სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის ზღვარს, განსაკუთრებით სწრაფად მზარდ უსახურ და კრიმინალურად არც თუ ისე უსაფრთხო გეტოებთან შედარებით.

1980-იანი წლების არქიტექტურა, რეალურად ჩამოყალიბდა 1983 წლიდან, როდესაც ეკონომიკამ დაიწყო აჩქარებული ტემპით ზრდა,ვარდნისა და ინფლაციის წლების შემდეგ. დეკადის პირველი სამი წელი ჩანს როგორც 70-იანი წლების სტილის გაგრძელება, როცა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა გამოაცხადა ენერგეტიკის კრიზისი - „ომის მორალური ექვივალენტი" და არქიტექტორებმაც გაითავისეს რა ქვეყნის პრობლემები, გამოხატეს თავიანთი განწყობილება ნაცრისფერი, უხეში ნაგებობების დაპროექტებაში.

1980-იანი წლების დასაწყისში არქიტექტურაში ჩვენ შეიძლება მაინც შევამჩნიოთ დეკადის მომავალი პრიორიტეტები, რომლებიც გამოჩნდა 1980 წლის ვენეციის ბიენალეზე. ამერიკა მონაწილეობდა „La Strada Novissima"-ს სახელწოდებით და შედგებოდა რობერტ შტერნის, რობერტ ვენტურის, სტენლი ტიგერმანის და სხვათა მიერ შესრულებული პროექტებისაგან, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ფასადები. 80-იანი წლების არქიტექტურა ეს იყო ფასადების არქიტექტურა, რომელიც ამახვილებდა ყურადღებას

კომპოზიციაზე, ფერზე და ექსპრესიაზე – გამომხატველობაზე.

ყველაზე ცნობილი და აღსანიშნავი იყო 1980 წელს არქიტექტორების, ფილიპ ჯონსონისა და ჯონ ბურჯეს მიერ აშენებული კრისტალური ტაძარი კალიფორნიაში.

მისი პატრონი იყო ტელეევანგელისტი რობერტ შულერი, რომლის ძირითადი მესიჯი - „რომ გზა სიმდიდრისაკენ გაკვალულია თვით რწმენით" მოახლოებული დროის – მდიდართა ინტერესების გამომხატველი დროის მესიჯს იზიარებდა და მის მიერ აშენებული 18 მილიონი დოლარის ღირებულების ნაგებობა რეიგანის დროინდელი ნაგებობების „პიონერს" წარმოადგენდა.

იმავე დროს, 1981 წელს არკანზასში შენდება რელიგიური ნაგებობა ფეი ჯონზ-ის მიერ - Thorncrown Chapel-ი. ნაგებობა წარმოადგენს ხელით დამუშავებულ, არაჩვეულებრივად ლამაზ, ინდივიდუალურად დამზადებულ ხის მასალის კონსტრუქციას, რომელიც ძალიან კარგად მიესადაგება იმ გარემოს - ტყეს, სადაც არის აშენებული.

ორივე ნაგებობა, კრისტალ კათედრალიც და ტორნკრაუნის შაპელიც (რომელშიც ფრანკ-ლლოიდ რაიტის დიდი გავლენა ჩანს), ამოვარდნილი არიან პოსტმოდერნიზმიდან.

პოსტმოდერნიზმის პირველი ნიმუშები 80-იანი წლების არქიტექტურაში გახდა N. Y. –ის AT&T-ს სათაო შენობა დაპროექტებული 1973 წელს და აშენებული 1983 წელს ფილიპ ჯონსონისა და ჯონ ბურჯეს მიერ. ეს იყო მცდელობა კლასიკური ტიპის ცათამბჯენების დაპროექტების აღდგენისა, რომელიც მდგომარეობდა ნაგებობის სამ ნაწილად დაყოფაში: ბაზა, შუა და ზედა ნაწილი.

AT&T აღმოჩნდა მუდმივი ყურადღების ცენტრში მას შემდეგ, რაც ჟურნალმა Times-მა გამოაქვეყნა ფილიპ ჯონსონის სურათი AT&T-ის ნაგებობის მოდელით ხელში; დაიწყო ცნობილი არქიტექტორების მოღვაწეობის აყვავების ხანა.

მეორე მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო მაიკლ გრეივსი-ს Public Services Corporation-ის ნაგებობა ორეგონის შტატში, რომლის გარშემოც ისეთივე აჟიოტაჟი ატყდა, როგორც AT&T-ს გარშემო. ნაწილობრივ ეს იყო ჯონსონის დამსახურება, რომელიც პორტლენდ პროექტის არქიტექტორთა კონკურსში პროფესიული მრჩევლის როლში გამოდიოდა და უპირატესობა მიანიჭა Graves-ს.

მას უნდოდა თავისი საყვარელი მოწაფისთვის მიეცა სა-

შეალება, რათა მას ქაღალდზე არსებული იდეები რეალურად განეხორციელებინა. მოდერნისტული თავისი კუბური ფორმით და პოსტმოდერნისტული თავისი ფერითა და კლასიკური ორნამენტაციით Portland-ის ნაგებობა იყო პირველი დიდმასშტაბიანი მნიშვნელოვანი კომერციული ნაგებობა VenturI-Graves-Stern თაობის ნაგებობათა შორის. ამავე დროს, მასაც დაატყდა ძლიერი კრიტიკის ქარცეცხლი.

პროექტების კონკურსის განხილვის დროს, პიეტრო ბელუშიმ მას დაარქვა „დიდი მუსიკალური ყუთი და შეფუთული საშობაო საჩუქარი". გრეივსის მცირე ცათამბჯენმა – Humana-ს კოშკმა ლუისვილში (კენტუკი) უფრო დიდი მოწონება დაიმსახურა.

გრეივსი გახდა არქიტექტურის ერთ-ერთი პოპულარული ვარსკვლავი – „starchitect-ი". მის შესახებ იბეჭდებოდა სტატიები ჟურნალ „People"-ში, მისგან იღებდნენ ინტერვიუებს სხვადასხვა ტელეარხები, უკვეთავდნენ ქსოვილების, ავეჯისა და ჩაის ფინჯნების დიზაინს და მისი ნახატები და პროექტები იყიდებოდა ათასობით დოლარად ნიუ-იორკ-სიტის გალერეებში.

1980-იანი წლების პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ ურბანისტულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სეზარ პელის მსოფლიო ფინანსური ცენტრი მანჰეტენზე, Battery Park City-ში, რომელიც წარმოადგენდა შტატის, ქალაქის და კერძო ინვესტიციებისა და მენეჯმენტის კომბინირების ექსპერიმენტს.

მიუხედავად იმისა, რომ Pelli-მ შექმნა თამამი, სინთეზური სტილი თანამედროვე ცათამბჯენისა – („ზემოთ ატაცებული, დაჭიმული და „თხელკანიანი"), იგი შეეცადა შეენარჩუნებინა ცათამბჯენების ძველი კომპოზიციური გადაწყვეტა. ეს ახალი კოშკების – ცათამბჯენების დაჯგუფება მანჰეტენზე გახდა ურბანიზმის ახალი მოდელი, რომელმაც აჩვენა, რომ უშველებელი ნაგებობები შეიძლება კარგად შეერწყას ძველი ქალაქის მცირემასშტაბიან ნაგებობებს და შექმნას ერთიანი კომპლექსი.

ამ ექსპერიმენტის შედეგად დაიწყო ახალი ტიპის ცათამბჯენების დაპროექტება და ბევრი ამერიკული ქალაქის მაღლივი კონტურის (skyline)-ის შეცვლა. ამ პროექტებში აქტიურად ჩაებნენ სკიდმორი (Skidmore), ოუვინგი და მერილი (Owing and Merill), ჯონსონ ბურჯე და კონ ედერსონ ფოქსი (Kohn Pedersen Fox). ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი დონის პროექტები, რომლებსაც ისეთივე რეზონანსი ექნებოდათ, როგორც გააჩნდათ

Empire state-ს, Chrysler-ს და სხვ.

იმის შედეგად, რომ არქიტექტორების მცირე რიცხვი აპროექტებდა ნაგებობების დიდ რიცხვს, ამერიკის მთელ ტერიტორიაზე, მოხდა ურბანული არქიტექტურის ჰომოგენიზაცია და რეგიონალიზმის ბევრი სასარგებლო და საინტერესო მომენტებისაგან უკანდახევა, რამაც გამოიწვია მრავალი ე.წ. „ურბანული დასახლების" გაჩენა, რომელიც არც ქალაქს წარმოადგენდა და უკვე არც ძველი დასახლების შარმი ჰქონდა.

გაცილებით დიდი და დამაჯერებელი წარმატება მოიპოვა 80-იანი წლების აქრიტექტურაში მუზეუმების დაპროექტებამ და აშენებამ. 80-იან წლებში დაიწყო მუზეუმების მშენებლობის ბუმი. ამ მხრივ აღსანიშნავ „მარგალიტებს" წარმოადგენს Richard Meier (რიჩარდ მეიერის) მუზეუმი ატლანტაში (ჯორჯია) და მუზეუმი ფრანკფურტში; ჩარლზ მურის (Charles Moore) – Hood-ის მუზეუმი დარტმუდის კოლეჯში. (Hary Cobb's)-ის ხელოვნების მუზეუმი პორტლანდში. ტ. მ. პეი-ს (T. M. Pei) პირამიდა ლუვრის მუზეუმში; რენცო პიანო-ს (Renzo Piano) Menil collection-ი ჰიუსტონში. 80-იანი წლების მუზეუმები გამოირჩეოდა დაგეგმარების მრავალფეროვნებით, მათთვის დამახასიათებელი იყო დიდი განათებები, მზიანი და ნათელი საექსპოზიციო დარბაზები და რაც მთავარია, როგორც ყველაფერი ამ დეკადაში, მზარდი კომერციულობა. მუზეუმის მაღაზიები საკმაოდ დიდი შემოსავლის წყარო გახდა. ზოგ მუზეუმს ჰქონდა თავისი საოფისე და კონდომინიუმების ფართიც. ამ მხრივ აღსანიშნავია სეზარ პელი-ს Muzeum of Modern Art.

80-იანი წლების არქიტექტურამ მოიპოვა თუ არა პოპულარობის სტატუსი, გამომცემლობებმა და ჟურნალებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს მას. ტელევიზია კი ჩამორჩებოდა ახალი არქიტექტურის შეფასებაში. სხვადასხვა პრესაში მიმდინარე დებატების შედეგები ძალიან ხშირად საკამათო იყო. 1981 წელს სოციალურმა კრიტიკოსმა და ავტორმა ტომ ვოლფმა (Tom Wolfe) მიიტანა იერიში მოდერნისტულ არქიტექტურაზე ნაშრომში „From Bauhaus to Our House", - ბაუჰაუსიდან ჩვენს სახლამდე. ვოლფმა მოდერნისტული არქიტექტურა დაახასიათა

როგორც სამყაროზე თავსმოხვეული შეთქმულება, ევროპელ ინტელექტუალთა ჯგუფის მიერ. მისი წიგნი, რომელმაც ანალოგიურად გააკრიტიკა პოსტმოდერნიზმი, საკმაოდ კარგად მიიღეს

სხვადასხვა იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის არქიტექტორებმა. ზოგჯერ ცუდი პაბლისიტიც კარგია. არქიტექტურა წლების განმავლობაში არ ყოფილა მსჯელობის საგანი პრესის ფურცლებზე და ტელევიზიაში და 80-იან წლებში უცბად კი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. რობერტ სტერნის (Robert A.M. Stern) რვა სერიანი ფილმი “Pride of Place” გადავიდა საზოგადოებრივ ტელევიზიაზე 1986 წლის გაზაფხულზე. რადგან გამიზნული იყო ეჩვენებინა ავტორის პერსონალური ხედვა ამერიკული არქიტექტურისა, ფილმი Wolfe-ის იდეების გავლენის ქვეშ მოექცა. 1987 წელს საზოგადოებრივ ტელევიზიაში გავიდა არქიტექტურის ისტორიის სპირო კოსტოფი-ს (Spiro Kostof) სერიალი „America by Design“. უფრო ამბიციური, ვიდრე „Pride of Place”. ეს იყო ფილმი უფრო არქიტექტურის ისტორიის შესახებ. სოციოლოგიური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ასპექტების შესახებ, რომლებიც აყალიბებდნენ ამერიკულ სამშენებლო. გარემოს.

დეკადის მიწურულს 80-იანი წლების დასაწყისის სტილისტური ბრძოლები, დამალული და უსაფუძვლო არგუმენტები, ისევე როგორც ცივი ომის აუცილებლობა, დღის წესრიგიდან ამოვარდა. დეკადის ბოლოსათვის საუკეთესო არქიტექტორები იყენებდნენ თავიანთ შემოქმედებით პოტენციალს და ქმნიდნენ შესანიშნავ ნაგებობებს, რითაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი წარმავალია ხარისხის გარდა.

ჯონსონი (Johnson) თავისი ეკლექტიციზმითა და ჰისტორიციზმით იქცა 80-იანი წლების დასაწყისისა და შუა პერიოდის არქიტექტურული ტენდენციების ბარომეტრად, ხოლო გერი (Gchry) – პირიქით, გულგრილად უყურებდა ცვლილებებს და ძირითადად მუშაობდა არაისტორიულ, აბსტრაქტულ იდეებზე, რაც განსაკუთრებით წარმოჩინდა ათწლეულის ბოლოს. მიუხედავად ამ ორი არქიტექტორის განსხვავებული მსოფლმხედველობისა, ისინი იმდროინდელ არქიტექტურას აღიქვამდნენ როგორც ხელოვნების ერთადერთ საუკეთესო დარგს. შედეგად მიღებულ იქნა ნაყოფიერი დეკადა, რამაც შეცვალა და დახვეწა არქიტექტურა, კერძოდ; ჰისტორიციზმი შეიცვალა მინიმალისტური აბსტრაქციონიზმით, რეგიონალიზმი – კორპორაციული ინტერნაციონალიზმით, ხოლო ორგანული არქიტექტურა მაღალი ტექნოლოგიებით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. American Architecture of the 1980s. The American Institute of Architects Press Washington D.C. 1990
2. Lou Cannon, Reagan, a Perigee book, 1984
3. M. Trachtenberg I. Hyman.,Architecture from Prehistory to Post-Modernism 1986.
4. R. Langley Sommer., American Architecture crescent books, N.Y. 1996
5. James Stirling. Architectural Design Portfolio. London. St. Martins Press 1982.
6. Garry Wills. Reagan's America., .Penguine Books, 1988

**ნინო კიღურაძე**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი**

## მოიგო თუ არა რონალდ რეიგანმა „ცივი ომი“?

„ცივი ომი“ დამთავრდა იმდენად სწრაფად და მოულოდნელად, რომ როგორც ვაცლავ ჰაველმა ზუსტად შენიშნა, „გაოცებაც კი ვერ მოვასწარით“. ბუნებრივია, „ცივი ომის“ დასრულებისთანავე გაჩაღდა კამათი იმის თაობაზე, თუ ვის და რას უნდა მივაწეროთ მოვლენათა ეს უეცარი შემობრუნება, რადგან საბჭოთა ბლოკის დაშლის სახით მსოფლიო შეეჯახა სრულიად ორიგინალურ ფენომენს: საბჭოთა ბლოკი და შემდგომ სისტემაც, დაინგრა დროის უაღრესად მცირე მონაკვეთში, მეტ-ნაკლებად უსისხლოდ, სახელმწიფოთა შორის ომისა და რაიმე განსაკუთრებული შინასისტემური კრიზისის გარეშე. როგორც სტრობ ტელბოტი წერდა, თუკი საბჭოთა კავშირი მოცულია კრიზისით, „ესაა პერმანენტული, ინსტიტუციონალიზებული კრიზისი, რომელში ცხოვრებაც ნასწავლი აქვს საბჭოთა კავშირს“.(1) მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ პრეზიდენტ რეიგანის პოზიციამ საბჭოთა კავშირის მიმართ, პირველ რიგში მისმა მტკიცე უარმა, შეეჩერებინა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის (SDI) განხორციელება, ამოუწურა საბჭოთა კავშირს დასავლეთთან შეიარაღებაში შეჯიბრის რესურსები, აიძულა ის მიჯდომოდა მოლაპარაკებათა მაგიდას და წასულიყო დათმობებზე ევროსტრატეგიული, სტრატეგიული თუ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხებში, ანუ სწორედ რეიგანის მხრიდან შეკავებისა და დაშინების პოლიტიკის ურყევმა მიმდევრობამ დააჩოქა საბჭოთა კავშირი. თუმცა ამ მოსაზრებას ასევე ბევრი უარყოფდა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთმა კი არ მოიგო „ცივი ომი“ გეოპოლიტიკური შეკავებითა და სამხედრო დაშინებით, მითუმეტეს არ მოუგია ის რეიგანს შეიარაღების ზრდით, არამედ „ცივ ომს“ ბოლო მოუღეს „ახლებურად მოაზროვნე“ საბჭოთა ლიდერებმა.(2) მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ შეიარაღების ზრდით რეიგანმა სიცოცხლე კი არ მოუსწრაფა საბჭოთა ბლოკს, არამედ პირიქით, გაუხანგრძლივა, შეუშალა რა გორბაჩოვს ხელი რეფორმების გატარების სურვილის განხორციელებაში. (3)

„ცივი ომის“ დასრულებამ სერიოზული გამოცდა მოუწყო

საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორც სამეცნიერო დისციპლინას. ეს მოვლენა ხომ მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან თეორიათაგან ვერც ერთმა ვერ შეძლო ამის წინასწარმეტყველება.(4) მრავალმხრივი კრიტიკის მთავარი სამიზნე ნეორეალისტური სტრუქტურული თეორია გახდა, რომელიც უდავოდ დომინირებდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ათწლეულების მანძილზე. ნეორეალიზმს აკრიტიკებდნენ მისი არაისტორიული სტატიკურობის, მხოლოდ უცვლელობაზე ყურადღების კონცენტრირებასა და ცვლილებათა უგულებელყოფის, აგენტისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართებაში სტრუქტურისათვის განმაპირობებელი როლის მინიჭების და აგენტის, როგორც საგარეო, ისე საშინაო ქმედების თავისუფლების სტრუქტურის მოთხოვნებთან ადაპტირებამდე დაყვანის გამო. ამ თეორიაში მით უფრო არ რჩება ადგილი სოციალური, ჯგუფური თუ ინდივიდუალური ქმედების მნიშვნელობისათვის. გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რატომ „გამორჩა" ნეორეალიზმს მხედველობიდან გასული საუკუნის უმნიშვნელოვანესი გარდატეხა – საბჭოთა სისტემის მსხვრევა და მისი უშუალო ზემოქმედებით საერთაშორისო სისტემის ცვლილება.

ჩვენი დღევანდელი თავშეყრის მიზეზიდან გამომდინარე, ვშიშობ, გარკვეულწილად იმედი უნდა გაგიცრუოთ, რადგან ნამდვილად არ წარმოვადგენ „Reagan Victory School"-ს. მე ჩემს ადგილს უფრო მათ გვერდით ვხედავ, ვინც თავს „კონსტრუქტივისტებს" უწოდებს და შესაბამისად „ცივი ომის" დასასრულს ამ პოზიციიდან ვუდგები. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ მიდგომისათვის ინდივიდის მოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია, განმსაზღვრელიც კი საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებისათვის. ამდენად, მე შევეცდები სათანადოდ წარმოვაჩინო რონალდ რეიგანის პირადი შეხედულებებისა და ქმედების როლი საერთაშორისო სისტემის ცვლილებაში, რაც მოჰყვა საბჭოთა ბლოკის დაშლას. მით უფრო, რომ დღევანდელი ჩემი მოხსენება ნაწილობრივ ინსპირირებულია რამდენიმე ფრაზით ჰ. კისინჯერის ცნობილი წიგნიდან „დიპლომატია". კისინჯერი ერთგან მოუწოდებს ისტორიკოსებს ახსნან, თუ როგორ შეძლო ამ ნაკლებად ინტელექტუალურმა კაცმა, აღჭურვილმა უკიდურესად მწირი აკადემიური ცოდნით, რომელმაც თითქმის არაფერი იცოდა ისტორიის შესახებ, ზედმიწევნით თანმიმდევრული და ეფექტური საგარეო პოლიტიკის

წარმართვა. ამავე დროს, ის ხაზს უსვამს რეიგანის განსაკუთრებულ ინტუიციას და საღ აზრს. მეორეგან კი აღნიშნავს, რომ „როგორც ყველა მსახიობი, რეიგანიც კლასიკური ინდივიდუალისტი იყო - ეგოცენტრული და ამავე დროს მომხიბლავი".(5)

მანამდე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად მიმაჩნია დავაზუსტო, თუ რას ვგულისხმობ „კონსტრუქტივისტულ" მიდგომაში, რადგან არსებობს კონსტრუქტივიზმის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებსაც სხვებთან ერთად პოსტმოდერნისტულ მიდგომასაც მიაკუთვნებენ.(6) ამ განმარტებას დავესესხები ფრიდრიხ კრატოხვილს და რეი კოზლოვსკის: „საერთაშორისო სისტემის მატერიალური რესურსების განაწილებისა და აქტორთა ზურგს უკან უხილავი სტრუქტურის მოქმედების სახით მოაზრების ნაცვლად, კონსტრუქტივიზმი ხედავს მას, როგორც ადამიანის მიერ შექმნილი ინსტიტუტების, როგორიცაა სახელმწიფო (მაგრამ არა მხოლოდ), მოქმედების პროდუქტს". „ვირჩევთ რა კონსტრუქტივისტულ მიდგომას, ვამტკიცებთ, რომ პოლიტიკაში, როგორც საშინაო, ისე საგარეო აქტორები ქმნიან და ცვლიან სისტემებს საკუთარი მოქმედებით. ყოველი მოცემული საერთაშორისო სისტემა არსებობს არა უცვლელი სტრუქტურების მიზეზით, არამედ ამ სისტემათა სტრუქტურების არსებობაა დამოკიდებული აქტორთა მოქმედებაზე. საერთაშორისო სისტემის ფუნდამენტური ცვლილება ხდება მაშინ, როცა აქტორები თავიანთი მოქმედებით ცვლიან საერთაშორისო ინტერაქციის განმსაზღვრელ წესებსა და ნორმებს". ამას გარდა, „საერთაშორისო აქტორების (ანუ სახელმწიფოების) პრაქტიკის შექმნა დამოკიდებულია საშინაო აქტორების (ანუ ინდივიდებისა და ჯგუფების) პრაქტიკის წარმოქმნაზე; ამდენად, ფუნდამენტური ცვლილებები საერთაშორისო პოლიტიკაში ხდება მაშინ, როცა იცვლება შინაპოლიტიკური აქტორების შეხედულებები და იდენტობები, რითაც იცვლება მათი პოლიტიკური პრაქტიკისათვის ფუძემდებლური წესები და ნორმები".(7)

თუ ასე მივუდგებით „ცივი ომის" დასრულებას, დავინახავთ, რომ ეს არ იყო სტრუქტურის „უხილავი ხელით" მართული პროცესი. „ცივი ომი" დაიწყო აღმოსავლეთ ევროპაში, როცა სტალინმა ცვლილებები შეიტანა ევროპული სისტემისათვის ჩვეულ თამაშის წესებში და აღმოსავლეთ ევროპაშივე დასრულდა, როცა გორბაჩოვმა „ბრეჟნევის დოქტრინა" „სინატრას დოქ-

რიჩით" შეცვალა (გენადი გერასიმოვის ცნობილი ხუმრობა, 1989 წლის ოქტომბერი).

საკითხის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ გორბაჩოვის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკური გარდაქმნები საბჭოთა სისტემის დანგრევას კი არა, პირიქით, მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

ადამ მიხნიკის შეფასებით, ეს იყო „სოციალისტური კონტრრეფორმაცია" და არა ლიბერალური თუ სოციალური დემოკრატიის მაუწყებელი რეფორმები, ანუ გორბაჩოვი მსოფლიოს არ სთავაზობდა რაიმე განსაკუთრებულ სიახლეს, არამედ მისი გარდაქმნები არსებულ მსოფლიო წესრიგში უპირატესობის მქონე ნორმასთან, იქნებოდა ეს „ცივილიზაცია", „დემოკრატია" თუ „დასავლეთი", ადაპტირების მცდელობა იყო. ჰაბერმასის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, - ეს იყო nachholende Revolution, ანუ რევოლუცია ჩამორჩენის დასაძლევად.(8) აღმოსავლეთ ევროპაზე ზეწოლის შესუსტებაც მასზე კონტროლის შენარჩუნების სურვილით იყო ნაკარნახევი. გორბაჩოვი სოციალისტური ბლოკის აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში ხელისუფლებაში „მინი გორბაჩოვების" მოსვლას იმედოვნებოდა (ფიოდორ ბურლაცკი), რომლებთანაც გაუადვილდებოდა თანამშრომლობა „ერთიან ევროპულ სახლში".(9) ბლოკის შიგნით ძირეული ნორმების შეცვლასთან ერთად, გორბაჩოვმა ზესახელმწიფოთა ურთიერთობის წესების შეცვლაც განიზრახა. საბჭოთა რეფორმატორი ლიდერის ამ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთში „პალმეს კომისიის ფარგლებში" შემუშავებულმა „აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთო უსაფრთხოების" იდეამ, რომელიც მას ახლებურად მოაზროვნე ე.წ. „ინსტიტუტშჩიკებმა" მიაწოდეს მისი მრჩევლების ალ. იაკოვლევისა და ე. პრიმაკოვის მეშვეობით.(10)

სრულიად ნათელია, რომ გორბაჩოვმა აღმოსავლეთ ევროპის მიმართ გატარებულ პოლიტიკაში ვერ გათვალა მის მიერ ინიცირებული ცვლილებების მასშტაბი, სიღრმე და სისწრაფე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სისტემა ათწლეულების მანძილზე ცდილობდა დაპყრობილ ქვეყნებში სამოქალაქო და პრივატული სფეროს, ასე ვთქვათ, „კოლონიზებას", როგორც ადამ მიხნიკი წერდა, „სისტემატურად ანგრევდა სოციალურ კავშირებს, პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციებს, სპორტულ ასოციაციებს,

პროფესიულ გილდიებს, აუქმებდა სამოქალაქო უფლებებსა და ართმევდა კერძო საკუთრებას", თესავდა უნდობლობას საზოგადოების წევრთა შორის (მარტო გდრ-ის STASI-ის მაგალითი რად ღირს, როცა ყოველი მეათე მოქალაქე მისი თანამშრომელი იყო), რათა მოეშალა ნებისმიერი სახის პრივატული, მეგობრული თუ სამოქალაქო კავშირი საზოგადოების წევრთა შორის, საზოგადოებამ მაინც მოახერხა თვითორგანიზება, ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აღდგა სისტემის წინააღმდეგ და დაანგრია ის, გამოაცალა რა მის ინსტიტუტებს ფუნქცია და შინაარსი.

კოზლოვსკი და კრატოხვილი აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა სისტემის პრობლემა იყო – და ეს ცხადყოფს რეალისტური პარადიგმის არაადეკვატურობას, რომელიც ახდენს სოციალური წესრიგის იდენტიფიცირებას იერარქიის არსებობასთან, - რომ ის წარმოშობდა ჰობსისეულ "diffidence"-ს და ბუნებით მდგომარეობას საზოგადოების წევრთა შორის სწორედ იმიტომ, რომ არსებობდა ცენტრალური ხელისუფლება".(11) მე მხოლოდ ერთს დავძენდი, რომ საზოგადოებრივ სფეროში სისტემის ასეთი ინტენსიური შეჭრის მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმის პირობებში სამოქალაქო სფერო არსებობდა და ვითარდებოდა სისტემისაგან დამოუკიდებლად, მისგან მოწყვეტით, მასთან მუდმივ დაპირისპირებაში საკუთარი წესებისა და ნორმების დაცვით. მას ჰქონდა სისტემისგან მკვეთრად გამიჯნული საკუთარი იდენტობა, რამაც, ვფიქრობ, განაპირობა აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლის რევოლუციური ცვლილებების დროს სამოქალაქო საზოგადოების ასე სწრაფად ჩამოყალიბება. მოგვიანებით იგივე პროცესები განმეორდა უშუალოდ საბჭოთა კავშირში, თავად ფორმალურ იმპერიაში შემავალ ქვეყნებში.

გაცილებით უფრო მეტად ვიდრე აღმოსავლეთ ბლოკის პოლიტიკაში, გორბაჩოვს ბედმა ზესახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დონეზე გაუღიმა, რადგან იქ მას შეხვდა პარტნიორი, რომელიც მზად აღმოჩნდა ცვლილებების მისაღებად.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დაახლოებისა და „ცივი ომის" დასრულების გაანალიზებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია რეიგანის შეხედულებათა ცვლილება, როგორც ამ პროცესისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორის.

შემეცნების ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მარტივი, არადი-

ფერენცირებული წარმოდგენები უფრო ადვილად ექვემდებარებიან ცვლილებას, ვიდრე რთული შეხედულებები, შემდგარი მონესხობრივი გაანრების მეშვეობით მრავალი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისაგან.

ასე რომ, „ცივი ომის“ მოკლე ვადაში დასრულების თვალსაზრისით კარგიც იყო, რომ რონალდ რეიგანის წარმოდგენა პოლიტიკაზე არ იყო დამძიმებული სტრუქტურებისა და სისტემების შესახებ აკადემიური ცოდნით, რომ ის, კისინჯერის თქმით, „სულაც არ ფიქრობდა, რომ დაძაბულობას სტრუქტურული თუ გეოპოლიტიკური მიზეზები აქვს“.(12)

თავდაპირველად, როცა რეიგანმა საბჭოეთი „ბოროტების იმპერიად“ გამოაცხადა, მისი ეს მარტივი წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე კრიტიკოსებმა ასევე შეაფასეს. „პრიმიტიული“ იყო ერთადერთი შესატყვისი, რომელიც „ნიუ- იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა ენტონი ლუისმა მას მოუძებნა.

ამ წარმოდგენის შეცვლაში, რაც,' თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, ძნელი არ იყო, რეიგანს, ვფიქრობ, მისი პროფესია და პირადი თვისებები დაეხმარა. განსაკუთრებული ინტუიციითა და სადი აზრით დაჯილდოებული ეს კლასიკური ინდივიდუალისტი საბჭოთა კავშირის შეცნობას შეუდგა ისე, როგორც მსახიობი „შედის როლში“, წვდება საკუთარი პერსონაჟის ბუნებას. ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს, თუ რის საფუძველზე იქმნიდა რეიგანი წარმოდგენას საბჭოთა კავშირზე, რომლის შესახებაც, ისევ კისინჯერის მტკიცებით, თითქმის არაფერი იცოდა.

რეიგანის ანეკდოტების სახელგანთქმული კოლექცია თანდათანობით ივსებოდა საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი „სერიით“. დამატებით, „ხალხური შემოქმედების“ არსენალი მდიდრდებოდა რუსული ანდაზებით. აი, რეიგანის რამდენიმე ყველაზე საყვარელი ანეკდოტი ამ კოლექციიდან: მოსკოვში სასურსათო მაღაზიაში შედის მოხუცი კაცი და ეუბნება გამყიდველს: „გეთაყვა, მომეცით კილოგრამი საქონლის ხორცი, ნახევარი კილო კარაქი და 250 გრამი ყავა“. „არა გვაქვს“, პასუხობს გამყიდველი და კაციც ტოვებს მაღაზიას. მაშინ ამ საუბრის შემსწრე სხვა მყიდველი მიმართავს გამყიდველს: „ეს მოხუცი ალბათ ვერ იყო სრულ ჭკუაზე“. გამყიდველი პასუხობს: „ალბათ, მაგრამ რა მეხსიერება ჰქონდა!“. მეორე ანეკდოტია კაცზე, რომელიც მანქანას ყიდულობს, იხდის ფულს და შენაძენის წასაღებად ათი წლის

შემდეგ იბარებენ. კაცი კითხულობს: „როდის მოვიდე - დილით თუ საღამოს?“ და როცა გამყიდველი გაოგნებას ვერ მალავს, განუმარტავს მას: „იცით, დილით წყალგაყვანილობის ოსტატია მოსასვლელი“.(13)

ვფიქრობ, რეიგანის მიერ საბჭოთა კავშირის „ქვემოდან“ თუ „შიგნიდან“ შეცნობის ეს გზა, ყოველგვარი სისტემისა თუ სტრუქტურის თეორიული ანალიზის გვერდის ავლით, აბსოლუტურად სწორი იყო და ეფექტური გამოდგა. მით უფრო, რომ ის სწავლობდა ქვეყანას, რომელიც ნაკლებად იყო რაციონალურად გათვლადი, ქვეყანას, სადაც თუნდაც მარქსიზმის წყალობით გავლილი მოდერნიზაციის მიუხედავად, სავსებით მისაღები და სარწმუნო შეიძლება ყოფილიყო. მაგალითად ბრეჟნევის გარდაცვალების ახსნა მისი თილისმის, გენერალური მდივნისათვის დალაი ლამას მიერ ნაჩუქარი კატის სიკვდილით.

პოლიტიკისადმი რეიგანის, შეიძლება ითქვას, ცხოვრებისეული მიდგომა ვლინდება ასევე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანებისათვის განდობილ მის „ოცნებებში“. „ბრეჟნევით დაწყებული, ვოცნებობდი თვალებში ჩამეხედა საბჭოთა ლიდერისათვის მასთან პირისპირ შეხვედრაზე“,- ამბობდა რეიგანი, „ვფიქრობ, ამ გზით იმის მიღწევა შეიძლება, რასაც ჩვენი დიპლომატები ვერ ახერხებდნენ“. რეიგანის ერთ-ერთი ბიოგრაფი აღწერს პრეზიდენტის კიდევ ერთ ოცნებას, აჩვენოს გორბაჩოვს ამერიკა, ნამდვილი ამერიკა, შეახვედროს ამერიკელებს, რომლებიც ეტყვიან საბჭოთა ლიდერს, თუ რა კარგია ამერიკაში ცხოვრება.[14]

ეს მოხსენება დავიწყე ვაცლავ ჰაველის სიტყვებით და მინდა მისივე შეფასებით დავასრულო. როდესაც მას ვაშინგტონში ვიზიტად ყოფნისას (1997 წ). ჰკითხეს, თუ რა იყო „ცივი ომის“ დამთავრების არსებითი ფაქტორი, ჰაველმა უპასუხა: „ორივემ, რეიგანმაც და გორბაჩოვმაც დაიმსახურეს ქულები“, მათ გარეშე „ამას გაცილებით დიდი დრო დასჭირდებოდა“.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. D'Souza, D., How Reagan won the Cold War, in: Genest, M. (Ed.), Stand' World Politics, Coursewise Publishing, 1999, გვ. 119.

2. Garthoff, R., The Great Transition: American-Soviet Relations and the End of the Cold War, Washington, DC: Brookings Institution, 1994, გვ. 753.

3. Lebow, R., and Stein, J., Reagan and the Russians, Atlantic Monthly, 1994 Feb., 273(2), გვ. 37.

4. Lebow, R., and Risse-Kappen, Th., Introduction: International Relations Theory and the End of the Cold War, in: Lebow, R., and Risse-Kappen, Th. (Ed.), International Relations Theory and the End of the Cold War, New York, Columbia University Press, 1995, გვ. 1-2.

5. Kissinger, H., Die Vernunft der Nationen. Ьber das Wesen der AuЯenpolitik, Berlin, btb. 1996, გვ. 848-850.

6. Hobson, J.M., The State and International Relations, Cambridge University Press, 2000, გვ. 148.

7. Koslowski, R., and Kratochwil, F., Understanding Change in International Politics, in: Lebow, R., and Risse-Kappen, Th. (Ed.), op.cit., გვ. 128, 134.

8. Halliday, F., The End of the Cold War and International Relations: Some Analytical and Theoretical Conclusions, in: Booth, K., and Smith, S., International Relations Theory Today, Polity Press, 1997, გვ. 41.

9. Koslowski and Kratochwil, op.cit., გვ. 152.

10. Lebow and Risse-Kappen, op.cit., გვ. 14; Risse-Kappen, Th., Ideas do not Float Freely: Transnational Coalitions, Domestic Structures, and the End of the Cold War, in: Lebow, R., and Risse-Kappen, Th. (Ed.), op.cit., გვ. 198.

11. Koslowski and Kratochwil, op.cit., გვ. 141.

12. Kissinger, op.cit., გვ. 855.

13. D'Souza, op.cit., გვ. 120.

14. Kissinger, op.cit., გვ. 855.

**გიორგი კლდიაშვილი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი**

# რონალდ რეიგანი და მისი პოლიტიკა კუბის მიმართ

1959 წლის 2 იანვარს კუბის დედაქალაქ ჰავანაში სრული ტრიუმფით, გასროლის გარეშე პრომარქსისტულად განწყობილი მეამბოხეები შევიდნენ. დიქტატორ ფულხენსიო ბატისტას ქვეყანა უკვე დატოვებული ჰქონდა. კუბაში რევოლუციამ გაიმარჯვა. ეს იყო დასავლეთ ნახევარსფეროს პირველი მარქსისტული მერცხალი.ძალიან მალე აშკარა გახდა კუბის რევოლუციური მთავრობის ანტი-ამერიკული და პროაღმოსავლური (საბჭოური - გ.კ.) ორიენტაცია. ფიდელ კასტროს მიერ გატარებულმა რეფორმებმა, განსაკუთრებით კი უცხოური (უმეტეს წილად ამერიკული – გ.კ.) კომპანიების და ბანკების ნაციონალიზებამ, შეერთებული შტატების ინტერესებს ქვეყანაში საგრძნობი ზიანი მიაყენა. კუბამ მოახდინა შეერთებული შტატების 1-მილიარდიანი ქონების ექსპროპრიაცია. 1961 წლის იანვარში პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ფიდელ კასტროს კუბას ეკონომიკური ემბარგო დაადო. კასტრომ და მისმა წრემ ამის შემდეგ სოციალისტური სისტემისკენ უკვე ღიად აიღეს გეზი. ქვეყანაში საბჭოთა კავშირიდან ნედლეულის, სამრეწველო საქონლის მზა პროდუქციის და იარაღის დიდი დახმარებები დაიძრა.

1961 წლის 17 აპრილს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზებით „ღორების ყურეში" განხორციელდა კუბელ კონტრრევოლუციონერთა გადასხმა. ეს იყო შეერთებული შტატების ღია მხარდაჭერა ანტიკასტროისტული ძალებისადმი. გარდა ამისა, შეერთებული შტატების ეს მოქმედება უხეშად არღვევდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მისი მხრიდან კუბის საშინაო პოლიტიკაში უშუალო ჩარევას წარმოადგენდა. კონტრ რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ამერიკის მთავრობამ უკვე რეალურად დაიწყო მზადება კუბაზე ინტერვენციისათვის, რათა თავისი საზღვრიდან 90 მილის დაშორებით წარმოქმნილი ეს ურჩი კომუნისტური ბასტიონი საბოლოოდ მოეშალა. 1962

წლის ოქტომბრის მიწურულს კუბა და მთელი მსოფლიო ცივი ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტს განიცდიდა. კაცობრიობა ბირთვული საშიშროების უფსკრულის პირას აღმოჩნდა. კუბაზე ამერიკული მზვერავი თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტების სასტარტო მოედნების მშენებლობის აღმოჩენით დაიწყო „კუბის სარაკეტო კრიზისი". კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა ურთიერთდათმობების შედეგად მოხერხდა. საბჭოთა კავშირს კუბის ტერიტორიიდან უნდა გაეტანა ყველა სახის თავდასხმითი ხასიათის იარაღი, ხოლო შეერთებული შტატები პასუხისმგებლობას იღებდა განეხორციელებინა ინტერვენცია კუბაზე. ეს იყო ვაშინგტონის მიერ კასტროს რეჟიმის de faqto აღიარება და მასთან მოჩვენებითი modus vivendis დამყარება. კუბის და შეერთებული შტატების ურთიერთობებში ხანგრძლივი, მაგრამ არასტაბილური და ეფემერული status quo ჩამოყალიბდა. კუბა შეერთებული შტატებისთვის ერთ-ერთ ნომერ პირველ პრობლემად იქცა.

შეერთებული შტატების შემდგომი ადმინისტრაციების არც ერთმა მცდელობამ არ გამოიღო შედეგი კუბაში სხვადასხვა საბოტაჟის თუ ეკონომიკური პრობლემების შექმნით მოეხდინა ახალი რევოლუციური მთავრობის დისკრედიტაცია საკუთარი ხალხის თვალში. წარუმატებლად დამთავრდა აგრეთვე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული მთელი რიგი ოპერაციებიც, რომლებიც მიზნად ისახავდა ფიდელ კასტროს და კუბის რევოლუციის სხვა ლიდერების ფიზიკურად განადგურებას (ოპერაცია „მანგუსტი" – გ.კ.). კუბა კვლავ რჩებოდა სოციალისტური ბლოკის ერთ-ერთ მთავარ ანგარიშგასაწევ წევრად, ამერიკის კონტინენტზე კომუნიზმის პლაცდარმად და მისი იმპორტირების ძირითად ბაზად.

„კუბის სარაკეტო კრიზისიდან" მოყოლებული კუბის და შეერთებული შტატების ურთიერთობა დაკონსერვებულ, გაყინულ კონფრონტაციას წარმოადგენდა. თუ არ ჩავთვლით სიენფუეგოსის ყურეში საბჭოთა წყალქვეშა სანაოსნო ბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილ „მინი კრიზისს",(1) რომელსაც ადგილი ჰქონდა 1970 წლის ოქტომბერში, მათი დაპირისპირება ლოკალურ ფარგლებს საკმაოდ შორს გასცდა და ძირითადად პოლიტიკურ სისტემათა და იდეოლოგიათა წინააღმდეგობას წარმოადგენდა. კასტროს კუბა, როგორც საბჭოთა კავშირის ძი-

რითადი დასაყრდენი და მისი პოლიტიკის გამტარებელი დასავლეთ ნახევარსფეროში, ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში მარქსისტულ-კომუნისტური მოძრაობის და პარტიზან-მეამბოხეთა ძირითადი სპონსორი და იარაღის იმპორტიორი იყო. მართალია, კუბის ყველა მოქმედებაში კარგად იკვეთებოდა მისი აღმოსავლელი პატრონის ლანდი. ეჭვგარეშე იყო, რომ ფიდელ კასტრო საკუთარი ინიციატივით ამ დახმარებებს ვერ განახორციელებდა. თავად კუბა ეკონომიკურად და ფინანსურად სრულებით დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირზე.

1970-იანი წლების მიწურულს შეერთებული შტატების პოზიციები ცენტრალურ და ლათინური ამერიკის კონტინენტზე საკმაოდ შესუსტდა. 1979 წელს ნიკარაგუაში ეროვნული განთავისუფლების სანდინისტურმა ფრონტმა ჩამოაგდო დიქტატორი ანასტასიო სამოსა და ხელისუფლების სადავეები იგდო ხელთ. ქვეყანაში რეფორმების სერია გატარდა. სანდინისტურმა ნიკარაგუამ კუბის და საბჭოთა კავშირის დიდი მხარდაჭერა მიიღო. იმავე წელს კარიბის კუნძულ გრენადაზე უსისხლოდ, წარმატებულად განხორციელებული გადატრიალების შედეგად პრემიერ-მინისტრი გახდა მორის ბიშოპი, რომელიც სანდინისტების მსგავსად პროსაბჭოურ ორიენტაციას დაადგა. კუბიდან და ნიკარაგუადან იარაღით მარაგდებოდა სალვადორის (მარტის სახელობის გათავისუფლების ეროვნლი ფრონტი – გ.კ.), გვატემალას და ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნების სხვადასხვა პარტიზანული მოძრაობა, რომლებიც პროამერიკულ მთავრობებს დიდ პრობლემებს უქმნიდნენ. ეს კი, შეერთებულ შტატებს იძულებულს ხდიდა დაეფინანსებინა მისი მოკავშირე მთავრობების სამხედრო ხარჯები.

ამასთან ერთად, კუბა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად ჩაება შავი კონტინენტის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1975 წლიდან მოყოლებული კუბა საბჭოთა კავშირის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით საკმაოდ დიდ დახმარებას უწევდა მარქსისტული გავლენის მქონე ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობას (MPLA) აგოსტინიო ნეტოს ხელმძღვანელობით. კუბელები აგრეთვე მხარს უჭერდნენ მემარცხენე ძალებს მოზამბიკში, ეთიოპიაში და ა.შ. კუბას აგრეთვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა პოლკოვნიკ მოამარ კადაფის ლიბიასთან, რომელიც ითვლებოდა მსოფლიო ტერორიზმის ძირითად ბაზად.

ასე რომ, ის მემკვიდრეობა, რომელიც პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა 1981 წელს მისი ადმინისტრაციის მოსვლისას ჯეიმს კარტერისგან და მისი წინამორბედებისგან მიიღო, საკმაოდ რთული და მძიმე იყო. გამოსასწორებელი იყო უამრავი ხარვეზი, მოსაწესრიგებელი იყო როგორც იბეროამერიკული კონტინენტის პრობლემები, ასევე კომუნიზმის მეტასტაზების გავრცელების საკმაოდ რეალური საშიშროება აფრიკაში, რომლის ძირითად იმპორტიორს შავ კონტინენტზე სწორედ კუბა წარმოადგენდა.

მაგრამ, ცივი ომის პირველი სტადიისგან განსხვავებით, რომელიც ორი სისტემის ეგრეთ წოდებულ „შეხვედრით ბრძოლას" წარმოადგენდა და აგრეთვე, „განმუხტვის" პერიოდისგან განსხვავებით, რომელიც ხასიათდებოდა პრო-კომუნისტური ძალების ექსპანსიით „მესამე სამყაროს ქვეყნებში", ცივი ომის მეორე, დასკვნითი ეტაპი საბჭოთა კავშირისთვის და სოციალისტური ბანაკში შემავალი ქვეყნებისთვის უფრო თავდაცვით ხასიათს ატარებდა. კომუნისტური ბიუროკრატიის ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ აღარ გააჩნდათ რესურსების ის საჭირო რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო მსოფლიოში კომუნისტური ექსპანსიის გასაგრძელებლად და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდნენ წარმოქმნილი status quo-s შენარჩუნებას. 1981 წლის იანვარში შეერთებული შტატების ხელისუფლების სათავეში მოსული პრეზიდენტის ახალი დინამიური ადმინისტრაცია, რომელსაც მხარს უჭერდნენ ევროპელი ნეოკონსერვატორები, მზად იყო არა მხოლოდ დაებრუნებინა 1975–1979 წლებში დაკარგული პოზიციები, არამედ ცივი ომი საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა. რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო კამპანიისას ანტიკასტროისტული, ასევე ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნების მემარცხენე მთავრობების მიმართ გამოხატული საკმაოდ რადიკალური ანტი-კომუნისტური პათოსი იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი რამაც გამოხატულება პოვა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებში.

1981 წელს რონალდ რეიგანის პრეზიდენტად ინაუგურაციის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა დაიწყო „ღორების ყურის" ინციდენტის შემდგომ ყველაზე მკაცრი და შეტევითი პოლიტიკური კურსის გატარება კუბის და მისი მოკავშირეების მიმართ ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში. მიუხედავად კუბის კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან წამოსული შემრიგებლური

სიგნალებისა, რეიგანის ახალი ადმინისტრაციის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო კუბის მიმართ ეკონომიკური ემბარგოს კიდევ უფრო გამკაცრება. ძალიან მალე, ხორხე მას კანოსმა დააარსა კუბის და ამერიკის ეროვნული ფონდი, რომელიც იქცა „თავისუფლების კუნძულის მიმართ" გატარებული მტკიცე პოლიტიკის ყველაზე გავლენიან მოკავშირედ.

თავის ავტობიოგრაფიაში რონალდ რეიგანი აღნიშნავდა, რომ მისი ადმინისტაცია დასაწყისშივე აღმოჩნდა საკმაოდ მძიმე დილემის წინაშე: როგორ შეეჩერებინათ კომუნიზმის შეტევითი ტალღა დასავლეთ ნახევარსფეროში, თანაც ისე, რომ კონტინენტის მოსახლეობაში არ გაჩენილიყო ილუზია, რომ „ბიძია სემი" უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენდა ვიდრე კომუნიზმი. მისი ინაუგურაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დაზვერვის აგენტების ხელში აღმოჩნდა უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნიკარაგუის მარქსისტი მთავრობა კუბიდან ასობით ტონა საბჭოურ იარაღს აწვდიდა მეამბოხეებს სალვადორში. მართალია, სალვადორი იყო ათვლის წერტილი, მაგრამ ფაქტები მოწმობდნენ, რომ საბჭოთა კავშირს და კუბას მიზნად ჰქონდათ დასახული მთელი ცენტრალური ამერიკის გაწითლებაც. ნიკარაგუა და სალვადორი იყო მხოლოდ დასაწყისი. იდგა ჰონდურასის, გვატემალას და კოსტა-რიკას საკითხიც, რასაც შემდგომში უნდა მოყოლოდა მექსიკაც.(2)

1981 წლის მარტში თავის ერთ-ერთ ინტერვიუში პრეზიდენტმა რეიგანმა საბჭოთა კავშირი და კუბა ადამიანის უფლებების დარღვევაში ღიად დაადანაშაულა: „საბჭოთა კავშირი არის ადამიანების უფლებების ყველაზე დიდი დამრღვევი მსოფლიოში. კუბაც იგივე გზას ადგას და მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვას, ამავე დროს ვსაუბრობთ კასტროს კუბასთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. მე ვფიქრობ, რომ უფრო გულწრფელები უნდა ვიყოთ ადამინის უფლებებზე ჩვენი პოზიციის დაფიქსირებისას".(3)

იმავე წლის 23 სექტემბერს პრეზიდენტმა რეიგანმა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დაავალა ამერიკიდან კუბის ტერიტორიაზე რეგულარული რადიომაუწყებლობის გადაცემათა გაშვების მომზადება. რადიოგადაცემებს, რომლებიც „რადიო მარტის" სახელით უნდა ტრანსლირებულიყო (ცნობილი კუბელი რევოლუციონერის ხოსე მარტის სახელობის – გ.კ.), მიზ-

ნად ისახავდა კუბის ხელისუფლების დისკრედიტაციას, კასტროს რეჟიმისადმი მოსახლეობის ნდობის მინიმალიზაციას და კუბელი ხალხისათვის რეალური საშინაო თუ საგარეო ვითარების გაცნობას. (4) სამომავლო გადაცემათა პროგრამების ძირითად თემებს წარმოადგენდა „თავისუფლების კუნძულის" ეკონომიკური პრობლემები და აფრიკაში კუბელთა მოქმედებები.

30 ოქტომბერს შეერთებული შტატების საზღვაო ძალებმა დაიწყეს ოთხკვირიანი სამხედრო წრთვნები კარიბის ზღვაში (6 ნოემბერს პენტაგონის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მანევრებით განზრახული იყო კუბის მიმართულებით „მესიჯის" გაგზავნა – გ.კ.) ამის საპასუხოდ, 31 ოქტომბერს კუბამ გამოაცხადა რეზერვების მობილიზაცია და შეერთებული შტატების მხრიდან ინტერვენციის მოსაგერიებლად სრულ მზადყოფნაში მოიყვანა სამხედრო ძალები.

1981 წლის 16 ნოემბერს პრეზიდენტმა რეიგანმა ხელი მოაწერა საიდუმლო დირექტივას (№17). ამ დირექტივით თეთრმა სახლმა გამოყო 19,5 მილიონი დოლარი ანტისანდინისტური ფორმირებების მხარდასაჭერად ნიკარაგუაში. ამასთან ერთად ფლორიდაში, კალიფორნიაში და ტექსასში განლაგდა სამხედრო საწრთვნელი ბანაკები, სადაც უნდა მომზადებულიყვნენ ნიკარაგუელი დევნილები. დირექტივა ბევრმა კონგრესმენმა აღიქვა, როგორც სახელმწიფო ნეიტრალიტეტის კანონის (U.S. Neutrality Act) დარღვევა. აშკარა იყო, რომ პრეზიდენტის ეს დირექტივა პირდაპირ იყო მიმართული კუბის, ნიკარაგუას და გრენადის წინააღმდეგ.(5)

იმავე წლის 23 ნოემბერს, შექმნილი ვითარების განსამუხტავად მექსიკაში ერთმანეთს საიდუმლოდ შეხვდნენ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ალექსანდრე ჰეიგი და კუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლოს რაფაელ როდრიგესი. მხარეებმა ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

როგორც დავინახეთ, რეიგანის ახალი რესპუბლიკური ადმინისტრაციის პოლიტიკურმა სტრატეგიამ კუბის მიმართ, წინა პერიოდისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად იცვალა სახე და აშკარად აგრესიული და შეტევითი ხასიათი მიიღო. ცხადი ხდებოდა, რომ შეერთებული შტატების ამ საწყის აკორდებს ლოგიკური და შესაბამისი გაგრძელება მოჰყვებოდა.

1982 წელი რეიგანის ადმინისტრაციამ ჩვეული ტაქტიკით დაი-

წყო და 19 აპრილს გამოაცხადა კუბაზე სამოგზაურო აკრძალვა. ეს ნოტა შეერთებული შტატების მოქალაქეებს ეკრძალებოდათ კუბის ტერიტორიაზე ფულის დახარჯვა. ამასთან ერთად, პრეზიდენტმა გააუქმა 1977 წლის შეთანხმება თევზჭერაზეც. (6)

1982 წლის პირველ ნახევარში შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა. 16 ივნისს გაეროში კუბის ვიცე პრეზიდენტმა როდრიგესმა განაცხადა, რომ 1981 წელთან შედარებით კუბამ თავისი სამხედრო პოტენციალი თითქმის ორჯერ გაზარდა. კუბის მთავრობის ამ ნაბიჯს ის რეიგანის ადმინისტრაციის აგრესიული განწყობით ხსნიდა. კუბამ 1982 წელს საბჭოთა კავშირისგან დახმარების სახით მიიღო 66 ათასი ტონა იარაღი, ეს იყო ყველაზე დიდი ციფრი 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ. (7)

კრიზისული მდგომარეობის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობად იქცა აგრეთვე კუბის მიერ საბჭოთა კავშირისგან ავიაგამანადგურებელ მიგ-23-ის ხელახალი პარტიის მიღების გადაწყვეტილება, რომელსაც შეერთებული შტატები განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებდა.

1978 წელს პრეზიდენტ ჯეიმს კარტერი ყველა ხერხით შეეცადა კუბის ტერიტორიაზე მიგ-23-ის განთავსების გამო წარმოქმნილი პრობლემის როგორმე გადაჭრას. მაგრამ, მისმა უუნარობამ შეეცვალა კუბის პოლიტიკა ამ საკითხისადმი, შეიძლება ითქვას, ძირითადი როლი ითამაშა რონალდ რეიგანის წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებაში. ახალმა ადმინისტრაციამ საკმაოდ მკაცრად დაიწყო რეაგირება 1981 წელს კუბის მთავრობის გადაწყვეტილებაზე, შეესყიდა მიგ-23-ის ხელახალი პარტია, თუმცა ეს იარაღი საერთაშორისო ბაზარზე თავისუფლად ხელმისაწვდომი იყო. საიდუმლო დირექტივა (№21), რომელსაც ხელი მოეწერა 1982 წლის 29 იანვარს, აცხადებდა რომ ეს რეაქტიული თვითმფრინავები კუბის შეიარაღებულ ძალებთან ერთად შეერთებულ შტატებს იძულებულს ხდიდა გადაეხედა თავის დამოკიდებულებისთვის ცენტრალურ ამერიკაში და აფრიკაში მოქმედ მეამბოხეების მიმართ, რომლებიც კუბის მთავრობისგან ფინანსდებოდნენ.(8)

შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის და კუბის ეს ნაბიჯი მიიჩნია 1962 წლის შეთანხმების დარღვევად, რადგან იარაღის სახეობა, და განსაკუთრებით კი რაოდენობა, აშკარად ადე-

მატებოდა კუბის თავდაცვით აუცილებლობას და რეალურად რომ შეფასებულიყო, უფრო თავდასხმითი პოტენციალის იყო. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ ფიდელ კასტრომ შექმნილი სიტუაცია აშკარად სახიფათოდ მიიჩნია ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და საბჭოთა კავშირში კუბის თავდაცვის მინისტრი რაულ კასტრო გაგზავნა. გენერალურ მდივანთან ლეონიდ ბრეჟნევთან მოლაპარაკებისას კუბელები დაინტერესდნენ შეერთებული შტატებისგან მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში საბჭოთა კავშირის პოზიციით. ბრეჟნევმა განცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ვერ შეძლებდა კუბაში ბრძოლას, რადგან ეს კუნძული მდებარეობდა 11 ათასი კილომეტრის დაშორებით. „თუ ჩამოვალთ, ჩვენ იქ თავებს გაგვიხეთქავენ"-განაცხადა მან. (9)

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი პრაგმატულად აფასებდა ლათინური კონტინენტის საკითხებში რეიგანის ადმინისტრაციის მტკიცე და შეურიგებელ პოლიტიკას. იმ მოჩვენებითი ლიბერალური დამოკიდებულების მიუხედავად, რასაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია თავის ოფიციალურ განცხადებებში აფიქსირებდა, რეიგანი განსაკუთრებით რადიკალურად იყო განწყობილი კომუნისტური კუბის მიმართ. ეს კარგად დაინახეს და სათანადოდაც შეაფასეს საბჭოთა ლიდერებმა.

ამასთან ერთად, რეიგანის გამოსვლების დემოკრატიული პათოსი არ ეთავსდებოდა მისი ადმინისტრაციის მიერ სალვადორის ტერორისტული რეჟიმის მხარდაჭერას. სალვადორის ხელისუფლება ამ დროს ქვეყნის შიგნით ებრძოდა ასეთივე ტერორისტულ-პარტიზანულ მარქსისტულ მოძრაობას. 1982 წლის 28 მაისს რეიგანმა გამოსცა საიდუმლო დირექტივა (№37 და 37ა), რომელიც ითვალისწინებდა სერიოზული სახელმწიფო და საერთაშორისო კამპანიის დაწყებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, რომელიც მიმართული იყო ანტიკომუნისტური მთავრობების წინააღმდეგ რეგიონში (განსაკუთრებით საიდუმლო ოპერაციების საწარმოებლად კუბის წინააღმდეგ – გ.კ.), განსაკუთრებით კი ეხებოდა მეამბოხეებს სალვადორში (პროამერიკული მთავრობის მხარდაჭერა სალვადორში მეგანეს ხელმძღვანელობით - გ.კ.). დირექტივა აგრეთვე ითვალისწინებდა 10 მილიონი დოლარის ოდენობის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას გვატემალის მთავრობისადმი, რომელსაც აქამდე შეერთებული შტატებისგან შეწყვეტილი ჰქონდა

ყველანაირი დახმარება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქვეყანაში დაფიქსირებული იყო რეგიონში ადამიანის უფლებების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. (10)

1983 წლის დასაწყისში თეთრ სახლში მიმდინარე საიდუმლო თათბირებზე ფართოდ განიხილებოდა საკითხი სალვადორისთვის დამატებითი სამხედრო და ეკონომიკური სუბსიდიის გამოყოფაზე. 60 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარება უნდა მოხმარებოდა მემარცხენე პარტიზანთა წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სამხედრო და ფსიქოლოგიურ ოპერაციებს. ამასთან ერთად, რეიგანის №82 დირექტივა ითვალისწინებდა საკამათო გადაწყვეტილების მიღებას, სალვადორის ტერიტორიაზე ამერიკული კონტინგენტის და სამხედრო მრჩევლების რაოდენობის გაზრდის შესახებაც. (11)

1982 წლის შემოდგომისთვის შეერთებილი შტატები ნიკარაგუას შიგნით აფინანსებდნენ ასობით „მეამბოხეთა ბუნტს", მათ შორის დივერსიებს ხიდებზე და საწყობებზე, სნაიპერულ დარტყმებს, ხორბლეული კულტურების მარაგების დაწვას და სანდინისტ ჯარისკაცებზე თავდასხმებს. რეიგანის ადმინისტრაცია ყველანაირად უჭერდა მხარს „კონტრასს", მაგრამ, ამასთან ერთად, პასუხისმგებლობას იხსნიდა და უარყოფდა მათ კავშირს „კონტრას"-ის მოქმედებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ნორმების და სამხედრო უფლებამოსილების კანონის მიხედვით პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეს ნაბიჯი შეიძლება აღქმულიყო როგორც საერთაშორისო დანაშაული. 1983 წლის 28 ივლისს შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ოლანდ-ძაბლოცკი-ის შესწორება, რომლის მიხედვითაც უნდა შეწყვეტილიყო ცენტრალური სადაზვევრო სამმართველოს მიერ ნიკარაგუაში „კონტრას"-ის დაფინანსება. პრეზიდენტმა რეიგანმა ამ დირექტივას (№100) ხელი იმავე დღეს მოაწერა. წარმომადგენელთა პალატამ აკრძალა სამხედრო ან ნახევრადსამხედრო ოპერაციების ჩატარება ნიკარაგუაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბიუჯეტიდან 80 მილიონი დოლარი გამოყო, რომ დაფინანსებულიყო ნიკარაგუადან სალვადორში იარაღის ნაკადის შემცირება. ამ დირექტივით პრეზიდენტი აპირებდა რეგიონის სხვა არაკომუნისტური მთავრობების მხარდაჭერასთან ერთად „მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია ნიკარაგუაში წინააღმდეგობის დემოკრატიულ ძალებისთვის"- ანუ ისევ და

ისევ „კონტრას“ მოძრაობისთვის. რეიგანის ახალ სტრატეგიას ჰონდურასის ტერიტორიაზე გაფართოებული სამხედრო წრთვნების წარმართვა წარმოადგენდა. ამის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი წარმომადგენელთა პალატის აკრძალვაში. პროგრამის ფარგლებში ნიკარაგუას საზღვრებთან ჰონდურასის ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო სამხედრო აეროდრომები, საწრთვნელი ბანაკები, საავადმყოფოები და სხვა საშუალებები, რომლებიც უნდა შემდგომში გამოეყენებინა „კონტრასს“. სწავლებები, რომლებიც დირექტივაში მოიხსენიება, როგორც AHAUS TARA II (უფრო ცნობილი როგორც „დიდი ნაძვი II“ (Big Pine), უნდა დაწყებულიყო 3 აგვისტოს და მასში მონაწილეობა უნდა მიეღო 12 000 ამერიკელ ჯარისკაცს, სახაზო გემების ორ ჯგუფს და გრძელდებოდა ექვს თვეს – ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი სამხედრო წრთვნები ამერიკის ისტორიაში. (12)

დირექტივა №100–ის ყველაზე გასაიდუმლოებული ნაწილი ეხებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მცდელობას კონგრესის შეზღუდვების გვერდის ავლით „კონტრას“-ის დაფინანსების უზრუნველყოფას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ. კონგრესის გამოძიების მასალების მიხედვით, (დაიწყო 1983 წლის ივლისში – გ.კ.) პრეზიდენტმა რეიგანმა თავდაცვის სამინისტროს დაავალა ნიკარაგუაში სამომავლო ოპერაციების საწარმებლად გამოეყო ტყვია-წამალი, თვითმფრინავები და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პირადი შემადგენლობა. „კონტრას“-ის დაფინანსებისას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თეორიულად არ არღვევდა ოლანდ-ძაბლონსკიის შესწორებას, რადგან პენტაგონი და არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებდა იარაღის ამ მიწოდებებს. ამ სისტემამ იმუშავა მთელი ზაფხულის განმავლობაში, სანამ თავდაცვის სამინისტროში არ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს მიწოდებები უკანონოდ ითვლებოდა. პროგრამა დაბლოკეს, რის შემდეგაც, პრეზიდენტის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეწყო „კონტრას“-ისთვის ახალი საიდუმლო ფონდების ძიება.

1983 წლის ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ შეერთებული შტატების საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე სახიფათო პერიოდს წარმოადგენს. 1983 წლის მარტში რეიგანმა განაცხადა: „კარიბის ზღვის აუზის და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მარქ-

სისტემურ-ლენინური გადატრიალებისგან დაცვა ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს."[13] ამასთან ერთად ის საერთაშორისო ნორმები, რომლებსაც შეერთებული შტატები ასე მხურვალედ იცავდა 1979–1980-იან წლებში, უკვე აღარ განიხილებოდა მის მიერ როგორც ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტი. მთავარი იყო, რომ ქვეყანა არ ჩავარდნილიყო კონფლიქტის ისეთივე ჭაობში, როგორშიც აღმოჩნდნენ საბჭოელი კოლეგები (იგულისხმება გაწელილი კონფლიქტი ავღანეთში – გ.კ.).

1983 წელს ეროვნული უშიშროების საბჭოს შტატიანმა თანამშრომელმა კონსტანტინ მენგესმა, რომელიც იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის უ. კეისის პროტეჟე და ამავე დროს პასუხისმგებელი ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საქმეებზე, დაარწმუნა პრეზიდენტი რეიგანი გაეაქტიურებინა მოქმედებები კარიბის აუზის მცირე კუნძულის გრენადის წინააღმდეგ, რომელიც, კუბასთან და ნიკარაგუასთან ერთად, ითვლებოდა კომუნისტურ ბასტიონად ცენტრალურ ამერიკაში. იმავე წელს გრენადის პრემიერ მინისტრმა მორის ბიშოპმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს მარტის თვეში განზრახული ჰქონდა კუნძულზე ინტერვენციის განხორციელება. რეიგანის ადმინისტრაცია ყველანაირად უარყოფდა ამ ბრალდებებს. ნაფხულის მიწურულს ბიშოპის მთავრობის მდგომარეობა განსაკუთრებით არასტაბილური იყო.

4 ოქტომბერს შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს საიდუმლო დირექტივით (№105) კონსტანტინე მენგესმა მიიღო პრეზიდენტის სანქცია განეხორციელებინა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კამპანია ბიშოპის მთავრობის დესტაბილიზაციის მიზნით. 12 ოქტომბერს, თითქმის ორი კვირის შემდეგ, რაც ხელი მოეწერა პრეზიდენტის ამ დირექტივას, უკომპრომისო ფრაქციამ გრენადაზე სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდო პრემიერ მინისტრი ბიშოპი, დააპატიმრა ის ოჯახთან ერთად და 20 ოქტომბერს დახვრიტა ისინი. იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ ვაშინგტონში მენგესმა და ოლივერ ნორტმა (სამხედრო და პოლიტიკურ საქმეთა ექსპერტი – გ.კ.) მოამზადეს დოკუმენტები, რომლებიც ასახავდნენ არსებულ სიტუაციას გრენადაზე და მიუთითებდნენ კუნძულზე მიმდინარე მოვლენებში ამერიკელთა ჩარევის აუცილებლობისაკენ. დოკუ-

მენტი უშიშროების საბჭოზე განსახილველად გადაეცა ახლად დანიშნულ ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ შულცს, უენბერგს და პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში რობერტ მაკფარლანს. საიდუმლო დირექტივის პროექტი, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდება, როგორც დირექტივა №110 და რომელსაც პრეზიდენტმა ხელი მოაწერა 23 ოქტომბერს, ბრძანებას იძლეოდა გრენადაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ შეერთებული შტატების სამხედრო ელიტარული ნაწილების მონაწილეობით. (13)

25 ოქტომბერს კარიბის აუზის დასავლეთით მდებარე რიგი კუნძულებიდან გრენადაზე დესანტის სახით დაეშვა 7 ათასამდე ამერიკელი სამხედრო და მალე დაამარცხა- ექვსასკაციანი გრენადის „არმია“ და 636 კუბელი მშენებელი (უმეტეს წილად სამხედრო რეზერვისტები – გ.კ.), რომლებსაც სათავეში ედგათ 43 კუბელი პროფესიონალი სამხედრო.(14)

გრენადაზე შეჭრის რეიგანისეული არგუმენტაცია მრავლად წააგავდა საბჭოურ ვერსიას ავღანეთში სამხედრო ნაწილების შეყვანის შესახებ: „გრენადის პრემიერ მინისტრი მორის ბიშოპი... სიკვდილით დასაჯეს მემარცხენე პუტჩისტებმა, რომლებსაც უფრო მემარცხენე მარქსისტული პოზიცია ეკავათ ვიდრე მას... ხელისუფლების სათავეში მოსულმა რადიკალმა მარქსისტებმა გრენადაზე მოწინააღმდეგეების მიმართ გააჩაღეს სისხლიანი ტერორი. თუ ამას ბოლოს არ მოვუღებდით, მაშინ უახლოეს მომავალში უნდა დაველოდებოდით, რომ გრენადელები და კასტრო მოინდომებდნენ საკუთარი რეჟიმის გავრცელებას თავის სხვა მეზობლებზეც კარიბის ზღვის აუზში“.(15)

იმავე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა რეიგანმა მთელი პასუხისმგებლობა მომხდარი ინტერვენციის შესახებ თავის თავზე აიღო და განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მოქმედებები განაპირობა სამმა ძირითადმა ფაქტორმა: „პირველ ყოვლისა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია, იყო უდანაშაულო ხალხის დაცვა, მათ შორის ათასი ამერიკელის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც ჩემი უმთავრესი საზრუნავია. მეორე მხრივ, სამომავლო ქაოსის თავიდან აცილება. და მესამე, გრენადაზე სამართლიანობის და წესრიგის აღდგენა“. (16)

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტ რეიგანის მიერ საზოგადოების თვალში შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედებების გამართლება იყო საკმაოდ სუსტი არსშივე და საეჭვო ამ მოქმედებების ლეგიტიმირებისას – მითუმეტეს თუ ამას მორალური და პოლიტიკური საზომებით შევაფასებთ. ინტერვენციის გამართლების ძირითად მიზეზს პრეზიდენტის სიტყვაში გრენადაზე მყოფი ამერიკელ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენდა. მაგრამ, ეს უფრო Casus Beli-ად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე ჯანსაღ არგუმენტაციად. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი რაიმონდ ლ. გარტჰოფი აღნიშნავს, სტუდენტები არავითარ საფრთხეში არ იმყოფებოდნენ და რომც ყოფილიყვნენ, შეერთებული შტატები მათ ევაკუაციას ძალიან ადვილად მოახერხებდა და, თანაც, ინტერვენციის გარეშე, როგორც ეს კანადამ განახორციელა. (17) ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რასაც გრენადის ოკუპაცია ისახავდა მიზნად, იყო კუნძულზე მიმდინარე ფართო აეროდრომის (სამ კილომეტრიანი სიგრძის გზატკეცილით – გ.კ.) მშენებლობის შეჩერება. აეროდრომი თითქოსდა გათვალისწინებული იყო სამოქალაქო მოხმარებისთვის და 1980 წლის 12 მარტიდან კუბელების დახმარებით შენდებოდა. თავის რამდენიმე ადრინდელ გამოსვლაში პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, რომ ეს აეროდრომი უსათუოდ საბჭოთა ან კუბის საჰაერო ძალების მოხმარებისთვის იყო გათვალისწინებული: „გრენადას, - აღნიშნავდა იგი – საერთოდ არ ჰყავს სამხედრო საჰაერო ძალები. მაშინ ვისთვის არის ეს განზრახული?“ მისი დასკვნა შემდეგნაირი იყო: „საბჭოთა კავშირის და კუბის მიერ გრენადის მილიტარიზაცია, მოკლედ რომ ვთქვათ, შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მათ მიერ რეგიონში თავისი ძალაუფლების გამტკიცება.“(18) გარდა ამისა, 27 ოქტომბერს რეიგანმა განაცხადა, რომ გრენადა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის და კუბის კოლონიას, რომელსაც ისინი ამზადებდნენ, როგორც ძირითად ბასტიონს ტერორისტული მოქმედებების საწარმოებლად და დემოკრატიის ამოსაძირკვად. „ჩვენ ჩავუსწარით იქ ზუსტად სათანადო დროს“- განაცხადა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.(19)

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კუბის ჰიპოთეტურმა აგრესიამ აიძულა შეერთებული შტატები დაერტყა და დაეკავა კუნძული (ცხადია, რომ უშუალოდ გრენადისგან მოსალოდნელი აგრესიული მოქმედებების საფრთხის არავის არ სჯეროდა – გ.კ.).

სინამდვილეში, გრენადაზე დარტყმას შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა უფრო არა კუბაზე, არამედ საბჭოთა კავშირზე. ამ ნაბიჯით ვაშინგტონმა კრემლის დასანახად მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მზად იყო ყველაზე მკაცრი ზომები მიეღო საბჭოური გავლენის სფეროს გაფართოების საწინააღმდეგოდ. გრენადის დაპყრობას უფრო დემონსტრატიული დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სამხედრო-სტრატეგიული.

თავის ოფიციალურ განცხადებებში ვაშინგტონი არწმუნებდა მოსკოვსაც და ჰავანასაც, რომ გრენადაზე შეერთებული შტატების მოქმედებები სრულებითაც არ იყო მიმართული მათ წინააღმდეგ. სახელმწიფო მდივანმა შულცმა განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი არ წარმოადგენდა დასავლეთის და აღმოსავლეთის კონფრონტაციას და რომ ეს წამოწყება უთუოდ გამომდინარეობდა აღმოსავლეთ კარიბის ქვეყნების მოთხოვნიდან და მის ცენტრალურ მიზეზს ამერიკელ სტუდენტთა გადარჩენა წარმოადგენდა. (20)

შეერთებული შტატების გრენადაში შეჭრა იმდენად არღვევდა საერთაშორისო ნორმებს, რომ ამერიკელთა ევროპელი მოკავშირეებიც კი შეცბუნებული დარჩნენ ამ ფაქტით. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი მარგარეტ თეთჩერი 25 ოქტომბერს არწმუნებდა რონალდ რეიგანს გრენადაზე შეჭრაზე უარის თქმის აუცილებლობაში. მიუხედავად ამისა რეიგანმა მოკავშირეს არც კი გაუმხილა ამ საუბრის დროს, რომ ოპერაცია უკვე დაწყებული იყო.

მართალია, საბჭოთა კავშირმა და კუბამ დაგმეს გრენადაზე შეერთებული შტატების ინტერვენცია, მაგრამ მათგან სხვა არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. 26 ოქტომბერს, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი ჰავანასთან კუბელ ჯარისკაცთა შემდგომი ექსტრადირების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორმა ვილიამ კეისმა სახელმწიფო მდივნის მოადგილეს კენნეტ დამს შესთავაზა, კუბაზე შეერთებული შტატების არაოფიციალურ წარმომადგენლად გენერალი მანუელ ნორიეგა გაეგზავნათ. მდივანმა შულცმა ეს წინადადება უარყო.

თუ არ ჩავთვლით ამერიკელთა დანაკარგს და შეერთებული შტატების მიერ საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევას, გრენადის ოპერაცია პლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ წარმა-

ტებული იყო ვაშინგტონის და, შეიძლება ითქვას, გრენადისთვისაც. ამ ოპერაციით ამერიკელებმა დემონსტრატიულად დაანახეს სოციალისტური ბლოკის ქვეყნებს თავისი მზადყოფნა გამოეყენებინათ საკუთარი სამხედრო პოტენციალი პროკომუნისტური რეჟიმების ჩამოსაგდებად, განსაკუთრებით ისეთ მომენტში, როდესაც ეს შესაძლებელი იყო სწრაფი მეთოდით. ამერიკელთა სამხედრო ნაწილებმა ქვეყანა დატოვეს ორი თვის განმავლობაში. ქვეყანაში მხოლოდ 250–300 სამხედრო პოლიციელი დარჩა, ისიც წელიწადნახევრით. მართალია, გრენადის კამპანიამ შეერთებული შტატების და კუბის ურთიერთობებზე საკმაოდ ნეგატიური ეფექტი იქონია, მაგრამ ამით სიტუაცია განსაკუთრებულად არ შეცვლილა. მიუხედავად ვაშინგტონის მოკრძალებული ტონისა, რომ ეს აქცია კუბის საწინააღმდეგოდ სრულებითაც არ იყო მიმართული, ყველასთვის გასაგები გახდა. რომ შეერთებულმა შტატებმა აქტიურად შეუტიეს საბჭოთა კავშირის მოკავშირეებს დასავლეთ ნახევარსფეროში. შედეგმაც არ დააყოვნა. სურინამის მთავრობამ 26 ოქტომბერს მოთხოვა კუბის ელჩის და კიდევ მიახლოებით 100 კუბის მოქალაქეს ქვეყნის უმალ დატოვება და აგრეთვე შეაჩერა ყველა შეთანხმება კუბასთან. ნიკარაგუის მთავრობამ გამოხატა თავისი შეშფოთება, ხოლო ფიდელ კასტრომ კი ჩათვალა საჭიროდ გაესვა ხაზი იმისთვის, რომ კუბა ვერ მიეშველებოდა ნიკარაგუას, თუ ქვეყანას თავს დაესხმებოდნენ. ამასთან ერთად კუბამ ნიკარაგუადან გაიყვანა 1000 კაციანი პერსონალი, ხოლო ცოტა ხანში კი მთელი სამხედრო კონტინგენტი. ამ ნაბიჯით კარგად ჩანს, რომ კუბა მოერიდა შეერთებული შტატებისთვის ნიკარაგუაზე ინტერვენციის განსახორციელებლად მცირე საბაბიც კი მიეცა. (21)

1983 წლის 15 ნოემბერს ამერიკელთა სამხედრო ძალებმა ხელში ჩაიგდეს გრენადის კონფიდენციალური არქივის ათიათასობით ფურცელი და სამთავრობო დოკუმენტი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონცეფცია ოპერაციის დასაწყისშივე ითვალისწინებდა ამ დოკუმენტების ხელში ჩაგდებას და მათ საიდუმლო გამოყენებას პროპაგანდისთვის და სადაზვერვო ოპერაციებისთვის. ვაშინგტონის გათვლებით ამ საბუთებში უნდა ყოფილიყო მაკომპრომეტირებელი მასალები კუბელების მიერ საიდუმლოდ იარაღის და ნარკოტიკების მიწოდებაზე და აგრეთვე საიდუმლო ოპერაციებზე ზომიერი რეჟიმების ჩამო-

საგდებად ცენტრალურ ამერიკაში. ამდაგვარ მასალას კარგად გამოიყენებდნენ პროპაგანდისთვის, ასევე კომპრომისის მისაღწევად იმ ჯგუფებთან, განსაკუთრებით კონგრესმენებთან, რომლებიც სანდინისტებისადმი ლიბერალურად იყვნენ განწყობილნი. მაგრამ, გრენადის არქივმა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი ვილიამ კეისი უმეტესწილად იმედგაცრუებული დატოვა.

ამასთან ერთად, 23 ოქტომბერს მოხდა საზარელი ფაქტი, რამაც მსოფლიო ყურადღება ნაწილობრივ ახლო აღმოსავლეთისკენ გადაიტანა. 23 ოქტომბერს, დილით რადიკალმა ისლამისტებმა ტერაქტი განახორციელეს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში, სადაც მათ ააფეთქეს ამერიკელების სამხედრო ბაზა ხოლო ცოტა ხანში კი იერიში მიიტანეს საფრანგეთის სამშვიდობო ძალების შტაბბინაზე. ტერაქტებს შეეწირა 200-ზე მეტი ამერიკელი და 50-ზე მეტი ფრანგი ჯარისკაცი. იმავე დღეს დაიწყო დაგეგმილი მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირთან ევროპაში სახმელეთო ბაზირების ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განთავსების შესახებ. საბჭოთა კავშირმა დაწყებისთანავე შეწყვიტა მოლაპარაკებებში მონაწილეობა.

1984 წლის 7 თებერვალს პრეზიდენტთან არსებულმა ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო დირექტივა (№124), რომელშიც კარგად იყო ფორმულირებული პრეზიდენტის შემდგომი პოლიტიკა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მიმართ. ამიერიდან შეერთებული შტატები წყვეტდა ფინანსურ დახმარებას იმ მთავრობებისთვის, რომლებსაც არ სურდათ რეიგანის ადმინისტრაციის სტრატეგიის გაზიარება. ეს დირექტივა ძირითადად მიმართული იყო მექსიკის გასაფრთხილებლად, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობდა გამოეყენებინა, როგორც მთავარი მოკავშირე საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად ცენტრალურ ამერიკაში. მექსიკის დელეგაციის ვიზიტის დროს შეერთებულ შტატებში პრეზიდენტმა რეიგანმა და მისმა თანაშემწეებმა განუცხადეს, რომ მექსიკას უნდა გადაეხედა თავის დამოკიდებულებისთვის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მექსიკისთვის გამოყოფილი ეკონომიკური დახმარების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდებოდა. (22)

ცხადი იყო, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეს მოქმედებები აშკარად მიმართული იყო კუბის, ნიკარაგუას და სხვა

დანარჩენი ანტიამერიკული მთავრობების წინააღმდეგ. ვაშინგტონი ყველანაირ ხერხს მიმართავდა, რომ ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოები საკუთარი პოლიტიკური კურსის გატარებაზე დაეყოლიებინა.

ამავე დროს შეერთებული შტატები ფართოდ იყენებდნენ დივერსიულ მოქმედებებს ნიკარაგუის წინააღმდეგ. მოგვიანებით საერთაშორისო სასამართლოში გაკეთებული განცხადებების თანახმად, დივერსიები, რომლებსაც შეერთებული შტატები იმ პერიოდში ახორციელებდა ნიკარაგუის ტერიტორიაზე, მოიცავდა წყალქვეშა ნავთობგამტარი მილის და მანაგუაში ნავთობტერმინალის ნაწილის დანგრევას (1983 წლის 13 სექტემბერი), დივერსიებს ნავთობის საწყობებსა და ქვეყნის პორტებში, მათ შორის მანაგუაში იმავე წლის 2 ოქტომბერს, 10 და 14 ოქტომბერს და 1984 წლის 7 მარტს, ასევე დივერსიებს მანაგუაში (1984 წლის 28-30 მარტი) და სხვა მრავალ მოქმედებებს. ამ საიდუმლო ოპერაციების განხორციელებისას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იყენებდა შვეულმფრენებს და სამხედრო კატარღებსაც. (23)

1986 წლის მაისიდან შეერთებული შტატების და ნიკარაგუის ურთიერთობები ახალ ფაზაში გადავიდა. 1985 წლის დეკემბრის განმავლობაში კონგრესმა გადახედა ნიკარაგუაში „კონტრას"-ის დახმარების და დაფინანსების აკრძალვას იმ პირობით, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია პრობლემის მოსაგვარებლად მოლაპარაკებებს გამართავდა ნიკარაგუასთან და სალვადორთან. ვაშინგტონის მოქმედების ტაქტიკა წარმოადგენდა მოლაპარაკებების წარმართვას ისე, რომ სანდინისტებთან კონკრეტული შეთანხმებები არ მომხდარიყო, მაგრამ, ამავე დროს, კონგრესისთვის შეექმნათ იმის ილუზია, რომ მოლაპარაკებები წარმატებით ხორციელდებოდა. რეიგანის თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პოინდექსტერი ცდილობდა შეემუშავებინა ისეთი მეთოდი, რომ „კონტრას"-ისთვის დახმარების აღმოჩენა მოხერხებულიყო პირდაპირ თუ არა ფარულად მაინც. მაგრამ, პრობლემა წარმოიშვა მაშინ, როდესაც ნიკარაგუის მთავრობამ თანხმობა განაცხადა შეერთებული შტატების წინადადების მიღებაზე. ეროვნული უშიშროების საბჭოში დაიწყო ფრაქციული განხეთქილება, რისი შედეგიც გახდა ის, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ თვითონვე უარყო ნიკარაგუისადმი შეთავაზებული წინადადებ-

ბი. 20 მაისს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საიდუმლო დირექტივას (№225), რომელიც სანქციას იძლეოდა დიპლომატიური კამპანიის დასაწყებად სალვადორზე, კოსტა-რიკაზე, ჰონდურასზე და გვატემალაზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა აეძულებინათ ისინი უარი ეთქვათ შემოთავაზებულ „კონტადორის" წინადადებებზე იმ საფუძვლით, რომ მათი შეთანხმებები ნიკარაგუასთან სათანადო დონეზე ვერ შემოწმდებოდა. „კონტადორის" მოლაპარაკებები ჩაიშალა ივნისის დასაწყისში. 24 ივნისს პრეზიდენტმა რეიგანმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ მოლაპარაკებების წარუმატებლობამ აიძულა შეერთებული შტატები გაეზარდა დაფინანსება ნიკარაგუელი „კონტრას"-ისთვის. მალევე კონგრესმა თანხმობა განაცხადა ასმილიონიანი ფონდის გამოყოფაზე „კონტრას"-ისთვის სამხედრო და სამოქალაქო დახმარებაზე. (24)

1987 წლის თებერვალში რეიგანმა ხელი მოაწერა საიდუმლო დირექტივას (№264), რომლის თანახმადაც შეერთებული შტატების სამომავლო პოლიტიკა ოფიციალურად თანხმდებოდა სანდინისტების ნიკარაგუის ხელისუფლების სათავეში ყოფნას, თუ ისინი ამერიკელთა რიგ მოთხოვნებს მიიღებდნენ. მართალია, ეს მოთხოვნები ისე იყო ფორმულირებული, რომ დასაწყისშივე ცხადი იყო, რომ შეთანხმება არ შედგებოდა. ეროვნული უშიშროების საბჭოს ორმაგი პოლიტიკა კარგად ასახავს იმ შეზღუდვებს, რომლებიც კონგრესმა დაადო სანდინისტების ჩამოსაგდებად მიმართულ რეიგანის ადმინისტრაციის მოქმედებებს. კონგრესი დათანხმდა ფინანსების გამოყოფას „კონტრას"-ისთვის სამხედრო და სამოქალაქო დახმარების აღმოჩენაზე, იმ პირობით, რომ ადმინისტრაცია მოლაპარაკებების გზით წარმატებებს მიაღწევდა სალვადორსა და ნიკარაგუაში, ეს კი კრძალავდა სანდინისტების ჩამოსაგდებად სხვა ნებისმიერი მეთოდის გამოყენებას. დირექტივა აყალიბებდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოლაპარაკებების პირობებს ცენტრალური ამერიკის მთავრობებთან და ასევე „საზოგადო დიპლომატიის კამპანიას", რომელიც მიმართული იყო კონგრესის მიერ „კონტრას"-ის დახმარებით ნიკარაგუის მოსახლეობაში მისი პოპულარობის ამაღლებისკენ. დირექტივის ხელმოწერიდან ძალიან მალე პრეზიდენტმა აუწყა სახელმწიფო მდივანს, რომ „კონტადორის" მოლაპარაკებებში არანაირი პროგრესი არ შეინიშნებოდა და არავითარი სამომავლო პერსპექ-

ტივაც არ ისახებოდა, რითაც ხაზი გაუსვა, რომ საჭირო იყო „კონტრას"-ითვის დამატებითი სახსრების მიწოდება. 1987 წლის აპრილში პრეზიდენტმა რეიგანმა კიდევ უფრო გაამკაცრა ეკონომიკური ემბარგო ამ ქვეყნის მიმართ. (25)

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ მოსვლისთანავე, 1989 წლის იანვრიდან, შერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პირველ ამოცანად დასახა ნიკარაგუის მიმართ რეიგანის ადმინისტრაციის დროს დაწყებული სტრატეგიის გაგრძელება და სისრულეში მოყვანა. საჭირო იყო ნიკარაგუაში დემოკრატიული ძალების გამარჯვების ხელშეწყობა ისე, რომ შეწყვეტილიყო ამერიკის მიერ „კონტრას"-ის სამხედრო ოპერაციების დაფინანსებაც. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ნიკარაგუის სანდინისტურმა მთავრობამ თანხმობა განაცხადა ერთი წლის შემდგომ, 1990 წლის თებერვალში, ჩაეტარებინა თავისუფალი და გამჭირვალე არჩევნები. სანდინისტები ამას მხოლოდ ერთი პირობით დაუშვებდნენ, თუ ამ ხნის განმავლობაში მოხდებოდა „კონტრას"-ის დემობილიზაცია.

1989 წლის მაისში საიდუმლო კორესპონდენციით მიხეილ გორბაჩოვმა პრეზიდენტ ბუშს აუწყა, რომ უკვე ერთი წელი იყო გასული, რაც საბჭოთა კავშირს შეწყვეტილი ჰქონდა სანდინისტებისთვის იარაღის მიწოდება. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა მოსკოვში ვიზიტის დროს განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს, რომ თუ ნიკარაგუაში ჩატარებულ გამჭირვალე არჩევნებში სანდინისტები კვლავ მოიპოვებდნენ გამარჯვებას, თეთრი სახლი აღიარებდა მათ ლეგიტიმურობას. საბჭოთა კავშირსაც და სანდინისტებსაც სჯეროდათ, რომ არჩევნების შედეგები უცვლელად დატოვებდა ნიკარაგუის პოლიტიკურ მდგომარეობას. მაგრამ, არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა. მოსკოვმაც და სანდინისტებმაც არჩევნების შედეგები სამართლიანად აღიარეს. სანდინისტების დამარცხებით ნიკარაგუაში, კუბას და საბჭოთა კავშირს ჩამოშორდა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ცენტრალურ ამერიკაში. საბჭოთა კავშირს უკვე აღარ შეეძლო დაეფინანსებინა სანდინისტების საიდუმლო მოქმედებები ქვეყანაში, რადგან თვითონ საკმაოდ დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის წინაშე იმყოფებოდა. ოპოზიციის გამარჯვებით ნიკარაგუაში შეერთებულმა შტატებმა უდიდესი კოზირი მოიპოვეს. ეს იყო კომუ-

ნისტური რეჟიმის მნიშვნელობით მეორე დამარცხება რეგიონში და დემოკრატიზაციის პროცესის დასაწყისი.

კუბის და შეერთებულ შტატების ურთიერთობებში შედარებით დადებითი იმპულსები შეინიშნებოდა 1984–1985 წლებში, როდესაც 1984 წლის 29 მაისს კუბას შეერთებული შტატებიდან ვიზიტით ეწვია პრეზიდენტობის კანდიდატი ჯესი ჯექსონი. რამდენიმე ოფიციალურ შეხვედრას შედეგად მოჰყვა კუბაში 26 პოლიტ-პატიმრის გათავისუფლება. ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო კუბის ხელისუფლების მხრიდან ქვეყანაში ეკლესიის აღდგენაზე თანხმობა. 1985 წლის 24 იანვარს ფიდელ კასტრომ შეერთებული შტატებიდან მიიწვია კათოლიკური ეკლესიის ხუთი წარმომადგენელი. ამ ფაქტს შედეგად მოჰყვა იმავე თვეს რელიგიურ საკითხთა წარმომადგენლობის გახსნა კუბაში. ეს იყო ეკლესიას და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების ნორმალიზებისკენ საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი. ერთი წლის შემდეგ, 1986 წლის 17 თებერვალს კუბამ უმასპინძლა კათოლიკური ეკლესიის საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ეპისკოპოსებმა თითქმის ყველა ლათინური ამერიკის ქვეყნიდან, შეერთებული შტატებიდან და ასევე წარმომადგენელმა ვატიკანიდან. კუბის ხელისუფლების მხრიდან კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობების გაუმჯობესება (კათოლიკური ეკლესია კუბაზე რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აიკრძალა და კონტრრევოლუციის ერთ-ერთ ბურჯად ითვლებოდა – გ.კ.) აშკარად პროგრესულ მოვლენად ჩაითვალა და მეტყველებს კუბის მზადყოფნაზე ურთიერთობები გაეუმჯობესებინა კაპიტალისტურ სამყაროსთან.

1980 წლიდან კუბამ შეასრულა შეერთებული შტატების მოთხოვნა და შეამსუბუქა ემიგრაციული შეზღუდვები, რის შედეგადაც კუბიდან შეერთებულ შტატებში გადაიცდა 125 ათასი ადამიანი. მათ შორის იმყოფებოდნენ რამდენიმე ათასი სისხლის სამართლის დამნაშავე, ფსიქიურად ავადმყოფი და კიდევ სხვა კუბის მთავრობისთვის არასასურველი პიროვნება. 1984 წელს დაიწყო კუბის და შეერთებული შტატების მოლაპარაკებები ემიგრანტთა ნაწილის უკან დეპორტაციის შესახებ. ემიგრანტთა უმეტესობამ ეს წლები ამერიკაში გაატარა ციხეებში ან ბანაკებში. 1985 წლის თებერვალში დაიწყო მათი ძალდატანებით რეპატრიაციის პროცესი. მაგრამ, კუბა იმუქრებოდა იმიგრაციული შეთანხმების

შეჩერებით, თუ შეერთებული შტატები არ შეწყვეტდნენ „რადიო მარტის" მაუწყებლობას. იმავე წლის 20 მარტს კუბამ შეაჩერა თანამშრომლობა რეპატრიაციის პროგრამის შეთანხმებაზე. ამან, კი თავის მხრივ, წარმოქმნა ამერიკა-კუბის ხელახალი უთანხმოებანი ადამიანის უფლებების და ემიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. კუბის და შეერთებული შტატების საიმიგრაციო შეთანხმების აღდგენა მხოლოდ 1987 წლის 20 ნოემბერს მოხერხდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელშიც შეერთებული შტატები ბრალს დებდნენ კუბას, იყო ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის ხელის შეწყობა. 1986 წლის პირველ ნახევარში შეერთებულმა შტატებმა ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად, ნარკოტიკების კონტრაბანდა გამოაცხადა. 8 აპრილს ხელმოწერილი დირექტივა (№221), რომლის მთავარი ინიციატორი იყო ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, სანქციას იძლეოდა სამხედრო წრთვნების დაწყებაზე და საიდუმლო ოპერაციების ჩატარებაზე (რომლებიც ადრე მიმართული იყო პარტიზანული ფორმირებების წინააღმდეგ საზღვარგარეთ – გ.კ.) იმ მთავრობების და პარტიზანული დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყვნენ ნარკოტიკებით ვაჭრობასთან. თავის გამოსვლაში ვიცე-პრეზიდენტმა პირდაპირ მიუთითა ნიკარაგუაზე და კუბაზე, ასევე დააფიქსირა პარტიზანული მოძრაობა მ-19 კოლუმბიაში. დირექტივის არსებობის 7 წლის განმავლობაში და შემდგომ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის №18 დირექტივით ანტინარკოტიკულ საქმიანობაზე დაიხარჯა 3 მილიარდი დოლარი. მაგრამ, კოკაინის და ჰეროინის ნაკადმა შეერთებულ შტატებში კი არ იკლო, არამედ იმატა და, საბოლოოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაცია იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ამ პროგრამისგან სარგებელი „უმნიშვნელო" იყო. (26)

კუბის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები 1985–1987 წლებში მართალია რჩებოდა კვლავ სამოკავშირეო და 1986 წლის 17 თებერვალს საბჭოთა კავშირმა კუბასთან ხელი მოაწერა ხუთწლიან შეთანხმებას სამმილიონიანი ეკონომიკური კრედიტის და დახმარების აღმოჩენის შესახებ, ნელ-ნელა საბჭოურმა ფარულმა სუბსიდიებმა კუბაში კლება დაიწყო. 1989 წელს გორბაჩოვი ვიზიტით ეწვია კუბას, მაგრამ უკვე ნელ-ნელა გამოისახა უთანხმოების კონტურები და ცხადი ხდებოდა, რომ

არსებობდა საკმაოდ დიდი ბზარი მათ შეხედულებებში საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. გარბაჩოვი კუბას უბიძგებდა შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების ნორმალიზებისაკენ. 1990 წლის ივნისში ფიდელ კასტრომ საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს პეტროვს განუცხადა, რომ კუბა მზად იყო შეერთებულ შტატებთან „ცივილიზებული ურთიერთობებისთვის", მაგრამ ამერიკელები ამისგან თავს იკავებდნენ. (27)

1990 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირს და კუბას შორის მოწერილი ეკონომიკური ხელშეკრულება საგრძნობლად ამცირებდა საჯარო სუბსიდიებს კუბისთვის. ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირის მიერ კუბური შაქრის იმპორტის ფასი თითქმის მსოფლიო ბაზრის ფასამდე დადიოდა. ხოლო საბჭოელ ეკონომიკურ მრჩეველთა რიცხვი 1989 წლიდან 3 ათასიდან 1991 წელს ათას კაცამდე ჩამოვიდა. 1991 წელს გორბაჩოვმა საკმაოდ სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო. საბჭოთა კავშირის სამხედრო კონტინგენტი კუბას ტოვებდა. ეს განცხადება, რომელიც გორბაჩოვნმა ბეიკერს გაუკეთა, ამერიკელებისთვის და მთელი მსოფლიო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი კუბელებთან ყველანაირი შეთანხმების გარეშე. ჯარის გაყვანა დაიწყო 1991 წლის მიწურულს და გაგრძელდა 1993 წლამდე. 1991 წლის ბოლოს კუბაში მხოლოდ რამდენიმე ასეული საბჭოელი სამოქალაქო მრჩეველი რჩებოდა. (28)

რეიაგნის ადმინისტრაციის მოსვლით აქტიურად დაიწყო შეერთებული შტატების შეტევის დიდ ტალღა მემარცხენე რეჟიმების მიმართ შავ კონტინენტზე. ანგოლაში ამ დროს პროკომუნისტური რეჟიმი აგოსტინიო ნეტოს ხელმძღვანელობით, ქვეყნის შიგნით კუბელთა საკმოდ დიდი სამხედრო კონტინგენტის დახმარებით ებრძოდა მეამბოხეებს, რომელთა ძირითადი ორგანიზაცია იყო სავიმბის ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაცია UNITA. 1982 წლის 9 მაისს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში გაიჟღერა ფრაზამ, რომ კუბის სამხედრო ძალების ანგოლის ტერიტორიიდან გაყვანა აუცილებელი იყო, როგორც ნამიბიისთვის დამოუკიდებლობის, ასევე მთლიანად აფრიკაში დემოკრატიი და მშვიდობის მისაღწევად. (29) პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაიწყო ანგოლაში წინააღმდეგობის დაფინანსებისთვის საბაზის ძიება, რადგანაც კონგრესის აკრძალვის საფუძველზე, რომელიც ცნობილი იყო როგორც კლარკის შესწორება და რომელიც ძა-

ლაში იყო რეიგანის პრეზიდენტად არჩევის მომენტში, შეერთებული შტატები პირდაპირ UNITA-ს დახმარებას ვერ გაუწევდნენ. 1985 წლის აგვისტოში კონგრესმა გააუქმა კლარკის შესწორება და რეიგანის ადმინისტრაციამ ექვსი თვის შემდგომ დაიწყო პროგრამა ყოველწლიურად UNITA-სთვის ხუთმილიონიანი დახმარების გასაწევად. რვა წლის ეტაპობრივად განვითარებადი ომის ესკალაციამ, ასევე სავიმბის არმიის გასანადგურებლად წამოწყებულმა ორმა წარუმატებელმა შეტევამ, შედეგად მოიტანა ის, რომ რეიგანის ადმინისტრაციის ბოლო წელს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჩესტერ ა. კროკერმა, მიაღწია პოლიტიკურ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც დაიწყო კუბის ჯარების თანმიმდევრული გაყვანა ანგოლიდან და სამხრეთ აფრიკის დომინირობის ქვეშ მყოფი ნამიბიის დამოუკიდებლობის აღიარება. (30)

მეორე მნიშვნელოვანი ლოკალური კონფლიქტი, სადაც საბჭოთა კავშირის დაფინანსებით კუბის საექსპედიციო ნაწილები ღებულობდა მონაწილეობას იყო ეთიოპია. 1988 წლის აპრილიდან (1989–1990 წლების განმავლობაში) საბჭოთა კავშირის მოთხოვნით დაიწყო კუბელთა სამხედრო ბრიგადის და სამხედრო მრჩეველების გაყვანა ამ ქვეყნიდან. ასევე მოხდა კუბელთა სამხედრო ნაწილების გაყვანა მესამე აფრიკული სახელმწიფოდან მოზამბიკიდან. დასრულდა კუბელთა თითქმის ოცწლიანი ეპოპეა აფრიკის კონტინენტზე.

როგორც ვხედავთ, რეიგანის ხანგრძლივი და აქტიური პოლიტიკის შედეგი გახდა შეერთებული შტატების საბოლოო გამარჯვება არა მხოლოდ ცენტრალურ ამერიკაში, არამედ შორეულ აფრიკაშიც. თუ შევადარებთ არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და შეერთებული შტატების პოზიციებს მსოფლიოში (განსაკუთრებით კი ცენტრალურ ამერიკის რეგიონში - გ.კ.) რეიგანის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლის და მისი ადმინისტრაციის მიერ პრეზიდენტის ოფისის დატოვების დროს, კარგად დავინახავთ, იმ დიდ ღვაწლს და ამაგს, რაც რონალდ რეიგანს და მის ადმინისტრაციას მიუძღვის ამერიკული და მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების წინაშე. მართალია, ზოგიერთი შეიძლება არ დაეთანხმოს და უარყოფითადაც კი შეაფასოს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გატარებული პოლიტიკა და განსაკუთრებით კი მეთოდები და მოქმედებები, რომლითაც

იგი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ცხადია და ნათელია, რომ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვდა და რონალდ რეიგანიც მოქმედებდა და იღვწოდა შეერთებული შტატების და მსოფლიო დემოკრატიის სასიკეთოდ. ამ გენიალური პოლიტიკური სტრატეგიის გატარებამ შედეგად მოიტანა დემოკრატიული ძალების გამარჯვება არა მარტო ნიკარაგუაში, გრენადაში და სალვადორში, არაფერი რომ ვთქვათ რიგ აფრიკულ ქვეყანაზე, არამედ იმ დიდი, რეიგანის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ბოროტების იმპერიის“ - საბჭოთა კავშირის დაშლის დაწყება.

მას შემდეგ, რაც ისედაც მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში მყოფმა საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა კუბის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, კუნძული რეალური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. კარიბის ზღვის ქვეყანა, რომელსაც საკმაოდ მწირი ბუნებრივი რესურსები გააჩნდა და რომლის მთავარი ეკონომიკური თუ სამხედრო დამფინანსებელი საბჭოთა კავშირი იყო, ძირითადი მოკავშირის, სპონსორის და პატრონის გარეშე დარჩა. ბუშის ადმინისტრაციის მოსვლით კუბის და შეერთებული შტატების ურთიერთობებში განსაკუთრებული ძვრა არ მომხდარა, ძალაში რჩებოდა ამერიკული ემბარგო, რამაც კუნძულზე საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და, შეიძლება ითქვას, შიმშილიც კი გამოიწვია. დაიშალა საბჭოთა კავშირი, მოძველდა კომუნიზმის და მსოფლიო ინტერნაციონალიზმის იდეაც, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ფიდელ კასტრო და მისი კუბა კვლავ სოცილიზმის და კომუნისტური პოლიტიკლური მმართველობის სისტემის ერთგულნი რჩებიან. ამიტომ შეერთებული შტატების დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს ისევ და ისევ წარმოადგენს კომუნისტური, ტოტალიტარული რეჟიმის ქვეშ მყოფი კუბის დემოკრატიზაციის პროცესის დაწყება.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. Raymond L. Garthoff. Detente and Confrontation. Washington, D.C. 1985. p.76-83

2. Ronald Reagan. An American Life. New York. 1990. p. 238

3. Public Papers of the President of the United States. Ronald Reagan. 1981. January 20 to December 31, 1981. Exerpts From an Interview With Walter Cronkite of CBS News. March 3, 1981. Washington. 1982. p. (191-202) 196

4. Ibid. p. 826-827

5. Simpson C. National security directives of the Reagan and Bush administrations: the declassfied history of the US politics and military policy, 1981-1991. Boulder: Westview Press, 1995. p.53

6. History of Cuba.Com. Written and Complied by J.A Sierra – www.historyofcuba.com/history/time/timetbl5.htm

7. Public Papers of the President of the United States. Ronald Reagan. 1982. January 1 to July 2, 1982. Remarks on the Caribbean Basin Initiative to the Permanent Council of the Organization of American States. February 24, 1982. Washington. 1983. p. (210-214) 213

8. Simpson C. National security directives of the Reagan and Bush administrations: the declassfied history of the US politics and military policy, 1981-1991 p.56, 92-93

9. Raymond L. Garthoff. The Great Transition. Washington, D.C. 1994. p. 684

10. Simpson C. National security directives of the Reagan and Bush administrations: the declassfied history of the US politics and military policy, 1981-1991. p.66, 128-129

11. Ibid. p. 231, 276-277

12. Ibid. p. 238-239, 312-317

13. Ibid. p.242-243, 332-334

14. ოფიციალური წყაროების გათვალისწინებით, ბრძოლების შედეგად 18 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა და 116 დაიჭრა, მაშინ როდესაც კუბელთ დანაკარგი წარმოადგენდა 24 მებრძოლს დაღუპულთა სახით და 59 დაჭრილით, ხოლო გრენადელებისგან 45 დაღუპული და 337 დაჭრილი.

15. Геополитический тупик. Вторая холодная война. - history-futur.newmail.ru/R2-htm.

16. Public Papers of the President of the United States. Ronald Reagan. July 2 to December 31, 1983.. Remarks of the President and Prime Minister Eugenia Charles of Dominica Announcing the Deployment of United States Forces in Grenada. November 22, 1982. Washington. 1983. p.(1505-1508) 1506

17. Raymond L. Garthoff. The Great Transition. p.705-706

18. Public Papers of the President of the United States. Ronald Reagan. 1983.

January 1 to July 1, 1983. Address to the Nation on Defense and National Security. March 23, 1983. Washington. 1984. p. (437-443) 440

19. Public Papers of the President of the United States. Ronald Reagan. July 2 to December 31, 1983. Address to the Nation on Events in Lebanon and Grenada. October 27, 1983. Washington 1985. p. (1517-1522) (1521)

20. Raymond L. Garthoff. The Great Transition. p.705

21. Ibid. p.711

22. Simpson C. National security directives of the Reagan and Bush administrations: the declassfied history of the US politics and military policy, 1981-1991. p.360-361

23. bidem

24. Ibid. p.642-643

25. Ibid. p.736, 783-784

26. Ibid. p.640-642

27. Raymond L. Garthoff. The Great Transition. p.744

28. Ibid. p.745-744

29. Public Papers of the President of the United States. Ronald Reagan. January 1 to July 2, 1982. Address at Commencement Exercises at Eureka College in Illinois. May 9, 1982. Washington. 1984. p(580-586) 583

30. Lou Cannon. President Reagan. New York. 2000. p.321

პაატა კოღუაშვილი
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

# როლანდ რეიგანის აგრარული პოლიტიკის ეკონომიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი

ნებისმიერი ადამიანის ღვაწლი, ქვეყნისა და ერის წინაშე დამსახურება, ყველაზე მკაფიოდ მისი გარდაცვალების შემდეგ წარმოჩინდება. გამონაკლისი არც აშშ-ის ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტი რონალდ რეიგანი იყო. ამერიკელმა ხალხმა გულწრფელი სინანულით გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე. დაკრძალვის ცერემონიალი პომპეზურობით გამოირჩეოდა, თუმცა ყვითელმა პრესამაც კი ვერ გააპროტესტა იგი, რადგან რეი იმსახურებდა ყოველივე საუკეთესოს.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც ნებისმიერი პრეზიდენტის წინაშე დგას, ეკონომიკურ ზრდას ეხება. განსაკუთრებით მწვავედ, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს პრობლემა სწორედ აშშ-ში იჩენს თავს, რადგან ამერიკული წარმატების საწინდარი, სწორედ ეკონომიკური ზრდაა, რომლისთვისაც ჩავარდნები და დეპრესიებიც კი კარგადაა ცნობილი. განუწყვეტელი ეკონომიკური აღმავლობის მისაღწევად რეიგანის ადმინისტრაციამ ეკონომიკის ისტორიაში აპრობირებულ მეთოდს, რეკონსტრუირებას მიმართა. ეკონომიკა გარკვეულწილად იმეორებს გარკვეულ თემებს და კაპიტალიზმი ხელოვნურად იწვევს ხელახალ გამოცოცხლებას. რეკონსტრუირებული სექტორის მოცულობა შედარებით მცირდება, მაგრამ იგი უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ხდება. აღნიშნული პროგრესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, მაგრამ საუკეთესო შედეგი თითქმის გარანტირებულია.

აგრარული სფეროს მთელი რიგი თავისებურებების გამო, ამ დარგს განვითარებული სახელმწიფოების მთავრობები საკმაოდ მკაცრად არეგულირებენ. ერთი შეხედვით, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამგვარი რამ გაუმართლებელიც შეიძლება იყოს, მაგრამ რეალობამ აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში საბაზრო კანონების სტიქიური მოქმედება დიდი რისკ-ფაქტორია ქვეყნის ეროვნული უშიშროებისთავის. ამის დასტურია 1920–30-იან წლებში,

აშშ-ში განვითარებული მოვლენები, როდესაც ე.წ. „დიდი დეპრესიის“ დროს სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება უმნიშვნელოვანეს მადესტაბილიზებელ ფაქტორად იქცა მთელი ქვეყნისათვის, რის შემდეგაც ამოქმედდა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მართვადი და პროგნოზირებადი გახდა.

ამერიკის ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მიმართ ისიც განაპირობებს, რომ ეს დარგი აშშ-ის ეკონომიკის საფუძველია. აქ, პირდაპირ ან ირიბად იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს. ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ მთავრობა არ იშურებს ფინანსურ სახსრებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისათვის.

აშშ-ში, აგრარულ სფეროს გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, არეგულირებს ე.წ. „აგრარული კანონები“, რომელთაც კონგრესი 5-6 წლის პერიოდულობით იღებს და მათი მოქმედებისას ამერიკის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებია.

1985 წელს პრეზიდენტ რეიგანის ინიციატივით კონგრესმა მიიღო კანონი „აშშ-ის სასურსათო უშიშროების შესახებ“. მასში აისახა ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება და თავისი არსით იურიდიული საფუძველი ჩაუყარა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ახალ ეტაპს. უპირველეს ყოვლისა, მან ხაზი გაუსვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებულ დარგს, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია აშშ-ში. რეიგანმა რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომა სასოფლო-სამეურნეო რესურსების გამოყენებისა და სასურსათო უშიშროებისადმი. ცნობილია, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ ბევრი გააკეთა კერძო ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის შესაზღუდად და ამ მიზნებისათვის საბიუჯეტო ასიგნების შესამცირებლად, მაგრამ არა სოფლის მეურნეობის სფეროში. აქ, ასეთი ზემოქმედების მექანიზმი და დაფინანსებისადმი მიდგომა ხელუხლებელი დარჩა.

უფრო მეტიც, შემოღებულ იქნა არსებითი ხარისხობრივი და რაოდენობრივი დამატებანი.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურებანი, რომლებიც აისახა

1985 წლის კანონში სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სახელმწიფოს ჩარევის ლეგალიზებისათვის იყო შემდეგი ცვლილებები.

პირველი, 80-იან წლებამდე კანონმდებლობის მთელი ფრაზეოლოგია და პათოსი მიმართული იყო საოჯახო ფერმის მხარდასაჭერად. 1985 წლის კანონში ეს უკვე სხვაგვარად ჟღერს – ადრე ერთიანი პოლიტიკური ხაზიდან გამოყოფილი იყო ორი მიმართულება – „ქვეყნის კომერციული სოფლის მეურნეობის სტაბილიზაცია“ და „სასოფლო რაიონების კეთილდღეობა“. კანონის ლოგიკით პირველი მიმართულება გულისხმობს სახელმწიფოს ორიენტირებას მსხვილ მეურნეობებზე – სასაქონლო პროდუქციის ძირითად მწარმოებლებზე, მაშინ როცა მეორე მიმართულია საშუალო და მცირე ფერმების სახელმწიფო მხარდაჭერაზე სასოფლო რაიონებში სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. შესაბამისად გადაისინჯა სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქცია ქვეყნის სოფლის მეურნეობის სფეროში. ზოგიერთი მათგანი, რომელიც შექმნილი იყო თავის დროზე საოჯახო ფერმების მხარდასაჭერად, გადაორიენტირებულ იქნა მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში მიწის რესურსების კონსოლიდირების მიზანზე.

მეორე, 1985 წლის კანონმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუფსიდირებისა და კრედიტის ასაღებად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაგირავების ახალი დებულებები და მექანიზმები შემოიღო. დაწვრილებით რომ არ განვიხილოთ დამატებათა არსი, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამგვარ იურიდიულ საფუძველზე დაყრდნობით, გაფართოებულმა საბიუჯეტო სახსრების სუბსიდირებამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში 58 მილიარდი დოლარის დონეს მიაღწია. პრაქტიკულად, ამან აშშ-ის მთავრობას მისცა საშუალება არა მარტო გაეძლიერებინა თავისი ზემოქმედება ბაზრის, სათესი ფართობების, წარმოების მოცულობის კონიუნქტურულ ცვლილებებზე და ფერმერების შემოსავლებზე, არამედ გამხდარიყო ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთავარი მყიდველი და გამანაწილებელი. 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა წარმოებული ხორბლის 48% და რძის ნაწარმის 75%.

მესამე, 1985 წლის კანონში უმთავრესი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

ამასთან, პირველ პლანზე წამოიწია მიწის ეროზიასთან ბრძოლის კონკრეტულმა პროგრამამ. მისი განხორციელება განიხილებოდა აშშ-ის მთავრობის მიერ არა მარტო როგორც მიწის ფონდის შენარჩუნების კამპანია, არამედ როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა. ძველი მოწოდებები, განმარტებანი და დარწმუნებები შეიცვალა უმკაცრესი ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციებით. იმ მეურნეთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ ანტიეროზიული ღონისძიებების გატარებას.

1985 წლის კანონის კიდევ ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მან ფაქტობრივად პირველად განსაზღვრა აშშ-ის მიდგომა სასურსათო უშიშროების პრობლემის მიმართ დროის განჭვრეტად პერიოდში. ყველა იმ მეურნეობას, რომელიც ჩართულია მიწის რესურსების დამუშავებაში ნიადაგის ეროზიის მაღალი დონით, კანონმა დაავალა ნიადაგის დამცავი ზომების გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფერმერი კარგავდა ყველა სახელმწიფო სუბსიდიას. კანონმა აგრეთვე დაავალა ყველა მეურნეობას წარმოედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ნიადაგდამცავ ღონისძიებათა გეგმა 1990-1995 წ.წ. პერიოდზე. უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის ასეთი გეგმა დაამტკიცა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. ნიადაგდამცავი ღონისძიებები წარმატებულად იქნა განხორციელებული 90-ნი წლების დასაწყისიდან 13 მილიონ ჰექტარზე.

კანონით იყო დადგენილი ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი დახმარება იმ ფერმერთათვის, რომლებიც ნებაყოფლობით გამოიყვანდნენ ბრუნვიდან 10 წლის ვადით იმ ფართობებს, რომლებიც ხასიათდებიან ეროზიის მაღალი დონით. ამ მიწებმა საფუძველი ჩაუყარეს მიწების სახელმწიფო ფონდს. სახელმწიფომ აიღო თავის თავზე ამ მიწების გამდელოებისა და ტყის გაშენებასთან დაკავშირებული ხარჯების 50%. სახნავი ფართობების ოდენობა, რომლებიც კონსერვაციას ექვემდებარებოდნენ, იყო შემოფარგლული 25%-ით. გამდელოებას დაექვემდებარა რეზერვში გადაყვანილი მიწის 80%, ხოლო ტყის გაშენებას კი 20%. პირველად რეზერვში გამოყოფილი მიწების ფართი განისაზღვრა 10,2 მილიონი ჰექტარით (თუმცა უკვე მაშინ კონგრესი ამზადებდა კანონს, რომლის თანახმად მისი გადიდება 14 მილიონ ჰექტრამდე იყო განსაზღვრული). დადგინდა, რომ მიწის ფონდის შექმნაზე სახელმწიფო დახარჯავდა 1,2 მილიარდ დოლარს, ანუ

წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნებაზე გამოყოფილი მთელი თანხების 50%-ს.

შემდგომ კანონი ითვალისწინებდა სახელმწიფო სუბსიდიების შეწყვეტას იმ ფერმერთათვის, რომლებიც აწარმოებდნენ ჭაობების ამოშრობას (ასეთი ფართობების შემდგომ სახნავად გამოყენების მიზნით) თუ კი ექსპერტები დაასკვნიდნენ, რომ ეს უარყოფითად იმოქმედებდა იმ ტერიტორიის ბიოლოგიურ გარემოსა და ჰიდროლოგიაზე.

კანონმა ახლებურად ჩამოაყალიბა ქვეყნის წყლის რესურსების დაცვის მოთხოვნები. მისი პირდაპირი გაგრძელება გახდა 1987 წლის სპეციალური კანონი „წყლის რესურსების" ხარისხის შესახებ (Watershed Protection and Flood Prevention). ამ კანონის თანახმად 1990 წელს 36 შტატში შემოიღეს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კონტროლს აწესებენ წყალში პესტიციდების შემცველობაზე. ყველაზე მკაცრი შეზღუდვები დაწესდა ინტენსიური მიწათმოქმედების მქონე კალიფორნიის, ფლორიდის, აიოვასა და მინესოტის შტატებისათვის. ზოგიერთმა შტატმა გადასახადები შემოიღო სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებზე, რითაც გაზარდა ხარჯები ფერმერთა განათლების დონის ასამაღლებლად.

აშშ-ში აღიარეს, რომ 1985 წლის კანონის დებულებათა რეალიზებას, განსაკუთრებით კი იმათი, რომლებიც ეხებიან საბიუჯეტო სახსრების უფრო დიდ მიზიდვას სოფლის მეურნეობაში, გარემოს დაცვასა და ქვეყნის სასურსათო უშიშროებას, შეიძლება მოჰყვეს ფერმერთა შემოსავლების შემცირება და მათ შორის სოციალური დაძაბულობის ზრდა. მიუხედავად ამისა, პროგრამის განხორციელება მიჩნეული იყო სახელმწიფოსათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ. ამ პრობლემების ოპტიმალური თანაფარდობების პოვნა განიხილება აგრარული მეცნიერების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აქტუალურ ამოცანად.

1990 წლის კანონი „სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და ვაჭრობის შესახებ" (Food, Agricultural, Conversation and Trade Act 1990) გახდა 1985 წლის კანონის ლოგიკური გაგრძელება და დამატება. არსებითად ამ კანონმა დაასრულა პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის ძალისხმევა სოფლის მეურნეობის დინამიური განვითარებისათვის, მიწის, წყლის რე-

სურსებისა და გარემოს იმავდროული დაცვით. კანონი ფერმერთა და საზოგადოების (სახელმწიფო სუბსიდირების) ძალისხმევის გაერთიანების საშუალებას იძლეოდა სოფლის მეურნეობის საკვანძო საშუალებების გადასაწყვეტად. კერძოდ, შემდგომი განვითარება პოვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობის რეგულირების პროგრამამ. 90-იანი წლების დასაწყისში მარაგებმა თავის მაქსიმალურ ოდენობას მიაღწიეს და სახელმწიფოს მოუხდა სუბსიდიების მოცულობის გაზრდა ფერმების და მთლიანად სოფლის მეურნეობის საფინანსო მდგრადობის შესანარჩუნებლად. 1990 წლის კანონის თანახმად, ეს ხარჯები განიხილებოდა როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში. სუბსიდირების დონე განისაზღვრებოდა ფასების მიმდინარე დონით. ამასთან, ერთი ფერმისთვის განკუთვნილი თანხა შემოიფარგლებოდა 50 ათასი დოლარით. გაცემული სუბსიდიების დონე საფუძვლიანად მცირდებოდა, თუ ერთი კულტურისთვის განკუთვნილი ფართობის 15%-ზე მეტი სხვა კულტურის წარმოებას მოხმარდებოდა. შემდგომი განვითარება პოვა საქონლის დაგირავებამ სახელმწიფო კრედიტის მისაღებად. ძირითადი რეგულირებადი კულტურების (ხორბალი და სიმინდი) მიხედვით, საგირაო გადასახადის დონე 10%-ის ფარგლებში მერყეობდა (მარაგისა და მოხმარების დონის თანაფარდობის მიხედვით).

ამასთან ერთად, 1990 წლის კანონმა რამდენიმე ცვლილება შეიტანა სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის პროგრამებში მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ასე, მან მკაცრად დაუკავშირა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამის ამოქმედება გარემოს დამცავი ნორმების დაცვას. კანონში განხორციელდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პირობების შექმნის დეკლარირებული კურსის სტანდარტები. ამასთან, მკვეთრად გაზარდა ასიგნება წყლის რესურსების, კერძოდ, სასმელი წყლის, ხარისხის უზრუნველსაყოფად. მკვეთრად განისაზღვრა წყალში მავნე ნარჩენების ზღვრული ნორმები. კიდევ უფრო შეიზღუდა ჭაობების ამოშრობა და გამკაცრდნენ ცხოველთა სამყაროს დაცვის ნორმები.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. 1985 და 1990 წლებში მიღებული კანონები, წარმოადგენდნენ ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას და თავისი არსით ისახავდნენ ერთ საერთო მიზანს – სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზებას და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფას.

2. აშშ-ის სასურსათო უშიშროების აყვანა სახელმწიფოს პრიორიტეტული (სტრატეგიული) მიზნის რანგში, აისახა იმ საკანონმდებლო ნორმების მიღებასა და სრულყოფაში, რომლებიც ემსახურებიან შემდეგი მიზნების მიღწევას: ა) სასოფლო-სამეურნეო რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფეროს (ჰაერის) რაციონალურ გამოყენებას, რის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა იურიდიული ბაზა, რომელმაც აამოქმედა ამ რესურსების დაცვის სავალდებულო ნორმატივები; დააკანონა სათესი ფართობების სახელმწიფო რეგულირებისა და ცალკეულ კულტურებს შორის მათი გადანაწილების მექანიზმი, კვების ძირითადი პროდუქტების ოპტიმალური ფასებისა და მათი წარმოების რეგულირების შესაძლებლობა; ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სტაბილიზება და მათი დაცვა საბაზრო სტიქიისაგან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. საკანონმდებლო ბაზამ მისცა მთავრობას საფინანსო უფლებამოსილება აწარმოოს (აუცილებლობის შემთხვევაში) ძირითადი სასოფლო პროდუქციის ფართომასშტაბიანი სუბსიდირება; გ) მიწათსარგებლობის ყველაზე ეფექტური მეთოდების მხარდაჭერა: საკანონმდებლო ნორმების, მექანიზმებისა და საფინანსო გადაწყვეტილებათა სპეციფიკა განისაზღვრა იქიდან, რომ უკვე ახლო მომავალში 100 ათასი მსხვილი მეწარმე მისცემს ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო წარმოების 80%-ს, მაშინ როდესაც ტრადიციული საოჯახო ფერმა ქვეყნის მიწათსარგებლობის ისტორიის საკუთრება გახდება; დ) სახელმწიფოს გადაქცევა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად (კონტრაქტორად), არამედ მთავარ მყიდველად და განმანაწილებლად (დისტრიბუტორად): შექმნილი იურიდიული მექანიზმი აძლევს მთავრობას საკმარის უფლებამოსილებას, რომ შეისყიდოს და გაანაწილოს სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (იმ შემთხვევაში თუ აუცილებელია ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზება).

დაბოლოს, აშშ-ში სასურსათო უშიშროების თემა უმაღლესი

ნაციონალური ინტერესების სფეროში შედის. ეს ქვეყანა თავის ჰეგემონიის განმტკიცებას „სასურსათო იარაღის" გამოყენებითაც ცდილობს, რადგან იგი უძლიერესი ინსტრუმენტია პოლიტიკური ზემოქმედებისათვის, ხოლო სასურსათო უშიშროების მიღწევა ეროვნული ინტერესების პრიორიტეტია. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის სოფლის მეურნეობის მინისტრის ჯ. ბლოკის განცხადება: „მე ვფიქრობ, რომ სასურსათო იარაღი – ყველაზე მძლავრი იარაღია. რომელსაც ჩვენ ვფლობთ დღეს. ასე იქნება უახლოეს ოც წელიწადში, ვიდრე სხვა ქვეყნები დამოკიდებულნი იქნებიან ამერიკისაგან თავიანთ კვებასთან დაკავშირებით".

აშშ 1996 წლის მიღებული აგრარული კანონით დასაშვებია პოლიტიკური მიზნებით „სასურსათო იარაღის" გამოყენება, მაშინ როდესაც ამგვარი რამ FAO -ს რომის დეკლარაციის თანახმად კატეგორიულად იკრძალება. ეს კანონი ასევე ითვალისწინებს სურსათის ექსპორტიორი იმ ფირმების მხარდაჭერას, რომლებიც დაზარალდებიან, თუ აშშ-ის მთავრობა რომელიმე ქვეყანაში სურსათის მიწოდებაზე ემბარგოს გამოაცხადებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


The Food Security - Act 1985

Watershed Protection and Flood Prevention - Act 1987.

Food, Agricultural, Conversation and Trade - Act 1990.

პ. კოლუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი – „სასურსათო პრობლემიდან სასურსათო უსაფრთხოებამდე". თბილისი, „მერანი", 1999.

პ. კოლუაშვილი – „საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები". თბილისი, „კოლორი", 2004.

რევაზ ლორთქიფანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

# რონალდ რეიგანის საგადასახადო რეფორმა და ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები თანამედროვე პირობებში

რონალდ რეიგანის საგადასახადო რეფორმის შესახებ ნათლად მეტყველებენ ცნობილი ეკონომისტის გ. მენქიუს მიერ მოყვანილი ანალიტიკურ-სტატისტიკური ხასიათის მასალები, რასაც, ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩემს დასკვნებსაც დავურთავ.

როგორც ცნობილია,გადასახადები არაერთხელ გამხდარა ცხარე პოლიტიკური დებატების საგანი. 1776 წელს,უკმაყოფილებამ, რომელსაც ამერიკულ კოლონიებში ბრიტანეთის გადასახადები იწვევდნენ, ამერიკულ რევოლუციას მისცა ბიძგი. ორი საუკუნის შემდეგ,რონალდ რეიგანის საარჩევნო პოლიტიკური პლატფორმა პირადი საშემოსავლო გადასახადების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებდა,რის შედეგადაც თეთრ სახლში რეიგანის რვაწლიანი მმართველობის პერიოდში მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადი 70-დან 28 პროცენტამდე შემცირდა. 1992 წელს ბილ ქლინთონის პრეზიდენტად არჩევნის მიზეზი ნაწილობრივ ისიც იყო, რომ ჯორჯ ბუშმა უფროსმა 1988 წლის საარჩევნო კამპანიაში მიცემული სიტყვა გატეხა (ეს მენქიუს აზრია. ჩემი აზრით, მას გადასახადების რაოდენობის მომატება ჰქონდა ნაგულისხმები): „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: არავითარი ახალი გადასახადები" (იხილეთ გამოყენებული წყარო N1,გვერდი 203). თუმცა, თანამედროვე თვალთახედვით, დრომ დაადასტურა, რომ რეიგანის ლიბერალური საგადასახადო რეფორმა ცოტა ნაადრევად რადიკალური აღმოჩნდა.

საგადასახადო პოლიტიკის უახლესი ისტორია გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავებული შეხედულებები აქვთ პოლიტიკურ ლიდერებს სამართლიანობასა და ეფექტიანობაზე. 1980 წელს როცა პრეზიდენტად რონალდ რეიგანი აირჩიეს,უმდიდრესი ამა-

მიანების საშემოსავლო გადასახადის ზღვრული განაკვეთი შემოსავალზე 50 პროცენტს შეადგენდა, საბანკო პროცენტიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადის ზღვრული განაკვეთი უფრო მეტს–70 პროცენტს. რეიგანის მტკიცებით, გადასახადების ასეთი დიდი განაკვეთები ძალიან ამახინჯებენ შრომისა და დაზოგვის სტიმულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეიგანი აცხადებდა, რომ ასეთი დიდი გადასახადები, ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, ძალიან ძვირი ჯდებოდა. ამიტომ, საგადასახადო რეფორმა მისი ადმინისტრაციის ძირითადი პრიორიტეტი იყო. რეიგანმა მკვეთრად შეამცირა გადასახადები 1981 წელს და, ხელმეორედ, 1986 წელს. როდესაც, 1989 წელს, რეიგანმა თეთრი სახლი დატოვა, უმდიდრესი ამერიკელების გადასახადების ზღვრული განაკვეთი მხოლოდ ზემოხსენებულ 28 პროცენტს შეადგენდა. ბუშის პრეზიდენტობის ოთხი წლის განმავლობაში გადასახადის ყველაზე დიდი განაკვეთი ოდნავ გაიზარდა და 31 პროცენტი გახდა. როდესაც, 1992 წელს, ბილ ქლინტონი პრეზიდენტობისთვის იბრძოდა, ამტკიცებდა, რომ მდიდრები არ იხდიდნენ ისეთ გადასახადებს, რომელსაც მათგან სამართლიანობა მოითხოვდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მდიდართა გადასახადების დაბალი განაკვეთი, ქლინტონის აზრით, ვერტიკალურ სამართლიანობას არღვევდა. უმაღლეს დონეზე საგადასახადო განაკვეთი, დაახლოებით, 40 პროცენტი გახდა (იხილეთ გამოყენებული წყარო N1, გვერდი 341), რაც, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმითაც, რომ, გადასახადების შემცირების სიკეთესთან ერთად, 1980-იანი წლების დასაწყისიდან ბიუჯეტის დეფიციტი აშშ-ის ეკონომიკის ქრონიკული პრობლემა გახდა. 1981 წელს, როცა თეთრ სახლში პრეზიდენტი რეიგანი მოვიდა, მისი მიზანი, როგორც ხარჯების, ასევე გადასახადების შემცირება იყო. აღმოჩნდა, რომ სამთავრობო ხარჯების შემცირება უფრო მეტ პოლიტიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე გადასახადების შემცირება. რის შედეგადაც, დაიწყო ბიუჯეტის დიდი დეფიციტის ეპოქა, რომელმაც არა მარტო რეიგანის, არამედ ჯორჯ ბუშისა (ლაპარაკია უფროსზე – რ.ლ.) და ბილ ქლინტონის (დასაწყისში, შემდეგ პროფიციტი დაფიქსირდა – რ.ლ.) მმართველობის პერიოდებიც მოიცვა (იხილეთ გამოყენებული წყარო N1, გვერდები 739-740).

ამდენად, დღევანდელი გადმოსახედიდან ფაქტია, რომ ყველა-

ფერს ზომიერება ესაჭიროება. მაგალითისათვის, მისანიშნებელია, რეიგანის ეპოქისათვის (წინაპირობებისა და შემდგომი უახლოესი წლების ჩათვლით) დამახასიათებელი სხვადასხვა ეკონომიკური ტენდენციებიც:

1. ინფლაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ფასების ზრდის ტემპი ხშირად მნიშვნელოვნად იცვლებოდა. 1990-დან 1996 წლამდე ფასების წლიური ზრდის საშუალო სიჩქარე დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენდა. 1970-იან წლებში კი, ფასები წელიწადში 7 პროცენტით იზრდებოდა, რაც ათწლიან პერიოდში ფასების გაორმაგებას ნიშნავს. საზოგადოება ასეთ მაღალ ინფლაციას ძირითად ეკონომიკურ პრობლემად თვლიდა. პრეზიდენტი ჯიმი კარტერი როცა მეორედ იყრიდა კენჭს, მისი მოწინააღმდეგე როლანდ რეიგანი აცხადებდა, რომ მაღალი ინფლაცია კარტერის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ჩავარდნა იყო (იხილეთ გამოყენებული წყარო N1, გვერდი 808).

2. OPEC-ის მიწოდების ორი შოკის შემდეგ, 1980 წელს, აშშ-ის ეკონომიკაში უმუშევრობის დონე დაახლოებით 7 პროცენტი, ხოლო ინფლაციის დონე 9 პროცენტზე ოდნავ მეტი იყო. უმუშევრობისა და ინფლაციის ეს კომბინაცია შორს იყო იმ ალტერნატივისაგან, რომელსაც 1960-იან წლებში ვარაუდობდნენ (1960-იანი წლების ფილიპსის მრუდიდან გამომდინარე, 7-პროცენტიანი უმუშევრობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ 1-პროცენტიან ინფლაციასთან. 9-პროცენტიანი ინფლაცია იმ დროისთვის წარმოუდგენელი იყო). 1980 წელს, აშშ-ის ისტორიაში სიღარიბის ყველაზე მაღალი ინდექსის პირობებში, საზოგადოება უკმაყოფილო იყო მაკროეკონომიკური მდგომარეობით. ეს უკმაყოფილება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა იმისა, რომ იმდროინდელი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა (იხილეთ გამოყენებული წყარო N1, გვ. 993-994).

3. 1979 წელს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარედ პოლ ვოლკერი დაინიშნა. იმავე წლის ნოემბერში ვოლკერმა დაიწყო შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკის გატარება, რათა შებრძოლებოდა ინფლაციის მაღალ დონეს, რომელიც წინამორბედისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ვოლკერის გადაწყვეტილების სავარაუდო შედეგი რეცესია იყო, ხოლო რეცესიის სასურველი შედეგი – კარტერის პოპულარობის ზრდა.

იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა პრეზიდენტს, რომელმაც ამ თანამდებობაზე დანიშნა, ვოლკერმა ხელი შეუწყო კარტერის დამარცხებას რონალდ რეიგანთან ბაექრობაში (იხილეთ გამოყენებული წყარო N1, გვერდი 1016).

საერთოდ, ეკონომისტებს, როგორც პროფესიონალთა ჯგუფს, ხშირად აკრიტიკებენ პოლიტიკოსებისთვის ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევების მიცემისათვის. პრეზიდენტმა რეიგანმა ერთხელ ძალზე მახვილგონივრულად აღნიშნა, რომ თამაში „ბედნიერი შემთხვევა" ეკონომისტებისთვის რომ იყოს შექმნილი, მასში 100 კითხვა და 3000 პასუხი იქნებოდაო (იხილეთ გამოყენებული წყარო N1, გვერდი 40).

ექსპრეზიდენტ რეიგანის მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, შეერთებული შტატების მეცნიერებამ მაქსიმალურად შესაძლო და შეუძლებელიც გააკეთა მისი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. მსოფლიო დემოკრატიაში წვლილისათვის კი, იგი გულწრფელად დაიტირა მთელმა ამერიკამ, და არა მხოლოდ ამერიკამ, მიუხედავად პოლიტიკური, თუ სხვა კუთვნილებისა.

საერთო ჯამში, რ. რეიგანი უდავოდ ეპოქალური პიროვნება იყო, ხოლო მისი რეფორმა ეპოქის წინმსწრებ სასიკეთო მცდელობად უნდა შეფასდეს. რეიგანისეული ეკონომიკური ლიბერალიზების იდეა, რაც დღითიდღე აწუხებს ეკონომიკურ მეცნიერებას, საბანკო პროცენტის და საერთო ჯამში პოლიტიკის ეკონომიკაში ჩარევისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლო მინიმიზებასაც შეეხო.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. – თბილისი, დიოგენე, 2000.
2. http://www.PresidentReagan.info/bio, 2004.19.06.
3. http://www.PresidentReagan.info/Reagan_budgets, 2004.20.06.
4. http://www.PresidentReagan.info/debt-deficit, 2004.21.06.
5. http://www.PresidentReagan.info/expansion.cfm, 2004.22.06.
6. http://www.PresidentReagan.info/Index (What`s ეწ'),2004.22.06.
7. http://www.PresidentReagan.info/Blog (Discussion), 2004.23.06.
8. რევაზ ლორთქიფანიძე, დავით ძოწენიძე, თამარ რუსიშვილი, თამთა გავაშელიშვილი, კეთილდღეობის თეორია და რევოლუციური რეფორმირების ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე თვალთახედვა (ლექციების კურსი). – თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.

ელისო მაჩიტიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი

# „ოქროს ხანა“ ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში

XX საუკუნის 80-იან წლებში თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ.

70–იანი წლების ბოლოს ახლო და შუა აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე (ირანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადება და 1979 წ. დეკემბერში ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანა), გაიზარდა თურქეთის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა.

ამერიკის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ ამ კრიზისულ რეგიონში სეკულარული თურქეთი საიმედო მოკავშირე იყო ვაშინგტონისათვის. (1)

რეიგანის ადმინისტრაცია თურქეთს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. გარდა იმისა, რომ ის ნატოს სამხრეთ ფლანგზე მდებარეობდა და შუა აღმოსავლეთში ამერიკის გავლენის დასამყარებლად ძირითადი ქვაკუთხედი იყო, იგი ასევე უშუალოდ ესაზღვრებოდა საბჭოთა კავშირს, რომელიც რეიგანმა „ბოროტების იმპერიად“ გამოაცხადა. რადგან ემყარებოდა „ცივი ომის“ პოლიტიკის ტრადიციებს, რეიგანი ცდილობდა საბჭოთა კავშირის მიმართ გაეტარებინა მშვიდობიანი, მაგრამ ძალისმიერი პოლიტიკის კურსი. (2) ამიტომ აშშ-ს სურდა ამ კრიტიკულ რეგიონში თურქეთის არმიის გაძლიერება და მოდერნიზაცია. ამის შედეგი იყო თურქულ–ამერიკული ურთიერთობების გააქტიურება რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში. (3)

ამით აიხსნება აშშ-ის სამხედრო დახმარებების მკვეთრი ზრდა თურქეთისადმი 80-იანი წლების პირველ ნახევარში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1980–1985 წლებში, ამ დახმარებების საერთო რაოდენობამ, რომლის მნიშვნე–ლოვანი ნაწილი კრედიტები იყო, 2,6 მლრდ. დოლარს მიაღწია. (4)

მას შემდეგ, რაც თურქეთში დამთავრდა სამხედრო რეჟიმი და 1983 წ. საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა დედა სამშობლოს

პარტიამ და ამ პარტიის ლიდერი თ. ოზალი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა, კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა დამყარდა აშშ-სა და თურქეთს შორის.

1983–1989 წლებში აშშ-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე ახლო ურთიერთობების პერიოდი იყო, თურქი ავტორები მას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში „ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ.

აღსანიშნავია,რომ თ. ოზალს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ამერიკის როგორც ადმინისტრაციულ,ასევე ფინანსურ წრეებთანაც. ეს გარკვეულწილად განპირობებული იყო იმით, რომ სტამბოლის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა აშშ-ში ხოლო 1971–1973 წლებში მუშაობდა მსოფლიო ბანკის აპარატში. (5)

საყურადღებოა ისიც, რომ თ. ოზალმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად შეიმუშავა თურქეთის ეკონომიკის სტაბილი–ზაციის პროგრამა, რომელიც „24 იანვრის გადაწყვეტილებების“ სახელით არის ცნობილი. აღნიშნული პროგრამა 1980 წ. იანვარში წარმოადგინა ს. დემირელის მთავრობამ, თ. ოზალი, რომელსაც „თურქული ეკონომიკური სასწაულის მამას“ უწოდებენ, მაშინ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იყო ეკონომიკურ საკითხებში.

ეს პროგრამა ეფუძნებოდა ფრიდმანის ეკონომიკური სკოლის პრინციპებს (ჩიკაგოს მონეტარიზმის სკოლა). აღსანიშნავია,რომ ამავე პრინციპებს ეფუძნებოდა რეიგანომიკა და ტეტჩერიზმი.(6)

თ. ოზალი ცდილობდა გაეტარებინა პრაგმატული საგარეო პოლიტიკა და განეხორციელებინა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რომელიც გათვალისწინებული იყო „ეკონომიკის სტაბილიზაციის“ პროგრამით. იგი ცდილობდა დასავლეთთან და, კერძოდ, აშშ-თან ურთიერთობაში წინა პლანზე წამოეწია ეკონომიკური ინტერესები, იგი აცხადებდა, „ჩვენს ურთიერთობას დასავლეთთან, პირველ რიგში, აქვს ეკონომიკური ინტერესები“. (7)

80-იან წლებში, თურქეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უცხოური კაპიტალის მოზიდვას. 1984 წ. თურქეთში იმდენი უცხოური ინვესტიცია ჩაიდო, რამდენიც მთლიანად წინა 30 წლის განმავლობაში. (8)

თ. ოზალი ცდილობდა ხელსაყრელი პირობები შეექმნა ამერიკელი ინვესტორებისათვის. ვაშინგტონში მას ახლო მეგო-

ბრად და საიმედო მოკავშირედ თვლიდნენ. ამერიკელი ბანკირების აზრით „ოზალი გააკეთებს ყველაფერს, რასაც ისინი მას ეტყვიან". (9)

საყურადღებოა, რომ 1985 წ. ივლისში აშშ-მა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას ინვესტიციების შესახებ. ამ შეთანხმებაში დადასტურებულია ამერიკელი და თურქი მეწარმეების უფლებათა სრული თანასწორობა—ამერიკელი ინვესტორების გათავისუფლება ქვეყანაში კაპიტალის შემოტანასთან დაკავშირებული ყოველგვარი ბიუროკრატიული ფორმალობებისაგან, გარანტია, რომ თურქეთში არ მოხდება აშშ-ის ფირმების წარმოებული კაპიტალდაბანდებების ნაციონალიზაცია. (10)

მეტად საყურადღებოა ის, რომ ამ პერიოდში დიდი რაოდენობის ინვესტიციები იქნა ჩადებული სამხედრო მრეწველობაში. თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა მცდელობებს, აშშ-ში ვიზიტების დროს, მიეზიდათ ინვესტიციები სამოქალაქო მრეწველობაში, ნაკლები წარმატება ჰქონდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკული ინვესტიციები, რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყო თურქეთში. (11)

ნიშანდობლივია, რომ 80-იან წლებში ამერიკის სტრატეგიაში თურქეთის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად გაიზარდა აშშ-ის სამხედრო დახმარება თურქეთისადმი. ამ დახმარებამ 1981-1988 წლებში. 4 მლრდ დოლარს გადააჭარბა. (12) თურქეთი მესამე ადგილზე გავიდა ამერიკული სამხედრო დახმარებების მხრივ, ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ. (13)

ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდა თურქეთის სამხედრო ბაზების რეორგანიზაცია და სამხედრო მრეწველობის თანამედროვე დარგების შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ 80-იან წლებში აშშ-ის დახმარება თურქეთის სამხედრო პერსონალის მოსამზადებლად 2 მლნ დოლარიდან 4 მლნ დოლარამდე გაიზარდა. (14)

80-იან წლებში აშშ-ი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს თურქეთის საგარეო-ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციების ფორმირებაში, განსაკუთრებით ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებთან მიმართებაში.

80-იან წლებში აშშ ცდილობდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა თურქეთის მიერ ახლოაღმოსავლეთის პოლიტიკაში „ისლამური ფაქტორის" განვითარება. თურქეთსა და

ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების დამყარება, ამერიკელ კაპიტალს სურდა გამოეყენებინა ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკული ინტერესების ერთგვარი „ფარის“ შესაქმნელად. ეს მისწრაფება შეიმჩნეოდა არა მხოლოდ მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, არამედ იმ მიზნითაც, რომ მომხდარიყო თურქული ეკონომიკის ინტეგრაცია აღმოსავლეთის რეგიონის ჩარჩოებში. (15)

1980–88 წწ. ირან-ერაყის ომის დროს თურქეთს ეჭირა ნეიტრალიტეტის პოზიცია, თუმცა ინარჩუნებდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს ორივე ქვეყანასთან.

აშშ-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთ-ისრაელის ურთიერთობას, რადგანაც მისი სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობაზე დამოკიდებული იყო აშშ-ის პოლიტიკური წარმატებები შუა აღმოსავლეთის რეგიონში. თურქეთი კი, თავის მხრივ ცდილობდა გამოეყენებინა ებრაული ლობის მხარდაჭერა აშშ-ს კონგრესში. (16)

თ. ოზალი, რომლის საგარეო პოლიტიკური საქმიანობა მიმართული იყო, რათა შეექმნა პირობები დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისათვის, ცდილობდა, აშშ-თან სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის პარალელურად განევითარებინა ეკონომიკური ურთიერთობებით.

1985 წ. ვაშინგტონში ვიზიტის დროს ოზალმა განაცხადა – „უფრო ნაკლები დახმარება და უფრო მეტი ვაჭრობა“. იგი ფიქრობდა, რომ აშშ-ში ექსპორტის გაზრდით თურქეთს ნაკლები დახმარება დასჭირდებოდა აშშ-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, მით უმეტეს, რომ აშშ-ში მხარს უჭერდნენ ექსპორტზე ორიენტირებულ და ღია კარის პოლიტიკაზე დაყრდნობილი ეკონომიკური ზრდის მოდელს. ამიტომ იგი მოითხოვდა აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობებისა და საექსპორტო კვოტების გაზრდას. პოლიტიკურ ურთიერთობაში „ოქროს ხანად“ წოდებულ ამ ეპოქაში აშშ-ის მხრიდან დახმარებასა და ვაჭრობაში მთელი რიგი პრობლემები გამოიკვეთა, რაც თურქეთის მმართველი წრეების შეშფოთებას იწვევდა. თურქეთი ნატოს ერთად-ერთი ქვეყანა იყო, რომლის მიმართაც აშშ-მ კვოტების გზით სავაჭრო შეზღუდვები გამოიყენა, თუმცა აშშ-ის იმპორტი თურქეთში ექსპორტზე ორჯერ მეტი იყო. ეს იმით აიხსნება, რომ ამერიკისათვის უფრო

მნიშვნელოვანი იყო თურქეთთან სტრატეგიული მოკავშირეობა, ვიდრე მასთან სავაჭრო პარტნიორობა. (17) თ. ოზალი კი ცდილობდა აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობა გამოეყენებინა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. 1985 წ. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ოზალმა აღნიშნა – „მე მათ ბაზებს ვაძლევ და იმათგან სანაცვლოდ ვაჭრობის გაზრდას მოვითხოვ". (18)

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა,თურქული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამერიკული სამხედრო და ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება. ამერიკული კრედიტების შემოსვლა ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, კვალიფიციური კადრების მომზადებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მართვის ახალი ფორმების დანერგვას.

ამერიკულ ფირმებთან თანამშრომლობით იქმნებოდა და ვითარდებოდა მრეწველობის თანამედროვე დარგები, შეიცვალა თურქული ექსპორტის სტრუქტურა აშშ-ის ბაზარზე, რომელშიც იმატა სამრეწველო საქონლის წილმა. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ამერიკული კაპიტალი, ამის შედეგად ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო სექტორის მნიშვნელობა. ნიშანდობლივია, რომ 80–იან წწ. აშშ ინარჩუნებდა თურქულ ბაზარზე წამყვანი კრედიტორის პოზიციებს. (19)

უნდა აღინიშნოს, რომ 80-იანი წლების ბოლოს მნიშვნელოვნად შემცირდა აშშ სამხედრო და ეკონომიკური დახმარება თურქეთისადმი. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, ამერიკის კონგრესში ბერძნული და სომხური ლობების აქტიურობა, რომლებიც მოითხოვდნენ თურქეთისადმი დახმარების შემცირებას,(რაც დაკავშირებული იყო ბერძნულ-თურქული ურთიერთობების და კვიპროსის პრობლემასთან, აგრეთვე სომეხთა გენოციდის ცნობის საკითხთან) და მეორე მხრივ, გორბაჩოვის „გლასნოსტის" კურსის დაწყება, რასაც მოჰყვა ცვლილებები აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში და საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელება. (20)

ამგვარად 80-იან წლებში თურქეთის მთავრობამ, რომელიც ატარებდა პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას, რადგან ისარგებლა რეგიონში შექმნილი ვითარებით და ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, დასავლეთის სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით

ამერიკისაგან მიიღო მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება, ამის შედეგად მან შეძლო უზრუნველეყო ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური წინსვლა. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა „თურქული ეკონომიკური სასწაული“.

## გამოყენებული ლიტერატურა


1.B.Bostanoplu, Tьrkiye – ABD Iliюkilerinin Politikasi. Ankara, 1999, s.351.

2. ამერიკის ისტორიის ესკიზები, გვ. 374–375.

3. Uslu, 1947-den Gьnьmьze Tьrk – Amerikan ilişkilerin Genel Portresi, Avrasya Dosyasi, c.6, s.2, s.219.

4. Турция: Новые тенденции экономического развития в 80-е годы. Ред. Е.Уразова. М., 1991, с.267.

5. Türk Diş Politikasi, Editör: B.Oran, c,II. 1980-2001, Istanbul 2001, s.49.

6. П.Моисеев. Турция: «Программа экономической стабилизации», 1980 г., Турция: история и современность. Москва, 1988, с.214-215. Türk Diş Politikasi, s.35.

7. Milliyet 6.4. 1985.

8. ო. გიგინეიშვილი, ქვეყანა ორ კონტინენტზე, გაზ. კომუნისტი 3.03.1985.

9. В.Данилов. Турция 80-х: от военного режима до «ограниченной демократии». Москва, 1991, с.169.

10. გ. ჩოჩიევი, უცხოური კაპიტალის მოზიდვის პრობლემა თანამედროვე თურქეთში (80–იანი წლები), მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, თბილისი, 1989, გვ. 44.

11. Türk Diş Politikasi, s.69.

12. Турецкая Республика. Справочник. Москва, 1990, с.60.

13. Г.Старченков. Современная Турция. М., 1989, с.30.

14. Б.Поцхверия. Внешняя политика Турции в 60-х – начале 80-х годов XX века. М., 1986, с.219.

15. Турция. Новые тенденции экономического развития в 80-е годы, с.262.

16. N.Uslu, 1947-den Günümüze Türk – Amerikan ilişkilerin Genel Portresi. s.219.

17. Türk Diş Politikasi, s.68-70.

18. Türk Diş Politikasi, s.56.

19. Турция: новые тенденции экономического развития, с.269.

20. Türk Diş Politikasi, s.55.

ელენე მეძმარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი,
ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორის მოადგილე

# რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში

სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქალების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამერიკული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ქალების პოლიტიკური აქტიურობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები: არჩევნები, პარტიული, პროფკავშირული, ლობისტური მოღვაწეობა, დემონსტრაციები, პეტიციები. ყველა ეს ფორმა განსხვავდება თავისი მიმართულებით, მეთოდებით, არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურასთან დამოკიდებულების ხასიათით, მაგრამ ამავე დროს გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი, რის გამოც პოლიტოლოგების, ისტორიკოსების თუ სოციოლოგების ყურადღების ცენტრში ექცევა.

1980-იანი წლების დასაწყისი ითვლება ერთგვარ მიჯნად აშშ-ის ქალთა მოძრაობის ისტორიაში. ამ დროისათვის დასრულდა ქალების იურიდიული თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის გარკვეული ეტაპი, შეიცვალა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდა ქალების წილი დასაქმებულთა შორის: 80-იანი წლების დასაწყისში ის 44%-ს შეადგენდა. (1)

შრომის ბაზარზე ქალების გააქტიურების მიზეზი შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ინფლაციის პირობებში აუცილებელი გახდა ოჯახის ორი წევრის მუშაობა. 80-იანი წლების შუახანებში ქვეყანაში უკვე იყო 63,3 მლნ მომუშავე კაცი და 48;8 მლნ – ქალი, მათგან 6 მილიონს კაცებზე მაღალი შემოსავალი ჰქონდა. (2) ამან გარკვეულად შეცვალა ქალების ეკონომიკური სტატუსი – ეკონომიკურად დამოკიდებული პარტნიორიდან ის თანასწორუფლებიანად იქცა არა მარტო ოჯახსა და საზოგადოებრივი წარმოების პროცესში, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

მიუხედავად ამისა, სქესებს შორის თანასწორუფლებიანობის საკითხში ამერიკელებისათვის დამახასიათებელია კონსერვატიზ-

მი. ჯერ კიდევ ალექსის დე ტოკვილი თავის ცნობილ ნაშრომ-ში „დემოკრატია ამერიკაში" ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ქალის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობიდან გარიყვის შემთხვევაშია შესაძლებელი „დემოკრატიული პროგრესის სწორი გაგება". (3) ტოკვილს დღესაც ჰყავს მრავალი მიმდევარი. კონსერვატიზმმა აღნიშნულ საკითხში დისკრიმინაციის კონკრეტული ფორმა მიიღო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ შეერთებულ შტატებში არასოდეს ყოფილა ქალი-პრეზიდენტი ან ქალი ვიცე-პრეზიდენტი. ასევე უმნიშვნელოდ არიან ისინი წარმოდგენილნი ხელისუფლების ცენტრალურ თუ შტატების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. (4)

სწორედ ამიტომ, თანამედროვე ფემინიზმის თეორეტიკოსები ცდილობენ საუკუნოვანი სტერეოტიპების შეცვლას, რასაც ბოლო ათწლეულებში ამერიკულ საზოგადოებაში ქალისადმი დამოკიდებულების ცვლილება მოჰყვა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში შეიცვალა არა მარტო საზოგადოების ქალებისადმი დამოკიდებულება, არამედ თვით ქალების დამოკიდებულება საზოგადოებისადმი — მათ უარი თქვეს პასიური მეთვალყურის როლზე და პოლიტიკურად აქტიურები გახდნენ. (5) ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყნის სათავეში უკიდურესად ანტიფემინისტურად განწყობილი რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია იმყოფებოდა.

1960-იანი წლების ბოლომდე სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა საკითხში მარტივ პრინციპებს ეყრდნობოდა. ის ითვალისწინებდა იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ქალს განკუთვნილი ჰქონდა თავისი ადგილი საზოგადოებაში — დედისა და ცოლის როლი პატრიარქალურ სისტემაში. უკვე 1970-იან წლებში ქალთა საკითხისადმი მიდგომაში ცვლილებები დაიწყო. სახელმწიფომ, რომელსაც სურდა ტრადიციული ოჯახური ზნეობრივი ნორმების შენარჩუნება და განმტკიცება, აღიარა, რომ ეს სურვილი მაინც არ არის „საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ შელახულ იქნეს ქალთა სამოქალაქო უფლებები". (6)

ამგვარად, რეიგანის ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროისათვის ქალისადმი დამოკიდებულება უკვე ისეთი აღარ იყო, როგორიც 15 წლის წინათ. პოლიტიკური ლიდერები იძულებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ ის, რომ

საკმაოდ მომრავლდნენ ქალები, რომლებიც აღარ პასუხობდნენ ცხოვრების ტრადიციულ სტერეოტიპს. ეს კი ოჯახისა და სქესებს შორის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი იდეოლოგიის დასასრულს მოასწავებდა. 60-იანი წლების ბოლოს სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად დაწყებულმა ქალთა მოძრაობამ გააღრმავა ეს ცვლილებები და ბიძგი მისცა სხვა უფრო არსებით გარდაქმნებს.

1980-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად გაიზარდა ამერიკელების ინტერესი ქალთა მოძრაობისადმი. ეს შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ავხსნათ, რომელთა შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ დაიწყო „ყველაზე ანტიფემინისტური პოლიტიკის გატარება აშშ-ის ისტორიაში და შეაჩერა ის სერიოზული პროცესები, რომლებიც წინა ორი ათწლეულის განმავლობაში ჩაისახა". (7)

რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდის აშშ-ის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი ადმინისტრაციის ნეგატიური დამოკიდებულება, ზოგადად, სოციალური პროტესტის სხვადასხვა ფორმისადმი და, კერძოდ, ამერიკელი ქალების თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლისადმი.

მოცემულ სტატიაში ვეცდები გავაანალიზო რეიგანის პოლიტიკა აღნიშნულ საკითხში და მისი გავლენა ქალთა მოძრაობაზე, კონკრეტულად კი, ქალების პოლიტიკურ აქტიურობაზე.

მაინც რომელი ანტიფემინისტური ნაბიჯები გადადგა რეიგანის ადმინისტრაციამ? ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს:

- ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ შესწორების მიღებისადმი წინააღმდეგობის გაწევა;
- სამხედრო ბიუჯეტის ზრდა, რასაც მოჰყვა ქალთა დასაქმების სფეროში მდგომარეობის გაუარესება (სამხედრო მრეწველობაში ქალების წილი უმნიშვნელოა. ქალების ძირითადი ნაწილი მუშაობს სოციალურ სფეროში, რომლის ფინანსირება მკვეთრად შემცირდა);
- სოციალური პროგრამების შეკვეცა, რამაც, პირველ რიგში, ქალები დააზარალა, რომლებიც დაბალანაზღაურებადი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ;
- შემცირდა ისეთი პროგრამები, როგორებიცაა, მაგალითად: დედებისა და ბავშვების დაცვა;

• სუბსიდიების შემცირება საბინაო მშენებლობაზე, რაც აისახა გაუთხოვარი ქალებისა და მათი ბავშვების ცხოვრების პირობებზე;

• შეიარაღებულ ძალებში ქალების, როგორც მოხალისეების აყვანის შეზღუდვა.

• 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა ბილის VII მუხლის მოქმედების შეზღუდვის ცდები, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში;

• იურიდიული სამსახურების დაფინანსების შემცირება, რომელთა კლიენტების 2/3 ქალებია;

• აბორტების აკრძალვის პოლიტიკის მხარდაჭერა და ა.შ.(10)

რეიგანის ადმინისტრაციის აღნიშნული ღონისძიებებისადმი, ამერიკის ქალთა მოძრაობის დამოკიდებულება შესაბამისი იყო. მაგალითად, რეიგანის ცდებმა შეემცირებინა სოციალური პროგრამები, პირველ რიგში, ქალებს ავნო. ამიტომ, ბევრმა ავტორმა რეიგანის პრეზიდენტობის წლებს უწოდა „სიღარიბის ფემინიზაციის" პერიოდი. (9) ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ფემინისტური ჯგუფების განსაკუთრებული გააქტიურება. რეიგანის ადმინისტრაციის არსებობის დასაწყისშივე მკვეთრად გაიზარდა ქალთა ორგანიზაციების რაოდენობა და ბიუჯეტი. მაგალითად, ქალთა ეროვნული ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 1977–1982 წლებში დაახლოებით 40 ათასით გაიზარდა, ბიუჯეტი კი იმავე პერიოდში 500 ათასი დოლარიდან – 1,3 მლნ დოლარამდე. ქალთა ეროვნული პოლიტიკური კრება (National Women's Political Causus), რომელიც ქალების პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმის მიზნით შეიქმნა, 1982 წლის დასაწყისში ითვლიდა 60 ათას წევრს, იმავე წლის ბოლოსათვის კი – 73 ათასს.(10)

რეიგანის ანტიფემინისტური პოლიტიკით შეშინებულმა ფემინისტებმა უფრო აქტიურად დაიწყეს ბრძოლა თანასწორუფლებიანობის შესახებ შესწორების რატიფიცირებისათვის, მაგრამ დამარცხდნენ.

1980-იანი წლების შუახანებისათვის ფემინისტური ორგანიზაციების წევრთა უმრავლესობა უფრო „მტკიცე" დემოკრატებს ემხრობოდნენ, მაგრამ რეიგანის პოლიტიკამ ქალთა საკითხში

გამოიწვია ის, რომ რესპუბლიკური პარტიის მომხრე ქალებმაც კი დაიწყეს პრეზიდენტის პოზიციის კრიტიკა. 1984 წელს ბევრმა მათგანმა უარი თქვა რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ რეიგანის უამრავი მომხრე არ მისცემდა მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალებას. (11)

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფემინისტი ამავე დროს პარტიული აქტივისტია, ამერიკის ფემინისტურმა მოძრაობამ მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა პოლიტიკური პარტიებისაგან. ბევრი აქტივისტი თავს თვლიდა „უპარტიოდ" და ცდილობდა არ „გათქვეფილიყო" პარტიულ ორგანიზაციებში, ვინაიდან სოციალური მოძრაობები და ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს გარეთ იმყოფებიან, უფრო მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ როლს თამაშობენ აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია. ასე თვლის, მაგალითად, ამერიკის ქალთა მოძრაობის ცნობილი მკვლევარი ვ.შაპირო (12), რასაც სავსებით ვეთანხმები.

ეტყობა, ფემინისტური ორგანიზაციების ასეთი აქტიურობა აიძულებდა რეიგანს ხშირ-ხშირად განეცხადებინა, რომ აუცილებელია ქალების სტატუსის ამაღლება და მათი შესაძლებლობების გაფართოება. დასაწყისში ამით დაინტერესება მან მართლაც გამოავლინა, როდესაც შექმნა რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც ქალთა პრობლემებით იყო დაკავებული. ამ მხრივ, მან თავისი წინამორბედების პოლიტიკა გააგრძელა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ რეიგანმა ეს ორგანიზაციები დააკომპლექტა არა ქალთა მოძრაობის მომხრეებით, არამედ ანტიფემინისტური ორგანიზაციების აქტივისტებით. ამიტომ „ქალთა" ამ დაწესებულებების თანამშრომელთა უმრავლესობა ფემინისტური იდეებისადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი.

მაინც რით შეიძლება ავხსნათ რეიგანის ადმინისტრაციის ასეთი კონსერვატული განწყობილება? როგორც ზევით აღვნიშნე, მისთვის მისაღები იყო პატრიარქალური ოჯახის განმტკიცება, რომელშიც კაცი მუშაობს, ქალი კი დიასახლისია. ოჯახის, ბავშვებისა და მოხუცების მოვლა ქალებს ეკისრებათ და ისინი აღარ ახდენენ ზეწოლას შრომის ბაზარზე, რასაც ქალებს შორის უმუშევრობის დონის დაცემა მოსდევს. ალბათ, ეს შეიძლება იყოს რეიგანის ადმინისტრაციის ანტიფემინისტური პოლიტიკის

პრაქტიკული მიზეზი. პრობლემის ზნეობრივი ასპექტი კი მარტივია: რწმენას, ერთგულებას ტრადიციული ფასეულობებისადმი მოსდევს ოჯახის გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა. მარტოხელა დედები ხომ ღარიბთა კატეგორიაში ხვდებიან. რეიგანის მიზანი კი ღატაკთა რაოდენობის შემცირება იყო, რასაც ის მარტოხელა დედების შემცირების გზითაც ცდილობდა.

სწორედ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში მომხდარმა ორმა პოლიტიკურმა ცვლილებამ იქონია გავლენა ქალების მომავალზე პოლიტიკაში:

- რეიგანის ადმინისტრაციის დროს ფედერალური მთავრობის ბევრი ფუნქცია, განსაკუთრებით, სოციალური პროგრამების სფეროში, შტატებს გადაეცა. ბევრმა ქალმა-კანდიდატმა შტატის დონეზე გაიმარჯვა არჩევნებში სოციალური პროცესების წყალობით. ეს ცვლილება კარგად გამოხატა რესპუბლიკელმა სენატორმა კანზასიდან ნენსი კასებაუმმა, როდესაც განაცხადა, რომ „ვაშინგტონი თითქმის უძლური აღმოჩნდა რაიმეს განხორციელების მცდელობისას. ენერგიულობა და შემოქმედებითობა შტატის ხელისუფლების საფუძველია და ქალებს ამაში მთავარი ფუნქცია ეკისრებათ“. (13)
- მეორე ცვლილება იყო ქალების რაოდენობის ზრდა შტატების საკანონმდებლო ორგანოებში. ამან, თავის მხრივ, გაზარდა იმის იმედი, რომ მომავალში შტატის დონეზე ქალების როლი პოლიტიკაში, შესაბამისად, გაიზრდებოდა. ეს ნათელი გახდა 1987 წელს შტატის კანონმდებელთა ყრილობაზე, რომელიც დაასპონსორა ამერიკის ქალებისა და პოლიტიკის ცენტრმა. ყრილობაზე აღინიშნა, რომ შტატების საკანონმდებლო კრებებში 1168 ქალი იყო, ანუ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 16% მაშინ, როდესაც ოთხი წლის წინ ეს ციფრი უდრიდა 991-ს, ანუ 13%-ს. (14)

მაგრამ, ვინაიდან ქალები ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 55%-ს შეადგენს, ეს მონაცემები არც ისე შთამბეჭდავია, მით უმეტეს, ფედერალურ დონეზე, სადაც რეიგანის ადმინისტრაციის წლებში მხოლოდ 2 ქალი-სენატორი და 25 კონგრესის წევრი იყო, რაც საერთო რაოდენობის 5%-ს შეადგენდა.

ამგვარად, კონსერვატულად და ანტიფემინისტურად განწყობილი პრეზიდენტი იყენებდა თავის ძალაუფლებას ქალთა საკითხში საკუთარი შეხედულებების ცხოვრებაში გატარებისათვის,

თუმცა ამას ბოლომდე ვერ ახერხებდა. საზოგადოებრივი აზრი ქალების პრობლემებთან დაკავშირებით უფრო ფემინიზმისა და ქალთა მდგომარეობის ცვლილებების შედეგების გავლენის ქვეშ იყო, ვიდრე რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის. ამიტომ, ბევრი ქვეყნისათვის ეს შეიძლება კარგი მაგალითი გახდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. P.A.Avery, J.Thronton. It's Back to Activism for Feminists//US News and World Report, N.Y., 1985, Vol.99, N6, Aug.5, p.64.

2. Th.H. White. New Powers, New Politics//New York Times Magazine, 1984, Febr.5, p.25.

3. D.Winthrop. Tocqueville's American Women and "The True Conception of Democratic Progress"//Political Theory. Beverly Hills, 1986, Vol.14, N2, p.255.

4. იხ. ე.მეძმარიაშვილი, ამერიკელი ქალი და არჩევნები. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". თბ., თსუ გამომცემლობა, 2003, გვ. 269 და, ე.მეძმარიაშვილი. ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის. კრებული მიძღვნილი ა.ჩხეიძის 80 წლისთავისადმი, თბ., 2002, გვ.180-188.

5. ix. M.F.Katzenstein. Feminism and the Meaning of the Vote//Signs. Chicago, 1984, Vol.10, N1, p.14.

6. V.Shapiro. The Women's Movement, Politics and Policy in the Reagan Era// The New Women's Movement: Feminism and Political Power in Europe and the USA/ed. by Duhlerup D.-L. ets., 1986, p.125.

7. Ibid., p.127.

8. იხ. M.F.Katzenstein, Op.cit., p.19.

9. იხ. V.Shapiro, Op. cit., p.132.

10. Ibid., p.135.

11. Ibid., p.137.

12. იხ. V.Shapiro, Op. cit.

13. S.Lee Richard&Mary Price Lee. Careers for Women in Politics. The Rosen Publishing Group, Inc, N.Y., 1989, p.61.

14. Ibid., p.61-63.

**ქეთევან როსტიაშვილი**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**პოლიტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი,**
**პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

## ამერიკის პროფკავშირები რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში

ტრადიციულად მოქალაქეთა გაერთიანებები – ასოციაციები, პროფესიული კავშირები დემოკრატიული საზოგადოების პლურალისტური მოწყობის არქიტექტორებად ითვლებიან. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სახელმწიფოთა მოწყობისა და მართვის საქმეში. ისინი არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აკონტროლებენ სახელმწიფო აპარატის ქმედებებს, კორექტივები შეაქვთ სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში. მათ გადამწყვეტი როლი ენიჭებათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დარეგულირებაში. ამ გაერთიანებათა შექმნისა და ფუნქციონირების თავისუფლება სძენს დემოკრატიულ რეჟიმებს მოქნილობას, დინამიურობას, საბოლოო ჯამში კი უზრუნველყოფენ მათ სტაბილურ და ეფექტურ განვითარებას. ამ გაერთიანებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფკავშირები, ტრადიციულად საშუალო და ქვედა ფენათა გაერთიანებები, შექმნილი მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

აშშ-ში პროფკავშირული მოძრაობა ყალიბდებოდა მე-19 საუკუნის განმავლობაში. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გაერთიანება, „ამერიკის შრომის ფედერაცია“, ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დამლევს. მას 1955 წელს შეუერთდა სხვა უმსხვილესი პროფკავშირი, „ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი“ და ჩამოყალიბდა აშშ–ის ყველაზე დიდი პროფკავშირული გაერთიანება „ამერიკის შრომის ფედერაცია და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი“. ამ გაერთიანებამ განსაკუთრებულ სიძლიერეს 1960-1970-იან წლებში მიაღწია, როდესაც დაფიქსირდა მის წევრთა ხელფასების, სოციალური დაცვის გარანტიების განსაკუთრებით მაღალი დონე. ვითარება საგრძნობლად შეიცვალა 1980-იან წლებში, როდესაც ქვეყანას სათავეში ჩაუდგა რონალდ რეიგანის ნეოკონსერვატორული ადმინისტრაცია. განსაკუთრე-

ბით მძიმე იყო პროფკავშირებისთვის 1981–1982 წლები: ქვეყანაში მძვინვარებდა ეკონომიკური კრიზისი, რაც გარკვეულწილად გამოწვეული იყო მრეწველობის სტრუქტურული ცვლილებებითა და უცხოური კორპორაციების მხრიდან მძაფრი კონკურენციით. სწორედ 1980-იან წლებში გაჩაღდა პირველი სერიოზული ბრძოლა აშშ-ის ბაზრებზე შესაღწევად. უმკაცრესი საერთაშორისო სავაჭრო კონკურენციის პირობებში შრომითი პოლიტიკის პრიორიტეტად გამოცხადდა საწარმოთა მართვის სისტემის დემოკრატიზაცია, დაქირავებულთა უფრო აქტიური ჩართვა მენეჯმენტის საკითხებში, რასაც უნდა მოეტანა წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების ზრდა საწარმოო ხარჯების შემცირების პირობებში. ამერიკა გადადიოდა განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე, პოსტინდუსტრიული საზოგადოების შემდგომ ფაზაში. შესაბამისად, ტრადიციული მძიმე მრეწველობის დარგების წილი ეკონომიკაში მკვეთრად მცირდებოდა და იზრდებოდა მომსახურების სფერო.

ცხრილი 1.

მრეწველობის წამყვან დარგებში სამუშაო ადგილების შემცირება პროცენტებში (1980–1984 წლები)

| მრეწველობა | სამუშაო ადგილების შემცირების წილი |
|---|---|
| სპილენძის მადნეულის გადამუშავება | 51,3 |
| ჩარხმშენებლობა | 44,0 |
| სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა | 43,2 |
| ფოლადჩამომსხმელი | 41,2 |
| ლითონსაგლინავი საკონსერვო | 27,1 |

| | |
|---|---|
| ალუმინის პირველადი დამუშავება | 24,1 |
| ლითონსაგლინავი | 28,5 |
| მილების წარმოება | 20,7 |
| ავტომობილის ძრავებისა და დანადგარების | 17,4 |
| ხორცის ნახევარფაბრიკატების | 12,0 |
| გემთმშენებლობა | 10,9 |
| სატრაქტორო | 4,8 |
| მშენებლობა | 4,6 |

წყარო: Federal Reserve Bulletin, December, 1984, p..26.

ინდუსტრიული საზოგადოების საყრდენ ძალას სწორედ მძიმე მრეწველობა წარმოადგენდა. აშშ-ის მსხვილ ფაბრიკებსა და ქარხნებში იყო კონცენტრირებული ძირითადი სამუშაო ძალა, რომელიც 1940-იან, 1960-იან წლებში მასობრივად ერთიანდებოდა პროფკავშირების რიგებში. 1980-იან წლებში მძიმე მრეწველობის წამყვან დარგებში შრომითი ადგილების ლიკვიდაცია ნიშნავდა პროფკავშირების რიგების შემცირებას, შესაბამისად, მათი პოლიტიკური ზეგავლენის საგრძნობლად შესუსტებას, იცვლებოდა პროფკავშირების ფუნქციონირების ჩვეული, ტრადიციულად მეტად ხელსაყრელი პირობები. პროფკავშირები იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ დათმობებზე და შეეზღუდათ მოთხოვნები. პროფკავშირის წევრები ახალი ხელშეკრულებების გაფორმებისას იძულებულნი გახდნენ, ეზრუნათ არა ხელფასებისა და სოცუზრუნველყოფის (პენსიების, დასვენების დღეების, დამატებითი ბონუსების) ზრდაზე, არამედ სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე. კოლექტიური ხელშეკრულებები, განსაკუთრებით 1982–1984 წლებში, უპრეცედენტო იყო თავისი კომპრომისებით. პრაქტიკულად, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის პროფკავშირები იძულებულნი

იყვნენ, უარი ეთქვათ ახალ მოთხოვნებზე და მიეღოთ ის შრომითი პირობები, რომელსაც მათ მეწარმეები სთავაზობდნენ.(1) პრაქტიკულად მინიმუმამდე დაეცა მშრომელთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა. 1982 წელს – კოლექტიური ხელშეკრულების პირველ წელს საათობრივი ანაზღაურების ზრდის ტემპმა შეადგინა მხოლოდ 2,2%, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 1967 წლიდან. 1979–1980 წლებში ეს ციფრი შეადგენდა – 8,3%-ს, 1981 წელს – 9%-ს. ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი მთელი კონტრაქტის პერიოდის მანძილზე (3-4 წლის მანძილზე) შეადგენდა მხოლოდ 3,5%-ს, განსხვავებით 1979–1980 წლებში არსებული 6,4%-ისა. (2)

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში პერმანენტულ ხასიათს ატარებდა ინტენსიური ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული ეკონომიკური სტრუქტურული ცვლილებები, რასაც მოჰყვებოდა ქარხნების დახურვა, კაპიტალის უცხოეთში გადინება, პროფკავშირის წევრთა ხელფასების ზრდის ტემპის მოკლევადიანი მერყეობა. 1980-იან წლებში კი მიმდინარე პროცესების მასშტაბები გაცილებით უფრო დიდი იყო. თუ 1961-1963 წლებში პროფკავშირებში გაწევრიანებული მუშახელის დაახლოებით 18%-ს გაყინული ან შემცირებული ჰქონდა ხელფასი, 1982–1984 წლებში ამ მაჩვენებელმა უკვე 35% შეადგინა.(3) ხელფასების გაყინვა ან შემცირება რეიგანომიკის კონსერვატორული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იქცა. ხელფასების გაყინვის პოლიტიკა იდეოლოგიურადაც უზრუნველყოფილი იყო მეწარმეთა მხრიდან: კორპორაციები აფრთხილებდნენ პროფკავშირებს, თუ ისინი უარს არ იტყოდნენ ხელფასების ზრდაზე, ამერიკელი მეწარმეები აშშ-ის ბაზრებზე დაკარგავდნენ კონკურენტუნარიანობას. (4) ამ პოლიტიკას ზურგს უმაგრებდა რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაც. პრეზიდენტს არაერთხელ განუცხადებია, რომ მაშინ, როცა აღებული იყო კურსი „თავისუფალ სამყაროში ამერიკის ჰეგემონიის რესტავრაციაზე", ბრძოლა ხელფასის დონის შენარჩუნებისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის ნიშნავდა შრომითი ადგილების „მესაფლავეებ", ეროვნული რეკონსტრუქციის „მტრად" ყოფნას. (5) სწორედ რეიგანის მმართველობის პერიოდში შეიქმნა მეტად ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი პროფკავშირების ირგვლივ. მათ ადანაშაულებდნენ „ამერიკის დაცემაში". აშშ-ის ბაზრებზე იაპონიის სავაჭრო წარმა-

ტებას უშუალოდ უკავშირებდნენ ამერიკელი მუშების მაღალ ანაზღაურებას, რაც შეესაბამებოდა რეალობას. 1982 წელს აშშ-ში არსებული საშუალო საათობრივი ანაზღაურება და სოციალური დანახარჯები ერთ მუშაზე შეადგენდა 19,42 აშშ-ის დოლარს, თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე იაპონიაში (10,15 დოლარი), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – (11,46), საფრანგეთში – (9,74). (6) მრავალი ექსპერტის აზრით, ამერიკელი მუშების მაღალი ანაზღაურება არ შეესაბამებოდა არსებულ შრომისნაყოფიერებას და წარმოადგენდა ხელოვნურად გაზრდილ თანხას, რაზეც სამართლიანად რეაგირებდა მსოფლიო ბაზარი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მშრომელთა მაღალი ანაზღაურება ქვეყანაში ქმნიდა მაღალ მსყიდველობითუნარიან გარემოს, რასაც მოკლევადიან პერსპექტივაში ქვეყნისთვის მოჰქონდა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და აღმაელობა.

კორპორაციები და რეიგანის ადმინისტრაცია ქვეყნის მომავალ წარმატებულ ეკონომიკურ განვითარებას, მის სტრუქტურულ ცვლილებებს, უშუალოდ უკავშირებდნენ მუშახელის მხრიდან დათმობების პოლიტიკას და თვისებრივად ახალი „სოციალური კონტრაქტის" დანერგვას, რომელიც ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მშრომელთა და მეწარმეთა ფართომასშტაბიან თანამშრომლობაზე. თავის მხრივ კი, პროფკავშირის ლიდერები სულ უფრო ხშირად იყენებდნენ ტერმინს „ვაჭრობა დათმობების საფუძველზე". პრაქტიკულად, 1980-იანი წლები ამერიკის ისტორიაში შევიდა როგორც „დათმობებზე დაფუძნებული შრომითი ურთიერთობები", „ახალი ერა პროფკავშირულ ცხოვრებაში". (7) ფაქტობრივად, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში დამთავრდა პროფკავშირების მიერ მრავალი ათეული წლების მანძილზე მძაფრი ბრძოლის შედეგად მოპოვებული ხელფასებისა და სხვა სახის სოციალური დახმარებების ზრდა – ამერიკელი ხალხის კეთილდღეობის განუყოფელი სიმბოლო.

შრომის ნაყოფიერებისა და წარმოებული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად შექმნილმა მძიმე კონკურენტულმა გარემომ საწარმოთა ხელმძღვანელობა აიძულა, მართვის ნაწილი დაეთმო თვით პროფკავშირისთვის, მჭიდროდ ეთანამშრომლა მასთან, შეექმნა სპეციალური ერთობლივი ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ იმუშავებდნენ გამოსაშვებ პროდუქციაზე თუ ფასების შემცირებაზე. (8) პროფკავშირები სიამოვნებით დათანხმდ-

ნენ ამგვარ თანამშრომლობაზე, ვინაიდან მუშაობის ეს სქემა სწრაფად და სასიკეთოდ ცვლიდა კოლექტივში არსებულ ფსიქოლოგიურ გარემოს, შრომისადმი დამოკიდებულებას და მნიშვნელოვნად ამცირებდა კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს. ამით წარმატებულად ინერგებოდა პროფკავშირების „ახალი" მოდელი – „კომპანიისეული პროფკავშირები", რომელიც უკვე არსებობდა მე-19 საუკუნეში და ითვალისწინებდა პროფკავშირებში მეწარმეების გაწევრიანებას. პროფკავშირების ეს სქემა 1920-იან წლებამდე არსებობდა, მაგრამ შემდგომ დაკარგა პოპულარობა და პრაქტიკულად გაქრა. ამ სქემის სახეცვლილი ვარიანტი, სადაც მენეჯმენტი და პროფკავშირები ხშირად ერთობლივ გუნდს წარმოადგენდა, ისევ პოპულარული გახდა მოგვიანებით, რეიგანის ადმინისტრაციის დროს.

მეწარმეთა და პროფკავშირთა თანამშრომლობა ბევრ მეცნიერს აიძულებდა, პარალელები გაევლო ისტორიულ წარსულთან. თუ ჯიმი კარტერის მმართველობის პერიოდში მხოლოდ უმლიერესი კორპორაციების მცირე ნაწილი თანხმდებოდა პროფკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას, რეიგანის ადმინისტრაციის დროს ეს პრაქტიკა დამკვიდრდა ბევრ კომპანიაში. როგორც ზოგიერთი პროფკავშირის პარტნიორი ექსპერტი აცხადებდა, „მენეჯმენტის ასეთ პოლიტიკაში ხელფასზე ეკონომია გადამწყვეტი არ არის, თუმცა ესეც უწყობს ხელს მცირე და საშუალო საწარმოებს თავის გადარჩენაში, მთავარია, შეიქმნას პირობები „ახალი სოციალური მშვიდობისთვის". (9) პროფკავშირებსა და მეწარმეთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითი წარმოადგინა საავტომობილო მრეწველობის გაერთიანებულმა პროფკავშირმა. მან 1983 წელს თავისი საკუთარი სახსრებიდან გადაიხადა 1,1 მილიარდი დოლარი და ამით შეინარჩუნა 43 ათასი სამუშაო ადგილი, შედეგად გაკოტრებას გადაარჩინა „კრაისლერის" კორპორაციის ქარხნები. (10)

1980-იან წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა დაძაბულობა, კონფლიქტები და წინააღმდეგობები დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, რაც გამოიხატა მათ შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებაში და კონფლიქტური ვითარებისა თუ გაფიცვების შემცირებაში. (11) გაფიცვების რაოდენობათა მკვეთრი შემცირების დინამიკა კარგად ჩანს წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 2.
გაფიცვების მონაცემები აშშ-ში
(1977–1985 წლები)*

| წლები | გაფიცულთა რაოდენობა ადამიანი (ათასი) | გაფიცვების რაოდენობა | დაკარგული ადამიანი დღე (ათასი) |
|---|---|---|---|
| 1977 | 1212 | 298 | 21,25 |
| 1978 | 1006 | 219 | 23,77 |
| 1979 | 1021 | 235 | 20,40 |
| 1980 | 795 | 187 | 20,84 |
| 1981 | 729 | 145 | 16,90 |
| 1982 | 656 | 96 | 9,06 |
| 1983 | 909 | 81 | 17,46 |
| 1984 | 376 | 64 | 8,35 |
| 1985 | 299 | 49 | 6,50 |

[1]წყარო: Handbook of Basic Economic Statistics: Summary. Washington, 1985, p. 69, Monthly Labor Review, 1986, January, p.102.

1977–1985 წლებში, ე.ი. 9 წლის განმავლობაში გაფიცვების რაოდენობა პრაქტიკულად შემცირდა 6-ჯერ (298-დან 49-მდე), მონაწილეთა რაოდენობა კი –

4-ჯერ (1212000-დან 299000-მდე), რაც უპრეცედენტო მაჩვენებელი იყო აშშ-ის ისტორიაში. გაფიცვების რაოდენობის შემცირება კარგად ახსნა მილტონ ფრიდმანმა. ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელს მიაჩნდა, რომ ახალ პირობებში „პროფკავშირები იშვიათად იგებდნენ გაფიცვებს, ამიტომ ისინი მიმართავდნენ ბრძოლის სხვა ხერხებს, მშვიდობიან მოლაპარაკე-

1 *მხოლოდ ეკონომიკური გაფიცვები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა ადამიანმა.

ბებსა და დათმობებს".

მრავალი ექსპერტის აღიარებით, 1980-იან წლებში პროფკავშირების ბრძოლის ახალ ხერხად იქცა „კორპორაციული კამპანიები", რაც, პრაქტიკულად, ურჩ კორპორაციებთან ბრძოლის ქმედით იარაღად იქცა. პროფკავშირების წინააღმდეგ განწყობილ მეწარმეებს, რომლებიც არღვევდნენ შრომით კანონმდებლობას, ებრძოდნენ არა მარტო კანონის ძალით, არამედ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის შექმნითაც; პროფკავშირები აიძულებდნენ სახელმწიფოს, არ გაეფორმებინა კონტრაქტები ურჩ მეწარმეებთან; პარტნიორ ორგანიზაციებს კი აცხადებდნენ ურჩის მეწარმეთა მოკავშირეებად; ასეთ საწარმოთა ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიების მრევლს პროფკავშირები განაწყობდნენ კომპანიების წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახებოდა მეწარმეთა დამოკიდებულებაზე ტრეიდ-იუნიონების მიმართ.

1980-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური დათმობების სანაცვლოდ, პროფკავშირთა ნაწილმა მიიღო საწარმოთა მართვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უშუალო მონაწილეობის, ზოგ შემთხვევაში, არარენტაბელურ საწარმოთა საკუთრებაში მიღების უფლებაც კი. მშრომელთა და მეწარმეთა თანამშრომლობის ტენდენცია ვითარდებოდა პროფკავშირის წევრთა რაოდენობის შემცირების ფონზე. აშშ-ის უმსხვილესი, ფინანსურად და პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი პროფკავშირული გაერთიანება – „ამერიკის შრომის ფედერაცია და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი" სისტემატურად კარგავდა წევრებს. თუ 1955 წელს ის თავის რიგებში აერთიანებდა 16 126 900 წევრს (სამუშაო ძალის 31,8 %-ს), 1985 წელს – მხოლოდ 18%-ს(16966 000წევრს), 1994 წელს კი უკვე 15,5%-ს (16740 300). (12) პარალელურად მიმდინარეობდა თვით პროფკავშირული ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებაც მათი ლიკვიდაციის, შერწყმისა თუ გაერთიანებების გამსხვილების ხარჯზე. თუ 1955 წელს „ამერიკის შრომის ფედერაცია და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი" აერთიანებდა 139 კავშირს, 1983 წელს ეს ციფრი შემცირდა 95-მდე. (13)

პრაქტიკულად, პროფკავშირული მოძრაობის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მოთხოვნათა სერიოზული დათმობები მიმდინარეობდა მათი რიგებისა თუ თვით ორგანიზაციების რაოდენო-

ბათა შემცირების, გადაცვათა ინტენსივობის მკვეთრი დაცემის, მეწარმეთა და მშრომელთა მჭიდრო თანამშრომლობის დანერგვის ფონზე.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ რეიგანის შრომითი ურთიერთობათა პოლიტიკა ეფუძნებოდა ორ ძირითად ტენდენციას: ლიბერალურ-კონსერვატორულს და, სახელდობრ, კონსერვატორულს. ლიბერალურ-კონსერვატორული ტენდენცია ორიენტირებული იყო დაქირავებულ და დამქირავებელთა შორის ფართომასშტაბიან თანამშრომლობაზე, დაქირავებულთა ჩაბმაზე წარმოების ყველა საკვანძო რგოლში, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღების საქმეში უმაღლესი მენეჯმენტის დონეზე. კონსერვატორული ტენდენცია კი ითვალისწინებდა პროფკავშირებისადმი მეტად მკაცრ დამოკიდებულებას, საზოგადოებაში მათი როლის შემცირებას, პერსპექტივაში კი დაშლასა და სრულ სოციალურ-პოლიტიკურ ინტეგრაციას, ალტერნატიული სოციალური ფუნქციის მოშლას. ეს ორი ტენდენცია პარალელურად არსებობდა და გამოიყენებოდა საჭიროების მიხედვით. პრაქტიკულად, ორივე ტენდენცია ერთი და იმავე ამოცანას ემსახურებოდა — პროფკავშირების სრულ სოციალურ-პოლიტიკურ ინტეგრაციას საზოგადოებაში, მაგრამ პირველი ტენდენცია ამას ახორციელებდა მეტად რბილად, ხავერდოვანი გზით, ხოლო მეორე ტენდენცია — გაცილებით უხეშად, ცალკეულ შემთხვევებში, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებითაც კი.

1980-იან წლებში ამერიკულ საზოგადოებაში მიმდინარე ძირეული რეფორმები მნიშვნელოვნად ცვლიდა საზოგადოებაში პროფკავშირების როლს, მათ ფუნქციებსა და მოქმედების მეთოდებს. პროფკავშირები, როგორც ინდუსტრიული საზოგადოების პროდუქტი - ინსტიტუტი, პოსტინდუსტრიულ ეტაპზე განიცდიდა ტრანსფორმაციასა და ინტენსიურ ადაპტაციას ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. Comment, 1982, May 29, p.6.
2. Business Week, 1984, June 14, p.62.
3. Economic Notes, 1985, March, p.2.
4. Business Week, 1982, June 14, p.62.
5. Le Mond Diplomatique, 1983, Octobre, p.14.
6. Business Week, 1982, June 14, p.6
7. Business Week, 1982, June 14, p.65.
8. Comment, 1982, May 29, p.6.
9. Business Week, 1984, December 24, p.58.
10. Le Mond Diplomatique, 1983, Octobre, p.14 Nation, 1983, October 15,p.326.
11. Business Week, 1984, December 3, p.64.
12. H.W.Stanley, R.G. Niemi. Vital Statistics on American Politics. Washington, 1994, p.190 Statistical Abstract of the United States of America. The National Data Book, Washington, 1995, p.443.
13. US News and World Report, 1983, October 31, p.87.

ვახტანგ რჩეულიშვილი
პოლიტოლოგი

# რონალდ რეიგანი და საქართველოს ვესტერნიზაცია

„კაცი, რომელმაც დაშალა საბჭოთა კავშირი“–ეს წოდება ალბათ თანაბრად ეკუთვნის უწინარესად ორ პოლიტიკოსს –საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს და ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტს რონალდ რეიგანს. სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამდენად, ახალი საქართველოს დამოუკიდებლობის აკვანთან ქართველ და საბჭოთა პოლიტიკოსებთან ერთად (ზვიად გამსახურდია) „ბელოვეჟის შეთანხმებათა“ ავტორები: ბორის ელცინი, ლეონიდ კრავჩუკი–სტანისლავ შუშკევიჩი და სხვ.) ნებსით თუ უნებლიეთ დგას რონალდ რეიგანი– დიდი „ცივი ომი“-ს ყველაზე წარმატებული სარდალი. შემთხვევითი როდია, რომ რეიგანის გასვენების ცერემონიალზე, რომელიც მისივე სცენარით იყო დადგმული, პოლიტიკოსთა ძალზე შეზღუდულ წრეში (ამერიკის ყოფილი პრეზიდენტები, კანადის პრემიერ მინისტრი, გაეროს გენერალური მდივანი და სხვ.) მონაწილეობდნენ მარგარეტ თეთჩერი და მიხეილ გორბაჩოვი. ამით ხაზი გაესვა სწორედ იმას, რომ რონალდ რეიგანი ისტორიაში შევიდა როგორც საბჭოთა სისტემის, ანუ მისივე სიტყვებით –„ბოროტების იმპერიის“ გამანადგურებელი.

რონალდ რეიგანის როლი და მნიშვნელობა საქართველოსათვის როდი შემოიფარგლება მხოლოდ ამ ისტორიული წვლილით. ჯერ ერთი, რომ ბევრი პოლიტოლოგის აზრით საქართველოსათვის „ცივი ომის“ ეპოქა კვლავაც გრძელდება. (1) ხშირად „ცივი ომის“ აღდგენის მიზეზებს ძირითადად გეოეკონომიკური მოტივებით, კერძოდ კასპიის ზღვის ენერგორესურსების ევროპასა და აშშ-ში საქართველოს გავლით გატანით ხსნიან, მაგრამ, ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების მარშრუტების უდავო მნიშვნელობასთან ერთად, მხოლოდ ეკონომიკური მოტივებით ამ დაპირისპირების ახსნა საკითხის ზედმეტ გამარტივებად გვეჩვენება.. არა მარტო აშშ, არამედ თავად საქართველო დღესაც რუსეთთან „ცივი ომის“ მდგომარეობაში იმყოფება და დღეს ამ დაპირისპირების ერთ-ერთი პიკის მომსწრენი ვართ. ცხადია, რომ

რუსეთს არ ემეტება საქართველო და მით უმეტეს სამხრეთ კავკასიის მთელი რეგიონი ამერიკელებისათვის დასათმობად. სამწუხაროა მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოფიციალურ მოსკოვს საქართველოში თავისი გავლენის შენარჩუნების ერთადერთ გზად კვლავაც აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერა მიაჩნია. თუმცა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების თავკაცის არჩევნებმა დაგვანახა, რომ კრემლი ბოლომდე ვერ აკონტროლებს მდგომარეობას მეამბოხე რეგიონში. მაგრამ ამავდროულად ყველა დარწმუნდა, უწინარესად აფხაზები, რომ კრემლს აფხაზი ხალხის ბედი სულაც არ ანაღვლებს და სეპარატისტებს მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით, ანუ საქართველოსა და აშშ-ის საწინააღმდეგოდ და თავისი პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად იყენებს. ასეთ მძაფრ დაპირისპირებაში კი საბოლოოდ ყველაფერს გადაწყვეტს ის, თუ რომელ მხარეს გამოაჩნდება მეტი თანმიმდევრულობა, სიმტკიცე და სიბრძნე მიზნის მისაღწევად. სწორედ აქ გამოგვადგება მისაბაძ მაგალითად რონალდ რეიგანის, როგორც უბადლო პოლიტიკური მებრძოლის გამოცდილება. „ბოროტების იმპერიასთან“ მის ბრძოლასაც ხომ ბევრი პოლიტიკოსი ქარის წისქვილებთან დონ კიხოტის უაზრო და უშედეგო შებრძოლებად მიიჩნევდა. მით უმეტეს არავის ეგონა, რომ საბოლოოდ ის გორბაჩოვთან საერთო ენას გამონახავდა და „ცივი ომის“ შეწყვეტასაც მიაღწევდა.

გარდა წარმატებული პოლიტიკური მებრძოლის თვისებებისა, არსებობს რონალდ რეიგანის პოლიტიკური პორტრეტის მეორე ასპექტი, რომელიც საქართველოსათვის და თავად რუსეთისთვისაც დღეს ძალზედ მნიშვნელოვანია. მიგვაჩნია, რომ ახალი სახელმწიფოს მშენებლობისა და დასავლურ ფასეულობათა ზიარების რთულ გზაზე, რომელიც საქართველოსაც და რუსეთსაც ჯერ კიდევ გასავლელი აქვთ, დღესაც უაღრესად აქტუალურია რონალდ რეიგანის ფიგურა, სულიერი პრინციპები, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა ცხოვრებაში და პოლიტიკაში. კერძოდ, მისი მორალური თვისებები ბევრად უფრო მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე ბევრი თანამედროვე დასავლელი თუ ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ამდენად გაგვიადვილებს წინააღმდეგობების დაძლევას ჩვენი ქვეყნების გარდაუვალი ვესტერნიზაციის პროცესში. უფრო სწორად, შესაძლებელს გახდის ვესტერნიზაციის მისაღები მოდელის შემუშავებას, რომე-

ლიც უპირუნველყოფს დასავლური და ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების შეხამებას და არა ვულგარულ მიმბაძველობას საკუთარ კულტურაზე უარის თქმის ხარჯზე.

თუკი ერის მატერიალური ცხოვრებისათვის დასავლურ ცივილიზაციასთან ზიარება მოდერნიზაციაში, ანუ დასავლეთის ტექნიკური პროგრესის შეთვისებაში გამოიხატება, ერის სულიერი ცხოვრება დღეს აშკარად განიცდის ვესტერნიზაციას, ანუ დასავლური კულტურის ღირებულებათა დანერგვას ხშირად საკუთარი ტრადიციების უარყოფის ხარჯზე. ვესტერნიზაციის პოლიტიკად განიხილავენ ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების და მათი საქმიანობის დასავლური სტანდარტებით გარდაქმნასაც, რაც ასევე საკმაოდ მტკივნეული პროცესია. (2) ცხადია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში და არამარტო საქართველოსა თუ თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც მან გლობალური ხასიათი მიიღო. (3) დასავლური ცივილიზაციის დომინირების პირობებში არადასავლურ ცივილიზაციებს მის მიმართ დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმები ჩამოუყალიბდათ—კატეგორიული მიუღებლობიდან ბრმა მიმბაძველობამდე. სახეზეა მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის პროცესებისადმი განსხვავებული მიდგომები: დაწყებული ვესტერნიზაციის სრული უარყოფიდან (ირანი) და დამთავრებული ვესტერნიზაციით რეალური მოდერნიზაციის გარეშე (აფრიკის რიგი ქვეყნები). (4) ჩვენ გვთავაზობენ ყველაზე რთულ და ტიპურ, ე.წ. მე-5 გზას: საწყის ეტაპზე თანაბარზომიერი მოდერნიზაცია-ვესტერნიზაცია, შემდგომ ეტაპზე კი, მოდერნიზაციის განვითარების შესაბამისად, როდესაც პროცესი შეუქცევადი გახდება, ვესტერნიზაციის შემცირება და ადგილობრივი კულტურის აღორძინება.

თემა სათუთი და საფრთხილოა. დიდი სახელმწიფოებიც კი, რომელთაც საკუთარი კულტურის დაცვისა და განვითარების განუზომლად დიდი პოტენციალი გააჩნიათ, დიდი სიფრთხილით ეკიდებიან თავიანთი კულტურების ვესტერნიზაციის, ხოლო თავად დასავლეთევროპული ქვეყნები—მათი ამერიკანიზაციის საკითხს.

2001 წლის 29 ნოემბერს ოსლოში ჩატარდა ევროპული კულტურის ამერიკანიზაციის საშიშროებისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენცია. ნორვეგიის კულტურის მინისტრმა სვარსტად

ხაუგლანდმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ, თუ ადრე ევროპულ კულტურას საფრთხეს უქმნიდა ჰოლივუდის მიერ კინოწარმოების მსოფლიო მასშტაბით მონოპოლიზაცია, ეხლა საუბარი აღარ არის მხოლოდ კინემატოგრაფიაზე: „ამერიკული კულტურის ნაკადები, რომელსაც აშშ აფრქვევს მთელს დანარჩენ მსოფლიოზე, გვაიძულებს მივმართოთ ასეთი კრიზისული კონფერენციებისა და შეხვედრების გამართვის პრაქტიკას. იმასაც კი ამბობენ, რომ ეროვნული სახელმწიფოს მოდელმა სრულიად ამოწურა საკუთარი თავი და აღარ ძალუძს თავი დაიცვას კულტურულ ომში. მაგრამ მიმაჩნია, რომ ცვლილებები, რომლებიც ევროპული ქვეყნების საზოგადოებებში მიმდინარეობს, მოითხოვენ სახელმწიფოთა მთავრობებისაგან კულტურკამპფის უფრო აწონილი, თანმიმდევრული და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას. (5)

ვესტერნიზაციას დიდი სიფრთხილით შეხვდა იაპონიაც, რომელმაც მე-20 საუკუნეში მოდერნიზაციის ყველაზე წარმატებული მაგალითი უჩვენა მსოფლიოს. დასავლურ ინდივიდუალიზმს იაპონელი კულტუროლოგები უპირისპირებენ იაპონური ხასიათის მთავარ თავისებურებებს: ერთმანეთზე დამოკიდებულება, დაყრდნობა ურთიერთდახმარებაზე და შეხედულება პიროვნებათაშორის ურთიერთობებზე როგორც თავისთავად ღირებულებაზე.

ასევე დიდი სიფრთხილით ხვდებიან ვესტერნიზაციის პროცესს უმრავლესობა რუსი პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისა, როცა უპირისპირებენ ვესტერნიზაციას სუვერენიტეტის ცნებას და მოითხოვენ ქვეყნის განვითარებას „მოდერნიზაციისა და სუვერენიტეტის“ და არა „მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის“ სცენარით, ანუ სემუელ ჰანგტინგტონის განმარტებით, „მოდერნიზაციას ვესტერნიზაციის გარეშე“. (6)

ეროვნული კულტურის დაცვისა და განვითარების ყველაზე ქმედითი საშუალება განათლებაა. მაგრამ ვესტერნიზაციის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტიც ცხადია, განათლებაა. სწორედ ამიტომაცაა, რომ რუსეთსა და საქართველოშიც განათლების სისტემა იქცა ბრძოლის მთავარ ასპარეზად ე.წ. ტრადიციონალისტებსა და ვესტერნიზაციის მიმდევართა შორის. საქართველოში უკანასკნელებმა გაიმარჯვეს, თუმცა საზოგადოება მათ შორის დაძაბული ბრძოლის მომსწრეა, თუნდაც განათლების

შესახებ ახალი კანონის გარშემო ატეხილი დაპირისპირების მაგალითზე.

ამავე დროს ვესტერნიზაცია აბსოლუტურად ობიექტური და გარდაუვალი პროცესია. მაგრამ ცხოვრების ახალი სტანდარტების დანერგვისას სულ არ არის აუცილებელი უკომპრომისობა და რადიკალიზმი. იმავე იაპონიაში ახალგაზრდობა უკვე მნიშვნელოვნად მოექცა ვესტერნიზაციის გავლენის ქვეშ და თავს არა მარტო იაპონური, არამედ დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენლად გრძნობს, დასავლურ ფასეულობებს იზიარებს. აშკარაა ამ პროცესის განვითარება საქართველოშიც. აღმოჩნდა, რომ გადაულახავი წინააღმდეგობები ქართულ ტრადიციულ ფასეულობებში და დასავლურ ფასეულობებში ბევრად ნაკლებია, ვიდრე ეს პირველი შეხედვით ჩანს.

ქართველებისთვისაც ისევე დამახასიათებელია ინდივიდუალიზმი, შრომისმოყვარეობა, რელიგიურობა, პატრიოტიზმი, როგორც ნებისმიერი ამერიკელისათვის. ხოლო ქართული საზოგადოების ლტოლვა ტრადიციონალიზმისა და კონსერვატიზმისაკენ ასევე დამახასიათებელია ამერიკელების საკმაოდ დიდი ნაწილისათვის. ამ შემთხვევაში სწორედ რონალდ რეიგანის სულიერი და მორალური პრინციპები, რომელსაც ის პოლიტიკაში ატარებდა, შეიძლება გამოგვადგეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენ ახლოა ჩვენი საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად ამერიკულ ფასეულობათა დიდი ნაწილი.

პირადი გამბედაობა და ერთგულება, რომანტიულობა და რაინდული ხასიათი მიმზიდველს ხდის რონალდ რეიგანის ფიგურას არა მარტო ტრადიციონალისტი ამერიკელებისათვის, არამედ ქართული საზოგადოებისთვისაც. მეუღლესთან მისი ურთიერთობა ოჯახური იდილიის საუკეთესო ნიმუშია. ერთ-ერთი პირველი მიღება თეთრ სახლში მან თავის მეგობრებს მოუწყო: „ვიცი, რომ მისთვის არაფერია მეგობრობაზე ძვირფასი“-ამბობდა ნენსი რეიგანი ქმარზე. რათა ჩამოეცილებინათ თავიანთი ქალიშვილი პეტი სამოციანი წლების ახალგაზრდული კულტურის, მათი აზრით, გამრყვნელი ზემოქმედებისაგან, რონალდ და ნენსი რეიგანებმა ის არიზონას შტატის მიყრუებულ ქალაქში ორმსკულში გააგზავნეს. პეტი იმ დროს ცნობილი როკ-ჯგუფის „იგლზ“-ის სოლისტთან ბერნი ლედონთან ცხოვრობდა, რითაც ოჯახის უკიდურესი შეშფოთება გამოიწვია. შეიძლება ამიტომაც

ნენსი რეიგანმა პირველი ლედის პოსტზე ყოფნისას ყველაზე დიდი ყურადღება ნარკომანიასთან ბრძოლას დაუთმო. 1985 წელს მისი თაოსნობით ვაშინგტონში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ახალგაზრდებს შორის ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხებზე, რომელშიც მსოფლიოს 17 ქვეყნის პირველი ლედი მონაწილეობდა. როდესაც საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ რეიგანების წყვილი ლოს-ანჯელესში დასახლდა, ნენსიმ მათი რეზიდენციის ნომერი 666 შეაცვლევინა 668-ზე, რადგანაც ბიბლიაში 666 ეშმაკის რიცხვადაა მოხსენიებული. „მე შევეწინააღმდეგები მთავრობის მხრიდან ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერის ნებისმიერ მცდელობას" –საჯაროდ განაცხადა რონალდ რეიგანმა 1984 წლის 18 დეკემბერს. ეს რამდენიმე შტრიხი რონალდ რეიგანის ბიოგრაფიიდან(7) ცხადყოფს, თუ რატომ არის მისი სულიერი პრინციპები მისაღები ტრადიციული ქართული საზოგადოებისათვის. მეტიც, სწორედ ამ პრინციპების გამო მისი დაკრძალვის ცერემონია, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას დაემთხვა, აქტიურად იყო გამოყენებული რესპუბლიკელების მიერ საკუთარი მორალური უპირატესობების პროპაგანდისათვის. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ მეორე ვადით მისი არჩევისას ის მხარს დაუჭერს კონსტიტუციის ცვლილებას, რომლითაც ჰომოსექსუალური ქორწინებები აიკრძალება. მან ეს არჩევნები მოიგო, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამერიკული ცხოვრების წესის უპირატესად სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირება არამართლზომიერია და დასავლური ტრადიციული ფასეულობები აბსოლუტურად მისაღებია ქართული საზოგადოების ტრადიციული ნაწილისთვისაც.

ის, რომ საზოგადოებრივი მორალის საკითხები აშშ-ში მწვავე წინასაარჩევნო დებატების საგანია, აჩვენებს, რომ ტრადიციული მორალური ფასეულობების მატარებლებს ჯერ ბოლომდე არ დაუთმიათ თავიანთი პოზიციები, თუმცა, საყოველთაო აღიარებით, დასავლური ხელოვნების და განსაკუთრებით კინოხელოვნების სფეროში „გეების დღის წესრიგმა საბოლოოდ გაიმარჯვა"(8). „ჩვენი მთავარი დასკვნაა, რომ ჰოლივუდი ეს წაგებული თამაშია იმაში, რაც ეხება ქორწინებაზე და სექსუალურობაზე ტრადიციული შეხედულებების პროპაგანდას" (8) სწორედ ტრადიციული ამერიკული მორალისა და ფასეულობების დასაცა-

ვად 90-იან წლებში აშშ-ში შეიქმნა მოძრაობა „promise keepers", რაც შეიძლება ქართულად „სიტყვის კაცებად" მოინათლოს. მათ მილიონიანი დემონსტრაცია გამართეს ვაშინგტონში, სადაც მანამდე ასეთი მრავალრიცხოვანი აქციებით მხოლოდ ჰომოსექსუალისტები გამოდიოდნენ. სწორედ ამიტომაც ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების დასავლური ფასეულობებისადმი ზიარება არა მარტო ჩვენთვის, არამედ თავად დასავლეთისათვის აუცილებელი პროცესია, რათა დასავლური და აღმოსავლური მორალური ფასეულობების გონივრული ინტეგრაციის შედეგად დასავლურ კულტურაში განმტკიცდეს ტრადიციული მორალური ფასეულობები, რაც ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილს ჯერ შენარჩუნებული აქვს.

ბედნიერია ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც რონალდ რეიგანივით თვალსაჩინო კვალს გაავლებს საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორიაში. ცხადია, როგორც თავად რონალდ რეიგანის პოლიტიკური მემკვიდრეობა, ასევე პოსტსაბჭოთა საზოგადოების ვესტერნიზაციის პროცესები ოდნავადაც არ შემოიფარგლება აქ განხილული თემებით. „რეიგანომიკიდან" დაწყებული და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლით დამთავრებული, ყოველივე ეს პირდაპირ უკავშირდება ამერიკის მე-40 პრეზიდენტის სახელს. ერთ-ერთ თავის შაბათის რადიოინტერვიუში, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ამ სტატიის ავტორზე, რონალდ რეიგანმა განაცხადა, რომ კომუნისტების მთავარი შეცდომა ისაა, რომ ისინი „ახალი ადამიანის" შექმნას ცდილობენ. ადამიანი კი უფალმა შექმნა ისეთად, როგორიც არის, მასში ღვთიურიც არსებობს და ეშმაკისეულიც. ყოველი მთავრობის მთავარი მიზანია ცხოვრების ისეთი პირობები შეუქმნას ადამიანს, რომ მასში ღვთიურმა, ანუ სიკეთემ გაიმარჯვოს, ხოლო ეშმაკისეული, ანუ სიბოროტე დაითრგუნოს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, საბჭოთა კავშირიც დაიშალა, მაგრამ რეიგანის ეს ნათქვამი ისეთივე აქტუალური რჩება დღეს, როგორც შორეულ 80-იან წლებში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. იხ. ინგლისური გაზეთი „გარდიანი“ ა.წ. 3 იანვრის ნომერში: „საქართველო აშშ-სა და რუსეთს შორის „ცივი ომის“ „ახალი არენაა“. ასევე ინტერნეტგამოცემა “Известия RU “ Илья Котов “Грузии началась „ холодная война“ между Россией и США” 04.12.03.

ინტერნეტმისამართი http://www.izvestia.ru/georgia/ article41829).

2. (Олег Яницкий, „Цена вестернизации”, журнал «Индекс» №12 2003. ინტერნეტმისამართი http://www.index.org.ru/journal/12/yanitsk.html)

3. („Независимая газета» № 216 (2526) от 20.11.01 Александр Куранов. „ВЕСТЕРНИЗАЦИЯ РОССИИ ПОЙДЕТ ПО ПУТИНСКОМУ ВАРИАНТУ”).

4. (იხ. გვანცა აბდალაძე, „სემიუელ ჰანგთინგთონის თეორია თანამედროვე გეოპოლიტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ადგილის განსაზღვრისათვის“, ქართული დიპლომატიის წელიწდეული, №8, თბილისი, 2001წ.გვ.269).

5. („Европа собралась бороться с американской культурой” ინტერნეტგამოცემა « Подробности» 30 11 2001 ინტერნეტმისამართი http://www.podrobnosti.com.ua/culture/2001/11/30/8619.html) .

6. (ინტერნეტგაზეთი «Навигатор» 05.06.2000.Александр Дугин, «Модернизация без вестернизации» ინტერნეტმისამართი http://www.navi.kz/oldnavi/articles/nonkonf050700b.shtml)

7. („ამერიკის პირველი ლედები“ „Рейган, история, биографии.“ Источник: „Первые леди Америки“ ინტერნეტმისამართი http://allabout.ru/a1387.html)

8. (ოჯახის ამერიკული ასოციაციის წარმომადგენლის ედ. ვიტალიანის ინტერვიუ სააგენტოს “Associated Press“ 07.11.01 ინტერნეტმისამართი http://gay.org.ua/dokument/homofob.htm#maha)

9. იქვე.

**ნუგზარ რუხაძე**
**ჟურნალისტი**

# რეიგანის ეპოქა და ქართულ-ამერიკული სიახლოვე

ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ინფორმაციის სისწრაფე - სრულიად ახალ „ჯერ არგაგონილ" ადგილს მიუჩენს საქართველოს მსოფლიოს ერთა თანაცხოვრების გაუცნაურებულ ფერხულში. ჩვენი ეს ციცქნა ქვეყანა ისეთივე თვალში საცემი ხდება ნელ-ნელა, როგორც, მაგალითად, მას'ზე მეტად მნიშვნელოვანი და „ტანადი" რუსეთი. ვინ იფიქრებდა, რომ რუსულ ენაზე ბუნებრივად მოლაპარაკე საქართველო ასე მარტივად შეელეოდა მისთვის „მეორე მშობლიურ ენას". მაინც რა ძალითა და სისწრაფით მოგვაწყდა ეს დასავლური კულტურა და ენა (ვამბობ დასავლურს, ვგულისხმობ ამერიკულს; ვამბობ ამერიკულს,ვგულისხმობ დასავლურს!). აუცილებლობის გარდა, ჩვენთვის მისაღები ხიბლიც ხომ არა აქვს ნეტავ ამ ამერიკულ სიახლეს, რომელიც, პრინციპში, ძალის დაუტანებლად მოდის და იკავებს ქართველთა სულსა და გულებს. არა, იმასაც არ დავიჩემებ, რომ რუსული ენისა და კულტურის მიმართ აღარ არსებობს ნოსტალგია ჩვენში. არსებობს. როგორ არ არსებობს! მაგრამ იმ გადამდგარ თაობაში უფრო, ვიდრე ქართველთა იმ ნაწილში, ახლა რომ ჭკუა ეკითხება. მაინც რამ გაგვათამამა იმდენად, რომ ასე ადვილად მივიღეთ გადაწყვეტილება, რუსული ამერიკულით შეგვეცვალა და თანაც ერთმანეთისთვის დაგვეპირისპირებინა? პასუხს ვერ ვპოულობ (ნურც თქვენ ეცდებით მაინცდამაინც!) გარდა ერთისა. მაგალითმა! ამერიკულმა საყოფაცხოვრებო მაგალითმა. ამ ბოლო დროს, ათიათასობით ქართველს მიუწვდა ხელი შესაძლებლობათა (Land of Opportunity) ამერიკულ ვარიანტ'ზე. სწორედ იქ იყნოსეს მათ უკეთესი ცხოვრების შანსი, სწორედ იქ მოხდა სოციალიზმის საძულველი არტახებიდან თავდახსნილ ქართველთა პირისპირ შეხვედრა „ამერიკული ოცნების" (American Dream) რეალურ ცხოვრებაში მოქმედების მომხიბლავ პროცესთან. ამერიკას კი (ისეთს, როგორიც გვხიბლავს) თავისი ხელით ძერწავდნენ რონალდ რეიგანისნაირი პრეზიდენტები, რომლებიც კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის ისტორიულ ჭიდილში, საკუთარი ტკივილებისა და

მეცადინეობის ხარჯზე, უახლოვდებოდნენ ხოლმე ჭეშმარიტებას ისეთ დიად საქმეში, როგორიც ქვეყნის მართვა და ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ტრანსპორტისა და ინფორმაციის ბუმმა დედამიწის ზურგი ერთ მტკაველ მიწად აქცია და რა გასაკვირია, რომ მანძილი კავკასიასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორისაც შემცირდა. ჰოდა, საქართველომაც არ დააყოვნა და კომუნიზმის ნანგრევებიდან, ასე თუ ისე, უვნებლად თავდაღწეულმა დასავლეთს მიაშურა თავის გადასარჩენად. ეს ის დროა, როცა რონალდ რეიგანი მთელი თავისი ამერიკული ძალითა და გულწრფელობით მსოფლიოს უკიჟინებს „ბოროტების იმპერიის“ დრომოჭმულობის შესახებ და საბჭოეთის მაშინდელ ლიდერს გორბაჩოვს უცერემონიოდ მიმართავს მსოფლიოს გასაგონად, დაანგრიეო ბერლინის ეს წყეული კედელი. მეტი რა უნდა ექნა ცხონებულს! ცივი ომის ყინულმა მაშინ ისეთი სისწრაფით დაიწყო ლღობა, რომ წარმოქმნილმა ნიაღვარმა ასიათასობით საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის უამრავი ქართველი, წალეკა და ამერიკაში ჩაიტანა. პრაქტიკულად ყველა გადარჩა, საქმე მონახა, სახლ-კარი იყიდა, ზოგმა პენსიაც მიიღო და ცხოვრების გემო ნახა. ბედის ირონიამ საბოლოოდ დაამსხვრია მითი ქართველთა ნოსტალგიურობისა და ემიგრაციის მიმართ მათი ალერგიულობის შესახებ. რეიგანის და მისი მსგავსი ამერიკელი ლიდერების ნაშენებმა კულტურამ და ეკონომიკამ დაუზოგავად ჩაითრია სამშობლოდან სარჩოს საძიებლად გაქცეული ქართველები. ქართველებმა ამერიკის მიწაზე დაიწყეს გამრავლება. მათმა გოგო-ბიჭებმა ამერიკული კოლეჯები დაამთავრეს, ამერიკული ოჯახები შექმნეს და, რაც მთავარია, ამერიკა გულწრფელად შეიყვარეს. ჩემი მონაგარიც ზუსტად ასე მოიქცა და კრინტიც ვერ დავძარი წინააღმდეგობის გასაწევად. რონალდ რეიგანის პოლიტიკური იერსახე თაობიდან თაობას იმედისა და კარგი ცხოვრებისაკენ სწრაფვის სტიმულატორად გადაეცა. მისი ეპოქა ქართულ-ამერიკული სიახლოვის წანამძღვრად იქცა. ამერიკაში დაღვრილი ქართული ოფლით ნაკეთებმა ფულმა გეზი აქეთ, საქართველოსკენ აიღო, აქ გადაარჩინა ხალხი შიმშილს და სიცივეს, აქ გაახარა მცირე ბიზნესის სანუკვარი ყლორტები, აქ აგრძნობინა გადახვეწილ ქართველთა ოჯახის წევრებს უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა. ერთი სიტყვით, გაჩაღდა ახალი ტიპის თანაცხოვრება ორ ქვეყანას შორის. წარმოქმნილმა პოლიტიკურმა

რეალობამ ამ თანამშრომლობას კიდევ უფრო მეტი გაქანება და სიმაღლე მისცა: ქართული და ამერიკული სახელმწიფოები ერთმანეთს დაუმეგობრდა, რამაც შესაძლო გახადა პერსპექტივის ქართულ-ამერიკული ჭვრეტის ერთობლიობა (რას იფიქრებდა რუსი, რომ ამას მოესწრებოდა!). შეიძლება თამამად ითქვას, რომ რეიგანის ზოგადსაკაცობრიო ოცნების ნაწილი ამ მაგალითზე განხორციელდა. რეიგანის დროინდელი მმართველობისათვის ესოდენ დამახასიათებელი „ხანგრძლივი მშვიდობიანი კეთილდღეობა" (long peace-time prosperity) საქართველოსთვის შესაშურ პერსპექტივად გვესახება. ქართულ-ამერიკული ამჟამინდელი სიახლოვე, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა მწიფობის ხანაში, საფრთხილო საქმეა. ამ ახლობლობაში ალბათ ვერ იმუშავებს ჩვენთვის უფრო ჩვეული ქართულ-რუსული ახლობლობის სტერეოტიპი. აქ მეტი დაკვირვება და მოთმინება დაგვჭირდება. ქართულ-რუსულ ურთიერთობაში თითქოს დასაშვები იყო ერთგვარი ნონსენსი, შინაურული განწყობა, გადაჭარბებული ემოციურობა, მიტან-მოტანა, გაურკვევლობა და შეცდომებიც კი, რომლებიც მხარეებს ადვილად მიეტევებოდა (ალბათ დრო იყო ასეთი მაშინ!). დიდად მოვიგებთ ჩვენ, ქართველები, თუ ამერიკულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ტრიალისას უადგილო თავბრუსხვევას არ მივეცემით და ნაჩქარევ დასკვნებს არ გავაკეთებთ. ევროპელებს, განსაკუთრებით რუსებს, ამერიკული ფენომენი ზედაპირულ მოვლენად მიაჩნიათ და ხშირად თავს უფლებას აძლევენ, დასცინონ კიდეც ამერიკელებს, აქაოდა ძალიან მოკლე ისტორია და ახალგაზრდა კულტურა აქვთო ჩვენთან შედარებით. კი ბატონო, ასე იყოს, თუ ორ საუკუნე ნახევარს მიღწეული ამერიკული კონსტიტუცია, დემოკრატიისა და სამართლიანობის ეს შეუვალი ძეგლი, შეიძლება ახალგაზრდად ჩაითვალოს.

რონალდ რეიგანი რომ პრეზიდენტად აირჩიეს, მთელი რუსეთი სიცილით კვდებოდა, ამერიკელებმა ქვეყნის ბედი ჰოლივუდის მსახიობს ჩააბარესო. ერთი შეხედვით რომ დასკვნის გაკეთება არ ვარგა, სწორედ იმ არტისტ რეიგანის საპრეზიდენტო მემკვიდრეობა მოწმობს – ამერიკელმა ხალხმა მსახიობი რონი თავის ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ლიდერად აღიარა. ცნობილია, რომ რეიგანს ადამიანთა სახელების დამახსოვრება უჭირდა. ამის მიხედვით შეიძლება რეიგანზე მსჯელობა? რა თქმა უნდა არა. თა-

ვად უხერხულობდა თურმე ამას, მაგრამ სამაგიეროდ, არასოდეს არ ეშლებოდა ადამიანებთან საუბრის მიზანი და,თავისი კომუნიკაბელურობის წყალობით,უცილობლად აღწევდა ხოლმე საწადელს ნებისმიერი საუბრისას ან კამათისას. რეიგანის დროს აყვავებულმა და მოწესრიგებულმა ამერიკამ, ჯორჯ ბუშის (მამის) მაშინდელ ერაყულ საომარ ახირებასაც გაუძლო, კლინტონის ცელქობებსაც და საერთაშორისო ტერორიზმის აღვირახსნილ შეტევას ქონებითა და მშვიდი ცხოვრებით განებივრებულ ბიძია სემზე. რა კარგი იქნებოდა რომ რეიგანის ის დრო გაგრძელებულიყო ორი-სამი ათეული წლით მაინც. მაშინ საქართველოს ახალ გამოჩეკილ უფროს ძმას მეტი დრო და ფული დარჩებოდა მისკენ აღფრთოვანებით მზირალ ქართველთა ახალი თაობის წასათამამებლად. მაშინ კი ნამდვილად დამსუყდებოდა რეიგანის ეპოქაში ფუძენაშენები ქართულ-ამერიკული ახლობლობა, დამსუყდებოდა და მაგრადაც დაგვეტყობოდა მზრუნველი ძმის ხელი. მოდით, ნუ ვიჩქარებთ. ვაცალოთ ამერიკას სულის მოთქმა. 2004 წლის საარჩევნო ჭიდილიც მშვიდობით დავამთავრებინოთ. ისიც გავიაზროთ, რომ, საქართველო ერთი მეტად უცნაური ცივილიზაციაა, რომელსაც თავისი მომცრო ზომისა და დროებითი სიღარიბის მიუხედავად, ამერიკის მსგავსი გიგანტების დახმარებაც შეუძლია თავისებურად, ჩვენებურად, ქართულად, დაუმადლებლად. ჩვენ, ქართველები ვალში არავის დავრჩებით. სიახლოვის ფასი და გემო სწორედ ამაშია.

გიორგი შიხაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის
ფაკულტეტის დოცენტი

# ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ზოგიერთი ასპექტი რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში

1980 წლის 4 ნოემბერს, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებზე გაიმარჯვა რონალდ რეიგანმა. მისმა მოწოდებამ: „ავაღორძინოთ ტრადიციული მორალური ღირებულებები" და „ერთად ავაგოთ ნათელი მომავალი" დიდი გამოხმაურება მოიპოვა მილიონობით ამერიკელს შორის და მთელ მსოფლიოში.

ამ პერიოდისათვის ქვეყანა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა და აუცილებელი იყო გადამჭრელი ზომების მიღება მის დასაძლევად. ამ მიზნით რ. რეიგანის ადმინისტრაციამ თავი მოუყარა ქვეყნის საუკეთესო ეკონომისტებს. მათ გეზი აიღეს ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვასა და შემცირებაზე, რის შედეგადაც ამუშავდებოდა მძლავრი საბაზრო მექანიზმი, შემცირდებოდა უმუშევრობა და ინფლაციის დონე, სტიმული მიეცემოდა კერძო კაპიტალდაბანდებებს და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას.

ეკონომიკის სახელმწიფო მართვის რეიგანისეული პოლიტიკის მიზანი იყო გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ბიუჯეტის დაბალანსება, ფულადი მასის შემცირება ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით.

საგადასახადო სისტემის რეფორმა ყველაზე გრანდიოზული რეფორმა იყო აშშ-ის ეკონომიკურ ისტორიაში. რ. რეიგანს მოუხდა კონგრესის დიდი წინააღმდეგობის დაძლევა კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების გასატარებლად. უკვე 1981 წელს რ. რეიგანმა კონგრესს მიაღებინა კანონი საშემოსავლო გადასახადების შესახებ, რომლის თანახმად საშემოსავლო დაბეგვრის ობიექტია პირადი შემოსავალი ფულადი ფორმით, რომელშიც შედის ხელფასი, რენტა, პროცენტები, დივიდენდები, ჰონორარი.

მთლიანობაში, ეკონომიკის სახელმწიფო მართვის რეიგანის-

ეულ პოლიტიკას „რეიგანომიკა“ უწოდეს. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში რ. რეიგანი აღნიშნავდა: „ჩვენი ადმინისტრაციის მიზანია უზრუნველვყოთ ამერიკისათვის ახალი პროგრესი, ხოლო მისი ყველა მოქალაქისათვის – ახალი შესაძლებლობანი. ამ მიზნის მიღწევის წესი ერთია: გავანთავისუფლოთ პიროვნება, გავაუქმოთ ბაზრის რეგულირება, შევამციროთ მთავრობის აპარატისა და ფედერალური მთავრობის ჩინოსანთა რაოდენობა. ჩემი პირველი და ყველაზე მთავარი ამოცანაა გავაუმჯობესო ეკონომიკის ფუნქციონირება ფედერალური მთავრობის როლის შემცირების გზით მის ყველა განზომილებაში. ჩვენ კერძო ინიციატივას უნდა დავუტოვოთ ყველა ფუნქცია, რომლის რეალიზება ინდივიდუმებს თვითონ შეუძლიათ“ (1)

1981 წელს კონგრესის მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამა გადასახადების შესახებ გახდა „რეიგანომიკის“ უმთავრესი და ყველაზე უფრო ფართოდ რეკლამირებული ორგანული შემადგენელი ნაწილი. ეს კანონი მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს.

– ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის 1985 წლიდან დაწყებული, სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივ შემცირებას 23%- მდე;

– კაპიტალის შემოსავლიდან მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის შემცირებას 70-დან 50%-მდე;

– კაპიტალის საბაზრო ღირებულების ზრდიდან შემოსავალზე მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის შემცირებას 28-დან 20%-მდე;

– საინვესტიციო გადასახადებზე განაკვეთის შემცირებას და სხვა მიმართულებებს.

1985 წელს, თავისი პრეზიდენტობის მეორე პერიოდში, რ. რეიგანმა კონგრესს მიაღებინა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა უფრო მარტივი და სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემოღებას, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა მოქალაქეთა ფინანსურ ტვირთს და გაზრდიდა ეკონომიკურ აქტივობას.

ამ რეფორმის ძირითადი მიზანი იყო საბიუჯეტო რეგულირების მექანიზმის გაუქმება, სამეურნეო ერთეულების საქმიანობაში ჩარევაზე უარის თქმა, საშემოსავლო გადასახადით ერთნაირი დაბეგვრა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ დარგში კაპიტალი

ინვესტირებული. ამ რეფორმით მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების ზღვარი და გაუმჯობესდა საბაზრო მექანიზმის აქტიურობა. იგი ხელს უწყობდა, აგრეთვე, სოციალური დაძაბულობის შესუსტებასაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის გადასახადების საგრძნობი შემცირების მეშვეობით.

ეკონომიკის სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით, „რეიგანომიკა" იყო გზა ამერიკის საზოგადოების ცხოვრებაში ფედერალური მთავრობის როლის შემცირებისა. ეს იყო გზა, რომელიც ემყარებოდა კერძო წარმოებისა და პირადი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას.

რ. რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში, მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სახელმწიფო მმართველობის სფეროში. მაგალითად, 1981–1982 წლებში ფედერალურ ჩინოსანთა რიცხვი შემცირდა 92 ათასი ადამიანით. (2) მმართველობითი თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით რ. რეიგანის პოლიტიკას უწოდებენ ახალ ფედერალიზმს და დერეგულაციას, რის საფუძველზეც შემცირდა არა მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევა კერძო-სამეწარმეო პროცესებში, არამედ საგრძნობლად იკლო ფედერალურმა დახმარებებმა შტატებისა და ადგილობრივი მართვის ორგანოებისათვის. მაგალითად, 1980 წლიდან 1985 წლამდე მთლიანად ასეთი დანახარჯები შემცირდა 23,5 %-ით, გრანტები ტრანსპორტზე – 0,5 %-ით, სათემო და რეგიონულ განვითარებაზე – 39,8 %-ით, ადგილობრივ საზოგადოებრივ სამუშაოებზე – 99,3 %-ით, განათლებასა და სოციალურ მომსახურებაზე – 33,4 %-ით და სხვა. (3)

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამო 1981–1987 წლებში საგრძნობლად გაიზარდა აშშ-ის სამხედრო ხარჯები და მიაღწია 282 მილიარდ დოლარს. ამას კი, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკურმა წინსვლამ.

მთლიანობაში,რ. რეიგანის საფინანსო-ეკონომიკურმა და მმართველობითმა რეფორმებმა დასახულ მიზნებს მიაღწია, შედეგად ამერიკული საზოგადოება განვითარების ახალ ეტაპზე გავიდა, რამაც ხელი შეუწყო მის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

რ. რეიგანის პოპულარობა იზრდებოდა დღიდან მისი პრეზიდენტად არჩევისა, რასაც ხელი შეუწყო როგორც ობიექტურმა ეკონომიკურმა წარმატებებმა, ასევე მისმა ბიოგრაფიამ და პირო-

ვნულმა თვისებებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი სითბო, მეგობრული განწყობილება და ადამიანურობა. ხშირად რ. რეიგანს ბოლო 50 წლის მანძილზე, თ. რუზველტის შემდეგ, ყველაზე პოპულარულ და გამოჩენილ პრეზიდენტს უწოდებენ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ნ. ნანიტაშვილი. აშშ-ს 100 წლის ისტორია – XX საუკუნე. თბ., 2002.
2. თ. ეჯიბაძე. სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. თბ., 2003.
3. T. Conlan. New Federalizm: Intergovernmental Reform from Nixon to Reagan. The Brookings Institution, Washington, D. C. 1988.
4. http://www.PresidentReagan.info/bio, 2004.19.06.
5. http://www.PresidentReagan.info/Reagan_budgets, 2004.20.06.

ცირა ჩიკვაიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპისა და ამერიკის ქვეყნების
ახალი და უახლესი ისტორის კათედრის დოცენტი

## რონალდ რეიგანის „მარაგის მომხრე“ ეკონომიკა

მთავრობის როლი და მისი ჩარევა-არჩარევის აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკაში, ხელისუფლების მოქმედების არეალი – ეს არის ის მთავარი საკითხები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო ეკონომიკური ღონისძიებების იდეოლოგია და თავად ეკონომიკური პოლიტიკა.

აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაში ორი ძირითადი მიდგომაა: ლიბერალური და კონსერვატიული. განსხვავება ამერიკელ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკაში ხელისუფლების ჩარევის ფორმითა და ამ ჩარევის მოცულობით. როგორც წესი, ლიბერალები მხარს უჭერენ ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკას, ხოლო კონსერვატორები კი ეწინააღმდეგებიან ასეთ პოლიტიკას. ამდენად, ლიბერალები იცავენ ეკონომიკური თანასწორობის იდეას, კონსერვატორები კი ეკონომიკურ საქმიანობაში უფრო პიროვნული თავისუფლების მომხრენი არიან.

ლიბერალები მხარს უჭერენ „მეტ ხელისუფლებას“, კონსერვატორები – „ნაკლებს“. ლიბერალები მიესალმებიან სახელმწიფოს მხარდაჭერას განათლების, ბუნების დაცვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და მთელი რიგი სოციალური პროგრამებისათვის. კონსერვატორებს კი სურთ უფრო მცირე სახელმწიფო ბიუჯეტი და ნაკლები სახელმწიფო პროგრამები. ისინი მხარს უჭერენ თავისუფალ მეწარმეობას, ეწინააღმდეგებიან დასაქმების სახელმწიფო პროგრამებს, ბიზნესის რეგულირებას, ასევე, სამუშაო პირობებისა და ხელფასის დონის მარეგულირებელ კანონმდებლობას. (1)

აშშ-ის ეკონომიკაში XX საუკუნის 30-იან წლებში ადგილი ჰქონდა ლიბერალური ტენდენციების ზრდას. მთავრობის ჩარევის, სახელმწიფო ლიბერალური რეგულირების ეს ტენდენცია გაგრძელდა სამოციან-სამოცდაათიან წლებშიც. მაგრამ 70-იანი

წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში თავი იჩინა კონსერვატიულმა ტენდენციებმა. პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის რონალდ რეიგანის 1980 წლის საარჩევნო კამპანიის დროს სწორედ კონსერვატიული ტენდენციების გამომხატველი ფრაზები და გამონათქვამები ისმოდა. კერძოდ, „ნაკლები ჩარევა და რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან, მეტი ინდივიდუალიზმი". ხოლო, როდესაც მესამე მცდელობის შემდეგ სამოცდაცხრა წლის რონალდ რეიგანი გახდა აშშ-ის მეორმოცე პრეზიდენტი, კიდევ უფრო გამოიკვეთა ეს კონსერვატიული ტენდენცია. ახალმა პრეზიდენტმა თავისი კრედოს შესახებ განაცხადა ინაუგურაციის დროს: „მთავრობას არ შეუძლია ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა. მთავრობა თავად არის პრობლემა". (2) რონალდ რეიგანმა უარყო ლიბერალური ფილოსოფია, რომელსაც ეყრდნობოდა „ახალი კურსისა" (ფ.რუზველტი) და „დიდებული საზოგადოების" (ლ.ჯონსონი) პროგრამები და აირჩია კ.კულიჯის კონსერვატიული მიდგომა. ეს უკანასკნელი ხომ რეიგანის გმირი იყო. კ.კულიჯმა ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას განაცხადა, რომ „ამერიკელი ხალხის მთავარი საქმიანობა არის ბიზნესი". თეთრ სახლში, პრეზიდენტის კაბინეტში რეიგანის გამოჩენასთან ერთად, გამოჩნდა კ. კულიჯის სურათიც, რომელმაც ჯეფერსონის სურათი ჩაანაცვლა.

კ.კულიჯის კონსერვატიულ ეკონომიკურ პოლიტიკას მისმა კრიტიკოსებმა შეარქვეს "trickle-down" „დაწვეთების", „ჩამოდინების" ეკონომიკა. იგი ეფუძნებოდა იდეას, თუ ხელისუფლება ხელს შეუწყობდა კერძო ბიზნესის განვითარებას, მაშინ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის კეთილდღეობაც გარანტირებული იქნებოდა; რომ ეკონომიკური თავისუფლება წარმოშობს სიმდიდრეს, რაც, როგორც წყლის წვრილი ნაკადი, ეწვეთება, დაედინება საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ფენას; რომ თუ მდიდარი უფრო გამდიდრდება, ყველა იქნება მოგებული.

რეიგანის ეკონომიკურ პოლიტიკას იგივე მიზანი ჰქონდა. იგი ეფუძნებოდა იმავე იდეას, რომელიც ქადაგებდა კერძო სექტორის მეტ თავისუფლებას, რაც გამოიწვევდა ქვეყნის კეთილდღეობასა და აყვავებას. რეიგანის პოლიტიკას უწოდეს „მარაგის მომხრე" ეკონომიკა. ამ თეორიის მიხედვით მეტი მარაგი, დანაზოგი ნიშნავდა მეტ ინვესტიციებს, რაც თავის მხრივ განაპირობებდა პროდუქტიულობის ზრდას. ეს კი თავისთავად გამოიწვევდა ეკო-

ნომიკის სტიმულირებას. მარაგის შექმნა კი შესაძლებელი იყო გადასახადების შემცირებით.

რეიგანის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა „რეიგანომიკის" სახელითაცაა ცნობილი. რეიგანის ადმინისტრაციის სტრატეგიული ხაზი გულისხმობდა შემდეგი ღონისძიებების გატარებას: ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა და საბაზრო ეკომომიკის საწყისის ყოველმხრივი სტიმულირება; მსხვილი ბიზნესის გათავისუფლება გადასახადებისაგან; სამეწარმეო საქმიანობაზე ყველა იმ შეზღუდვის მოხსნა, რომელიც შემოიღეს 60-იან წლებში; ფულადი მასის ზრდის ტემპის შეზღუდვა; ინფლაციის შემცირება; ინვესტიციების სტიმულირება; მოსახლეობის დანაზოგების გაზრდა ეკონომიკაში მათი შემდგომი ინვესტირებისათვის; ფედერალური მთავრობის სოციალური ფუნქციის მინიმუმამდე შემცირება, რაც გულისხმობდა ფედერალური მთავრობის ხარჯების შემცირებას, პირველ რიგში, სოციალურ ხარჯებზე (შემწეობა ინვალიდებისა და უმუშევართათვის, სამედიცინო სამსახურზე და ა.შ.); ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება.

ამ ძირითად სტრატეგიულ ხაზში გამოკვეთილი იყო სამი წამყვანი მიმართულება: 1. შეზღუდული მონეტარული პოლიტიკა, 2. გადასახადების 25%- იანი შემცირება, 3. სახელმწიფო რეგულირების შესუსტება.

„მარაგის მომხრე" ეკონომიკის მიმდევრების რწმენით,მთავარი მაინც გადასახადების შემცირება იყო. მათი აზრით,გადასახადების შემცირება გამოიწვევდა ინვესტიციების ზრდას ბიზნესში, რაც,თავის მხრივ,გაზრდიდა შემოსავალს. ხოლო გადასახადები ამ შემოსავალზე გაზრდიდა სახელმწიფო შემოსავლებსაც. ამიტომ, პირველი, რაც გააკეთა რეიგანის ადმინისტრაციამ, იყო გადასახადების შემცირება.

ამ მიზნით, 1981 წლის აგვისტოში კონგრესმა მიიღო მთავრობის მიერ შემუშავებული „ეკონომიკის აღმავლობის საგადასახადო აქტი". ეს იყო რეიგანის მიერ დასახული პროგრამის პირველი ეტაპი. საგადასახადო რეფორმა გულისხმობდა გადასახადების საერთო რაოდენობის შემცირებას 25%-ით სამი წლის განმავლობაში: 5%-ით პირველ წელს და 10-10%-ით 1982 და 1983 წლებში. (3) ასევე, უნდა შემცირებულიყო ფედერალური ხარჯები სოციალურ პროგრამებზე: 1982—1984 წლებში 130 მლრდ

დოლარით, ხოლო 1988 წლისათვის – 270 მლრდ დოლარით. მოხდა შეკვეცა ისეთი პროგრამების, როგორიც იყო: კომპენსაცია უმუშევართათვის და „დახმარება უნარშეზღუდული ბავშვიანი ოჯახებისათვის“ (AFDC). თუმცა, კონგრესში წინააღმდეგობის გამო, ხელუხლებელი დარჩა სოციალური დაზღვევისა და სამედიცინო მეურვეობის ზრუნვის პროგრამები.

რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში მკვეთრად შეფერხდა შრომითი კანონმდებლობის განვითარება. რეიგანის პრეზიდენტობის დროს კვლავ ძალაში იყო და არ შეცვლილა კარტერის დროინდელი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც მინიმალური ანაზღაურება დაქირავებული შრომისათვის იყო 3,35 დოლარი საათში. ამას დაემატა მუშებისათვის არახელსაყრელი სოციალური ცვლილებების გატარება. კერძოდ, 1983 წელს გაუქმდა 70-იან წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც უმუშევრებს აძლევდა უფლებას, გარდა კანონით დადგენილი დაზღვევის ფონდიდან გაცემული დახმარებისა, მიეღოთ დახმარება, ასევე, ფედერალური ბიუჯეტიდან დამატებითი ოცდაცხრამეტი კვირის განმავლობაში.

1983 წელს, როდესაც გამოიკვეთა დაზღვევის ფონდის ამოწურვის ტენდენციები, რესპუბლიკური ადმინისტრაცია შეეცადა, განეხორციელებინა სოციალური დაზღვევის სისტემის კონსერვატიული რევიზია და მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მძაფრმა წინააღმდეგობამ აალებინა ხელი მთავრობას ამ განზრახვაზე.

1986 წელს განხორციელდა საგადასახადო რეფორმის მეორე ეტაპი. რეიგანი, თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადის დროსაც, ერთგული დარჩა დაბალი საგადასახადო პოლიტიკის. 1986 წელს მან ხელი მოაწერა საგადასახადო რეფორმის აქტს, რომელსაც კანონის სახე მიეცა. ამ აქტით ფიზიკურ პირებსა და წარმოებებს უმცირდებოდათ საშემოსავლო გადასახადი, მაგრამ სამაგიეროდ მცირდებოდა ან უქმდებოდა საშემოსავლო გადასახადთა მანამდე არსებული შეღავათები. „მათ შორის–გაყიდვათა გადასახადის შეღავათები და შეღავათები საკრედიტო ბარათებზე, მაღაზიათა ბარათებზე, განვადებით სესხებზე და საავტომობილო სესხებზე პროცენტის დარიცხვის შეღავათები“. (4)

საშემოსავლო გადასახადის მრავალსაფეხურიანი შკალის მაგივრად, დაწესდა სამსაფეხურიანი შკალა. საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური ზღვარი (ეს განსაკუთრებით ეხებოდა

მაღალშემოსავლიან ბიზნესს) 50%-დან შემცირდა 28%-მდე, მაშინ როდესაც, გადასახადის მინიმალური ზღვარი გაიზარდა 11%-დან 15%-მდე. ე.ი. დარჩა ორი ნიშნული – 15% და 28%. ეს, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო იქითკენ, რომ მილიონობით დაბალშემოსავლიანი ამერიკელისათვის შექმნილიყო შეღავათიანი დაბეგვრის გარემო. დღესაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში $20 000-ზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქე გაცილებით ნაკლებ გადასახადს იხდის.

მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადები კორპორაციებზე, კერძოდ, 48%-დან – 34%-მდე. მსხვილი ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ხელშეწყობისათვის რეიგანმა შეასუსტა მანამდე არსებული საკმაოდ მკაცრი ფედერალური სტანდარტები ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში, მომხმარებელთა უფლებებისა და გარემოს დაცვის პროგრამებზე. გაგრძელდა, ასევე, სოციალური პროგრამების შეკვეცის პოლიტიკაც.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ხარჯების მკვეთრი შემცირება სრულიად არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რათა მომხდარიყო ფედერალური ბიუჯეტის იმ დანაკარგების კომპენსირება, რაც გამოწვეული იყო გადასახადების მკვეთრი შემცირებით. ასეთი სიტუაცია აშკარად მიანიშნებდა, რომ ადრე თუ გვიან დადგებოდა ბიუჯეტის დეფიციტის საკითხი. ეს საფრთხე აშკარა გახდა, როდესაც რეიგანის ადმინისტრაციამ მკვეთრად გაზარდა ხარჯები შეიარაღებასა და თავდაცვაზე. 1981–1989 წლებში პენტაგონის ბიუჯეტი 158 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა 304 მილიარდ დოლარამდე. ამის უშუალო და გარდაუვალი შედეგი იყო ბიუჯეტის დეფიციტის წარმოუდგენელი ზრდა. კერძოდ, თუ ბიუჯეტის დეფიციტი 1981 წელს იყო 25 მილიარდი დოლარი, 1986 წლისათვის მან უკვე მიაღწია 225 მილიონიან ნიშნულს. ასევე, საოცარი სისწრაფით იზრდებოდა აშშ-ის ეროვნული ვალის ოდენობა. 1981–1989 წლებში ეროვნული ვალი 1,004 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა 2,008 მილიარდ დოლარამდე. (5)

ყველაზე კარგი შემფასებელი იმისა, თუ რა შედეგი მოუტანა „რეიგანომიკამ" ქვეყანას, არის შედარება და ციფრები. ქვემოთ მოყვანილი სქემიდან ჩანს, რომ საშუალო ოჯახის შემოსავლის ზრდასთან ერთად, რომელიც 37,868 დოლარიდან გაიზარდა 42,049 დოლარამდე (ანუ 4,000 დოლარით), ადგილი ჰქონდა, ასევე,

უმუშევრობის მკვეთრ ზრდასაც. თუ 1981 წელს უმუშევრობა იყო 7.6%, 1981–1982 წლებში – 9.7%; ხოლო 1989 წელს მოხდა უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირება 5.5%-მდე. (6)

| | რეიგანამდე 1974 – 1981 წწ. | რეიგანის დროს 1981 – 1989 წწ. | რეიგანის შემდეგ 1989 – 1995 წწ. |
|---|---|---|---|
| საშინაო პროდუქციის მოცულობა | 2.8% | 3.2% | 2.1% |
| საშუალო ოჯახის შემოსავალი | 0.0% | 1.4% | -0.6% |
| დასაქმებულობა | 0.2% | 0.7% | 0.1% |
| უმუშევრობა | 0.2% | -0.3% | 0.0% |

რეიგანის პრეზიდენტობის პირველი წლები აღინიშნა ეკონომიკის დაღმავლობითა და უმუშევართა რიცხვის ზრდით. 1983 წლიდან დაიწყო ეკონომიკის ზოგიერთი დარგის გამოცოცხლება, ხოლო 1984 წლიდან – აშშ-ის ეკონომიკის არნახული ზრდა. რეიგანის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რომლის ძირითადი მიმართულება სახელმწიფო რეგულირების შესუსტების პოლიტიკა იყო, წარმოადგენდა მკვეთრ შემობრუნებას მარჯვნივ, კონსერვატიული ტენდენციებისაკენ.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. Kenneth Janda, Jeffrey M. Berry, Jerry Goldman, The Challenge of Democracy, 5th edition, Boston, Toronto, Geneva, New Jersey: Houghton Mifflin Company, 1977, p. 24;

2. Pauline Maier, Merritt Roe Smith, Alexander Keyssar, Daniel J. Kelves, Inventing America. A History of the United States. Vol: II., N.Y., London: W.W. Noron & Company, p. 1014;

3. ამერიკის ეკონომიკა. ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა. აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო, გვ. 133;

4. The Economic Recovery and Tax Act of 1981 (the Kemp-Roth tax bill), p.5;

5. David Stockman, The Triumph of Politics: The Inside Story of the Reagan Revolution, New York: Avon Books, 1987, p. 39;

6. Bruce Bartlett, Trickle-Down Economics. National Review, September 2, 1996, p.63;

7. Lawrence Lindsey, The Growth Experiment: How the new Tax Policy Is Transforming the U.S. Economy, New York: Basic Books, 1991, p. 58

**ნანა ციხისთავი**

**ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის დოცენტი**

# რონალდ რეიგანი და ევანგელისტები

რონალდ რეიგანზე, როგორც XX ს-ის უდიდეს პოლიტიკოსზე, აშშ-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრეზიდენტზე და საზოგადო მოღვაწეზე, ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო მეტი დაიწერება მომავალში ისტორიკოსების, მწერლებისა და ჟურნალისტების მიერ. მან მართლაც, წარუშლელი კვალი დააჩნია XX ს-ის ბოლო ოცწლეულის მსოფლიო პოლიტიკას. მისი უშუალო მონაწილეობით, მეტად სარისკო და აქტიური პოლიტიკური საქმიანობით, შესაძლებელი გახდა, რბილად რომ ვთქვათ, კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის არსებული კონფრონტაციის დაძლევა და „ცივი ომის" დასრულება.

1980 წელს ამერიკამ სრულიად შეგნებულად აირჩია კაცი, რომელიც წარმოადგენდა რესპუბლიკელთა ლიდერს და ბევრი მისი მომხრის თვალში პიროვნებას, რომელსაც შეეძლო დაებრუნებინა ამერიკის რესპუბლიკური პარტიის არცთუ დიდი ხნის წინ შერყეული პრესტიჟი და დიდება. რონალდ რეიგანმა (დაიბადა 1911 წელს.), ყოფილმა კინომსახიობმა და კალიფორნიის გუბერნატორმა, ხმაურიანად მოუგო ჯ. კარტერს საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის პრესტიჟის, ძლიერებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების დაპირებებით. მისმა მოწოდებამ – „აღვადორძინოთ ტრადიციული მორალური ღირებულებები" – გამოხმაურება ჰპოვა ათეულ მილიონობით ამერიკელში. რეიგანის წინასაარჩევნო მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი – „ერთად ავაშენოთ ნათელი მომავალი" – უფრო მისაღები გახდა ამერიკელებისათვის, ვიდრე ჯიმი კარტერის პოლიტიკური მოწოდებები და დებულებები. (1)

1981 წლის იანვრიდან რონალდ რეიგანი შეუდგა აშშ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. კარიერის დასასრულს იგი ისტორიაში შევიდა როგორც პრეზიდენტი-რეფორმატორი. რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკა („რეიგანომიკა") მიმართული იყო გადასახადების და სახელმწიფო აპარატის ხარჯების შემცირებაზე, ბიუჯეტის დაბალანსებაზე, ფულადი ემისიის შეზღუდვაზე

ინფლაციის დონის დასაწევად. „რეიგანომიკა"-ს სათავე დაუდო მეცნიერ-ეკონომისტების – მ. ფრიდმანისა და ფ. ჰაიეკის ნაშრომებმა, რომელთა მთავარი არსი იყო, მარტივად რომ ვთქვათ, ბიზნესზე ფაქტობრივად ყველა შეზღუდვის მოხსნა და თავისუფალი საბაზრო კონკურენცია.

რეიგანის ადმინისტრაციამ ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ მიზნად მზარდი ინფლაციის დაძლევა დაისახა, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისისათვის ამერიკული ეკონომიკის ნამდვილ წინაღობად იყო ქცეული. აშშ-ის სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლება, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, აშშ-ში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და პოზიციების გამყარება მსოფლიო ბაზარზე, აი ძირითადი ჩამონათვალი იმ სტრატეგიული მიმართულებებისა, რომლის განხორციელებასაც ცდილობდა რეიგანის გარს შემოკრებილი პოლიტიკური და ეკონომიკური გუნდი ამ მიზნების რეალიზაციისათვის პრეზიდენტს სთავაზობდნენ შემდეგს: აუცილებელი იყო სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა ეკონომიკაში. ასევე აუცილებელი იყო საბაზრო საწყისების სტიმულირება მსოფლიოს მასშტაბით; ინფლაციის ტემპების შემცირება; ინვესტიციების სტიმულირება; მოსახლეობის დანაზოგების ზრდა და ეკონომიკაში მათი შემდგომი ინვესტირების სტიმულირება; ფედერალური მთავრობის ხარჯებისა და სოციალური სფეროს დაფინანსების შეზღუდვა. ყოველი მცდელობა ძირითადად მიმართული იყო ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისაკენ. (2)

რეიგანის ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში „რეიგანომიკამ" ვერ იმუშავა. 1981–1982 წლებში წარმოება კვლავ განიცდიდა დაცემას, იზრდებოდა ბიუჯეტის დეფიციტიც. მართალია, ინფლაცია აილაგმა, მაგრამ უმუშევრობა გაიზარდა 10%-ით და 11 მლნ. ამერიკელმა დაკარგა სამუშაო ადგილი. გაიზარდა სამხედრო დაფინანსება, რომელიც გათვლილი იყო სტრატეგიული პარიტეტის გარღვევაზე სსრკ-სთან სამხედრო უპირატესობის მოპოვების მიზნით, მაგრამ ქვეყანას ეს მეტად ძვირად დაუჯდა.

რეიგანისეულმა საგადასახადო რეფორმამ, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებამ (ძირითადად სოციალური სფეროს ხარჯზე) და სხვა რეფორმებმა, მოსახლეობის დიდი ნაწილი

სიღარიბის ოფიციალურ ზღვრამდე მიიყვანა. მოსახლეობის კეთილდღეობის დონე 20%-ით დაეცა. პრეზიდენტი რეიგანი მაინც ჯიუტად, შეუდრეკლად და მიზანმიმართულად ატარებდა ასეთ არაპოპულარულ ეკონომიკურ პოლიტიკას. 1983 წელს დაიწყო ეკონომიკური გარდატეხა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური გამოცოცხლების 6 წელი. ინფლაციის დონე თანდათანობით დაეცა (კრიზისული 1987წლის გარდა. ნ.ც.). ამ პერიოდში გაჩნდა 17 მლნ. სამუშაო ადგილი (ძირითადად მრეწველობის დაბალხელფასიან დარგებში.). ფედერალური ხარჯები გაიზარდა ყველა ძირითადი მიმართულებით, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სოციალური გადასახადების კუთხით. რეიგანის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, ფაქტობრივად გამოიწვია ეკონომიკური შოკი, რომელიც 1983 წელს ეკონომიკურმა აღმავლობამ შეცვალა.

1983 წელს დაიწყო ასევე მუშაობა აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნაზე კოსმოსური ბაზირების ელემენტებით. სამხედრო ძალების ზრდას თან ახლდა წინა საუკუნის 50-იანი წლების მსგავსი ანტიკომუნისტური რიტორიკა. სწორედ ანტიკომუნიზმი იქცა რეიგანის საგარეო პოლიტიკის საფუძველთა საფუძვლად. ამერიკელთა უმრავლესობისათვის, რომელთაც აშინებდათ მოსალოდნელი საბჭოური საფრთხე, განსაკუთრებით მიმზიდველი იყო რეიგანის ლოზუნგი — რადაც არ უნდა დასჯდომოდათ დაეხურათ ამერიკის ე.წ. „სუსტი დარაბა", რომელიც თითქოსდა გაჩნდა აშშ-ის სარაკეტო-ბირთვული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ჩამორჩენით საბჭოთა კავშირთან შედარებით. რეიგანმა საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიად" გამოაცხადა და მიზნად დაისახა დაეუძლურებინა იგი. უპირველეს ყოვლისა, დაესუსტებინა ეკონომიკურად და ამ მიზნის მისაღწევად, თავს მოეხვია მისთვის უწყვეტი გამალებული შეიარაღება. რეიგანის პრეზიდენტობის დროს გაიშალა მუშაობა ძვირადღირებულ სამეცნიერო პროგრამაზე, ე.წ. „სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივა"-ზე. ამ პროგრამას „ვარსკვლავური ომები" ეწოდა. იგი მიზნად ისახავდა შეექმნა უზარმაზარი მასშტაბების მქონე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა კოსმოსური ბაზირების ელემენტებით. მის განსახორციელებლად მილიარდობით დოლარი გამოიყო. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ პროგრამის ბევრი კომპონენტი არ იყო გათვლილი და შემუშა-

ვებული შესაფერისად და ამიტომაც, საბოლოო ჯამში, შეუსრულებადი აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ იგი უფრო სსრკ-ს გასაღიზიანებლად, გამალებული შეიარაღების პროცესში მისი ჩართვისთვის იყო გამიზნული. მიზანი, როგორც ჩანს, ამ დროისთვის მიღწეული იყო. სსრკ ჩათრეულ იქნა უზარმაზარი ფინანსური ხარჯების მორევში, რომელმაც მალე ძალზედ დააძაბუნა მისი ეკონომიკა და დააჩქარა სახელმწიფოს დაშლის პროცესი.

დაძაბულობამ ამერიკასა და სსრკ-ს შორის კულმინაციას სწორედ 1983 წელს მიაღწია. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა იმ გარემოებამ, რომ ამ დროს, საბჭოთა საჰაერო სივრცეში, ჩამოაგდეს სამხრეთკორეული სამოქალაქო-სამგზავრო ბოინგი. იმავე წლის მარტში აშშ-ის მთავრობა შეუდგა კოსმოსის მილიტარიზაციის პროგრამის განხორციელებას. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებს საბჭოური ეკონომიკა ვერ გაუძლებდა. (3)

ამავე პერიოდში რონალდ რეიგანი აქცენტს აკეთებს ამერიკული საზოგადოების მორალურ და სულიერ ასპექტებზე. იგი აცხადებს, რომ სრულიად ამერიკა არის მაგალითი მორალურობისა, რომელსაც იგი აკუთვნებს ტრადიციულ ფასეულობებს და რაც, ასევე, თანაბრად ასოცირდება ქრისტიანობასთანაც. რეიგანმა ეს განცხადება 1983 წელს გააკეთა ფლორიდაში, კონკრეტულად ქ. ორლანდოში, ამერიკელი ევანგელისტების ნაციონალური ასოციაციის ყოველწლიურ ყრილობაზე. ეს საყურადღებო მომენტია, რადგანაც სწორედ რონალდ რეიგანი იყო პირველი პრეზიდენტი და მანამდე რეპუტაციაშელახული რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, რომელმაც გადადგა ქმედითი პოლიტიკური ნაბიჯი და მიიმხრო სერიოზული ძალის მქონე რელიგიური სპექტრი, განსაკუთრებით კი – ევანგელისტები. ამ შემთხვევაში ყურადსაღები ისაა, რომ პრეზიდენტმა მოახერხა მიემხრო კონფესია, რომლის პოპულარობა და მიმდევართა ოდენობა დღითი დღე იზრდებოდა ჩრდ. და ცენტრალურ ამერიკაში. ასე რომ, წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი რესპუბლიკური პარტიის ძალიან სერიოზულ დასაყრდენად იქცა ისევე, როგორც მანამდე მეთოდისტთა, ლუთერანთა და მორმონთა კონფესიები.

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში უმცროსი ჯორჯ ბუშის გამარჯვება, გარკვეულწილად, სწორედ ევანგელისტების ძალიან მაღალი პოლიტიკური აქტივობის შედეგად მოხდა. აქედან გამომდინარე, ძალზედ საინტერესო და აქტუალური ხდება

შემდეგი პრობლემები: სახელმწიფო პოლიტიკა და რელიგიური სპექტრი აშშ-ში; პოლიტიკოსები და რელიგიური კონფესიები, მათი დაახლოების მიზეზები და მიზნები; რელიგიებისა და კონფესიების პოზიციები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ. ეს პრობლემები ქართულ ამერიკანისტიკაში შეუსწავლელია და სიახლეს წარმოადგენს. ასეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევა დაგვეხმარება, სრულიად ახალი რაკურსით დავინახოთ ჩვენთვის უცნობი საკვლევი პრობლემები და შევეცადოთ, უკეთ გავაანალიზოთ ისინი. მეტადრე, რომ რელიგიათა ადგილი და როლი თანამედროვე სამყაროში, რელიგიათა და საზოგადოების ურთიერთობა, რელიგიათა და სახელმწიფოს ურთიერთობა დღითი დღე იზრდება ამერიკისა და სხვა მრავალი სახელმწიფოს რეალობაში. (4)

იმავე 1983 წელს, როდესაც ძალიან რთული და დაძაბული იყო ურთიერთობები აშშ-სა და სსრკ-ს შორის, პრეზიდენტმა რეიგანმა თავის მიმართვაში ევანგელისტებისადმი, აქცენტი გააკეთა ამერიკელების სულიერ თვისებებზე და იმ ზოგადქრისტიანულ იდეალებზე (რა თქმა უნდა ევანგელისტების წინა პლანზე წამოწევით), რომელიც ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო ათეისტური საბჭოთა კავშირისაგან. ამ გამოსვლით დაიწყო იდეოლოგიური დაპირისპირება ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ბრძოლასთან ერთად. ამ იდეოლოგიას უნდა შეეკრა აშშ-ის საზოგადოება და მთელი პროგრესული კაცობრიობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აშშ-ის ერთ-ერთი რელიგიური კონფესია — ევანგელისტები, გამოვიდნენ რეიგანის გეგმის მხარდამჭერებად აქედან გამომდინარე, რელიგიები და კონფესიები აშშ-ში, შეიძლება ოფიციალურად არა, მაგრამ რეალურად, მართლაც, ერევიან პოლიტიკაში და ცდილობენ ამერიკის სახელმწიფო იდეოლოგიის ერთ-ერთ წამყვან ბერკეტებად იქცნენ. დღესდღეობით აშშ-ში მძაფრი კონკურენციაა გაჩაღებული იმის თაობაზე, თუ რომელი რელიგია ან კონფესია დაიმკვიდრებს უპირატეს ადგილს საზოგადოებაში. ევანგელისტები დღესაც ძალიან აქტიურობენ ამ კუთხით.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო პრეზიდენტის მოხსენებაზე. იმაზე, თუ რა თქვა რონალდ რეიგანმა ევანგელისტების წინაშე გამოსვლისას. პრეზიდენტი იწყებს იმით, რომ ევანგე-

ლისტების ნაციონალური ასოციაციის წევრები საზოგადოებაში, იმ პერიოდში, ცნობილნი იყვნენ სასულიერო და ჰუმანიტარული საქმიანობით. ამიტომ იგი მადლობას უხდიდა როგორც მათ, ასევე ევანგელისტთა მრევლს. „ევანგელისტურ მოძრაობაში – ამბობდა იგი – გაერთიანებულნი არიან ღვთისმოსავი და სახელოვანი ქალები და მამაკაცები, რომლებიც ასევე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. სახელმწიფო მოხელეებს ესაჭიროებათ თქვენი დახმარების ხელი, რათა პოლიტიკოსებმა დაიცვან სწორი იდეები და პრინციპები. ამ მხარდაჭერამ უნდა გაიყვანოს ისინი არჩევნების საშუალებით პირველ ადგილზე. ზოგადად ამ იდეალებისა და პრინციპების ბაზისი იყო თავისუფლებისკენ ლტოლვა და პიროვნული თავისუფლება, რაც ყველაზე მეტად და სიღრმისეულადაა ქვეყანაში რეალიზებული და თავისუფლებაც განიცდის შემდგომ აყვავებას იქ, სადაც ღვთის კურთხევა შეუზღუდველი და უკიდეგანოა.

რეიგანი მოიხსენიებს ევანგელისტებს, როგორც ამერიკის დიდების დამცველებს. მხოლოდ მათი (ევანგელისტების) მრევლის თავდაუზოგავი შრომითაა შესაძლებელი, მილიონობით სხვა ადამიანს შეუნარჩუნდეთ სიცოცხლის იმედი ამ საშინელ საუკუნეში. მათ ძალუძთ ცოცხლად შეინახონ თავისუფლების ის ექსპერიმენტი, რომელიც უკანასკნელი საუკეთესო იმედია ადამიანებისათვის. რეიგანი წინა პლანზე სწევს იმ აზრს, რომ მისი ადმინისტრაცია, მოტივირებული პოლიტიკური ფილოსოფიით, ამერიკის დიდებას ხედავს ხალხში, მათ ოჯახებში, ეკლესიებში, სამეზობლოებში, თემებში. ეს ის ინსტიტუტებია, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს. იგი იმავდროულად მოითხოვდა თანამოქალაქეებისგან ღვთისგან ხელდასმული და მართული ხელისუფლებისა და სამართლის პატივისცემას. ეს, რა თქმა უნდა, არ გვაყენებს ოპოზიციურ მდგომარეობაში მათთან, ვინც მიემხრო თანამედროვე პერიოდის სეკულარიზმს. ჩვენი განვითარებული ცივილიზაცია ხომ მის ფასეულობებზეა დაფუძნებული. არანაირი პრობლემა არ არის იმაში, რომ მათი ფასეულობათა სისტემა რადიკალურად განსხვავებულია ამერიკის უმეტესი მოქალაქის ფასეულობებისაგან. ხანდახან მათი ხმა უფრო ომახიანია, ვიდრე ჩვენი, მაგრამ ისინი არ არიან უმრავლესობა.

რონალდ რეიგანი ყურადღებას ამახვილებდა ამერიკის საზოგადოების ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორიცაა აბორ-

ტის პრობლემა. იგი იმთავითვე და დღესაც მნიშვნელოვანი იყო და არის ევანგელისტური და კათოლიკური ეკლესიებისათვის. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი ხომ დღესაც ერთიანი პროგრამით გამოდიან ამ პრობლემის მოსაგვარებლად, თუმცალა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მენტალიტეტით, საზოგადოებრივი მდგომარეობითა და პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებით. აბორტის პრობლემას პრეზიდენტი უკავშირებდა მორალის დეფიციტს, როგორც სამედიცინო კლინიკებში, ასევე მშობლებისა და არასრულწლოვანი გოგონების შეგნებაში. მან ასეთი რიტორიკული შეკითხვაც კი დასვა აუდიტორიის წინაშე: ნუთუ იუდეურ-ქრისტიანული ტრადიცია მთლიანად არასწორია? დემოკრატია და თავისუფლება ყვავის იქ, სადაც რელიგია ზეობს და კანონის უზენაესობა ღმერთთან არის გაიგივებული. როდესაც ჩვენმა მამებმა პირველი ზიარება მიიღეს, ცდილობდნენ, დაეცვათ ეკლესია სახელმწიფოს ჩარევისაგან. ისინი არასოდეს ააშენებდნენ მტრობის კედელს მთავრობასა და რელიგიურ რწმენასა თუ კონცეფციებს შორის. ამის მაგალითია ქვეყნის ისტორია და ჩვენი ახლანდელი მთავრობა. დამოუკიდებლობის დეკლარაცია მოიხსენიებს უმაღლეს არსს არაუმცირეს 4-ჯერ. „ჩვენ ღმერთის გვწამს“ – ეს წარწერაა ამოტვიფრული ჩვენს ფულზეც. ისიც ნიშანდობლივია, რომ ყოველი უმაღლესი თავყრილობა ყოველთვის იხსნება რელიგიური ცერემონიით. კონგრესის წევრებიც ყველა სესიას ლოცვით ხსნიან. მე მინდა მჯეროდეს, რომ აშშ-ში სკოლის მოსწავლეებიც კი ისარგებლებენ იმავე პრივილეგიებით, რითაც სარგებლობენ უზენაესი მოსამართლეები და კონგრესმენები. შარშან მე კონგრესს გავუგზავნე კონსტიტუციური შესწორება, რათა აღედგინათ ლოცვა სახელმწიფო სკოლებში. მე დაბეჯითებით ვთხოვ კონგრესს, რათა დართონ ჩვენს ბავშვებს ნება, ილოცონ. მე მჯერა, რომ ამ ეტაპზე ამერიკაში დიდი სულიერი გამოღვიძებაა. დაიწყო აღორძინება ტრადიციული ფასეულობებისა. ვფიქრობ, სწორედ იგი უნდა გახდეს ამერიკის სიკეთისა და სიდიადის საფუძველი.

უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ 50 შტატში გარკვეულწილად იცავენ ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვთა უფლებებს, აბორტების წელიწადში მაინც ეწირება დაახლ. 1,5 მლნ ბავშვის სიცოცხლე. ადამიანის სიცოცხლის შესახებ კანონი ბოლოს მოუღებს ამ ტრაგედიას. –

განაგრძობს პრეზიდენტი — კონგრესი უკვე იხილავს ამ საკითხს და ჩვენ ვერ მოვისვენებთ, ვიდრე დაუბადებელ ბავშვს არ ექნება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების უფლება.

ვაშინგტონში მოქმედი სამეცნიერო საბჭოს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამერიკელები უფრო რელიგიური ხალხია, ვიდრე სხვა ერები. ამერიკელთა 95%-ს სწამს ღმერთის და მიაჩნია, რომ ათი მცნების შეგონებათა დაცვას, მათ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, მათთვის სრულიად მისაღებია თინეიჯერთა ქორწინებამდელი სექსუალური კავშირები, პორნოგრაფია, აბორტები და ტოქსიკომანიაც კი. ყოველივე ამის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა დიდი უფსკრული ამ ტენდენციებს, ოჯახურ ვალდებულებებსა და რელიგიურ რწმენას შორის. მე ვფიქრობ, რომ ეს თემები სადისკუსიოა და ის უმთავრესი მწვავე პრობლემაა, რომელიც ამ კონგრესმა უნდა განიხილოს.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ერთი სამთავრობო სქემა არ აკეთილშობილებს ადამიანს. ვიცით, რომ ამ სამყაროში ცხოვრება, ფილოსოფოსთა ღრმა რწმენით, ნიშნავს ბოროტებასა და სიკეთეს შორის არჩევანის გაკეთებას და ჩვენ ვიშველიებთ იესოს შეგონებას, რომ გავერკვეთ მასში. ამერიკის მიწის გაბრწყინება შედეგად მოჰყვა წარსულის მორალური ფასეულობების ტრანსფორმაციას. მაგალითად: მოქალაქეთა უმცირესობის ხანგრძლივი ბრძოლა უფლებებისთვის, სამოქალაქო ომი და მისი შედეგები. ეს ყველა ამერიკელისათვის დღეს საამაყოა. გჯეროდეთ, რომ ჩვენ აღარასოდეს დავბრუნდებით უკან. ჩვენთან აღარ არის ადგილი რასიზმის, ანტისემიტიზმისა და ეთნიკური თუ რასობრივი ჩაგვრის სხვა რამ ფორმებისათვის. გამოიყენეთ ძლიერი ხმა თქვენი მრევლისა, თქვენი ეკლესიების გავლენა, რომ იზოლაციაში მოვაქციოთ ის მცირე ჯგუფები, რომლებიც არ ცნობენ ამ ჭეშმარიტებას.

პრეზიდენტის რანგში ჩემი პირველი პრესკონფერენციის დროს, დასმულ კითხვაზე პასუხში აღვნიშნე: როგორც კარგი მარქსისტ-ლენინისტები, საბჭოთა ლიდერები, ღიად და საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ერთადერთი მორალი, რომელსაც ისინი ცნობენ, არის ის, რაც მსოფლიო რევოლუციის განხორციელების მიზანს მოემსახურება. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ჩვენ არასდროს არ წავალთ კომპრომისზე და არ შევცვლით ჩვენს პრინციპებსა

და სტანდარტებს. ჩვენ არ დავკარგავთ თავისუფლებას, ჩვენ არ დავმალავთ ჩვენს რწმენას ღმერთისადმი და ჩვენ არ შევწყვეტთ მშვიდობის გზების ძიებას. რამდენიმე წლის წინ, გახურებული ცივი ომის პერიოდში, კალიფორნიაში მოვისმინე ახალგაზრდა მამის სიტყვები: „მე ყველაზე მეტად ჩემი პატარა გოგონები მიყვარს, მაგრამ მე მირჩევნია ისინი ვიხილო გარდაცვლილები, მაგრამ ღმერთისადმი რწმენით, ვიდრე დავრთო მათ ნება, გაიზარდონ კომუნიზმის პირობებში და არ სწამდეთ ღმერთის." მართლაც, ამერიკის ძლიერება და თავისუფლება დამოკიდებულია ღმერთისადმი რწმენაზე. რეალურად, დღევანდელი ჩვენი კრიზისი, სულიერი კრიზისია. ამიტომ საჭიროა წინა პლანზე წამოვწიოთ მორალური ვალდებულებები და რწმენა.

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ავმაღლდებით და შევიცვლებით, ხოლო კომუნიზმი იქნება კაცობრიობის ისტორიაში ჩაწერილი უკანასკნელი შავი ფურცელი. მე მჯერა, რომ ჩვენი გაჯანსაღების წყარო, რეალური თავისუფლების მიღწევის გზაზე, არის არა მატერიალური, არამედ — სულიერი."

ამგვარად, ამ გამოსვლაში თავმოყრილია მთელი ის პოლიტიკური შეხედულებები თუ მსოფლმხედველობათა სისტემა, რომელიც არა მარტო რონალდ რეიგანის პირადი მენტალიტეტიდან, არამედ რესპუბლიკელთა და მთლიანობაში, იმჟამინდელი ამერიკის მთელი ადმინისტრაციის სამოქმედო მიზნებიდან გამომდინარეობდა. მთავარი კი, რაც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, არის ის, რომ რეიგანის პრეზიდენტობის დროს შესამჩნევად გაიზარდა რელიგიათა და კონფესიათა ადგილი და როლი როგორც საზოგადოებაში, ასევე ამერიკის სახელისუფლებო წრეებსა და ზოგადად — მის პოლიტიკაში.

# ინფორმაცია ევანგელისტებზე [6]

ევანგელისტური ქრისტიანობა ბაპტიზმის უფრო დემოკრატიული და ლიბერალური სახესხვაობაა. ალბათ იგი ედო საფუძვლად XXს-ის 20-იან წლებში ამ ორი კონფესიის გაერთიანების მცდელობას. ორივე მხარე მუშაობდა იმაზე, რათა შეექმნათ ერთიანი კომიტეტები. 1906წელს ნაშრომიც კი გამოიცა სათაურით „ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა სწავლება“, მაგრამ მათი გაერთიანება მაინც არ შედგა. 1913წელს გამოიცა „მოკლე ცნობარი ევანგელისტური ქრისტიანული რწმენისა“. ევანგელისტურ ეკლესიებს სხვანაირად ლუთერანულსაც უწოდებენ. ასევე იწოდება სხვადასხვა პროტესტანტულ ეკლესიათა გაერთიანებები, რომლებშიც მისიონერობა და ევანგელიზაცია გამოცხადებულია ძირითად მიზნად. ევანგელე,– ქართულად სახარება, არის უპირველესი და უძველესი წერილობითი ძეგლი ქრისტეს ცხოვრებაზე, მის ქადაგებებსა და სწავლებაზე. რამდენიმე ათეული ვერსიიდან, რომლებიც ქრისტიანობის ჩამოყალიბება-დამკვიდრების ადრეულ ეტაპზე იყო ცნობილი, ა.წ.-ის პირველ საუკუნეებში, ახალ აღთქმაში ევანგელეებიდან შევიდა 4 – მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანესი. დანარჩენები წმინდა მამებმა უბრალოდ უარყვეს და აპოკრიფულად გამოაცხადეს. პროტესტანტიზმში ევანგელე ითვლება ფუძედ მთელი წმინდა წერილისა, რომელიც შეიცავს ქრისტიანულ სწავლებას მისი მთლიანი და „ნამდვილი“ სახით. ორთოდოქსული პროტესტანტული ღვთისმსახურება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იღებს ზემოთ ხსენებულ ევანგელეს ადგილს ბიბლიაში, ლიბერალური ღვთისმსახურების ფუძეში კი გამოთქვამს შეხედულებას, რომ გარკვეულწილად უფრო ადრეული ევანგელე უნდა იყოს ის, რომელიც მარკოზისგანაა, სადაც არ არის მოთხრობები იესო ქრისტეს წმინდა ჩასახვასა და მის სასწაულებით აღსავსე დაბადებაზე. ლიბერალურ თეოლოგიას, ორთოდოქსულისაგან განსხვავებით, დასაშვებად მიაჩნია ევანგელეს ისტორიული შინაარსის კრიტიკული კვლევა, მათში მსგავსებისა და განსხვავებების აღმოჩენა, რეალურისა და ირეალურის დანახვა-წარმოჩენა ევანგელეს თხრობასა და სწავლებაში, რელიგიური კეთილმოსურნეობის გამოჩენა ევან-

გელეს ტექსტთან მიმართებაში. ზოგიერთ პროტესტანტულ მიმდინარეობაში ევანგელისტ ქრისტიანებში, ევანგელე ერთადერთი წყაროა წმინდა წერილის ყველა წიგნის უარყოფის, ანდა მათი შეფასებისა, როგორც მეორეხარისხოვანი და დამხმარე ევანგელესთან შეხებაში. მისი შესწავლა და პროპაგანდა, ევანგელიზმის სულისკვეთებით ახალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბება და ცხოვრების მანძილზე ამ სულიერი საზრდოთი მათი მუდმივი კვება, პროტესტანტიზმის მთავარი ამოცანაა (ასე მიაჩნიათ მათ.). ევანგელიზმი პროტესტანტიზმის სხვა მრავალრიცხოვან კონფესიებში მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს მიმდინარეობა უფრო ფართო თავისუფლებას ანიჭებს მოქმედებაში მის მიმდევრებს, ვიდრე სხვა პროტესტანტული განხრები.

ტერმინი – „ევანგელისტი" – სხვადასხვა ოფიციალური მნიშვნელობით გამოიყენება. ისინი ეტიმოლოგიურად ენათესავებიან ერთმანეთს და ძირში „კეთილ ამბებს", მის თხრობას ნიშნავს. ქართულად ამ ტერმინს, ყველაზე საუკეთესოდ მაინც ჩვენი წინაპრების მიერ სახარების თარგმნისას შერჩეული სიტყვა – ხარება – გამოხატავს. საუკუნეებია, ქართულ რეალობაში, ამ ტერმინს მისიონერული დატვირთვა აკისრია. მრავალი ქრისტიანისთვის, ისტორიის მსვლელობის ჟამს, ეს ტერმინი გამოიყენებოდა, რათა აღეწერათ ღმერთის დამოკიდებულება ჩვეულებრივი მოკვდავების მიმართ, იესო ქრისტეს ქმედებებიდან გამომდინარე. რეფორმაციის დროს, XVIს-ში, ეს ტერმინი პროტესტანტობის სინონიმად იქცა. აქედან გამომდინარე, უკვე ადვილად აიხსნება, თუ რატომ იყენებენ ლუთერანები ესოდენ დიდი პატივით და საკმაოდ ხშირად მას (მაგ: ამერიკის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია.). ყველაზე ხშირად ეს ტერმინი გამოიყენებოდა ინგლისური და შემდგომ უკვე ამერიკული პროტესტანტიზმის განვითარების ხანაში XVIII ს-ში. ხშირად იყენებდნენ მას აგრეთვე ე.წ. „დიდი გამოღვიძების" პერიოდში. აშშ-ში კი –XIX და XX სს-შიც. ამ ტერმინის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო დეფინიცია ეკუთვნის ბრიტანელ ისტორიკოსს – დევიდ ბებინგტონს. მან ევანგელიზმის იდენტიფიცირება მოახდინა კონვერსიონიზმის (ეს არის ფაზები ე.წ. „ახალი დაბადებისა". იგი ცხოვრებაშეცვლილი ღმერთის გარკვეული გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს, რომლითაც იხსნა მან კაცობრიობა და თითოეულ მორწმუნეს დაანახა, თუ რისთვის და როგორ უნდა იცხოვროს

ამ ქვეყანაზე მან.), ბიბლიციზმის (ბიბლიაზე აქცენტირება ხდება, როგორც რელიგიურ ავტორიტეტზე.), აქტივიზმის (რწმენის მონაწილეობა ყოველდღიურობაში.) და სხვა მიმდინარეობებისა თუ სწავლებების უმთავრეს თეზებთან. ძირეული აქცენტი, რასაც ევანგელისტები ეყრდნობიან არის „ხელახლა დაბადება", როგორც ახალი ქრისტიანებისა. ბიბლიაზე დაყრდნობა და ფოკუსირება ქრისტეზე, როგორც კაცობრიობის მხსნელზე, არის ევანგელისტური ტრადიციის ძირითადი ხაზი, რომელიც ახლოს დგას ადრეულ პროტესტანტულ მოძრაობასთან – ინგლისურ და ამერიკულ პურიტანიზმთან. აქვე უნდა ითქვას, რომ თუკი პურიტანები ცდილობდნენ განწმენდილი სახელმწიფო ეკლესიის ჩამოყალიბებას, ბევრი ახალი ევანგელისტი იყო აბსოლუტურად დამოუკიდებელი აზროვნებისა და მომხრე სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფისა. და კიდევ, თუ პურიტანიზმი მხარს უჭერდა ეკლესიის მსახურთა ეგზალტირებას და ასევე დიდ პატივს მიაგებდა ფორმალურ სწავლებას, ახალი ევანგელისტები, რომლებიც ფართოდ ამკვიდრებდნენ ინიციატივას სწავლებაში, ძალიან წუხდნენ ფორმალურ აკადემიურობაზე.

დღესდღეობით, ევანგელისტების 3/4 ამბობს, რომ ისინი არიან ამერიკის საზოგადოების ძირეული ნაწილი, დანარჩენს კი მიაჩნია, რომ ისინი უმცირესობაა რელიგიურ კონფესიათა შორის და უნდა იბრძოლონ თავიანთი ხმების დასაცავად. ამერიკელი ევანგელისტები კომფორტულად გრძნობენ თავს თავიანთ საზოგადოებაში, მაგრამ არა სრულყოფილად. მათი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებები გამოკვეთილად სხვადასხვაგვარია. თუ თეთრი ევანგელისტების ძლიერი უმრავლესობა (84%) ეწინააღმდეგება ჰომოსექსუალისტების ქორწინებას და მათ სამოქალაქო კავშირებს (73%), უმრავლესობა ევანგელისტებისა (52%) ამბობს, რომ ისინი ამჯობინებენ სახელმწიფო კანონმდებლობით აიკრძალოს ჰომოსექსუალისტთა ქორწინება, ვიდრე შეიტანონ ამის თაობაზე რაიმე სახის შესწორება აშშ-ის კონსტიტუციაში. თეთრი ევანგელისტების ნახევარზე ნაკლები (48%) ამბობს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერა ჰომოსექსუალისტთა ქორწინებაზე დააკარგვინებს მას არჩევნებში გამარჯვების შანსს. ევანგელისტებს შორის არის არსებითი განსხვავება: შავი, თეთრი და ესპანური წარმომავლობისა, რომლებიც განირჩევიან ერთიმეორისაგან პოლიტიკური შეხედულებებით და მო-

რალური კრიტერიუმებით. დაახლოებით თეთრი ევანგელისტების 69% ამბობს, რომ ისინი არიან რესპუბლიკელები, როდესაც აფრო-ამერიკელი ევანგელისტების 84% საკუთარ თავს აიგივებს დემოკრატებთან. 5-დან ერთი თეთრი ევანგელისტი ამომრჩეველი (23%) ამბობს, რომ არის დემოკრატების მომხრე. საყურადღებო ფაქტორია, რომ სადღეისოდ ე.წ. „მეგა ეკლესიების" დამფუძნებელთა შორის ყველაზე მეტი ევანგელისტია. უნდა ითქვას, რომ ევანგელისტთა მხოლოდ 14% ეკუთვნის კონგრეგაციებს, რომლებიც ითვლიან არაუმეტეს 1000 წევრისა. იგივე შეიძლება ითქვას არაევანგელისტ პროტესტანტებზე. და ასევე 5-დან ერთ ევანგელისტზე (19%). რომლებიც ეკუთვნიან ეკლესიას არაუმცირეს 100 წევრისა. აქ უნდა აღინიშნოს ძალიან დიდი განსხვავება აზრებისა, თუ როგორ წარმოუდგენიათ ევანგლისტებს ფართო საზოგადოების აზრი მათზე, როგორ ხედავენ ისინი ფართო საზოგადოებას, როგორ ხედავს საზოგადოება ევანგელისტებს. ევანგელისტების დიდი უმრავლესობა (72%) გრძნობს, რომ მასმედია მტრულად არის განწყობილი მისი მორალური და სულიერი ფასეულობების მიმართ. მათი ნახევარი(48%) ფიქრობს, რომ ამერიკელები უყურებენ როგორც დაღმავალ პოზიციაზე მდგომ კონფესიას. ევანგელისტთა 75%-ს მიაჩნია, რომ მათ უნდა იბრძოლონ, რათა მათი ხმა გაიგოს საზოგადოებამ. არაევანგელისტთა 46% ფიქრობს, რომ ევანგელისტებმა უნდა იბრძოლონ, რათა მათ უსმინოს ხალხმა, ხოლო არაევანგელისტთა 35% მიაჩნია, რომ ამერიკელებმა არ უნდა გაუშვან წინ ევანგელისტები.

ადამიანის უფლებებსა და რელიგიათა თავისუფლების პრობლემებს ევანგელისტები ამჯობინებენ მხარი დაუჭირონ შეიარაღების ზრდას (40%), ბირთვულ იარაღზე კონტროლის დაწესებას (34%), ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას (30%), რაც მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დახმარების გაწევა ცხოვრების გარკვეული სტანდარტების შენარჩუნების თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (9%). თეთრი ევანგელისტები იყოფიან გარკვეულ ჯგუფებად, როდესაც ისინი მსჯელობენ ზოგადად ქვეყნის მდგომარეობაზე. ერთნი (44%) ამბობენ, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის, მეორენი — პირიქით (45%) — არასწორი გზით სვლის გამო აკრიტიკებენ მთავრობას; აფრო-ამერიკელი ევანგელისტები ამბობენ, რომ ქვეყანა მოექცა არასწორ გეზზე (81%). რაც შეეხება მორალურ ღირებულებებს,

აქ მდგომარეობა უკეთესადაა – თეთრი ევანგელისტების 94%, ყველა აფრო-ამერიკელის 87%, ესპანელი ევანგელისტების 74% და ყველა ამერიკელის 71% ფიქრობს, რომ მორალური ფასეულობები სერიოზულად მცდარ გზაზეა.

ევანგელისტთა უმრავლესობას (84%) სწამს რომ იესო ქრისტეს პერსონალური რწმენა არის ერთადერთი გზა ხსნისა. თუ შევადარებთ მას სხვა მიმდინარეობებს, დავინახავთ, რომ მხოლოდ არაევანგელისტური პროტესტანტული კონფესიების 56%-ს, თეთრი ევანგელისტების ნახევარს სწამს, რომ მხოლოდ ახლა განსხვავება საკმაოდ გაიზარდა. კათოლიკეების 38%-ს მიაჩნია, რომ დაბადებული ქრისტიანად, ადამიანი მოხვდება სამოთხეში. იმავე მოსაზრებას იზიარებს შავი ევანგელისტების 42%. თეთრი ევანგელისტებისათვის მორალი ყველაზე მაღლა დგას, ხოლო შავი და ესპანელი ევანგელისტები წინა პლანზე აყენებენ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას, უმუშევრობას, სამედიცინო დაზღვევას და სოციალურ დახმარებებს.

კათოლიკეები, მართლმადიდებლები და მორმონები სხვადასხვანაირად, სხვადასხვა სახელდებით მოიხსენიებენ ევანგელისტებს: ფუნდამენტალისტებად, ევანგელისტებად, ქარიზმატებად ან პენტეკოსტალ პროტესტანტებად. ისინი არ აკუთვნებენ ევანგელისტებს ლიბერალურ ან მთავარ მიმართულებებს. მათ ხელახლა დაბადებულ ქრისტიანებსაც უწოდებენ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. R. Hofstander, B.K. Hofstander – Great Issues in American History (From Reconstruction to the Present Day, 1964 - 1981); New-York, 1982, p526-27

1. F. Freidel – The Presidents of the United States of America, Ronald Reagan – Fourteenth President 1981-89, Washington, D.C, p84

2. Howard Zinn – A People's History of the United States, Carter – Reagan – Bush: The Bipartisan consensus, New-York, 2003, p 563-600

3. ნ. ნანიტაშვილი – ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე, რ. რეიგანის მთავრობის საშინაო პოლიტიკა - „რეიგანომიკა" (გვ.121-143), რ. რეიგანის საგარეო პოლიტიკა (გვ 451-458)

4. Religion in the United States: pluralism and Public Presence - Institute reader, Fulbright UCSB – 2004, Evangelical Christianity (p 147 – 150), Evil, Moral Evil, Megacherch (p 150-152).

5. M.P. Johnson – Reading the American Past, selected historical documents, vol II: from 1865, president Ronald Reagan Defends American Morality: Address to the National Association of American Evangelicals, 1983, p 259-163

6. M.A. Noll, N.O. Hatch, G.M. Marsden – The Search for Christian America, USA, ILLINOIS, 1984, p 100-102.

N. Smart – Dimensions of the Sacred – An Anatomy of the World's beliefs, the political effects of Religion, Los Angeles, 1996, p 289-290

**თენგიზ ცხვიტავა**

**საქართველოს შინაგანი ჯარების
საავიაციო ნაწილის მეთაურის მოადგილე,
ვიცე პოლკოვნიკი**

# ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტი

ნაშრომში ასახულია ოთხმოციანი წლების ყველაზე ღირსეული ადამიანის, ამერიკის შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები უსაფრთხოების სფეროში. განხილულია ზოგიერთი ფარული და ღია ოპერაციები, რომელთა წარმოებამ შეერთებულ შტატებს მშვიდობა მოუტანა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, მისი დამოკიდებულებაა არმიისადმი. სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივით გამოსვლამ ხელი შეუწყო შეერთებული შტატების კოსმოსურ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. თავის დროზე თავად ჯარიდან დათხოვნილმა რეიგანმა საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცები დაუმარცხებელ მეომრებად აქცია. ამერიკის შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტის ხედვა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში შესაძლოა რამდენიმე ნაწილად ჩამოვაყალიბოთ, პირველი - მარქსისტული დოქტრინის გაქარწყლება. სწორედ აქ ჩამოყალიბდა რეიგანის დოქტრინა, რაც კომუნიზმის დამხობასა და გაძევებას გულისხმობს, პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპიდან. სწორედ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში იწყება ამ დოქტრინის განხორციელება, რადგან საფრთხე საკმაოდ მაღალ დონეს მიეკუთვნება და რისკებიცა და მუქარებიც მაღალხარისხიანია, იწყება თავდაცვის რეინვესტიცია. თავდაცვის ბიუჯეტი აღწევს 2,4 ტრილიონ დოლარს, რაც კარტერის ბიუჯეტს 600 მილიარდით აღემატება. ამ გარემოების გათვალისწინებით, 1980-1985 წლები ფასდება როგორც უხანგრძლივესი მშვიდობიანი პერიოდი. რა თქმა უნდა მშვიდობას ზურგს უმაგრებდა რეიგანის თავდაცვის პროგრამა, ძირითადი დანიშნულების ძალებით — არმიით, აგრეთვე სამხედრო საზღვაო ფლოტით, საზღვაო სტრატეგიით მის 600 გემთან ერთად, აგრეთვე ახალი, მაღალი ტექნოლოგიებით და ბრედლის საბრძოლო საფრენოსნო გადამზიდი საშუალებები. რეიგანის ძირითადი ძალა სწორედ არმია იყო. მისი პრეზიდენტობის პერიოდში, ღია და საქვეყნოდ ცნო-

ბილი მოქმედებების გარდა, ფარული - საიდუმლო ოპერაციები ჩატარდა.

**ფარული/საიდუმლო ოპერაციები**

ნიკარაგუა - 1981-1990 წლებში შეერთებული შტატები გეგმავს/აწარმოებს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას,

ავღანეთი - 1980-1990 წლებში ეხმარება მუჯაჰადინებს საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად

80-იანი წლების პირველი ნახევრიდან საბჭოეთი საგრძნობლად გააქტიურდა, მისთვის დაუშვებელი იყო შტატების ღია თუ ფარული მოქმედება იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის ძირითად სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენდა. ამიტომ, ამ პერიოდში საბჭოეთმა მინიმუმ 123 სარაკეტო სისტემის დამუშავება დაიწყო, რომლის გააქტიურების წელი 1990 იქნებოდა. ეს მონაცემები, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 2001 წლის 9-10 მარტს გამოაქვეყნა პრისტონის უნივერსიტეტში, სადაც საბჭოეთთან დაკავშირებით კონფერენცია ტარდებოდა.

**სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა,** აშშ-ს პრეზიდენტმა, რომელიც რეიგანმა 1983 წლის 23 მარტს გამოაცხადა, გრძელვადიანი პროგრამა იყო. მისი ძირითადი ამოცანა, კოსმოსში ბაზირების ელემენტებით, ფართომასშტაბიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური ორგანოს შექმნა იყო, რომელიც გამორიცხავდა ან შეზღუდავდა კოსმოსიდან შესაძლო დარტყმას სახღვაო და სახმელეთო მიზნებზე. მისი მიზანი კოსმოსში გამეფება, რაკეტსაწინააღმდეგო ფარის შექმნა და რამდენიმე ეშელონად შემტევი კოსმოსური შეიარაღების გაშლა იყო, რომელთაც შეეძლებოდათ ბალისტიკური რაკეტების განადგურება, მათი ფრენის ტრაექტორიის ნებისმიერ წერტილში.

ამ სისტემის ძირითადი ელემენტი ბაზირებული უნდა ყოფილიყო კოსმოსში, რათა ადვილად მომხდარიყო რამდენიმე წუთში რამდენიმე ათასი რაკეტის განადგურება. მასში იყო ჩართული პროგრამა – „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა", რომელიც მიზნის განადგურებას ახალი ფიზიკური პრინციპების გამოყენებით ითვალისწინებდა – მათ შორის: სხივური, ელექტრომაგ-

ნიტურით, კინეტიკურით და ახალი თაობის სარაკეტო იარაღით მიწა-კოსმოსი და ჰაერი-კოსმოსი.

**რეიგანი**

თეთრ სახლში რეიგანმა თითქმის მთელი 80-იანი წლები გაატარა. ეს იყო წლები აღსავსე, მეტად დაძაბული და მნიშვნელოვანი მოვლენებით: ცივი ომი, კომუნიზმის და საბჭოური ბლოკის კრახი, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მემარცხენე ძალთა გაძლიერება, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, ეს უკანასკნელი, ახალი პრეზიდენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად იქცა. ქვეყანაში ეკონომიკური დაღმავლობა გრძელდებოდა, უმუშევრობამ თითქმის 11 პროცენტს მიაღწია, პოსტვიეტნამური მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდებოდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში რეალურად გამოიკვეთა ახალი – რეიგანისეული ეკონომიკური რეალიები, ე.წ. რეიგანომიკა. მან დაარწმუნა კონგრესი გადასახადების შემცირების აუცილებლობაში, მიაღწია დანახარჯის მნიშვნელოვან შემცირებას სოციალურ სფეროში, მეორე მხრივ გაიზარდა დაფინანსება სამხედრო აღჭურვილობებზე, განსაკუთრებით—მაღალი ტექნოლოგიის შეიარაღების სისტემებზე. საგადასახადო ნიშნულის შემცირებამ ქვეყანას ეკონომიკური აღმავლობა მოუტანა. 1980წელი აღორძინების ხანად იქცა ამერიკის საშუალო და შეძლებული ფენებისთვის.

რეიგანმა ამერიკის შიდაპოლიტიკური ტონი შეცვალა. თუკი ნიქსონის, კარტერის და ფორდის დროს საბჭოთა კავშირთან არსებული დაძაბული და მტრული ურთიერთობა იყო აქცენტირებული, რეიგანთან ამ ყველაფერმა უფრო პრინციპული სახე მიიღო. 1983 წელს ამერიკის პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირს **„ბოროტების იმპერია“** უწოდა. დაიწყო ფარული თუ აშკარა ბრძოლის გამძაფრება ორ სრულიად განსხვავებულ იდეოლოგიათა შორის, რომელიც საბოლოოდ ერთ-ერთის მარცხით დასრულდა.

მთავარ და ძირითად ადგილს შიდა პოლიტიკაში რეიგანი ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის აუზში არსებულ მემარცხენე მოძრაობას უთმობდა. მის ინტერესს ამ მოძრაობის კონტროლი და შემოტრიალება წარმოადგენდა. მისმა ადმინისტრაციამ დიდი ენერგია დახარჯა ნიკარაგუაში არსებული რეჟიმის

დასამარცხებლად. კონტრას ეძლეოდა იარაღი, ფული და ინსტრუქტაჟი. ასევე იარაღი, ფული და მრჩევლები იქნა წარგზავნილი სალვადორში პარტიზანთა წინააღმდეგ. 1983წელს აშშ-ის ჯარებმა დაამხეს არსებული რეჟიმი გრენადაში. რეიგანის მთავრობამ კიდევ ორ დიდ გამოსვლას დაუჭირა მხარი. მან დიდი რაოდენობით იარაღი გაუგზავნა ამბოხებულთ ავღანეთში, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. აგრთვე იარაღით ამარაგებდა ანგოლის პარტიზანებს.

ღია ოპერაციები

1983 წელს იყო სერიოზული გაფრთხილება. **გრენადა** - გაფრთხილება საბჭოეთსა და კუბელებს.

ქვს-დღიანი საბრძოლო ოპერაცია, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომპონენტების შერწყმით გრენადას ათავისუფლებს. ამერიკული ექვს-ათასიანი კონტინგენტიდან დანაკარგია 19, კუბელების ჯარიდან 100.

1982 წელს ლიბანში, რეიგანმა მემარჯვენე რეჟიმის მხარდასაჭერად, ჯარი გაგზავნა კერძოდ კი, საზღვაო ფეხოსნები. 1983 წელს თავიანთ შტაბბინაში, ბეირუთში, ბომბის აფეთქების შედეგად 250 ჯარისკაცი დაიღუპა. ცოცხლად დარჩენილნი პრეზიდენტმა უკან გაიხმო. ამ ფაქტს დიდი რეზონანსი მოჰყვა თეთრ სახლში. აშკარა იყო ტერორისტული კვალი. რეიგანმა ტერორიზმთან მკაცრი და უკომპრომისო ბრძოლა წამოიწყო. მისი აზრით, ლიბანი იყო პასუხისმგებელი მსოფლიო ტერორიზმზე, ამის გამო 1987 წლის 15 აპრილს მან სანქცია გასცა ლიბანის რამდენიმე ქალაქის დაბომბვაზე. ამ ფაქტს სხვადასხვანაირი შეფასება მოჰყვა, დაიწყეს ლაპარაკი რეიგანის ადმინისტრაციის უნიათობასა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკული პოლიტიკის კრახზე. იყო უფრო ოპტიმისტური შეფასებებიც, მაგრამ რეიგანის რეპუტაცია უკვე საკმაოდ შერყეული იყო ირანკონტრასის სახელით ცნობილი სკანდალის გამო. მიუხედავად ამისა, 1988 წლის არჩევნებში მან შეძლო ამერიკის მოსახლეობის ნდობის კიდევ ერთხელ მოპოვება და იგი მეორე ვადით აირჩიეს. მისი დაუზოგავი და უსაზღვრო ენთუზიაზმი და სურვილი, ყოფილიყო საჭირო და სასარგებლო საკუთარი ხალხისთვის და ქვეყნი-

სთვის თავის შედეგს იძლეოდა.

საერთო აღიარება მოიპოვა რეიგანის „ვარსკვლავური ომების" პროგრამამ. იგი ამტკიცებდა, რომ ეს პროგრამა არ არღვევდა 1972 წელს მიღებულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვას. ყველაფერმა ამან სიტუაცია იქამდე მიიყვანა, რომ საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის შესახებ წარმოებული მოლაპარაკებები შეწყდა, რამაც თავის მხრივ 1985, 86, 87 წლების შეხვედრებზე გორბაჩოვის მწვავე პროტესტი გამოიწვია. 1987 წელს რეიგანმა და გორბაჩოვმა შეძლეს მოლაპარაკება ახლო და საშუალო რადიუსის სახმელეთო ატომური იარაღის ლიკვიდაციაზე. თუმცა ლაპარაკი იყო ორი ქვეყნის არსენალის მცირე ნაწილზე, მაინც მიღწეული შეთანხმება საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის დასაწყისის მაჩვენებელი იყო.

ამერიკა დღესაც მზად არის თავისი იდეალების დასაცავად. რეიგანის ანტიტერორიზმი სახელმწიფოს მორალურ და იდეოლოგიურ საძირკვლად იქცა. ერთ დროს მან უარი თქვა ტერორიზმთან მშვიდობიან თანაარსებობაზე. ეს იდეოლოგია დღესაც აქტუალურია, რადგანაც, ტერორიზმთან მშვიდობიანი თანაარსებობის ჰიპოთეზური სცენარიც კი არ არსებობს. „ომი საბოლოო გამარჯვებამდე, არცერთი ნაბიჯი უკან, არ ვუღალატებთ ჩვენს პრინციპებს." ასეთია ამერიკა ამ ბოლო წლებში და ასეთად ვნახავთ მას, იმედია მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ტაქტიკური ხედვები შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.

ისტორიამ ამერიკის და მსოფლიო მოღვაწეთა შორის რონალდ რეიგანს განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა „მას თითქოს მოსწონდა კიდეც, რომ ამერიკამ მისი ფასი ბოლომდე არ იცოდა," იხსენებს მისი მეგობარი პოლიტოლოგი ფრენკ სენსი. დღევანდელმა, სამოქალაქო და არა მხოლოდ ოფიციალურმა ამერიკამ ღირსეულად შეაფასა თავისი მეორმოცე პრეზიდენტი. მითი რეიგანზე უფრო ულტიმატუმია, რომელსაც საშუალო ამერიკა უგზავნის ოფიციალურ ვაშინგტონს. მის მახსოვრობაში რეიგანი დარჩა არა მარტო ნიჭიერ პოლიტიკოსად, არამედ ლიდერად, ნაციის წინამძღვრად, რომელსაც ყოველთვის სჯეროდებოდა საკუთარ შესაძლებლობებსა და ძალებში დარწმუნება

და მომავლის განჭვრეტა. „ამ ადამიანმა იცოდა ძალიან ცოტა და გააკეთა ძალიან ბევრი, გააკეთა იმიტომ, რომ იგი როგორც კომუნიკატორი, ენერგიით და რწმენით ავსებდა ნაციას, რწმენით იმისა, რომ ამერიკას დიადი და ნათელი მომავალი აქვს "—ჯორჯ შულცი.

რონალდ რეიგანზე ათობით წიგნი დაიწერა, უფრო მეტი სტატია და წერილი, მაგრამ მისი პირადი ბიოგრაფებიც კი ვერ ახერხებენ დარწმუნებით უპასუხონ უბრალო კითხვას, როგორი ადამიანი იყო ის. „მე ვერასოდეს ვუგებდი მას ბოლომდე" - წერს მისი ბიოგრაფი ედმონდ მორისი. მას ვერ ნახავდით გაღიზიანებულს, ხანდახან თუ ბრაზი ერეოდა, მხოლოდ თვალებში გაჰკრავდა მრისხანების ნაპერწკალი და იქვე ქრებოდა, მას საოცრად შეეძლო თავის კონტროლი, - იხსენებს დაგლას ვრინგლი. მის შესახებ, ორი სრულიად განსხვავებული აზრი არსებობს, მეგობართა და თანამოაზრეთათვის იგი ძლიერი ლიდერია, რომელმაც ამერიკა პოსტვიეტნამური დეპრესიისგან იხსნა და ოპტიმიზმით აავსო. კრიტიკოსები კი ირწმუნებიან, რომ რეიგანი იყო და დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ჰოლივუდის მეორე ხარისხოვან მსახიობად.

და მაინც, ვინ იყო იგი? როგორად ხედავს მას ამერიკა და რას წარმოადგენს ამერიკის უბრალო მოსახლეობისთვის მისი მეორმოცე პრეზიდენტი?

რონალდ უილსონ რეიგანი 1911 წლის 6 თებერვალს ილინოისის შტატის ქალაქ ტამპიკოში დაიბადა. კოლეჯის დასრულების შემდეგ, 1936 წელს რეიგანი სპორტულ კომენტატორად იწყებს მუშაობას, 1937 წელს კალიფორნიის ჰოლივუდში და მსახიობი ხდება. მონაწილეობს 50-ზე მეტ ფილმში, თუმცა თამაშობს მხოლოდ მეორეხარისხოვან გმირებს. აქვე ხდება აქტიური წევრი მსახიობთა გილდიისა, მოგვიანებით კი მის პრეზიდენტადაც გვევლინება. 1964 წელს, რეიგანი კალიფორნიის შტატის გუბერნატორია. 1970 წელს იგი მეორედ აირჩიეს ამ პოსტზე.

თანდათანობით, რონალდ რეიგანი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება რესპუბლიკურ პარტიაში, 1968 წელს მან საპრეზიდენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ნიქსონთან მარცხი განიცადა.

1979 წელს, რეიგანი პრეზიდენტობის ყველაზე წარმატებული

კანდიდატია, მას მხარს უჭერს უფროსი ჯორჯ ბუში, 1980 წელს 69 წლის რონალდ რეიგანი, აშშ-ის რიგით მეორმოცე პრეზიდენტი ხდება. მან ამ პოსტზე დემოკრატი ჯიმი კარტერი შეცვალა.

რეიგანის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა 1982 წელს მასზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად. მას გულმკერდის არეში ჯონ ბრინკლიმ - მარტოხელა ტერორისტმა ესროლა. ქირურგებს, რომლებიც მას ოპერაციას უკეთებდნენ, რეიგანმა ჰკითხა - იმედია ყველა რესპუბლიკელი ხართო.

კიდევ ერთი რამ, რონალდ უილსონ რეიგანი – შეერთებული შტატების გამოჩენილი პრეზიდენტი და მოღვაწე, ადამიანი, რომელმაც 600 მილიარდით გაზარდა თავდაცვის ბიუჯეტი, არმიიდან კაპიტნის ჩინში იყო დათხოვნილი.

მოხსენებაში გამოყენებულია:

ამონაწერები თეთრი სახლის ისტორიიდან,

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალური მასალა, გამოქვეყნებული 2001 წლის 9-10 მარტს პრისტონის უნივერსიტეტში.

ცივი ომის ქრონოლოგიები.

ამონაწერები მიხეილ გორბაჩოვის მოგონებებიდან.

**ნიკო ჯავახიშვილი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

# ქართველი ემიგრანტი — აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი

პრეზიდენტი რონალდ რეიგანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ამერიკელთა, ასევე მსოფლიოს სხვა ხალხთა შორისაც. მის მშობლიურ რესპუბლიკურ პარტიასაც ტრადიციულად გააჩნია ასევე მაღალი რეიტინგი.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური პარტიისა და პრეზიდენტ რეიგანის პოლიტიკური კურსის აქტიურ მხარდამჭერთა შორის არაერთი ქართველი ემიგრანტიც იყო. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრე სულხანიშვილი (1895–1990). ა. სულხანიშვილი გახლდათ ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა გადაჯაჭვულია საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან. ამიტომ, მისი ბიოგრაფია აღსავსეა ფრიად საყურადღებო ფაქტებით.

იგი დაიბადა 1895 წელს სოფელ აწყურში, აზნაურის ოჯახში. მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების (1921 წლის მარტი) შემდეგ, თავის უახლოეს მეგობრებთან ერთად, ანტიბოლშევიკურ პარტიზანულ ბრძოლაში ჩაება. კერძოდ, იგი ამ მოძრაობის ბელადის, საქართველოს ეროვნული გმირის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის (1888–1930) ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული „შეფიცულთა რაზმის“ წევრი გახდა. მას გამორჩეული ადგილი ეკავა ლეგენდარული ქ. ჩოლოყაშვილის უახლოეს მეგობართა და თანამებრძოლთა შორის.

ა. სულხანიშვილის ოცნება იყო ბოლშევიკური რეჟიმის დამხობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამისათვის, იგი თავის თანამებრძოლებთან ერთად, სამ წელიწადზე (1921–1924 წლები) მეტხანს, იარაღით ხელში

ებრძოდა ბოლშევიკებს.

კავკასიელ მთიელებთან კავშირის დამყარებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ კოორდინირებული მოქმედების მიზნით, ქ. ჩოლოყაშვილის საგანგებო დავალებით, ა. სულხანიშვილი ჩრდილო კავკასიაში საიდუმლოდ ჩავიდა. 1922–1923 წლებში, მისი კონფიდენციალური ვიზიტი რამდენჯერმე შედგა.

ქაქუცას წარმომადგენელი შეხვდა მთიელთა გავლენიან პიროვნებებს, რომელთაგან გამოირჩეოდნენ ჩეჩენი ბელადები ათაბაი უმაევი და შეიხი ალი მითაევი. ეს უკანასკნელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ ჩეჩენთა, არამედ, საერთოდ, ჩრდილოკავკასიელ ხალხთა შორის.

1924 წლის აგვისტოში დაწყებული ანტიბოლშევიკური აჯანყების დამარცხებისა და სისხლში ჩახშობის შემდეგ, ა. სულხანიშვილი

„შეფიცულთა რაზმის" წევრ პარტიზანებთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში. სიცოცხლის უკანასკნელი 40 წელი მან გაატარა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მოქალაქეობაც მიიღო.(1) სან-ფრანცისკოში მცხოვრებმა ა. სულხანიშვილმა ამ ქალაქში რამდენიმე წიგნი გამოსცა ქართულ ენაზე. მათ შორისაა სხვადასხვა დროს გამოცემული: „ჩემი მოგონებები"; „ჩემი პასუხი ჟორდანიას მემკვიდრეებს"; „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1924 წელს და ილიას მკვლელობის სინამდვილე"; „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წ. ნოემბრიდან" და სხვ. მათგან გამოირჩევა პირველი ორი ნაშრომი, (2-3) რომლებშიც ავტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს მძაფრად აკრიტიკებს.

ა. სულხანიშვილი იყო ერთადერთი მებრძოლი „შეფიცულთა რაზმიდან", რომელიც სამშობლოში ცოცხალი დაბრუნდა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში დაბრუნებულ მხცოვან ემიგრანტს დიდხანს აღარ უცოცხლია. მძიმედ დასნეულებული იგი ჩამოსვლიდან 18 დღეში, 1990 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიის გალავანში, სულხანიშვილთა საგვარეულო სასაფლაოზე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ა. სულხანიშვილი გამოირჩეოდა რესპუბლიკური პარტიისა და პრეზიდენტ რეიგანის პოლიტიკური კურსის აქტიურ მხარდამჭერად ქართველ ემიგრანტთა

შორის. საგულისხმოა, რომ ამ პარტიას იგი ფინანსურადაც ეხმარებოდა.

სულხანიშვილის არქივში შემონახულია რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი, საიდანაც ნათელი ხდება, რომ რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერისათვის მას მადლობა არაერთხელ გადაუხადეს. (4)

აღსანიშნავია, რომ ხსენებული არქივი საქართველოში ჩამოიტანა ცნობილმა ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა, რომლის ძალისხმევითაც 1990 წლის შემოდგომაზე მხცოვანი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებაც მოხერხდა.

ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტიდან (მოწმობიდან), რომელსაც რონალდ რეიგანის პორტრეტი ამშვენებს, ირკვევა, რომ ა. სულხანიშვილი რესპუბლიკური პარტიის საპატიო წევრად აირჩიეს. მასში ნათქვამია, რომ ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარე, სენატორი პოლ ლაქსალტი და ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფრენკ ჯ. ფაჰრენკოპფ-უმცროსი, აშშ-ის პრეზიდენტის რ. რეიგანისა და რესპუბლიკური პარტიის სახელით საპატიო წევრად ირჩევენ ალექსანდრე სულხანს, მაღალ შეფასებას აძლევენ რა მის გულუხვ ფულად შემოწირულობას ამ პარტიის იდეალებისა თუ პოლიტიკის უკვდავსაყოფად.

1981 წლის 11 ნოემბერს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი (შემდგომში პრეზიდენტი) ჯორჯ ბუში ალექსანდრე სულხანიშვილს სწერდა:

**„ძვირფასო ბატონო სულხან!**

კონგრესმენმა გაი ვანდერ იაგტმა ახლახან მოგვახსენა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის კომიტეტის საქმიანობაში თქვენ მიერ შეტანილი წვლილის შესახებ. გადავწყვიტე, მომეწერა წერილი და მადლობა გადამეხადა.

ჩვენი პარტიისადმი თქვენ მიერ შემოწირული თანხისათვის მხოლოდ „მადლობა" ალბათ, არც არის საკმარისი და გაწეული სამსახურის საუკეთესო დაფასება იქნება ის, რომ თქვენი თანხა მომავალ წელს, წარმომადგენელთა პალატის მუშაობაზე დაწესებული კონტროლის საწარმოებლად გამოვიყენოთ.

გაი, ვანდერ იაგტთან საუბრისას შევიტყვე, რომ რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი ავრცელებს პროგრამას, რომელიც 1982 წლისათვის დემოკრატების მოთხოვნებს დააკმაყო-

ფილებს. თქვენი შემოწირულობით კი რესპუბლიკურ პარტიას ამ საქმეში მეტი წარმატების მიღწევის საშუალება გაუჩნდება.

გაი შეგპირდათ ინაუგურაციის სახსოვარს. თქვენი შემოწირულობის აღსანიშნავად, მან მთხოვა, გამომეგზავნა ინაუგურაციის ცერემონიალზე გადაღებული დახურული ფოტო.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მონაწილეობისათვის რესპუბლიკური კონგრესის არჩევაში, რაც პრეზიდენტ რეიგანს თავისი გადაწყვეტილებების ხორცშესხმის საშუალებას აძლევს.

პატივისცემით
**ჯორჯ ბუში".**

საპრეზიდენტო არჩევნებში რონალდ რეიგანის გამარჯვების შემდეგ, ა. სულხანიშვილმა, როგორც რესპუბლიკელთა და პირადად რეიგანის „ერთგულმა მოკავშირემ", საგანგებო საპატიო სიგელი მიიღო. მასში აღნიშნული იყო:

„საპრეზიდენტო მიღწევის ჯილდო ენიჭება იმ განსაკუთრებულ და რჩეულ პიროვნებათა ჯგუფს, რომელთაც სწამთ, რომ დიად ბრძოლას იგებენ არა ისინი, ვინც მხარს უჭერენ მოცემულ მომენტში, არამედ ისინი, ვინც წარბშეუხრელი სიმტკიცით უდგანან მხარში ამერიკელთა სიძლიერეს, პიროვნების თავისუფლებას, რესპუბლიკელთა მოღვაწეობას სახელმწიფო მასშტაბით.

რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის ეს ჯილდო, ხელმოწერილი პრეზიდენტ რონალდ რეიგანისა და კომიტეტის თავმჯდომარის რიჩარდ რიჩარდსის მიერ, მადლიერების გრძნობით გადაეცემა პარტიის ერთ-ერთ უერთგულეს მოკავშირეს და უკეთილშობილეს თანამდგომს —

**ბატონ ალექსანდრე სულხანს,**
მუდმივ წევრს,

ვისი თავდადება, კეთილშობილება და მოვალეობის გრძნობა ჩვენი პარტიისა და პრინციპებისადმი დაგვეხმარება, რათა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ამერიკა.

წარმოდგენილი საპატიო ჯილდო კიდევ ერთხელ, ნათლად ადასტურებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ქვეყნის თითოეული მოქალაქის მხარდაჭერას.

ზემოხსენებულ სიგელს თან ახლდა რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის რიჩარდ რიჩარდსის მიერ ა. სულხანიშვილისადმი გაგზავნილი საკმაოდ ვრცელი წერილიც, რომელშიც აღნიშნული იყო:

**„ძვირფასო მეგობარო!**

რონალდ რეიგანი, ყველაზე მეტად ჩემს ნაცნობთაგან, აფასებს იმ თავგანწირვას, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ რესპუბლიკური პარტიისა და იმ მიზნების მხარდასაჭერად, რომლებსაც ჩვენ თანაბრად ვიზიარებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

20 იანვარს, აქ, ვაშინგტონში, სახელმწიფოს სათავეში მოსვლის პირველი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სადილზე პრეზიდენტმა თქვა, რომ „დიად ბრძოლებს იგებენ არა ისინი, რომლებიც მხოლოდ მომენტალურად უჭერენ მხარს მიზანს, არამედ ისინი, ვინც წარბშეუხრელად გასცემენ დროსა და საშუალებებს ჩვენი, რესპუბლიკური მიზნებისათვის, რაც ჩვენი გამარჯვების საწინდარია".

ამას რონალდ რეიგანი თქვენზე ამბობდა.

ჩვენი პარტიისა და რონალდ რეიგანის რიგი გამარჯვებები, როგორიც გახლავთ გადასახადების შემცირება, ამერიკელების დარაზმვა თავდაცვის გაძლიერების გადაუდებელი საჭიროებისათვის და უსარგებლო სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა, ვერასოდეს მიიღწეოდა, რომ არა თქვენი მხურვალე მხარდაჭერა.

თქვენ მკაფიოდ და შთამბეჭდავად დაადასტურეთ, როგორ შეუძლია ერთ პიროვნებას, დაეხმაროს ჩვენს ერს კურსის შეცვლაში.

ამის გამო, მე, როგორც რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტე-

ტის თავმჯდომარეს,წილად მხვდა პატივი,გადმომეცა თქვენთვის საპრეზიდენტო გამარჯვების აღსანიშნავი ჯილდო.

ეს ჯილდო განკუთვნილია არა „ზაფხულის ჯარისკაცის ან სახელგაპადრული პატრიოტისათვის“,არამედ მხოლოდ თქვენი მსგავსი ერთგული,თავგანწირული და მედგარი თანამდგომებისათვის,რომლებმაც ერთხელ და სამუდამოდ მხარი დაუჭირეს ჩვენს რესპუბლიკურ პრინციპებს.

ვიმედოვნებ, რომ თქვენ ამ ჯილდოს ჩარჩოში ჩასვამთ და სათანადო ადგილზე გამოფენთ,რათა იგი თქვენმა მეგობრებმაც იხილონ. მჯერა, რომ იგი სხვებსაც აღაფრთოვანებს და შთააგონებს, რათა მიჰყვნენ თქვენს მაგალითს და აქტიური როლი შეასრულონ ამერიკის შემდგომ გაძლიერებაში.

ჩვენ ორივემ კარგად ვიცით, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა და რომ გზა არცთუ ისე იოლი გასავლელი იქნება,მაგრამ სანამ თქვენ ნაწილი ხართ ჩვენი ბრძოლისა, სანამ ერთგული იქნებით ჩვენი მიზნისა,თქვენ,პრეზიდენტი და ყველა ჩვენთაგანი,ვისთვისაც უზენაესია პიროვნების თავისუფლება,უეჭველად გავიმარჯვებთ.

პრეზიდენტ რეიგანის, თითოეული ჩვენი რესპუბლიკელი კანდიდატისა და მთელი ჩვენი კომიტეტის სახელით მადლობას მოგახსენებთ ასეთი ერთგული და დიდსულოვანი მეგობრობისათვის“.

საგულისხმოა, რომ ა. სულხანიშვილმა სხვადასხვა დროს აშშ-ის მესვეურთ გაუგზავნა თავისი მეგობრის, ასევე ემიგრანტის, ყოფილი იუნკერის ივანე ნანუაშვილის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნი „რა უნდა იცოდეს თავისუფალმა მსოფლიომ რუსეთის შესახებ“. ამ წიგნის მიწოდებისათვის მას მადლობა წერილობით გადაუხადეს: აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა საირუს ვენსმა (1977 წლის 16 აგვისტოს), პრეზიდენტის მრჩეველმა სახელმწიფო უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკიმ (1977 წლის 26 ოქტომბერს),ვიცე-პრეზიდენტმა უოლტერ მონდეილმა (1977 წლის 16 ნოემბერს) და სახელმწიფო მდივანმა ალექსანდრე ჰეიგ-უმცროსმა (1982 წლის 30 აპრილს).

ისმის კითხვა: რატომ უჭერდა მხარს ასე მონდომებით ქართველი ემიგრანტი ა. სულხანი (ასე შეიკვეცა მან გვარი აშშ-ის მოქალაქეობის მიღების შემდეგ) რესპუბლიკურ პარტიას?

ა.სულხანიშვილი სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშ-

ვილი იყო. მართალია, ძალით თავსმოხვეულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა იგი იძულებული გახადა, საქართველო მიეტოვებინა, მაგრამ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი მასში მუდამ ცოცხლობდა. იმავდროულად, მან იცოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ სსრკ-ის დაშლის შემთხვევაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ა. სულხანიშვილმა მხარი დაუჭირა რონალდ რეიგანის ხელმძღვანელობით მოქმედ რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც მას სსრკ-ის დამანგრეველ ერთადერთ რეალურ ძალად მიაჩნდა.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი პარტიზანი ალექსანდრე სულხანიშვილი, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის მოქალაქე გახდა, რესპუბლიკური პარტიისა და პრეზიდენტ რონალდ რეიგანის პოლიტიკური კურსის აქტიური მხარდამჭერი იყო.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. **პაატა ნაცვლიშვილი**. საქართველოს მიწა, თბილისი, 1994, გვ. 87.
2. **ალექსანდრე სულხანიშვილი.** ჩემი მოგონებანი (მოგონებები შეფიცულთა რაზმზე 1922-1924 წწ.), სან-ფრანცისკო, 1981.
3. **ალექსანდრე სულხანიშვილი.** „ჩემი პასუხი" ჟორდანიას მემკვიდრეებს, სან-ფრანცისკო, 1987.
4. **პაატა ნაცვლიშვილი**. დასახელებული ნაშრომი, გვ. 88-91.

Levan Avalishvili
Post-graduate Student, Department of History,
Iv.Javakhishvili Tbilisi State University

## Ronald Reagan and the "Star Wars" Program

On March 23, 1983, Reagan gave a speech on "peace and national security" which was broadcast nationwide. The speech was a standard review of the Soviet military buildup and of the Soviet and Cuban intelligence efforts in Central America. At the end of the speech, Reagan proposed the Strategic Defense Initiative (SDI), most commonly known as "Star Wars."

Politically and diplomatically "Star Wars" was successful. It put the nuclear-freeze movement on the defensive, and brought the Russians back to the strategic-arms talks that they had abandoned.

Of course, preserving deterrent capabilities was not the only purpose of the program and it would be also incorrect to regard SDI as a ridiculous "Reagan fantasy." In fact, it bolstered national security, put the Soviet Union under technological, psychological and economic pressure, and established an entirely new type of relationship between America and the Soviet Union.

The success of the program, with regard to Reagan's main intention of enhancing deterrence, is rather ambiguous. It is still uncertain whether SDI actually strengthened or weakened deterrence. However, judging from a historical perspective, one may conclude that the program achieved the ultimate goal of eliminating the threat posed by strategic nuclear missiles, nuclear war was prevented, and the first strategic weapons reduction treaty was signed shortly after the proposal of SDI. Moreover, relations between the Soviet Union and America improved significantly.

With SDI, Ronald Reagan expressed his willingness to change the political course taken by other presidents when dealing with the Soviet Union. Overall this change in policy should be regarded as one of the most successful aspects of SDI.

Nugzar Bardavelidze

Associate Professor, Diplomacy of Public Academy

## Reagan: Myth or Reality

In the laconic and humorous style characteristic of Reagan, this article analyzes the political myths and realities created during the administration of America's 40th president. Ronald Reagan's press agencies, with the help of mass media and film, established stereotypes that served to bolster the image of the president. This article discusses those historical facts, events and realities that were deliberately mythologized during the Reagan epoch. Pointedly, these myths were believed both by their authors and political opponents.

The Kremlin ideological agencies and the Soviet press also deliberately misrepresented historical realities and created counter-myths during the 1980s which were aimed at ruining the reputation of the president and the American way of life in general. The political myths created in the 80s in turn greatly influenced human consciousness. At that time the American president was very popular in the Soviet Union or so-called "Evil Empire." To this day Reagan is still considered as one of the most popular politicians and historical figures by people living in the post-Soviet sphere as he played a vital role in the collapse of the "Evil Empire."

Timothy K. Blauvelt, Ph.D.
Country Director, Georgia
American Councils for International Education (ACTR/ACCELS)

January 16, 2005

## Ronald Reagan and the End of the Cold War

With the recent death of President Ronald Reagan there has been a new impetus to critically examine the legacy of his presidency and to separate myth from reality. Many Reagan's policies and actions have been mythologized in

recent years, often by contemporary political actors and publicists who try to use such interpretations as they relate to the role of the Ronald Reagan administration in foreign policy and the end of the Cold War, and evaluate their verisimilitude in relation to the factual evidence.

Rusudan Daushvili,
Associate Professor, Senior Fellow, the Museum of Georgian Emigration

## Konstantine Sidamon-Eristavi
## A member of the Republican Party and Reagan Supporter

This article is about Konstantine Sidamon-Eristavi, a member of the American Republican party and a great supporter of Ronald Reagan who had also been the deputy mayor of New York City for many years.

K. Sidamon-Eristavi was born in New York. He graduated from Princeton University and received his degree in engineering. After serving in the army, he then attended Columbia University and graduated from the department of law.

In 1990 K. Sidamon-Eristavi founded the organization "Georgia's American Friends" and in 1994, a hard time for Georgia, he set up the "Friends of Georgia Fund." He invited Maryam (Marusia) Chavchavadze, the grand-daughter of American writer Paul Chavchavadze, to be the executive director of the fund.

The fund provide help to orphanages, psycho-neurological clinics, the children's department of the oncology center, children with tuberculosis and senior citizens. The fund organized exhibition's of Georgian artist's work in 2001 and 2004 in New York. The event included the auction and an evening of Georgian cuisine and music. The fund also organized an exhibit of children's art work in 2003. The money raised from the sale of these works, together with funds from friends of Georgia, was donated to Georgian charities.

Vasil Kacharava
Associate Professor, Iv.Javakhishvili Tbilisi State University; Director,Center of American Studies;President, Georgian Assocition for American Studies

## Calvin Coolidge's Portrait in Ronald Reagan's Study

This article draws parallels and discusses the similarities of the 20th century American conservative Presidents: Ronald Reagan and Calvin Coolidge.

Reagan always emphasized his conservatism which is why, together with others, he hung Coolidge's portrait in his room. The approaches of these two Presidents to the socio-economic development of the country were very similar, especially in the spheres of federal expenses, low tax policy, ensuring maximum independence of business, and decentralization of government.

Of course after the depression of 1929-33, Roosevelt's Keynesian New Deal, The Second World War, and Johnson's Great Society Program, the conservatism of the 80s was diluted by more liberal approaches. However, the Conservative Revolution of this time once more confirmed the soundness of this ideology and its importance in the development of American society.

Maia Kacharava
Associate Professor, Georgian Technical University,
Institute of Architecture

## American Architecture of the 1980s

Historians and political commentators have labeled the 1980s "The Reagan Imperium," and for those interested in the arts of architecture a question arises as to the possible connections. Political epithets applied to architecture are not unknown – the terms Georgian and Victorian were originally political, and in this country we use "WPA Moderne" and "General Grant" as stylistic identifications.

The Reagan Reign in architecture in the 1980s has meant a flashy, show biz, surface-deep glamour along with an open worship of $$$ and

conspicuous consumption. In 1980s America, flash and greed are not sins – they have replaced modesty and service as virtues. American architecture in the 1980s adopted the slogan "more is more" in the strangest display of overscaled ornament, oddly placed temples, pediments, Roman thermae windows, and columns that any historical period has ever seen. Glitz and shine are everywhere: there are now at least 20 different types of marble to compete with all the gold-plated, chrome, and brass fixtures. Certainly not all of this has been bad. A return of some sensuousness to architecture compared with the roughness of hammer-bashed concrete is to be welcomed.

Historic preservation continued in the 1980s; though, in trying to meet the "real world" of real estate and developers, it found itself like the virgin in the back seat of a car: an innocent flirtation leads to deeper problems. Architects who earlier had viewed preservation with suspicion now found it a money-maker and embraced it.

Show biz made a great and pernicious impact upon architecture. Instead of being known for good work, just being known became the goal of some figures in the architectural and art worlds.

Architects became celebrities, or super-stars; being published in glitzy magazines or gossip sheets was the highest accolade. On a more positive note, in the 1980s architecture moved into the public eye in television programs, specialized bookstores, and exhibits of architectural drawings, artifacts, photographs, and furniture. Museums actively collected and tried to interpret architecture to an ever more sheeplike public.

The style of the 1980s is pomo. Postmodernism, which began years earlier as a critical inquiry concerning history and modernism, became a style – pomo.

The architecture of the 1980s could be characterized by a notable increase in variety of building types and approaches to design.

Nino Kighuradze
Associate Professor, Department of History, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

## Did Reagan Win the Cold War?

The Article discusses the reasons of the ending of the Cold War, as well as the diversity of arguments concerning this subject that exist in the discipline of International Relations. The author of the article supports the "constructivist" approach to this problem, which implies that the Cold War was ended when Gorbachov decided to change the rules of the game. Undoubtedly, Reagan was his partner in this affair.

Giorgi Kldiashvili
Post-graduate Student, Department of History,
Iv.Javakhishvili Tbilisi State University

## Reagan Policy toward Cuba

This article explores the relationship between Cuba and the United States during the period of Reagan's administration. After the success of the Cuban Revolution, the main concern of US national security became curtailing the spread of communism throughout Central and Latin America. The Soviet Union, through Cuba, supported pro-Marxist rebels and pro-communist regimes in the region. The government of the United States opposed this process with all its might. When President Ronald Reagan came to office, he developed a new strategy toward Cuba and Central America that involved both covert and overt operations against pro-communist forces.

This harsh policy inhibited Castro and the Soviet Union from supporting Marxist regimes in Central America and in Africa.

This article describes in detail the US invasion of Grenada in October 1983 and the defeat of Maurice Bishop's government. It is the opinion of the author that Reagan's policy toward Cuba and Central America changed the balance of power to the advantage of the United States and caused the defeat of the Sandanistas in Nicaragua, which had been Cuba's main strategic partner in the region.

The author used newly declassified national security directives of the Reagan and Bush administrations, the public papers of Ronald Reagan, in addition to the other sources.

Paata Koghuashvili, Professor
Doctor of Science in Economics

## Economic-Legal Aspects of the Ronald Reagan's Agrarian Policy

This article discusses several issues about agrarian policies carried out by the Reagan administration. It also analyzes "The Agrarian Laws" passed in 1985, 1987, and 1990. The article focuses on the "The Grocery Security Law" that reflected a change of American domestic policy and laid the juridical basis for a new stage of agricultural production development.

Reagan drastically changed the government's approach to the use of agricultural resources and towards grocery security. His administration limited governmental interference in business, but not in the agricultural sphere. Furthermore, a number of quantitative and qualitative amendments were proposed at this time.

Revaz Lordkipanidze
Doctor of Economics (Georgia; RF), Member of the APS (USA,NY)

## Ronald Reagan's Tax Reform and Questions of Perfection of Economic Policy in Modern Conditions.

As analyzed by the author, during Reagan's time in the White House, the maximum surtax of 70 percent was reduced to 28 percent. However, as the author concludes, time has shown that Reagan's noble radical reform was relatively too early.

Revaz Lordkipanidze's economic policy concept about the force of competition is a reworking of the Hirshman approach. Lortkipanidze's "Law of Competition" defines monopoly and discounts chance, when firms are

numerous, output or import production is high and the wage of buyers is low.

To perfect economic policy in modern conditions, the author suggests measuring the "Force of a Competition" (similar to the law of electric current force as defined in physics) and using the theory of "Objective Equilibrium Realism." This theory uses the concept of a "Line of God" in an equilibrium model and highlights the paradox of the prices (which can be caused only by the will of God). It also, by analogy to the physics theory of growth of weight at the high speeds, offers optimization of taxes near the 50 percent level.

Eliso Machitidze
Associate Professor, Department of History Iv. Javakhishvili Tbilisi State University

## The Golden Age in American -Turkish Relations

The article discusses the American-Turkish relations during the Reagan Administration. The Reagan Administration gave a great strategic importance to Turkey. This caused the establishment of more active relations between America and Turkey during The Reagan's Presidency. It also explains the increase of American military support to Turkey in the first half of the 1980s.

The Turkish authors call the "The Golden Age" in American -Turkish relations the period when Ozal was the Prime Minister of Turkey (1983-1989). Ozal's foreign political course was aimed at creating the proper conditions for accelerated economic development. Together with the political and military cooperation with America Ozal tried to develop trade and economic relations tool. But America paid more attention to the strategic alliance with Turkey rather than establishing trade partnership with it.

At the end of the 1980s the American military and economic support to Turkey was drastically reduced. One of the reasons was the beginning of Gorbachov's new course "Glasnost", which was followed by changes in the Soviet–American relations, and the reducing of tensions on international

arena. The Turkish government of the 1980s that was carrying out the pragmatic policy, benefited from the conditions created in the region as well as from its strategic location, and managed to receive the important military and economic assistance from the Western countries, especially from America. This pushed the country's further economic development. "The Turkish Economic Miracle" was implemented namely in that period.

Elene Medzmariashvili
Associate Professor, Department of History, Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Deputy Director, The Center of American Studies

## Women's Issues in the Policy of Ronald Reagan's Administration

This article analyzes the policies of Ronald Reagan administration regarding women's issues. It highlights the increase of political activism of women during this time. The social-political causes for this phenomenon are singled out and discussed in relation to the changes in the US administration policy of the time, which has been considered on of the "most antifeminist" administrations through the whole history of the country.

The article stresses the antifeminist measures taken by the Reagan administration and women's reactions to them. The author argues that this very policy gave an impetus to the women's struggle for equal rights. This explains the popularity of the Democratic Party among the female population of the US compared to the Republican Party.

The author details the conservative policies of Reagan regarding women's issues as well as the reasons for political changes in the 1980s that contributed to the increased roles for women in politics.

Ketevan Rostiashvili
Associate Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University , Political Science Center

## US Trade Unions During Ronal Reagan Administration

The article analyzes 1980-s main social-economic trends, role of trade unions, labor policy of the US government and corporations' new tactics in management. Strategic goal of US labor relations: increasing the quality of goods, productivity of labor, diminishing of expenditures was supported by the new politics of collaboration between employers and employees oriented on democratization and decentralization of management, participation of trade unions in the decision making processes and wide range concessions of employees during the collective bargaining. These tendencies are reviewed through the long term processes of structural changes of US economy, transition from Industrial to Postindustrial Society, diminishing labor force in the main industries, consequently diminishing quantity of the trade unions, quantity of strikes and as a result diminishing the influence of trade unions on the US politics.

Vakhtang Rcheulishvili
Political Scienist

## Ronald Reagan and the Westernization of Georgia

The author of this article, Georgian politician and political scientist Vakhtang Rcheulishvili, elaborates a foreign policy concept called The Crosslke Conception and The Security Triangle (Tbilisi, Moscow, Washington) and describes the ways Georgia political ranking was raised.

The author argues that the Caucasian Region may become an area of cooperation rather than one of confrontation between the US and Russia as well as other regions. Such a multi-vector policy will contribute to eliminating undesirable outcomes of regional conflicts and "the Cold War." This concept was named "Crosslike" because of the crossing West and North political vectors.

The concept implies matching rather than contrasting these vectors which can be expressed in the form of a cross. Establishing "peace zones" in the conflict regions may become a project of multilateral cooperation. The author argues that the emerging task of Russia and Georgia is to combine organically western democratic values with national traditions, rather than continuing confrontations.

Nugzar Rukhadze
Journalist

## The Reagan Epoch and American-Georgian Relations

This article discusses Georgian-American relations. The author notes that while Russia and Georgia had close and friendly ties in the past, after the collapse of the Soviet Union, in which Reagan played an important role, Georgia appealed to the United States for assistance and the US became Georgia's main ally.

The American cultural climate, developed under the Reagan administration and other political leaders, provided opportunities to Georgian emigrants to benefit from American social welfare programs. Many Georgians found jobs in the United States, graduated from colleges and universities, or married Americans. The most important aspect of this situation was the financial assistance that Georgian emigrants provided for their families in Georgia.

In the author's opinion, the stereotype of Russian-Georgian relations should not serve as a model for modern Georgian-American contacts. He hopes that a better understanding of American social, political and economic structures would further enhance friendly relations with America.

Giorgi Shikhashvili
Associate Professor, Department of Management and Microcconomics, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

## Some of the Aspects of the Economic Management under Reagan's Presidency

Ronald Reagan won the US presidential election on the 4th of November 1980. His appeal to "revive the traditional moral values and build a bright future" attracted the attention of many Americans as well as other nations.

The aim of Regan's policy of economic management was to reduce state expenses and taxes, balance the budget and reduce the amount of money in the system in order to fight inflation.

On the whole Reagan's financial, economic and management reforms achieved their goals which helped American society to begin a new stage of its development and encouraged modern socio-economic progress.

Tsira Chikvaidze
Associate Professor
Department of European and American Countries
Iv.Javakhishvili Tbilisi State University

## Ronald Reagan and "Supply Side Economics"

In 1981 Ronald Reagan as a president of the U.S. implemented a new economic policy agenda for the country that is known as "Reaganomics" or "Supply Side Economics". Reaganomics consisted of the following key elements: 1. a restrictive monetary policy to stabilize the value of the dollar and end inflation ; 2. a 25 percent across-the-board tax cut enacted (The Economic Recovery Tax Act of 1981); 3. Deregulation: An agenda to roll back government regulation.

The Reagan years reminded some observers of the 1920s. Between 1982 and 1989, the gross domestic product grew at an average annual rate of about 4 percent, generally more than 630,000 new businesses, 11 million jobs, and

a drop in the unemployment rate from 7.4 percent to 5.5.percent. By 1988 mortgage rates had plummeted roughly 40 percent, and by 1989 median family income corrected for inflation had stop up 12.5 percent.

Tsikhistavi Nana
Associate Professor , Department of International Relations,
I. Chavchavadze Tbilisi State University of Languages and Culture

## Ronald Reagan and Evangelicals

This article focuses on the main episodes from the political life of the famous leader of the Republican Party, Ronald Reagan. He has deservedly been named a reformer based on his multi-faceted and fruitful work. The goal of this article is to assess Reagan's efforts to restore moral and ethical values in US society within the Evangelical alliance (one of the most powerful Protestant movements in USA) whose principles are associated with the revival of Judeo-Christian values.

Conservative views of American society were a prerogative for Ronald Reagan and he tried to enforce them in reality. It is notable that these measures were taken when relations between the USA and the USSR were exceptionally tense.

During a general meeting of Evangelicals, Ronald Reagan denounced the USSR as "the Evil Empire" and declared a "crusade" against it. This speech reflected the political views and different perspectives stemming not only from Reagan's beliefs, but also from the Republican administration's policy and general political strategy.

Tengiz Tskhvitava
LtCol of Internal Troops of Georgia, Deputy Commander of Aviation Unit

## The 40th President of the USA

The article analyzes the main priorities and directions in the sphere of security of the most dignified person of the 80-s,-the 40-th president of the United States - Ronald Reagan. It also discusses the holding of the open and secret operations which brought peace to the US .The most important is the president's attitude to the army.

Reagan's initiative in the strategy of defense contributed to the forming of the US as the super space country. Had been expelled from the army himself, Reagan made the soldiers of his country as undefeatable.

Niko Javakhishvili
Professor, Department of History, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

## Georgian Emigrant-The Supporter of the US Republican Party

This article is about the most important episodes from the life and work of one of the most prominent representatives of Georgian emigration: Alexander Sulkhanishvili (1895-1990). It is assumed that this patriot fought the Bolshevik regime from 1921 to 1924. After emigrating to the United States, he then became a sympathetic supporter of the Republican Party and the president Ronald Reagan.

გამომცემლობის რედაქტორი: ა.კაჭარავა
ტექრედაქტორი: თ.ფირცხელანი
კორექტორი: ლ.თორდუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად:
საბეჭდი ქაღალდი:
პირ.ნაბეჭდი თაბახი: 13,8
სააღრ.-საგამომც.თაბახი: 11,38
შეკვეთა№

ტირაჟი:
ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.,14

სტამბა „საქართველოს მაცნე"
თბილისი, რობაქიძის გამზ.7"